საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში

2025

სარჩევი

1. შესავალი 6

2. საქმიანობის ზოგადი და სტატისტიკური მონაცემები 7

2.1. უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგები 12

3. გაზაფხულისა და ზამთრის საპროტესტო აქციები - მომიტინგეთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა და სხვა უფლებადარღვევები 16

3.1. ძირითადი მიგნებები 18

3.2. წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა საპროტესტო აქციებზე 23

3.2.1. არასათანადო მოპყრობა გაზაფხულის აქციებზე 23

3.2.2. არასათანადო მოპყრობა ზამთრის აქციებზე 40

3.2.3. სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაცია - უფლებამოსილების ძალადობით გადამეტება წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ 54

3.3. გაზაფხულის აქციების პარალელურად გამოვლენილი ინდივიდუალური და განმეორებადი დანაშაულებრივი ქმედებები 58

3.3.1. პოლიტიკური და მოსაზრების ნიშნით დევნა 58

3.3.2. სატელეფონო მუქარები 66

3.4. ზამთრის აქციების პარალელურად გამოვლენილი ინდივიდუალური და განმეორებადი უფლებადარღვევები და დანაშაულებრივი ქმედებები 66

3.4.1. მოძალადე ჯგუფების თავდასხმები 66

3.4.2. სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვა უფლებადარღვევები 68

3.4.3. ტელეფონების შემოწმება და პირადი ნივთების ჩამორთმევა/წართმევა 69

3.5. თავისუფლების უფლება 71

3.5.1. უკანონო დაკავება გაზაფხულის აქციებზე 71

3.5.2. უსაფუძვლო დაკავებები ზამთრის აქციებზე 76

3.5.3. გამოკითხვაზე „გადაყვანა“ და დაცვის უფლება 78

3.6. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება 79

3.6.1. ხარვეზებიანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი და გამკაცრებული სახდელები 79

3.6.2. მტკიცებულებათა სავარაუდო ფალსიფიკაცია ადმინისტრაციულ საქმეზე 82

3.6.3. ნეიტრალური მტკიცებულებების პრობლემა სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების საქმეებში 85

3.7. შეჯამება ... 86
4. სიცოცხლის უფლება ... 88
4.1. შოვის საქმე ... 88
4.2. თამაზ გინტურის საქმე ... 104
4.3. ხანძრის საქმე ... 106
4.4. ხორავას ქუჩის საქმე ... 107
5. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ... 107
5.1. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საკითხები პენიტენციურ სისტემაში ... 108
5.1.1. ჯანდაცვა პენიტენციურ სისტემაში ... 108
5.1.2. სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ სისტემაში: ინდივიდუალური საქმეები ... 109
5.1.3. დაზიანების დოკუმენტირების პრობლემა ... 112
5.1.4. ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურება ... 117
5.1.5. ექსპერტიზის კანონიერება ... 118
5.1.6. მსჯავრდებულთა საშიშროების რისკები ... 119
5.1.7. პატიმართა ტრანსპორტირებისას ხელბორკილის გამოყენება ... 121
5.1.8. ვიდეომეთვალყურეობა პენიტენციურ დაწესებულებებში ... 123
5.2. ვიდეოჩანაწერების პრობლემა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ... 124
5.3. მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ... 128
5.3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლის საქმე ... 128
5.3.2. გამოძიების დაწყების გაჭიანურება ... 132
5.3.2. ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიება ... 133
5.4. გასული წლების საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიება ... 134
5.4.1. 20-21 ივნისის საქმის გამოძიება ... 135
5.4.2. 5 ივლისის საქმის გამოძიება ... 136
5.5. გენერალური ინსპექციების საქმიანობა ... 136
5.5.1. გენერალური ინსპექციების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები ... 137
5.5.2. გამოვლენილი ხარვეზები ინდივიდუალურ საქმეებში ... 139
6. 2024 წლის არჩევნები ... 143
6.1. წინასაარჩევნო პერიოდი ... 144

იდენტიფიცირებული დანაშაულებრივი ფაქტების მოკლე მიმოხილვა 145
6.1.1. ძალადობრივი დანაშაულები 146
6.1.2. პოლიციის მხრიდან სავარაუდო ძალადობა 148
6.1.3. ამომრჩეველთა მიმართ სავარაუდო მუქარა და ზეწოლა 148
6.1.4. პირადობის მოწმობების ჩამორთმევა 150
6.1.5. ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვა 151
6.1.6. ინვენტარის დაზიანება 151
6.1.7. პრობლემური კვალიფიკაციის საკითხი 153
6.2. არჩევნების დღე 155
6.2.1. ცალკეული დარღვევების მოკლე მიმოხილვა 156
6.3. არჩევნების შემდგომი პერიოდი 159
6.4. არჩევნებთან დაკავშირებით წარმოდგენილი განცხადებები 163
7. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება 165
7.1. ამნისტიის შედეგები 166
7.2. პრევენციული დაკავება 168
7.3. მტკიცების ტვირთი პატიმრობის გამოყენებისას 171
7.4. თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა 172
8. სამართლიანი სასამართლოს უფლება და სასჯელისგან გათავისუფლების მექანიზმები 174
8.1. ჯანმრთელობის მდგომარეობის/ხანდაზმულობის/ორსულობის გამო სასჯელის მოხდის გადავადება ან/და გათავისუფლება 175
8.2. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულება 179
8.3. პირობით ვადამდე გათავისუფლების პრაქტიკა 187
8.3.1. ვადიანი თავისუფლებააღკვეთილები 188
8.3.2. უვადო თავისუფლებააღკვეთილები 219
8.4. მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი 225
8.5. ნეიტრალური მტკიცებულებები 226
8.6. დაცვის უფლების ხელყოფა და გაუთქმელობის ვალდებულება 228
8.7. ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება 231
8.8. გაჭიანურებული ექსპერტიზა 232
8.9. პატიმართა სარჩელების განხილვის გაჭიანურება 233

8.10. ნასამართლობის ვადის ათვლა 236
8.11. ექსტრადიციის დასაშვებობა 239
9. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება 240
9.1. მსჯავრდებულის ოჯახის წევრებისაგან შორს განთავსება 240
9.2. გარესამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვის საკანონმდებლო ცვლილებები 243
9.3. ამანათის მიღების წესის ცვლილებების შედეგები 246
9.4. პატიმრების მიმოწერის უფლება 248
9.5. მიხეილ სააკაშვილისთვის სატელეფონო საუბრის შეზღუდვა 251
9.6. სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დაკავშირება 253
9.7. ე.წ. სუს-ის ფაილების საქმის გამოძიება 254
10. საკუთრების უფლება 254
10.1. ნივთიერი მტკიცებულების შენახვის ხარჯები 255
10.2. საკუთრების უფლების შეზღუდვა 255
10.3. ავტომანქანის დაბრუნების გაჭიანურება 262
10.4. ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირისთვის ნივთების დაბრუნების გაჭიანურება 265

1. შესავალი

2024 წელი მძიმე წელი იყო პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბის თვალსაზრისით. პოლიცია არალეგიტიმურ და არაპროპორციულ ძალას ინტენსიურად იყენებდა მშვიდობიანი მომიტინგეების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების მიმართ. რამდენიმე ასეული მომიტინგის მიმართ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცედურების განხორციელების პარალელურად, არც ერთი დამნაშავე სამართალდამცავი პასუხისგებაში დღემდე არ არის მიცემული, ისეთ შემთხვევებშიც კი, სადაც მოძალადე პოლიციელების სახეები დაუფარავი და იდენტიფიცირებადი იყო.

წლის მანძილზე სახელმწიფოს კვლავ არ მიუღია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და ასეულობით აქტივისტის მიმართ სამართალწარმოება სამართლიანი სასამართლოს უფლების საკმარისი პროცედურული გარანტიების გარეშე წარიმართა. ამის ფონზე კი კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით არსებითად გაიზარდა და დამძიმდა ადმინისტრაციული სახდელები, შემოღებული იქნა პრევენციული დაკავების მექანიზმი და სხვა.

საანგარიშო წელი გამორჩეული იყო იმითაც, რომ ქვეყნის ისტორიაში პირველად საპარლამენტო არჩევნები ელექტრონული წესით ჩატარდა. არჩევნებთან დაკავშირებულ სავარაუდო დანაშაულებზე სახალხო დამცველის აპარატი მონიტორინგს პროაქტიულად ახორციელებდა.

წლის მანძილზე, აპარატს შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა შოვის ტრაგედიაზე დაწყებული გამოძიების მასალებს. გამოძიება ამ დროისთვის არსებითი ხარვეზებით მიმდინარეობს და არ შეესაბამება სიცოცხლის უფლებით დადგენილ ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. ეს საქმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს კლიმატის ცვლილებისა და ეკოლოგიური კატასტროფების პროცესში სახელმწიფოს ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების საკითხს.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულების საკითხები. აპარატმა გააანალიზა როგორც უვადო მსჯავრდებულების განაჩენები და სისხლის სამართლის საქმეები, ისე - მათი მთელი ისტორია პენიტენციურ სისტემაში სასჯელის მოხდის პერიოდში. ანგარიშზე მუშაობის პროცესში, აპარატმა იმგვარი ტიპის გარემოებები გამოავლინა, რომლის საფუძველზეც, ერთ-ერთი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი უკვე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა დეტალურად გაანალიზა ავადმყოფობის, ხანდაზმულობის ან ორსულობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისა და სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების მექანიზმები საქართველოში. ყურადღება კვლავ დაეთმო პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცედურების ეფექტიანობას და

სამართალდამცავი უწყებების გენერალური ინსპექციების საქმიანობის საკანონმდებლო და პრაქტიკულ ანალიზს.

ანგარიშში დეტალურად იქნება მსჯელობა ყველა იმ ინდივიდუალურ თუ სისტემურ უფლებადარღვევაზე, რაც სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წლის მანძილზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში გამოავლინა. წარმოდგენილი იქნება აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის, როგორც აპარატის სტრუქტურაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი თემატური დეპარტამენტის, საქმიანობის შედეგები.

2. საქმიანობის ზოგადი და სტატისტიკური მონაცემები

საანგარიშო წლის მანძილზე, სახალხო დამცველის აპარატში ყველაზე მეტი განცხადება/ოქმი კვლავ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტში შევიდა განსახილველად. თუმცა, პროგრამული და მეთოდოლოგიური ცვლილებების გამო, სამწუხაროდ, აპარატმა ზუსტი სტატისტიკის წარმოება 2024 წელს ვერ შეძლო.

2024 წლის მანძილზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა **582 ვიზიტი** განახორციელა დახურულ დაწესებულებებში და მოინახულა **1 681 პირი.** აქედან 464 ვიზიტი იყო პენიტენციურ დაწესებულებებში და მონახულებულ იქნა 1 279 პატიმარი. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში განხორციელდა 21 ვიზიტი და მონახულებულია 52 პაციენტი. დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელდა 81 ვიზიტი, მონახულებულ იქნა 305 დაკავებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის სამმართველოებში - 3 ვიზიტი, მონახულებულ იქნა 17 პირი. კლინიკა „ვივამედში“ განხორციელდა 5 ვიზიტი, მონახულებულ იქნა 3 პატიმარი. სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა კლინიკებში - 8 ვიზიტი, მონახულებულ იქნა 25 დაკავებული ან საპროტესტო აქციებზე დაშავებული მოქალაქე.

წლის მანძილზე დეპარტამენტმა მოამზადა სახალხო დამცველის **40 წინადადება/რეკომენდაცია/სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae),** აქედან **33** იყო **წინადადება/რეკომენდაცია,** ხოლო **7 - სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.**

<u>სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები და მათი გაზიარების მაჩვენებელი შემდეგია:</u>

- **3 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სასამართლოებმა გაიზიარეს;**
- **2 საქმეზე სასამართლო განხილვა ჯერჯერობით არ დასრულებულა;**
- **2 - არ გაიზიარეს.**

კერძოდ:

1. სახალხო დამცველმა სამი უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებით, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს, სასჯელებთან დაკავშირებული ახლად გამოვლენილი გარემოებების შესახებ, მიმართა. ერთი მათგანი სასამართლომ გაიზიარა[1] და უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა. ორი საქმის განხილვა კი ჯერჯერობით არ დასრულებულა;[2]
2. ერთ შემთხვევაში სახალხო დამცველმა უზენაეს სასამართლოს მსჯავრდებულისთვის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრებისთვის გაცდენილი ვადის აღდგენის თაობაზე მიმართა.[3] - სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სასამართლომ გაიზიარა;
3. სახალხო დამცველმა ორი მსჯავრდებულის საქმეზე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მათთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხზე. ერთ შემთხვევაში[4] სასამართლომ გაიზიარა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, ხოლო მეორე საქმეზე[5] - არ გაიზიარა;
4. ერთ შემთხვევაში სახალხო დამცველმა უზენაეს სასამართლოს პირის ექსტრადიციის საკითხზე მიმართა.[6] - სასამართლოს მეგობრის მოსაზრება არ იქნა გაზიარებული.

<u>წინადადება/რეკომენდაციები და მათი გაზიარების მაჩვენებელი შემდეგია:</u>

33 წინადადება/რეკომენდაციიდან:

- **10 გაიზიარეს უწყებებმა;**
- **3 შესრულდა ნაწილობრივ;**
- **6 ნაწილობრივ უკვე შესრულდა და კვლავ მიმდინარეა;**
- **2 წინადადების შესრულების სტატუსი ამ დროისთვის ვერ ფასდება/მიმდინარეა;**
- **3 შემთხვევაში აპარატს განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ აქვს;**
- **9 არ იქნა გაზიარებული.**

კერძოდ:

[1] 2024 წლის 2 ოქტომბრის N2024/5130 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[2] 2024 წლის 5 დეკემბრის N2024/6934 და 2024 წლის 4 დეკემბრის N2024/6879 სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები.
[3] 2024 წლის 12 თებერვლის N 15-10/1559 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[4] 2024 წლის 1 მარტის N15/2186 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[5] 2024 წლის 20 სექტემბრის N2024/4684 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[6] 2024 წლის 6 დეკემბერის N2024/6986 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

1. სახალხო დამცველმა ორი წინადადებით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ეფექტიანი გამოძიების წარმოების მიზნით მიმართა. ერთ შემთხვევაში[7] წინადადება ეხებოდა სიცოცხლის უფლებაზე მიმდინარე გამოძიებას, ხოლო ერთი[8] - არასათანადო მოპყრობის ფაქტს. ორივე შემთხვევაში სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მზაობა გამოთქვა წინადადებაში დასახელებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაზე, თუმცა, გამოძიება მიმდინარეა და წინადადების შესრულების საბოლოო სტატუსი ამ დროისთვის აპარატის მიერ ვერ ფასდება;
2. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა მიმართა როგორც საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ისე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით (საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, პირის დაზარალებულად ცნობისა და კვალიფიკაციის შეცვლის რეკომენდაცია).[9] - წინადადება ნაწილობრივ შესრულდა. კერძოდ, პირი დაზარალებულად იქნა ცნობილი და ასევე, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დააფიქსირა მზაობა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით, კვალიფიკაცია კი ამ დროისთვის არ შეიცვალა;
3. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურორს მიმართა ბრალდებულის დაცვის უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიების დაწყებისა და დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების გონივრული ფარგლების განსაზღვრის თაობაზე[10] - წინადადების შესრულების შედეგების შესახებ აპარატს საბოლოო ინფორმაცია ჯერჯერობით არ აქვს;
4. სამი წინადადებით სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურორს მოქალაქეების მიმოსვლის თავისუფლების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე გამოძიების დაწყების თაობაზე მიმართა.[11] სამივე წინადადება დაკმაყოფილდა და გამოძიება დაიწყო;
5. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას მიმართა, არასრულწლოვნის შესაძლო განზრახ მკვლელობის ფაქტზე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიმართ სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების შესახებ.[12] - შესრულდა ნაწილობრივ/მიმდინარეა;
6. ერთი რეკომენდაციით სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურორს მოქალაქისთვის ავტომანქანის დაბრუნების შესახებ რეკომენდაციით მიმართა.[13] - რეკომენდაცია შესრულდა;

---

[7] სახალხო დამცველის 2024 წლის 23 თებერვლის N15-3/1952 წინადადება.
[8] სახალხო დამცველის 2024 წლის 19 თებერვლის N15-10/1763 წინადადება.
[9] სახალხო დამცველის 2024 წლის 17 დეკემბრის N2024/7325 წინადადება.
[10] სახალხო დამცველის 2024 წლის 6 ივნისის N2024/1670 წინადადება.
[11] სახალხო დამცველის 2024 წლის 20 მაისის N2024/1178, 2024 წლის 9 ოქტომბრის N2024/5317 და 2024 წლის 6 ივნისის N2024/1671 წინადადებები.
[12] სახალხო დამცველის 2024 წლის 1 მარტის N15-2/2222 წინადადება.
[13] სახალხო დამცველის 2024 წლის 31 ივლისის N2024/3346 რეკომენდაცია.

7. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა პარლამენტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მიმართა.[14] - წინადადება ამ დროისთვის არ შესრულებულა;
8. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს პატიმართა ტრანსპორტირებისას ხელბორკილების გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე მიმართა.[15] წინადადება არ შესრულდა;
9. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მიმართა მსჯავრდებულის უფლებების დარღვევის თაობაზე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.[16] - წინადადება ნაწილობრივად შესრულდა;
10. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ მიმართა.[17] - წინადადება ნაწილობრივად შესრულდა/მიმდინარეა;
11. სამი წინადადებით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულების მიმოწერის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ მიმართა.[18] სამივე წინადადება შესრულდა და წარმოება ჩატარდა;
12. ოთხ შემთხვევაში სახალხო დამცველმა მსჯავრდებულების ეტაპირების (მის/მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე) რეკომენდაციით იუსტიციის მინისტრს მიმართა.[19] არცერთი რეკომენდაცია არ შესრულდა;
13. ერთი რეკომენდაციით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობით) შეცვლის ან სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე მიმართა.[20] - რეკომენდაცია არ შესრულდა;
14. ექვსი რეკომენდაციით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს პატიმრების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მიმართა. სამი რეკომენდაცია შესრულდა,[21] ერთი

---

[14] სახალხო დამცველის 2024 წლის 11 მარტის N15-2/2465 წინადადება.
[15] სახალხო დამცველის 2024 წლის 26 დეკემბრის N2024/7699 წინადადება.
[16] სახალხო დამცველის 2024 წლის 5 ნოემბრის N2024/6101 წინადადება.
[17] სახალხო დამცველის 2024 წლის 19 დეკემბრის N2024/7420 წინადადება.
[18] სახალხო დამცველის 2024 წლის 10 მაისის N2024/1026, 2024 წლის 14 მარტის N15-13/2623 და 2024 წლის 1 მაისის N2024/870 წინადადებები.
[19] სახალხო დამცველის 2024 წლის 12 დეკემბრის N2024/7208, 2024 წლის 5 ივლისის N2024/2543, 2024 წლის 1 ნოემბრის N2024/5986 და 2024 წლის 24 ოქტომბრის N2024/5767 რეკომენდაციები.
[20] სახალხო დამცველის 2024 წლის 12 აგვისტოს N2024/3670 რეკომენდაცია.
[21] სახალხო დამცველის 2024 წლის 28 თებერვლის N15-12/2114, 2024 წლის 26 თებერვლის N15-12/2020 და 2024 წლის 18 მარტის N15-3/2698 რეკომენდაციები.

რეკომენდაცია შესრულდა ნაწილობრივ (სრულად ვერ შესრულდა სამინისტროსგან დამოუკიდებელი მიზეზით),[22] ერთი რეკომენდაციის შესრულების შედეგები ჯერჯერობით აპარატისთვის არ არის ცნობილი,[23] ერთი არ შესრულდა[24];

15. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების დაგვიანებით მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ მიმართა.[25] - წინადადება ნაწილობრივ შესრულდა/მიმდინარეა;
16. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მიმართა სპეციალური პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილის ექიმ(ებ)ის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის კვალის/დაზიანებების დოკუმენტირებისა და სათანადო რეაგირების განხორციელების ვალდებულების უგულებელყოფის გამო.[26] წინადადება ნაწილობრივ შესრულდა;
17. ორი წინადადებით სახალხო დამცველმა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო მუშაკების მიერ მსჯავრდებულებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლისა და შესაბამის პირთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მიზნით საქმისწარმოების დაწყების თაობაზე მიმართა.[27] ორივე წინადადება ნაწილობრივ უკვე შესრულდა და მიმდინარეა;
18. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს მოქალაქის უფლებების დარღვევის თაობაზე პოლიციის თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ მიმართა.[28] - აპარატს ინფორმაცია ჯერჯერობით არ მიუღია;
19. ერთი წინადადებით სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფლებამოსილი თანამშრომლ(ებ)ის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე მიმართა, რომლებმაც არ ჩაატარეს ჯეროვანი სამსახურებრივი შემოწმება.[29] - წინადადება არ შესრულდა.

გარდა ამისა, დეპარტამენტმა 2024 წლის მანძილზე იმუშავა სახალხო დამცველის **სამ სპეციალურ ანგარიშზე,** კერძოდ: „ავადმყოფობის, ხანდაზმულობის ან ორსულობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისა და სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების

[22] სახალხო დამცველის 2024 წლის 15 იანვრის N15-13/606 რეკომენდაცია.
[23] სახალხო დამცველის 2024 წლის 27 აგვისტოს N2024/4094 რეკომენდაცია.
[24] სახალხო დამცველის 2024 წლის 20 ნოემბრის N2024/6536 რეკომენდაცია.
[25] სახალხო დამცველის 2024 წლის 28 დეკემბრის N2024/7766 წინადადება.
[26] სახალხო დამცველის 2024 წლის 1 ნოემბრის N2024/5990 წინადადება.
[27] სახალხო დამცველის 2024 წლის 6 მარტის N15-3/2369 და 2024 წლის 1 აგვისტოს N2024/3406 წინადადებები.
[28] სახალხო დამცველის 2024 წლის 15 ივლისის N2024/2833 წინადადება.
[29] სახალხო დამცველის 2024 წლის 30 აპრილის N2024/841 წინადადება.

მექანიზმები საქართველოში“,[30] „გენერალური ინსპექციების საქმიანობის საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“[31] და „უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“[32]. სამივე სპეციალური ანგარიშის მიგნებები და რეკომენდაციები წინამდებარე ანგარიშში მიმოხილული იქნება.

2.1. უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის შედეგები

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია უწყებებთან ყოველდღიურ კომუნიკაციაზე. ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის ან/და სისტემური პრობლემის შესწავლის საფუძველზე, სახალხო დამცველის მხრიდან რეკომენდაციის, წინადადებისა ან სასამართლოს მეგობრის წარდგენის საჭიროება იკვეთება, თუმცა, არანაკლებ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წარმატებული შედეგის მისაღწევად ამა თუ იმ უწყებასთან წერილობითი ან თუნდაც ზეპირი კომუნიკაციაც არის საკმარისი. 2024 წელიც არ იყო ამ მიმართულებით გამონაკლისი.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა ყურადღებას გავამახვილებთ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულების სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ საქმეებზე. ტრადიციულად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტთან განხორციელებული წერილობითი კომუნიკაციის შედეგად, არაერთ მსჯავრდებულს და ბრალდებულს გაეწია შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. მაგალითისთვის:

- მსჯავრდებულ ა.დ.-ს ჩაუტარდა არაერთი სამედიცინო კონსულტაცია, ასევე, შესაბამისი კვლევები და დაენიშნა მკურნალობა;[33]
- მსჯავრდებულ დ.ტ.-ს ჩაუტარდა თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია;[34]
- მსჯავრდებულ ვ.ო.-ს ჩაუტარდა ორთოპედ-სტომატოლოგის კონსულტაცია;[35]
- მსჯავრდებულ ნ.ბ.-ს ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა;[36]

---

[30] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190321044913angarishebi/sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-angarishi-avadmqofobis-khandazmulobis-an-orsulobis-gamo-ganachenis-aghsrulebis-gadavadebisa-da-sasjelis-shemdgomi-mokhdisgan-gatavisuflebis-mekanizmebi-sakartveloshi >

[31] იხ. < https://www.ombudsman.ge/geo/190321044913angarishebi/sakhalkho-damtsvelis-spetsialuri-angarishi-generaluri-inspektsiebis-sakmianobis-sakanonmdeblo-da-praktikuli-analizi >

[32] იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025022611314390691.pdf >

[33] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 11 აპრილის №105995/01 და 2024 წლის 26 სექტემბრის №282841/01 წერილები.

[34] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 13 მაისის №136915/01 წერილი.

[35] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 3 ივლისის №193831/01 წერილი.

[36] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 27 აგვისტოს №252198/01 წერილი.

- მსჯავრდებულ რ.ჩ.-ს ჩაუტარდა ნევროლოგის კონსულტაციები, კომპიუტერული ტომოგრაფია და დაენიშნა მკურნალობა;[37]
- მსჯავრდებულ ზ.ლ.-ს თავდაპირველად ჩაუტარდა ექიმის კონსულტაცია და შესაბამისი კვლევა, ხოლო შემდგომ - ოპერაციული მკურნალობა;[38]
- მსჯავრდებულ ზ.კ.-ს ჩაუტარდა გულის ულტრასონოგრაფიული კვლევა და დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა;[39]
- აპარატის მიერ №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისთვის მსჯავრდებულ ა.ყ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ზეპირი და წერილობითი ფორმით მიწოდებული დაზუსტებული ინფორმაციის მიწოდების შემდგომ, ხელახლა შეფასდა მისი გათავისუფლების საკითხი, რაც საბოლოოდ, მსჯავრდებულის სასარგებლოდ გადაწყდა.[40]

წარმატებული იყო უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული კომუნიკაციის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც შეეხებოდა პენიტენციური დაწესებულებების საკნებში არსებულ საყოფაცხოვრებო პირობებს, ასევე ბრალდებულების/მსჯავრდებულების უსაფრთხოებას, მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ჩართვას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ:

- მსჯავრდებული გ.დ. ჩაერთო შემთხვევის მართვის პროცესში, რაც გულისხმობს მისთვის ინდივიდუალური გეგმის გაწერას და სამომავლოდ შესაბამის სერვისებში (საგანმანათლებლო, პროფესიული და სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში) მიზნობრივ ჩართულობას;[41]
- მსჯავრდებულ ნ.გ-ს საკანში ჩატარდა დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია.[42] იგივე პროცედურები ჩატარდა საექსტრადიციო პატიმრობაში მყოფი ა.ს.-ს საკანში და ამასთანავე, შეკეთდა მისი საკნის ფანჯარა.[43] შესაბამისი სამუშაოების ჩატარების შემდგომ, გაუმჯობესდა ასევე მსჯავრდებულ ს.ს.-ს საკანში არსებული საყოფაცხოვრებო პირობები;[44]

---

[37] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 2 სექტემბრის №256830/01 და 2024 წლის 29 ოქტომბრის №323707/01 წერილები.

[38] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 17 სექტემბრის №272858/01 და 2024 წლის 22 ოქტომბრის №315683/01 წერილები.

[39] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 30 ოქტომბრის №325093/01 და 6 ნოემბრის №332442/01 წერილები.

[40] მსჯავრდებულის გათავისუფლების ცნობა (04.10.2024).

[41] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის 2024 წლის 23 აპრილის №119834/01 წერილი.

[42] №8 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 24 აპრილის №121374/24 წერილი.

[43] №8 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 27 სექტემბრის №283175/24 წერილი.

[44] მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

- აპარატის დასაბუთებული პოზიციის წარდგენის შემდგომ, მსჯავრდებულ მ.გ.-ს სასარგებლოდ შეიცვალა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაში არსებული ოჯახური გარემოებების/პირობების შეფასების კომპონენტი;[45]
- მსჯავრდებული ვ.რ. გადაიყვანეს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში;[46]
- მსჯვრდებულ დ.ტ.-ს მიერ შექმნილი ხატი, მისი სურვილით, ეკლესიისთვის შეწირვის მიზნით, გადაეცა მის ნათესავს;[47]
- პენიტენციური დაწესებულების დირექტორთან განხორციელებული ზეპირი კომუნიკაციით, მსჯავრდებულებს ბ.ს.-ს და თ.ძ.-ს გადაეცათ სეზონური ტანსაცმელი და სხვა საჭირო ნივთები;[48]
- მსჯავრდებულები ბ.ჰ., რ.ს., ჰ.ს., ნ.შ., მათ მიერ დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, გადაიყვანეს სხვა საცხოვრებელ საკნებში;[49]
- მსჯავრდებული ი.შ. გადაიყვანეს პენიტენციური დაწესებულების ნახევრად ღია ნაწილში;[50]
- ბრალდებულ ნ.ო.-ს შეხვდა ისრაელის კონსული და რაბინი;[51]
- მსჯავრდებულ ლ.გ.-ს დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;[52]
- ბრალდებულ ა.მ.-ს დაენიშნა ადვოკატი;[53]
- პენიტენციური დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების უფროსთან განხორციელებული ზეპირი კომუნიკაციის შემდგომ, მსჯავრდებულ ო.ც.-ის საქმე გაიგზავნა სასამართლოში, რის შედეგადაც მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან (ამნისტიის საფუძველზე);[54]
- მსჯავრდებული დ.ტ. ჩაერთო ხეზე კვეთის სწავლების პროგრამაში.[55]

მნიშვნელოვანი იყო საანგარიშო პერიოდში საგამოძიებო უწყებებთან, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან და

---

[45] ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება.
[46] პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 10 ივნისის №166508/01 წერილი.
[47] №2 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 29 აგვისტოს №252823/01 წერილი.
[48] დაადასტურა მსჯავრდებულმა შემდგომი შეხვედრების დროს.
[49] №2 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 2 სექტემბრის №256186/01 წერილი; №10 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 13 სექტემბრის №268428/25 წერილი; №5 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 23 სექტემბრის №283891/22 წერილი.
[50] №5 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 18 ოქტომბრის №311589/22 წერილი.
[51] მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
[52] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2024 წლის 11 ოქტომბრის №304622/01 წერილი.
[53] იურიდიული დახმარების სამსახურის 2024 წლის 11 ოქტომბრის №LA02400034844 წერილი.
[54] №8 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 24 ოქტომბრის №318637/24 წერილი, ასევე, მსჯავრდებულის ოჯახის წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
[55] №2 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 4 ნოემბრის №329880/01 წერილი.

სასამართლოებთან განხორციელებული წერილობითი კომუნიკაცია, რომლის შედეგად მაგალითად:

- მოიხსნა მოქალაქე შ.ჩ.-სთვის, ასევე, ტ.მ.-სთვის დაწესებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვა;[56]
- დაიწყო გამოძიება შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ მყოფი პაციენტის, ა.გ.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო ძალადობის ფაქტზე;[57]
- დაიწყო გამოძიება მოქალაქე ა.ჩ.-ს კუთვნილი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლების ფაქტზე;[58]
- მოქალაქე ზ.ა.-ს მიეწოდა განცხადებებზე განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია;[59]
- მსჯავრდებულ ტ.მ.-ს მიეწოდა განცხადებებზე განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია [60]
- სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ს.ა.-ს საცხოვრებელი სახლის გაქურდვის ფაქტზე შესაძლო დამნაშავე პირის მიმართ;[61]
- ბრალდება წარედგინა ასევე მოქალაქე ს.ზ.-ს განცხადებაში მითითებულ კონკრეტულ პირს;[62]
- მსჯავრდებულ გ.ჯ.-ს ტელეფონი, რომელიც მტკიცებულების სახით ამოღებულ იქნა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში და ინახებოდა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, დაუბრუნდა დამკვეთ მხარეს;[63]
- მომზადდა ექსპერტიზის დასკვნა ა.ნ.-ს მიმართ, რომელიც ჭიანურდებოდა 6 თვეზე მეტი ვადით;[64]
- შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ მყოფ პაციენტ მ.ფ.-ს გაუგზავნეს მის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომელთა მიღებას ელოდებოდა ორი თვის განმავლობაში;[65]
- მსჯავრდებულ დ.გ.-ს გაეგზავნა დასაბუთებული განაჩენის ასლი.[66]

---

[56] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 26 აპრილის №MIA62401271239 წერილი; შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 6 ნოემბრის №MIA52403382774 წერილი.
[57] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 4 ივლისის №MIA92402003003 წერილი.
[58] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 20 ივნისის №MIA22401846615 წერილი.
[59] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 17 ივნისის № MIA82401568980 წერილი.
[60] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 9 სექტემბრის №MIA02402757314 წერილი.
[61] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის №10 ოქტომბრის №13/65556 წერილი.
[62] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 20 დეკემბრის №13/82375 წერილი.
[63] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 30 სექტემბრის №MIA72402993616 წერილი.
[64] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 11 ნოემბრის №5006855724 წერილი.
[65] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 28 ოქტომბრის №1/657-24 1/238-1 წერილი.
[66] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 1 ნოემბრის №1/1279-24 1/229-1 წერილი.

სახალხო დამცველის აპარატი დადებითად აფასებს უწყებებთან წარმატებული კომუნიკაციის ამ და სხვა მაგალითებს და იმედოვნებს, რომ შენარჩუნდება და კიდევ უფრო გაუმჯობესდება ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკა.

მიუხედავად უწყებებთან არაერთ საკითხზე წარმატებული კომუნიკაციისა, სამწუხაროა, რომ **სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობისთვის ხელშეშლის მიზნით,** პენიტენციურ დაწესებულებებში სახალხო დამცველის **რწმუნებულებზე ზემოქმედების ფაქტებზე,**[67] 2021 წლის 4 თებერვალს საქართველოს პროკურატურაში დაწყებული საქმის გამოძიება[68] დღემდე ყოველგვარი შედეგის გარეშე მიმდინარეობს. პენიტენციურ სისტემაში სახალხო დამცველის რწმუნებულების მრავალწლიანი მუშაობის პროცესში, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო სამწუხარო და შემაშფოთებელი დანაშაულებრივი ფაქტი, სადაც ვლინდებოდა პენიტენციური სამსახურის შესაძლო მონაწილეობის საფუძვლიანი ეჭვი და ამის მიუხედავად, **4 წლის შემდეგაც გამოძიება უშედეგოდ მიმდინარეობს.** [69]

3. გაზაფხულისა და ზამთრის საპროტესტო აქციები - მომიტინგეთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა და სხვა უფლებადარღვევები

2024 წელი საპროტესტო აქციებზე უფლებადარღვევების კონტექსტში განსაკუთრებით მძიმე და დასამახსოვრებელი იყო, რაც, პირველ რიგში, კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული **ღირსების ხელშეუვალობის უფლების, წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პრინციპის დარღვევის ინტენსივობამ განაპირობა.**

მძიმე უფლებადარღვევათა წყობა, ძირითადად, 2024 წლის აპრილი-მაისის საპროტესტო აქციებზე დაიწყო, რაზეც სახალხო დამცველი საზოგადოებას ინფორმაციას რეგულარულად აწვდიდა, მათ შორის, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის, საპროტესტო აქციებზე დაკავებული და დაშავებული პირების მდგომარეობის შესახებ.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეთა ცემისა და ძალადობის გარდა, აღნიშნული პერიოდში ადგილი ჰქონდა **უცნობი პირების მხრიდან სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, საჯარო ფიგურების დევნასა და ძალადობას, ორგანიზებულ სატელეფონო მუქარებისა და სხვადასხვა სახით გამოხატულ ძალადობრივ შეუწყნარებლობას.**

აღსანიშნავია, რომ გაზაფხულის საპროტესტო აქციების პერიოდში, ძალადობის ორ ეპიზოდში, რომლებიც სხვადასხვა ვიდეოჩანაწერში იყო აღბეჭდილი, **მოძალადე პირები**

---

[67] საქმის დეტალები შეგიძლიათ იხილოთ მაგ. სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში, გვ. 18, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >

[68] სისხლის სამართლის N010040221801 საქმე.

[69] გენერალური პროკურატურის 2025 წლის 22 იანვრის N13/2989 წერილი.

შეუნიღბავები და იდენტიფიცირებადი იყვნენ. მიუხედავად ამისა, დღემდე, წლის მანძილზე გამართული აქციების კონტექსტში, არც ერთი სამართალდამცავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების რაოდენობამ კი რამდენიმე ასეულს მიაღწია. [70]

2024 წლის 15 აპრილიდან 2025 წლის 1 მარტამდე პერიოდში სახალხო დამცველმა და მისმა წარმომადგენლებმა **მოინახულეს** საპროტესტო აქციებზე დაკავებული და დაშავებული **624** პირი. მათგან **არასათანადო მოპყრობაზე 360** პირი მიუთითებდა **(57.7%).**

უფრო კონკრეტულად, 2024 წლის აპრილსა და მაისში გამართულ საპროტესტო აქციებზე დაკავებული და დაშავებული **182** მონახულებული პირიდან **93** მიუთითებდა არასათანადო მოპყრობის შესახებ **(51.1%).**

ხოლო 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე[71] მონახულებული **442** პირიდან[72] არასათანადო მოპყრობაზე **267** პირი **(60%)** მიუთითებდა.

გაზაფხულის საპროტესტო აქციებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების პასუხისმგებლობის არდაყენებამ, ასევე, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების არგატარებამ (მაგალითად, სპეცრაზმელების ამოსაცნობი ნიშნებით აღუჭურველობამ), **ზამთრის საპროტესტო აქციებზე არაპროპორციული ძალისა და არასათანადო მოპყრობის უფრო მასშტაბური გამოყენების წინაპირობა შექმნა.** ამგვარად, **ზამთრის აქციებზე**[73] გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდნენ და, განსაკუთრებით მწვავე პერიოდში, როცა აქციების დაშლას სპეც. რაზმი ახორციელებდა, ასეთმა რიცხვმა სახალხო დამცველის აპარატის მიერ მონახულებული პირების **80%-საც მიაღწია**, ხოლო 2025 წლის 2 თებერვლის აქციაზე **დაკავებულთა 88% მიუთითებდა არასათანადო მოპყრობის შესახებ.**

სახალხო დამცველის აპარატი, საგამონაკლისო წესით, გაეცნო გაზაფხულის აქციებთან დაკავშირებით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე ორ სისხლის სამართლის საქმის[74] გამოძიების მასალებს, რომელთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა გამოძიების არაეფექტიანობის პრობლემა. შედეგად, **სახალხო დამცველმა ორი წინადადებით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და გენერალურ პროკურატურას კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარებისა და კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე მიმართა.**

---

[70] ზუსტი რაოდენობა საპროტესტო აქციების მიხედვით ქვემოთ იქნება მოცემული.

[71] საპროტესტო აქციები გაგრძელდა 2024 წლის ზამთარსა და 2025 წლის გაზაფხულზე, რის გამოც სტატისტიკა 2025 წლის მარტამდე მდგომარეობით არის მოცემული.

[72] მათ შორის 15 ქალი, 2 არასრულწლოვანი, 45 ბრალდებული.

[73] 2024 წლის 2 დეკემბრის მონაცემებით.

[74] ერთ-ერთი საქმე (ე.წ. ლეონიძის ქუჩის საქმე) არ ეხებოდა უშუალოდ აქციაზე მომხდარ დანაშაულს, თუმცა, ეხებოდა აქციების პარალელურად და შეკრების მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ არასათანადო მოპყრობას.

საპროტესტო აქციების ფარგლებში გამოვლენილი უფლებადარღვევები, სპეციფიკისა და განსაკუთრებით, მასშტაბურობის გათვალისწინებით, მრავალ ასპექტს მოიცავს. ის ცალკეული თუ განმეორებადი დარღვევები, რომლებსაც საპროტესტო აქციების კონტექსტში ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობის, თავისუფლების უფლების, საქმის სამართლიანი განხილვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მიმართულებით, ვრცლად სწორედ წინამდებარე თავში იქნება მიმოხილული, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია საპროტესტო აქციების ფარგლებში გამოვლენილი უფლებადარღვევებისა და მათი მასშტაბის შესახებ და, აღნიშნული საკვანძო მიმართულებით, გაეცნოს სახალხო დამცველის აპარატის, როგორც ეროვნული უფლებადამცველი ინსტიტუტის საქმიანობასა და მრავლისმომცველ სამართლებრივ შეფასებას.

ამასთან, თვალსაჩინოებისა და შესაბამისი პერიოდის სპეციფიკის მკაფიოდ გამოსაკვეთად, წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება მიმოხილვა, სტატისტიკა და შეფასება როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრის საპროტესტო აქციებისა და თანმდევი მოვლენებისა.

3.1. ძირითადი მიგნებები

- როგორც გაზაფხულის, ასევე, ზამთრის აქციების მონაწილეების მიმართ **არასათანადო მოპყრობას, რომელიც, მათ შორის, მოიაზრებს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ქმედებებს,** ადგილი ჰქონდა **სისტემურად და მასშტაბურად;**
- მრავალათასიანი **მშვიდობიანი აქციების მთლიანად დაშლა ხდებოდა სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე;** ხოლო დაშლის პროცესში **განურჩევლად, ინტენსიურად იყენებდნენ სპეციალურ საშუალებებს;**
- რამდენიმე ათეული მსხვერპლი მიუთითებს **სპეც.რაზმის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსგავსი, ერთნაირი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებაზე;**
- გდდ-ის თანამშრომლებს **არ გააჩნიათ რაიმე მაიდენტიფიცირებადი ნიშანი,** რაც არსებითად უშლის ხელს პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და მნიშვნელოვნად აზიანებს გამოძიების პროცესს. ასევე, თავის მხრივ, ახალისებს დაუსჯელობას;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო, გარკვეულ შემთხვევებში, **პირების იდენტიფიცირებაში არ ეთანამშრომლება** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რაც ხელს უშლის გამოძიებას, პასუხისმგებელი პირების გამოვლენაში;
- გავრცელებული არასათანადო მოპყრობის სიხშირე და მასშტაბურობა წარმოშობს იმის აუცილებლობას, რომ გამოძიებამ გამოიკვლიოს არსებობდა თუ არა **მეთაურებისა და სამინისტროს ხელმძღვანელების ბრძანება/მითითება ან/და მდუმარე თანხმობა**;
- 2024 წლის საპროტესტო აქციებზე არასათანადო მოპყრობის ჩადენისათვის დღემდე **არც ერთი სამართალდამცავი არ არის პასუხისგებაში მიცემული,** მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულზე, **ორ ეპიზოდში** (დეპუტატ ალექსანდრე ელისაშვილისა და

ლეონიძის ქუჩაზე მომხდარი ძალადობა) **პოლიციელებს ნიღბები არ ეკეთათ და სახეზე იდენტიფიცირებადები იყვნენ;**

- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დაწყებული გამოძიება არ პასუხობს ეფექტიანობის სტანდარტებს, **გამოძიება ეპიზოდურია** და მიმდინარეობს მხოლოდ ცალკეული თანამშრომლების შესაძლო პასუხისმგებლობის გამოვლენის ირგვლივ, არ არის ორიენტირებული აქციების დაშლისა და ძალის გამოყენების **სრული სურათის აღდგენაზე;**
- გამოძიება როგორც გაზაფხულის, ასევე, ზამთრის აქციების ეპიზოდებზე, **სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებით მიმდინარეობს, რაც სათანადოდ არ ასახავს** გავრცელებული **არასათანადო მოპყრობის ინტენსივობასა და სიმძიმეს. გამოძიება არ მიმდინარეობს წამების, წამების მუქარის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მუხლებით;**
- **გამოძიებამ თითქმის ვერ მოიპოვა რელევანტური ვიდეოჩანაწერები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან თუ კერძო ობიექტიდან, ასევე პოლიციელების სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები და ე.წ. რაციების აუდიოჩანაწერები,** მათ შორის დაუსაბუთებელი ან ურთიერთგამომრიცხავი განმარტებებით;
- სახელმწიფო კვლავ **არათანმიმდევრულად და თვითნებურად იყენებს სსკ-ის 156-ე მუხლს** (დევნა შეუწყნარებლობის მოტივით) და პოლიტიკური ან/და მოსაზრების ნიშნით დევნის მსგავს შემთხვევებს სხვადასხვა მუხლით აკვალიფიცირებს;
- გაზაფხულის აქციების პერიოდში აქტივისტებსა და პოლიტიკოსებზე ფიზიკურად მოძალადე **სხვადასხვა ჯგუფებიდან/პირებიდან** პასუხისგებაში მიცემული თითქმის არავინ არ არის, ასევე დაუსჯელები არიან ზამთრის აქციებისას **ე.წ. შავნიღბიანი ჯგუფების** წარმომადგენლები, რომლებმაც სასტიკი თავდასხმა მათ შორის ჟურნალისტებზე განახორციელეს;
- არ არის გამოვლენილი გაზაფხულის აქციებისას მოქალაქეებზე მიმდინარე **მასობრივი სატელეფონო მუქარებისა და შეურაცხყოფების** სავარაუდო ორგანიზატორები და ამსრულებლები;
- დაკავებულთა მიმართ **თვითნებურად და შაბლონურად ხდება დაკავების 24 საათის 48 საათამდე გახანგრძლივება,** რაც განზრახ უკანონო დაკავებაზე შეიძლება მიანიშნებდეს;
- ოფიციალური დამკავებელი პირები არ არიან ფაქტობრივად დამკავებელი პირები, რაც **პოლიციელთა მხრიდან მტკიცებულების ფალსიფიკაციაზე** შეიძლება მიანიშნებდეს;
- გამოკითხული დამკავებლად გაფორმებული პოლიციელები, როგორც წესი, მიუთითებენ, რომ დაინახეს კონკრეტული პირის მხრიდან სამართალდარღვევა, თუმცა იმავდროულად ხალხმრავლობისა და ხმაურის პირობებზე მითითებით, თითქოს ვერ ხედავდნენ ამავე მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას;
- აქციების დროს სამართალდამცველების მხრიდან **არაერთი ჟურნალისტი გახდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, მათ ხელს უშლიდნენ პროფესიულ საქმიანობაში;**

- გაზაფხულის საპროტესტო აქციების დროს მხოლოდ რამდენიმე პირი მიუთითებდა ტელეფონისა და ნივთების წართმევაზე, ხოლო ზამთრის საპროტესტო აქციების დროს ათეულობით დემონსტრანტი აღნიშნავდა **მობილური ტელეფონისა და პირადი ნივთების წართმევის, ასევე, ტელეფონში არსებული ინფორმაციის შემოწმების** შესახებ;
- ზამთრის საპროტესტო აქციების დროს მეტი **ქალი** მიუთითებდა სამართალდამცველების მხრიდან ფიზიკური ძალადობის და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ;
- დაფიქსირდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობა **არასრულწლოვნებისა** და **შშმ პირის** მიმართ;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მხრიდან **ამ დრომდე არ დამდგარა რომელიმე პოლიციელის დისციპლინური პასუხისმგებლობა,** მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მოქალაქე და დაკავებული მიუთითებდა სხვადასხვა უფლებადარღვევასა თუ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე;
- მომიტინგეების მიმართ **ადმინისტრაციული სამართალწარმოება** მიმდინარეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა იმ კოდექსით, რომელიც არ ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლების შესაბამის, საკმარის გარანტიებს. სათანადო **უფლებრივი გარანტიების არარსებობის ფონზე,** პარლამენტმა **არსებითად გამკაცრდა შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელები;**
- **სასამართლოები კვლავ არ ამოწმებენ ადმინისტრაციული დაკავების კანონიერებას;**
- სისხლის სამართლის წესით დაკავებული ორი ბრალდებულის საქმეში სახალხო დამცველმა უკვე დაადგინა, რომ **ჩხრეკა-ამოღებისას პოლიციამ არ დაიცვა უფლებრივი სტანდარტები და არც კი სცადა მოეპოვებინა ნეიტრალური მტკიცებულებები,** მაშინ როდესაც ბრალდებულები ნარკოტიკული საშუალების ე.წ. ჩადებაზე და უკანონო დაკავებაზე მიუთითებენ;
- **სახალხო დამცველის აპარატისათვის გართულებულია დაკავებული პირების მოძიება და ადგილსამყოფელის დადგენა დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებამდე;**[75]
- ვრცელდებოდა ინფორმაცია **ადვოკატებისთვის** დაკავებულების დაუყოვნებლივი მონახულების შეფერხებისა და დაკავებულების ადგილსამყოფელზე ინფორმაციის არმიწოდების შესახებ;
- ვრცელდებოდა ინფორმაცია მოწმის სახით **გამოკითხვაზე** მოქალაქეების იძულებით გადაყვანის შესახებ.

როგორც გაზაფხულის, ასევე, ზამთრის აქციებისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეული მკვეთრად შესამჩნევი სპეციფიკური/განსხვავებული ტენდენციები, რომლებიც საპროტესტო აქციების მთელ პერიოდს ახასიათებდა.

[75] დაფიქსირდა იმგვარი შემთხვევაც, როდესაც ომბუდსმენის წარმომადგენელი არ შეუშვეს შსს შენობაში.

მაგალითისათვის, გაზაფხულის საპროტესტო აქციების პარალელურად ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია აქციის მონაწილეების, აქტივისტთა და საჯარო პირთა მიმართ უცხო პირების მხრიდან თავდასხმის თაობაზე, რომელიც, სავარაუდოდ, პოლიტიკური და განსხვავებული მოსაზრების ნიშნით მიუღებლობით იყო გამოწვეული. ამავე პერიოდში დაიწყო მოქალაქეთა მიმართ ერთი შეხედვით **ორგანიზებული სატელეფონო მუქარებისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები,** რომელსაც, ასევე, სავარაუდოდ, სწორედ მათი პოლიტიკური მოსაზრებების მიუღებლობა განაპირობებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს გაზაფხულის საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას **მასშტაბური ხასიათი ჰქონდა, თუმცა კიდევ უფრო გაიზარდა ზამთრის აქციების განმავლობაში,** როდესაც განსაკუთრებით სისტემური სახე მიიღო განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის (შემდეგში - გდდ) თანამშრომლების მხრიდან დაკავებულებზე ძალადობამ. გარდა ამისა, დაკავებულების **ტელეფონებისა და პირადი ნივთების კანონსაწინააღმდეგო ჩამორთმევის შემთხვევებმა**, როგორც ამას დაკავებულები მიუთითებდნენ, მასშტაბური ხასიათი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ **2024 წლის შეკრება-მანიფესტაციების დროს, გასულ წლებთან შედარებით, სამართალდამცველების მხრიდან მშვიდობიანი საპროტესტო აქციების დაშლისას მომიტინგეებისა და დაკავებულების მითითებები არასათანადო მოპყრობის თაობაზე რამდენჯერმე იზრდება.** თვალსაჩინოებისთვის, გამოვყოფთ სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საპროტესტო აქციების დაშლისას დაკავებულებთან გასაუბრებისას მიღებულ ინფორმაციას, რაც წლიდან წლამდე არასათანადო მოპყრობების მზარდ ტენდენციას აჩვენებს:

- **2019 წლის 20-21 ივნისის** აქციასთან დაკავშირებით აპარატმა ადმინისტრაციული წესით დაკავებული 116 პირი მოინახულა. მათგან 35 მიუთითებდა პოლიციის მხრიდან ძალადობაზე **(ე.ი. 30.2 %)**[76]**;**
- **2023 წლის 7-9 მარტს** რწმუნებულები შეხვდნენ აქციებზე დაკავებულ 96 პირს, რომელთაგან 20 პირი მიუთითებდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე **(20.8%);**[77]
- **2024 წლის აპრილ-მაისში** გამართულ საპროტესტო აქციებზე დაკავებული-დაშავებული 182 მონახულებული პირიდან 93 მიუთითებდა არასათანადო მოპყრობის შესახებ **(51.1%);**

[76] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში, გვ. 9 < https://ombudsman.ge/res/docs/2020033018365296334.pdf > საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედური ანგარიში", გვ. 3 < https://ombudsman.ge/res/docs/2020062612225999085.pdf >

[77] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 157, 161-163 <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf> [ბოლოს ნანახია: 19.02.2025 წ.]

- **2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე** სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ 442 პირს. მათგან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა 267 პირი **(60.4%);**
- ამასთან, **ზამთრის აქციების დაშლის პირველ დღეებში -** 2024 წლის 29 ნოემბრიდან - 2 დეკემბრის პერიოდში, 156 მონახულებული პირიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე 124 ადამიანმა **(ე.ი. 79.5 %)** მიუთითა, ხოლო 2025 წლის **2-3 თებერვლის** შეხვედრებისას **25 პირიდან 22 მათგანი (ე.ი. 88%) აცხადებდა,** რომ არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა.





3.2. წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა საპროტესტო აქციებზე

3.2.1. არასათანადო მოპყრობა გაზაფხულის აქციებზე

3.2.1.1. ფაქტობრივი გარემოებები და არასათანადო მოპყრობის ფორმები

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, წლების განმავლობაში სახალხო დამცველი მიუთითებდა სამართალდამცველების მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების დამოუკიდებელი საგამოძიბო მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე და მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის პროკურატურისგან დამოუკიდებლად, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილების ქონის საწიროებაზე ამახვილებდა ყურადღებას. სახალხო დამცველის აპარატი რეგულარულად აკვირდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის (შემდეგში - სსს) მუშაობას გამოძიების ეფექტიანობის მიმართულებით. სსს, როგორც კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანო, რომლის განსჯადობას პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის გამოძიება განეკუთვნება, წარმოადგენს იმ საგამოძიებო ორგანოს, რომლის ეფექტიანი საქმიანობაც უნდა უზრუნველყოფდეს არასათანადო მოპყრობის, დაუსჯელობის „სინდრომის“ პრევენციასა და პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. ამგვარად, სახალხო დამცველის აპარატი ყოველწლიურად აწარმოებს სსს-ის საქმიანობის მონიტორინგს შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალების, ისევე, როგორც საგამონაკლისო წესით მიმდინარე გამოძიების მასალების გაცნობისა და შეფასების მიმართულებით, რომლის შედეგები სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებსა და

სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშებშია ასახული.

საანგარიშო პერიოდში, საპროტესტო აქციების სიმრავლისა და ინტენსივობის, შესაბამისად, გამოკვეთილი არასათანადო მოპყრობის სიხშირის, ინტენსივობისა და მასშტაბის, ისევე, როგორც მოცემული საქმის მიმართ მაღალი და ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, 2024 წელს სახალხო დამცველმა, სსს-სგან მოითხოვა 2024 წლის აპრილისა და მაისის საპროტესტო აქციებზე მონაწილეთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დაწყებულ გამოძიების მასალებზე საგამონაკლისო წესით დაშვება.[78]

საქმის მასალების გაცნობამდე, უშუალოდ საპროტესტო აქციების მიმდინარეობის პროცესში სახალხო დამცველის აპარატი **აქტიურად იყო ჩართული დაკავებული და დაშავებული მოქალაქეების ადგილსამყოფელის დადგენის, მონახულების, გასაუბრების, მათი უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების აღწერისა და გამოვლენის, საგამოძიებო ორგანოსათვის შეტყობინებისა და საზოგადოების რეგულარული ინფორმირების მიმართულებით.**[79] სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებით არაერთხელ დაგმო აქციის მონაწილეთა მიმართ სავარაუდო **არასათანადო მოპყრობის ფაქტები**[80] **და** აქტივისტებისა და აქციების მონაწილეთა მიმართ უცნობი პირების მხრიდან თავდასხმები, რომლებიც **შეხედულებისა და პოლიტიკური მოსაზრების ნიშნით დევნის ნიშნებს შეიცავდა.**[81] აპარატმა უწყებას ასევე მიმართა საჯაროდ გავრცელებული[82] არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, მათ შორის ჟურნალისტების მიმართ და მიაწოდა უწყებას შესაბამისი ინტერნეტ-ბმულები.[83]

მისასალმებელია, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სახალხო დამცველის მიმართვა საქმის მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობის თაობაზე დააკმაყოფილა, ხოლო

---

[78] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატი უფლებამოსილია მხოლოდ იმ საქმის მასალებს გაეცნოს, რომელზეც დამდგარი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული.

[79] როგორც აღინიშნა, გაზაფხულზე, 15 აპრილიდან 15 მაისამდე საპროტესტო აქციების ფარგლებში აპარატმა მოინახულა 182 დაკავებული და დაშავებული პირი. მათგან 93 პირი მიუთითებდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე. 71-მა პირმა ითხოვა რეაგირება და სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

[80] იხ. 2024 წლის 14 მაისის განცხადება < https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-mimdinare-aktsiaze-savaraudo-arasatanado-mopqrobis-is-formebtan-dakavshirebit >

[81] იხ. 2024 წლის 13 მაისის განცხადება < https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-sagamodziebo-utsqebebs-bolo-dros-gankhortsielebuli-savaraudo-dzalis-gadametebisa-da-arasatanado-mopqrobis-faktze-samartlebrivi-ghonisdziebebis-gatarebisken-moutsodebs >

[82] მაგალითად, საჯაროდ, გავრცელდა ინფორმაცია იოსებ ბაბაევის მიმართ პოლიციის თანამშრომელთან მხრიდან ცემაზე, რასთან დაკავშირებითაც მან სახალხო დამცველის აპარატსაც მიმართა. მის დაკავებასა და არასათანადო მოპყრობას იგი პოლიტიკური მოსაზრებით დევნას უკავშირებდა. სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა, რომელიც გამოძიებას სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე აწარმოებს; < https://mtavari.tv/news/158192-gorshi-biznesmeni-samokalako-aktivisti-ioseb >

[83] სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები გაზაფხულის ძირითადი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში არიან გამოკითხული. საქმეზე გამოვლენილი ხარვეზები ქვემოთ იქნება მიმოხილული.

რწმუნებულები საქმის წერილობით მასალებს 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში სრულად გაეცნენ (საქმის მასალები შეადგენდა, დაახლოებით, 55 ტომს).

საქმის მასალების გაცნობის მიზანი იყო, დაგვედგინა, გამოძიების დაწყებიდან, დაახლოებით, 7 თვის შემდეგ, აკმაყოფილებდა თუ არა სსს-ის მიერ დაწყებული გამოძიება ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდეგში - ევროპული სასამართლო) პრეცედენტული სამართლით და იყო თუ არა გამოძიება ორიენტირებული საპროტესტო აქციების დაშლისა და მომიტინგეთა მიმართ **ძალის გამოყენების სრული სურათის აღდგენაზე, ყველა პასუხისმგებელი პირის გამოვლენაზე.**

საქმის გაცნობის შედეგად, გამოიკვეთა, რომ გამოძიების ფარგლებში მრავალი სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება არის ჩატარებული, თუმცა იგი მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს **მხოლოდ ცალკეული** თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულის გამოვლენის მიზნით.

გამოძიების ფარგლებში **არ არის გამოკითხული განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, ხელმძღვანელი პირები,** არ არის ამოღებული რელევანტური თანამშრომლების ტელეფონები, ხელის რადიოსადგურები (ე.წ. რაციები), ა.შ.

ამასთან, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას გულისხმობს.

2024 წლის გაზაფხულის აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის არაერთი ეპიზოდი მასობრივი მედიის საშუალებებითაც გახდა საზოგადოებისათვის ცნობილი ისევე, როგორც არაერთი მომიტინგის, მათ შორის, პოლიტიკოსებისა და საჯაროდ ცნობილი პირების მიმართ ჩადენილი ძალადობა და მათი ვიზუალური შედეგები დაზიანებების ფორმით.

საქმის მასალების გაცნობამ, რაც, სხვა მრავალ დოკუმენტს შორის, მოიცავდა მსხვერპლთა გამოკითხვის ოქმებს, სამედიცინო დოკუმენტაციასა და ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმებს, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მომხდარი სისტემური არასათანადო მოპყრობის **„უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებით“ კვალიფიცირება არ ასახავს მომიტინგეთა მიმართ გამოყენებული ძალადობის ხასიათს, ინტენსივობასა და მასშტაბურობას. ძალადობის მეთოდები და ინტენსივობა, ძალადობის აშკარა მიზანი, თითქმის ყველა შემთხვევაში მიანიშნებს არაადამიანურ, დამამცირებელ და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე და მეტიც, რიგ ეპიზოდებში გამოიკვეთა, რომ აღწევს წამების ხარისხსაც.**

საქმის გაცნობის შედეგად, სახალხო დამცველმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის უფროსსა და საქართველოს გენერალურ პროკურორს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ დეტალური წინადადებით მიმართა. [84]

კერძოდ, გამოძიების მასალების მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეების მიმართ განხორციელებული **ძალადობის ფორმები, მეთოდები, მათი გამოვლენის ხერხები, მსხვერპლებისთვის ძლიერი ფიზიკური, ფსიქიკური ტკივილისა თუ მორალური ტანჯვის მიყენებით, თითქმის ყველა შემთხვევაში, წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.** ხოლო რამდენიმე პირის მიმართ, აქციებში მონაწილეობის გამო მათი დასჯის მიზნით განხორციელებული ძალადობა თავისი ინტენსივობის, ხასიათის, ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მსხვერპლებში იწვევდა ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და **სისასტიკის ხარისხით <u>წამებას უტოლდებოდა.</u>** მოცემულ ეტაპზე არსებული საქმის მასალებით, აპარატისთვის შესაძლებელი გახდა **წამების თვალსაჩინო და აშკარა რამდენიმე შემთხვევის იდენტიფიცირება.** ამასთან, დამატებითი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შემდეგ, მოპოვებული სრულყოფილი და დაზუსტებული ინფორმაციის შინაარსის შესაბამისად, შესაძლებელია, საჭირო გახდეს **არასათანადო მოპყრობის სხვა ფაქტების გამოძიების წამების კვალიფიკაციით წარმართვა.**

თვალსაჩინოებისათვის, საზოგადოებას მოვახსენებთ, არასათანადო მოპყრობის რა მეთოდებსა და ფორმებზე მიუთითებდნენ გამოკითხული მსხვერპლები. ამასთან, ინფორმაცია გადმოცემული იქნება იმგვარად, რომ არ მოხდეს მსხვერპლთა იდენტიფიკაცია და ხელი არ შეეშალოს მიმდინარე გამოძიების ლეგიტიმურ ინტერესებს.

მაგალითისათვის, ერთ-ერთი უმძიმესი ილუსტრაცია, რომელიც არამხოლოდ არაადამიანურ მოპყრობაზე მიუთითებს, არამედ, წამების ნიშნებს შეიცავს არის შემდეგი საქმე:

გამოკითხვისას ერთ-ერთი მოქალაქე მიუთითებდა, რომ მასზე სასტიკად იძალადეს. გდდ-ს თანამშრომლებს, რომლებიც სცემდნენ, ხელზე ეკეთათ ხელთათმანები სავარაუდოდ პლასტმასის დეტალებით, რაც ხელთათმანებს კასტეტის ფორმას აძლევდა და ამის გამო დარტყმები განსაკუთრებულად მტკივნეული იყო. დაკავებული შეაგდეს მანქანაში, სადაც პერიოდულად გდდ-ს თანამშრომლები მასზე კვლავ ძალადობდნენ. დაკავებულს ხელები ზურგსუკან ძლიერად ჰქონდა შეკრული და ვერ იცავდა სახეს დარტყმებისგან, წელში იხრებოდა, რის გამოც სპეციალურად, გამიზნულად თავის მიმართულებით ურტყამდნენ. გარდა ამისა, მისივე თქმით, გდდ-ს თანამშრომლებმა სცადეს მისი მოხრჩობის გზით მკვლელობის იმიტაცია, უჭირდა სუნთქვა და ეგონა, რომ კვდებოდა. მისი თქმით,

[84] სახალხო დამცველის 2025 წლის 7 მარტის № 25/1903 წინადადება.

განსაკუთრებულ ტკივილს ამძიმებდა უმწეო მდგომარეობა, დამცირების შეგრძნება და სულიერი ტანჯვა.

სამედიცინო დოკუმენტებით, დაესვა დიაგნოზი **თვალბუდის ფსკერის მოტეხილობა, ყვრიმალისა და ზედა ყბის ძვლების მოტეხილობა, ცხვრის ძვლების მოტეხილობა, თავის სხვა ნაწილების ღია ჭრილობა.**

გასათვალისწინებელია, რომ აღწერილი ქმედება, დაზიანებების ხარისხი, იმთავითვე გამორიცხავს მის მიმართ პროპორციული ძალის მხოლოდ გადამეტებას. მით უფრო, რომ **საქმის მასალებში მოიპოვება ვიდეო, სადაც ასახულია დაკავების მომენტი, სადაც ჩანს, რომ მას დაზიანებები არ აღენიშნება.**

ასევე მძიმე არასათანადო მოპყრობის საილუსტრაციოდ უნდა მოვიყვანოთ ერთ-ერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მიმართ განხორციელებული მოპყრობაც. მსხვერპლის მიმართ ძალადობის ამსახველი ვიდეოკადრების დათვალიერების ოქმი საქმის მასალებში მოიპოვება, რომლის მიხედვითაც, კადრებში ჩანს ბევრი ჩაფხუტიანი პირი და მათი ამოცნობა შეუძლებელია. მათ **ძირს ჰყავთ დაგდებული ხსენებული პოლიტიკოსი, რომელსაც ხელებს და ფეხებს ურტყამს დაახლოებით 10-მდე სპეცრაზმელი. ერთ-ერთ სპეცრაზმელს დაჭერილი აქვს მისი მარჯვენა ხელი, რათა ვერ შეძლოს თავის დაცვა. მეორე სპეცრაზმელი მარცხენა ხელს უჭერს და უწევს მაღლა, რათა თავზე ვერ აიფაროს. შემდეგ ძირს დაგდებულს ურტყამენ სახეში და სხეულის სხვა ნაწილებზე წიხლებს, რის შემდეგაც ჩანს მსხვერპლის სახიდან წამოსული სისხლი. სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, ხსენებულ პოლიტიკოსს, სხვა დაზიანებებთან ერთად, აღენიშნებოდა თვალბუდის ფსკერისა და ცხვირის ძვლების მოტეხილობა.**

მომიტინგეთა გამოკითხვების ოქმების მიხედვით, მათ მიმართ შავნიღბიანი სპეცრაზმელების მიერ არასათანადო მოპყრობას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ დაკავებისას, არამედ დაკავების შემდეგაც - **ე.წ. ცოცხალ დერეფანში გატარებისას და მანქანებში.** ისინი დაკავებულებს ურტყამდნენ ხელებს, ფეხებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, **ხელკეტებს.** ფიქსირდება ჩვენება **აირწინაღისა და ფარის განზრახ დარტყმის** თაობაზე. ურტყამდნენ ხელებაწეულ და ძირს დაცემულ/დაგდებულ ადამიანებსაც, რომლებიც არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდნენ პოლიციას. ხდებოდა დაკავებულების გათრევა და სპეცრაზმის დერეფანში შეთრევა, სადაც ძალადობდნენ.

დაკავებულთა ჩვენებების მიხედვით, ძალადობა გრძელდებოდა რამდენიმე წამიდან - რამდენიმე წუთამდე დროის პერიოდში. დარტყმები იყო რამდენიმედან რამდენიმე ათეულამდე (40-50 დარტყმა). ძალადობდნენ ძირითადად ჯგუფურად, რამდენიმე სპეცრაზმელი ერთდროულად და ერთობლივად. გამოკითხვებში ფიქსირდება მითითება **თავში, ტანში, სახეში ხელების, ფეხებისა და ხელკეტების დარტყმის; ფერდის არეში წიხლების დარტყმისა და ამორტყმის; კეფის, ყბის, თავის, თვალებს შორის, ცხვირის, გულმკერდის,**

მუცლის არეში მუშტების ძლიერი დარტყმის; სახეში მუშტებისა და გაშლილი ხელის დარტყმების; ყელზე ხელის მოჭერის; გვერდებსა და თავში მუშტების და ფეხების დარტყმის; ე.წ. „პანღურის“ ამორტყმის; სხეულის სხვადასხვა არეში წიხლების დარტყმის, ფეხებს შორის წიხლების ამორტყმისა და წვერით „გათრევის“ შესახებ. რამდენიმე შემთხვევაში, გამოკითხვის ოქმებში დაკავებულები მიუთითებენ, რომ პლასტმასის ხელბორკილები (ე.წ. ხამუთები) იმდენად ძლიერად ჰქონდათ მოჭერილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რომ **აუტანელ ტკივილს იწვევდა და მგრძნობელობაც ეკარგებოდათ.**

დაკავებულებზე ძალადობა გამოძიების მასალებში არსებულ ვიდეო ჩანაწერებშიც[85] ფიქსირდება: სახეში იდაყვის დარტყმა, სპეც. რაზმის შიგნით შეყვანა, დარტყმა თავის არეში, ძირს დავარდნილისთვის ფეხის დარტყმა გულმკერდის არეში, წიხლის დარტყმა, წაქცეული პირის გარშემო ნიღბიანი და ფორმიანების მხრიდან დარტყმების განხორციელება, სახის არეში გაშლილი ხელის დარტყმა, ასევე, ბეჭისა და სახის არეში დარტყმების მიყენება.

მსხვერპლების ჩვენებების მიხედვით, **დაკავებულებს ურტყამდნენ თავის არეში იმდენად ძლიერად, რომ რამდენიმემ გონება დაკარგა და ტვინის შერყევა მიიღო, რამდენიმე პირს ჰქონდა სისხლდენაც.**

დაკავებულთა ჩვენებების მიხედვით, გარდა ფიზიკური ძალადობისა, პარალელურად **აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას უკიდურესად დამამცირებელი და დისკრიმინაციული ლექსიკით, რაც დაკავებულებისთვის მორალურად და ემოციურად მძიმე იყო.**

არაერთმა დაკავებულმა დაინახა სპეცრაზმელების მხრიდან სხვა პირების მიმართ განხორციელებული ძალადობაც.

დაკავებული არასრულწლოვნებიც მიუთითებენ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ (ძირს წაქცეულისთვის ფეხების და ხელების დარტყმები, სპეც. რაზმის დერეფანში გათრევისას დარტყმების მიყენება, სახეში გაშლილი ხელის 2-ჯერ დარტყმა, კეფის არეში მუშტის დარტყმა). დაფიქსირდა **ქალების** ჩვენებები მათ მიმართ ძალადობის თაობაზე. ასევე, საპროტესტო აქციაზე მყოფი **სასულიერო პირებიც** მიუთითებენ წიწაკის სპრეის სახეში შესხმასა (აღნიშნული ასახულია ტელევიზიით გასულ კადრებშიც) და 3-4-ჯერ ფეხის დარტყმაზე.

ამასთან, მოცემულ საქმეში დაფიქსირდა პოლიციელების მხრიდან დაკავებული კაცის მიმართ **გაუპატიურების მუქარაზე მითითება.** მისივე მტკიცებით, პოლიციელებმა მასზე იძალადეს, მოსთხოვეს სრულად გაშიშვლება და ამ მდგომაროებაში გადაუღეს ტელეფონით ვიდეო, რა დროსაც სთხოვდნენ ეთქვა, რომ დაზიანებები დაკავებამდე მიიღო.

[85] ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმები.

აქციაზე მყოფი ჟურნალისტები, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდნენ მიუთითებენ სპეც. რაზმის მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. მათი ჩვენებით, შავნიღბიანი პოლიციელები **ხელიდან ართმევდნენ ტექნიკას,** რის საშუალებითაც იღებდნენ მიმდინარე მოვლენებს, ადგილი ჰქონდა დაცემული ჟურნალისტის მიმართ ხელკეტის სახეში ჩარტყმას, თავის, სახისა და სხეულის არეში მუშტების დარტყმას, ასფალტზე დანარცხებასა და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში დარტყმების მიყენებას. ჟურნალისტების მიმართ, მათი გადმოცემით, ძალადობა 1 წუთზე მეტი დროის განმავლობაში გაგრძელდა. ასევე, ჟურნალისტები მიუთითებდნენ **წიწაკის სპრეის პირდაპირ მათი მიმართულებით შესხურებაზე, რაც ყოველგვარი გაფრთხილების, მითითების და საჭიროების გარეშე გამოიყენეს**, იმ დროს, როცა დემონსტრანტებისგან შესაძლებლობის ფარგლებში ერთ-ერთი ჟურნალისტი გამოყოფილი იყო, ტროტუარზე იდგა ქუჩის კუთხეში. და პერსონალურად მის მიმართ დამიზნებით გამოიყენეს სპრეი, სავარაუდოდ იმის გამო, რომ იღებდა. ასევე, ოპერატორის მიმართ, რომელიც, ახორციელებდა პირდაპირ ჩართვას. ჟურნალისტი მიუთითებდა ხელის კვრის შესახებ, ასევე, სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე, **ხელკეტის ფეხის არეში ჩარტყმის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ უთხრა, იყო მასმედიის წარმომადგენელი.**

დაკავებული პირების სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, დაკავებულ პირებს **დაზიანებები** აღენიშნებოდათ სისხლნაჟღენთების, ჰიპერემიების სახით სხეულის სხვადასხვა არეში: მხრის, წინამხრის, ზურგის, თვალბუდის, შუბლის, ტუჩის არეში, კისრის, წარბის, საფეთქლის, ფეხის მიდამოში; ჰემატომები თავის არეში. დაფიქსირდა ცხვირის ძვლების, თვალბუდის ფსკერის, ყვრიმალისა და ზედა ყბის ძვლების მოტეხილობა, თავის ტვინის შერყევა, გულმკერდის ტრავმა, მენჯ-ბარძაყის სახსრის დაჟეჟილობა, მხრის სარტყლის ღრძობა, მენჯის ძვლის დაზიანება, თავის ტვინის შერყევა, ინტრაკარანიული ტრავმა, მრავლობითი ტრავმები, სკალპის ზედაპირული ტრავმა, ქალა-სარქველის ოსტეომა, სახის კანქვეშა ჰემატომა. შუბლის ძვლის ოსტეომა ჰემატომა მარჯვენა თვალბუდისა და ყვრიმალის არეში, დაჟეჟილობა გულმკერდის არეში, თავის ზედაპირული ტრავმა, ცხვირის ძვლების მოტეხილობა, თვალბუდის ფსკერის მოტეხილობა, ყვრიმალისა და ზედა ყბის ძვლების მოტეხილობა.

მიღებული რამდენიმე (დასკვნების უმრავლესობა მიღებული არ არის) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, დაკავებულებს აღენიშნებოდათ დაზიანებები მსუბუქი ხარისხის, ჯანმრთელობის მოუშლელად, რაც მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით იყო მიყენებული. 1 შემთხვევაში - ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება (ზედა ყბის ძვლის მოტეხილობა).

3.2.1.2. სრული სურათის აღდგენის საჭიროება და ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობა

გამოძიების ფარგლებში გამოკითხულები არიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის (ძირითადად, ტურისტული უსაფრთხოების სამმართველოს) და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, მათ მიერ უშუალოდ შედგენილ დაკავების ოქმში დაფიქსირებულ კონკრეტულ პირებთან მიმართებით.[86]

როგორც უკვე აღინიშნა, აქციების დაშლის საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში არასათანადო მოპყრობის ათეულობით და დროში განგრძობადი **ფაქტების სრული სურათის დასადგენად გამოძიება არ არის ორიენტირებული,** არამედ **ინდივიდუალურ და კონკრეტულ ფაქტებზე კონცენტრირდება.**

სახალხო დამცველის პოზიციით, გამოძიება უნდა წარიმართოს ზედმიწევნით და სრულყოფილად: საჭიროა დადგინდეს შეკრების უსაფრთხოების სამოქმედო გეგმით[87] გაწერილი გარემოებები, ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები, შეკრების დაშლის, სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების, აქციის დაშლისას სამინისტროს თითოეული თანამშრომლის (ხელმძღვანელი პირებიდან რიგითამდე) მოქმედების სრული სურათი (დროისა და ადგილის განსაზღვრით); **აუცილებელია წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შესაძლო ორგანიზების, წაქეზების, ბრძანების/მითითების გაცემის, მდუმარე თანხმობის, ამსრულებლობის, თანამონაწილეობის და დახმარების ფორმით ჩამდენი პირების გამოვლენა მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი პროცედურული ვალდებულების შესასრულებლად აუცილებლად მიიჩნევს: შემოწმდეს, იყო თუ არა საპოლიციო ღონისძიება/ოპერაცია სათანადოდ რეგულირებული და ორგანიზებული ისე, რომ მინიმუმამდე დაეყვანა ადამიანისთვის სერიოზული ზიანის მიყენების რისკი; ასევე, სამართალდამცავი ორგანოების ქმედებების განსაკუთრებით საფუძვლიანი შესწავლა, რაც ნათელს მოჰფენს გამოყენებული ძალის ხასიათსა და მასშტაბს.[88] **აქციის დაშლის მთლიანი**

---

[86] ხელმძღვანელი პირები და გდდ-ს წევრები არ არიან გამოკითხულები.

[87] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება N1002, მუხ. 5. და 8. ხსენებული დანაწესის თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლის დროს სპეციალური ღონისძიებების ჩატარების უსაფრთხოების სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს გდდ, სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან კოორდინაციით და ამტკიცებს მინისტრი (ან მის მიერ უფლებამოსილი პირი), განისაზღვრება ღონისძიების ხელმძღვანელი, ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირი; განსაზღვრულია შეკრების დაშლისას, სპეციალური საშუალებების (წიწაკის სპრეი, რეზინის ტყვია და ცრემლსადენი გაზი) გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირი. ხოლო სპეციალური საშუალების გამოყენების მართლზომიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს.

[88] Muradova v. Azerbaijan, განაცხადი N22684/05 02.04.2009 წ. §113-114.

სურათის დადგენისა და მოვლენების სისტემური ანალიზის ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში, 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლის საქმეზეც.[89]

გაეროს კონვენცია წამებაში ნებისმიერ თანამონაწილეობას დანაშაულად განიხილავს.[90] ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ბრძანება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არასათანადო მოპყრობის გასამართლებლად.[91] უკანონო ბრძანების შესრულებაზე ანალოგიურ დებულებებს იცნობს ქართული კანონმდებლობაც.[92]

ამასთან, სახელმწიფო თანამდებობის პირის უმოქმედობა იწვევს პასუხიმგებლობას მის დაქვემდებარებაში მყოფი სამართალდამცველების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ქმედებების ხშირი შემთხვევების აღსაკვეთად სათანადო ზომების გამოუყენებლობის გამო. თანამდებობის პირების მიერ გატარებული ღონისძიება უნდა იყოს იმ მასშტაბის, რომელიც საკმარისია ამ ქმედებების გამეორების დასასრულებლად ან ამგვარი სისტემის შესაწყვეტად.[93]

გამოძიებამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გდდ-ს თანამშრომლებს არ ჰქონდათ/აქვთ მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ტარების ვალდებულება. სწორედ, **არასათანადო მოპყრობის პრაქტიკის ხელშემწყობ ერთ-ერთ ძირითად მიზეზად გვევლინება დანაშაულის ამსრულებელი პირების დაუსჯელობა მათი იდენტიფიცირების სირთულის გამო.** საგულისხმოა, რომ მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ტარების ვალდებულების დაწესება და შემდეგ მისი პრაქტიკაში აღსრულება არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ რესურსს და ნების შემთხვევაში მისი პრაქტიკაში გატარებაც ზედმეტი ძალისმხევის გარეშე შესაძლებელია. ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა ისეთ შემთხვევებში, როცა ვერ მოხერხდა სპეციალიზებული ნიღბიანი პოლიციელების იდენტიფიცირება მასობრივი პროტესტის კონტექსტში. სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც ხელისუფლება განათავსებს ნიღბიან პოლიციელებს კანონისა და წესრიგის შესანარჩუნებლად, ამ **ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ თვალსაჩინო განმასხვავებელი ნიშნები.** ასეთი ნიშნები დაიცავდა მათ ანონიმურობას, თუმცა იმავდროულად უზრუნველყოფდა შემდგომში მათ იდენტიფიკაციასა და დაკითხვას ჩატარებულ ოპერაციასთან დაკავშირებით.[94] მსგავსი პრობლემა აღნიშნა ევროპულმა სასამართლომ საქართველოში, 2019 წლის 20-21 ივნისს შეკრების დაშლისას მოქმედი შსს-ს გდდ-ს წევრების საინდეტიფიკაციო ნიშნების არ არსებობის გამოც.[95]

---

[89] Tsaava and others v Georgia, განაცხადი N13186/20, 07.05.2024 წ. პარ. 221. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა, რომ ამის შესახებ სახალხო დამცველი გამოძიების საწყის ეტაპზევე აცხადებდა.

[90] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია“ მუხლ. 4, პუნქტ. 1.

[91] გაეროს კონვენცია, მუხლ. 2 პუნქტ. 3.

[92] „პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ. 48.

[93] Georgia v. Russia, განაცხადი N13255/07, 03.07.2014 წ. §124.

[94] Hentschel and Stark v. Germany, განაცხადი N47274/15, 09.11.2017 წ. § 91; İzci v. Turkey, განცხადი N42606/05, 23.07.2013 წ. პარ. 68-69.

[95] Tsaava v. Georgia, განაცხადი N13186/20, 07.05.2024 წ. პარ. 223.

აქციის დაშლისას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მოქმედების დასადგენად საჭიროა გამოიკითხოს სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსი და გდდ-ს წევრები; დაესვათ კონკრეტული და დეტალური შეკითხვები, როდის, რომელ ლოკაციაზე და რა ამოცანით იყვნენ განთავსებულები; რა ქმედებები განახორციელეს უშუალოდ მათ, მათ დაქვემდებარებაში არსებულმა დანაყოფებმა და საპოლიციო ღონისძიებისას რა კონკრეტული მობილური ტელეფონის ნომრით და მობილური აპლიკაციით სარგებლობდა თითოეული მათგანი, რათა შემდგომში შემხვედრი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შედეგად მოხდეს ხსენებული მოწყობილობებიდან საქმისთვის რელევანტური ინფორმაციის მოპოვება.

საქმის შესწავლის შედეგად გამოვლენილი ზემოხსენებული ხარვეზების გამო გამოძიება ვერ პასუხობს კონვენციის მე-3 მუხლით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების პროცედურულ ასპექტს და ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს.

აქვე, კიდევ ერთხელ დგება კანონში ცვლილებების შეტანის საჭიროება, რაზეც სახალხო დამცველის აპარატი წლებია საუბრობს. კერძოდ იმისთვის, რათა მთლიანი სურათის აღდგენისა და ყველა შესაძლო პასუხისმგებელი პირის გამოვლენისა და სამართლებრივი რეაგირების ნაწილში, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ შეეშალოს ხელი, აუცილებელია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების გზით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებზე.[96] იმავე პოზიციას აფიქსირებს ეუთო/ორიდი[97] და CPT.[98]

3.2.1.3. ვიდეოჩანაწერების პრობლემა

საყურადღებოა ისიც, რომ როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, გამოძიებამ ვერ მოიპოვა გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდის ამსახველი უმეტესი ვიდეო-აუდიო ჩანაწერი (მათ შორის, ხელის რადიოსადგურების ჩამწერები/ე.წ. რაციები), ვერც სახელმწიფო უწყებებიდან და ვერც პარლამენტის სასახლის მიმდებარე

---

[96] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 3 ნოემბრის N15/11047 საკანონმდებლო წინადადება, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: 2022 წლის ანგარიში, გვ. 72 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf > 2023 წლის ანგარიში, გვ. 81 < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf >

[97] OSCE/ODIHR Opinion on the Legislative Amendments on the State Inspector's Service of Georgia, 18.02.2022 წ. პარ. 61 < https://www.osce.org/files/f/documents/d/1/512728.pdf > [ბოლოს ნანახია: 19.02.2025 წ.]

[98] Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 10 to 21 September 2018, პარ. 14. < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია: 19.02.205 წ.]

ტერიტორიაზე განთავსებული კერძო ობიექტებიდან, სხვადასხვა მიზეზზე, მათ შორის ურთიერთგამომრიცხავ მიზეზებზე მითითებით.

გამოძიებისთვის საინტერესო გარემოებების დადგენის მიზნით, გამოძიებამ მოიპოვა საქართველოს პარლამენტის სასახლისა და საპროტესტო აქციის მიმდინარე ლოკაციების მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარე სხვადასხვა ობიექტებზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერებიდან ვიდეოჩანაწერების, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მიერ, საპროტესტო აქციებზე სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოყენებული ხელის რადიოსადგურების გადაცემული ინფორმაციის ჩანაწერების გამოთხოვის შესახებ მოსამართლის განჩინებები. თუმცა, თითქმის ყველა ობიექტმა, მათ შორის სახელმწიფო უწყებებმა, გამოძიებას არ მიაწოდეს გამოთხოვილი ინფორმაცია, რადგან, მათი განმარტებით, გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდში და ლოკაციაზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერების უმეტესი ჩანაწერები არ იძებნებოდა. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ მაგალითად, ერთ-ერთმა საჯარო დაწესებულებამ სამი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას. კერძოდ, თავდაპირველად განმარტეს, რომ გამოძიებისთვის საინტერესო ვიდეომასალა ინახებოდა 30 დღის ვადით, მოგვიანებით აცნობეს, რომ ვიდეოკამერები არ აქვთ და შესაბამისად, არც ვიდეოჩანაწერები ინახება, ხოლო მესამედ განმარტეს, რომ გამოძიებისთვის საინტერესო ლოკაციაზე ვიდეოკამერები აქვთ დამონტაჟებული, თუმცა ხარვეზის გამო ჩაწერა არ მიმდინარეობდა.

შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ვიდეოჩანაწერების მოპოვებისას გამოძიებას ჰქონდა სისტემური შემაფერხებელი გარემოებები და რიგ შემთხვევებში დაუსაბუთებელი და ურთიერთგამომრიცხავი შემხვედრი პასუხები, აუცილებელია, გამოძიებამ დამატებითი ძალისხმევა გაწიოს, ვიდეოჩანაწერების მოპოვებისა თუ არარსებობის მიზეზების მკაფიოდ დადგენის მიზნით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ შსს-ს წერილით ირკვეოდა, რომ სამინისტროს თანამშრომლები მობილური ტელეფონების გარდა იყენებენ ხელის რადიოსადგურებს, რომლის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სუს-ის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო და ეს მონაცემები სამინისტროში დაცული არ იყო. ხოლო სუს-ის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წერილის თანახმად, საგამოძიებო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ხელის რადიოსადგურების გამოყენებით გადაცემული შეტყობინებების ჩანაწერები (2024 წლის 15 აპრილიდან - 15 მაისამდე ჩანაწერები) სააგენტოში არ ინახება, რადგან აღნიშნულ პერიოდში სისტემა ხარვეზებით ფუნქციონირებდა და არ ახორციელებდა ხელის რადიოსადგურების გამოყენებით გადაცემული კომუნიკაციის ჩაწერას.

ანალოგიური პრობლემა გამოიკვეთა პოლიციელების სამხრე კამერების ვიდეოჩანაწერების მოპოვების პროცესში. კერძოდ, გამოკითხული პოლიციელები მიუთითებენ სხვადასხვა

მიზეზით ვიდეოჩანაწერების არარსებობაზე (ტექნიკური ხარვეზი, თან არ ქონა, დაუჯდა, გაუფუჭდა და სხვა).[99]

როდესაც ვიდეოჩანაწერების მოპოვება სისტემატურად ვერ ხდება ობიექტებისგან სხვადასხვა მიზეზზე მითითებით და იმ პირობებში, რომ ვიდეოჩანაწერები წარმოადგენს მაღალი სანდოობისა და სარწმუნობის მქონე ნეიტრალურ მტკიცებულებას, გამოძიება არ უნდა დასჯერდეს შაბლონურ პასუხებს, მით უმეტეს, საჯარო უწყებების მხრიდან და გადადგას ქმედითი ნაბიჯები, თუნდაც იმის გამოსავლენად, ხომ არ ხდება ვიდეოჩანაწერების გამიზნულად განადგურება, დამალვა ან სხვა არაკეთილსინდისიერი ხერხებით ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.

3.2.1.4. სპეციალური საშუალებების გამოყენება

საგულისხმოა, რომ **რამდენიმე მოქალაქე მიუთითებდა (ცრემლსადენი გაზის გარდა) რეზინის ტყვიების სროლის თაობაზე.** ერთ-ერთი მათგანის თქმით, კლინიკაში გაუკეთეს ოპერაცია. სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, პაციენტს ჰქონდა ლოყისა და საფეთქელ-ქვედაყბის ღია ჭრილობა, რბილ ქსოვილებში დარჩენილი იყო უცხო სხეული, რომლის მოსაცილებლად ჩატარდა ოპერაცია. საგამოძიებო ორგანომ კლინიკიდან რეზინის ტყვია ამოიღო.[100] სხვა მოქალაქე კი აცხადებდა, რომ რეზინის ტყვიამ გაიარა აირწინაღში და მოხვდა წარბის არეში. სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, პაციენტს ჰქონდა თავის ტვინის შერყევა, თავის სხვა ნაწილების ღია ჭრილობა, თვალის კაკლისა და თვალბუდის ქსოვილთა დაჟეჟილობა, კონიუქტიური სისხლჩაქცევა, ჰიფემა, სისხლჩაქცევა მინისებრ სხეულში; საჭიროებდა მარჯვენა წარბის ჭრილობის გაკერვას. გარდა ამისა, რეზინის ტყვიების მოხვედრაზე მიუთითებდა კიდევ ორი მოქალაქე. ერთ-ერთი - ჩაფხუტსა და ფეხის თითზე (ფეხსაცმელიც გაუხვრიტა); ხოლო მეორე - ჩანთაზე (ჩანთა დაზიანდა), ასევე, ხორცი ამოგლეჯილი ჰქონდა და სასწრაფომ დაუმუშავა.

საგულისხმოა, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა წერილობით მიმართა[101] შინაგან საქმეთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია 1-2 მაისს გამოყენებული სპეციალური საშუალებების შესახებ. კერძოდ, რომელი სპეციალური საშუალებები იქნა გამოყენებული და რომელი დანაყოფების მიერ. იყო თუ არა რეზინის ტყვიები გამოყენებული, ვის მიერ იქნა

---

[99] სახალხო დამცველის მრავალწლიანი რეკომენდაციაა პოლიციელებისთვის სავალდებულო იყოს საპოლიციო ღონისძიებისას სამხრე ვიდეოკამერის გამოყენება. ასევე, 2022 წელს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა, სადაც მიუთითებს, რომ პატრულ-პოლიციელის დისკრეცია, რომლის მიხედვითაც, შეუძლია, არ გამოიყენოს სამხრე კამერა, როდესაც შედის მოქალაქესთან ურთიერთობაში, არღვევს ადამიანის კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებას, დაცული იყოს წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან, და, ამგვარად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14806 >

[100] 2024 წლის 12 ივნისის ამოღების ოქმი.

[101] 9 მაისის წერილი.

მიღებული გადაწყვეტილება, ვის დაევალა და რა გახდა რეზინის ტყვიების გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ეცნობა,[102] რომ 1-2 მაისს გამოყენებული იყო **წყალსატყორცნი, ცრემლსადენი გაზი და ხელის სპრეი (წიწაკის შემცველობით). ხოლო შეკითხვა რეზინის ტყვიებისა და დანაყოფების შესახებ უპასუხოდ დატოვა.**

3.2.1.5. დეპუტატის დაკავება და არასათანადო მოპყრობა

2024 წლის 17 მაისს საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ადმინისტრაციული წესით დააკავეს პარლამენტის იმჟამად მოქმედი წევრი ალექსანდრე ელისაშვილი.[103] დაკავებისას ალექსანდრე ელისაშვილზე ფიზიკურად იძალადეს და აღნიშნული ფაქტის ამსახველი ვიდეოკადრები მედიასაშუალებებით საჯაროდაც გავრცელდა. კლინიკიდან ამოღებული სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, ალექსანდრე ელისაშვილს ჰქონდა **ნეკნის მოტეხილობა, თავის ზედაპირული ტრავმა, ხერხემლის წელის ნაწილის სახსრებისა და იოგების დაჭიმვა და გადაძაბვა, ტუჩის და პირის ღრუს ღია ჭრილობა.**

ალექსანდრე ელისაშვილზე ძალადობის კადრებში დაფიქსირებული პირების ვიდეოკადრებიდან ამოჭრილი ფოტოსურათებით სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ თანამშრომლების იდენტიფიცირების მიზნით მიმართა.[104] ამასთან, **ერთ-ერთი მოძალადე პირის სახე ხსენებულ ფოტოსურათში სრულად ჩანს, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ კითხვაზე არ უპასუხია.** [105]

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ალექსანდრე ელისაშვილი ასახელებს ვისი ბრძანებით მოხდა მისი დაკავება და ვინ ესწრებოდა მასზე ძალადობის ფაქტს, მაგრამ გამოძიების ფარგლებში გამოკითხული არ არიან და, აღნიშნული მიზნით, საქმის მასალებში არც მათთან კომუნიკაციის რაიმე მცდელობა ჩანს.

რაც შეეხება **მოქმედი დეპუტატის დაკავებას,** გამოძიების ფარგლებში ამოღებულია ალექსანდრე ელისაშვილის ადმინისტრაციული სამართალწარმოების მასალები. ოფიციალურად, შედგენილია დაკავების ოქმი, დაკავების საფუძვლად მითითებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა და პიროვნების დადგენა. დაკავებულის სამუშაო ადგილის ველი კი ცარიელი არის დატოვებული. დამკავებელ პოლიციელად გაფორმებული პირის თქმით, იცოდა, რომ ა. ელისაშვილი პოლიტიკოსი იყო, თუმცა არ

---

[102] 18 ივნისის წერილი.

[103] შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს აცნობა,[103] რომ ალექსანდრე ელისაშვილი დაკავებულ იქნა 2024 წლის 17 აპრილს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით.

[104] 2024 წლის 15 მაისის წერილი.

[105] 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით.

იცოდა, რომ პარლამენტის წევრი იყო. მისი თქმით, ეს დაკავების შემდეგ გაიგო დაკავებულისგან და გადაამოწმა პარლამენტის ვებგვერდზე.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით,[106] პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის წინასწარი თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი 48 საათის განმავლობაში არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

ალექსანდრე ელისაშვილი **დაკავების მომენტისათვის იყო საქართველოს პარლამენტის მოქმედი წევრი**, მისი **დაკავების შესახებ თანხმობა არ გაუცია საქართველოს პარლამენტს.** ამასთან, ის დააკავეს ადმინისტრაციული წესით და შესაბამისად, სახეზე არ იყო პარლამენტის თანხმობის გარეშე დეპუტატის დაკავების ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევა (დანაშაულზე წასწრება). როგორც თავად ალექსანდრე ელისაშვილი გამოკითხვის დროს განმარტავს, როდესაც ჩასვეს ავტომანქანაში, ყველამ იცოდა, რომ იყო პარლამენტის მოქმედი წევრი და **განუმარტეს, რომ დაკავებული კი არა, განრიდებული იყო.**

მნიშვნელოვანია, გამოძიების ფარგლებში დადგინდეს, ალექსანდრე ელისაშვილის ფაქტობრივი დაკავებიდან რამდენი ხნის შემდეგ გახდა ცნობილი პოლიციის თანამშრომლებისათვის, რომ იგი შესაძლოა ყოფილიყო პარლამენტის მოქმედი წევრი, როდის მოხდა ამ ინფორმაციის გადამოწმება და რამდენ ხანში განთავისუფლდა იგი. აღნიშნულის დადგენა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა ალექსანდრე ელისაშვილის განზრახ უკანონო დაკავებას ადგილი და ხომ არ იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ, **განზრახ უკანონო დაკავების ნიშნები.**

გარდა ამისა, განსახილველ საქმეში, დამკავებელ პირებად გაფორმებული პოლიციელები გამოკითხვის დროს მიუთითებენ, რომ ადგილზე არსებული აურზაურისა და ჩოჩქოლის გამო, ზუსტად ვერ დაინახეს, უშუალოდ ვინ დააკავა ალექსანდრე ელისაშვილი. მათი თქმით, ამ სიტუაციის გათვალისწინებით უშუალოდ ვერ „მისწვდნენ“ მას და წინ მდგომ პოლიციელებს სთხოვეს მისი დაკავება. ამის შემდეგ იგი კანცელარიის შენობაში გადაიყვანეს, თუმცა იცოდნენ რომ შემდეგ სამმართველოში გადაიყვანდნენ და სამმართველოში რომ გამოცხადდნენ, უკვე მიყვანილი დახვდათ, თუმცა მიმყვანი პოლიციელები არ დახვედრიან. ამგვარად, ხსენებული ორი პირი, როგორც დამკავებელი პოლიციელები, მხოლოდ დაკავების ოქმში არიან დაფიქსირებული, სხვა მხრივ, ალექსანდრე ელისაშვილის ფაქტობრივ დაკავებასა და ტრანსპორტირების ნაწილში შემხებლობა საერთოდ არ ჰქონიათ, თუმცა ეს ოქმში არ მიუთითებიათ. ასევე, საეჭვო გარემოებას ქმნის ის ფაქტი, რომ ეს ორი პოლიციელი

[106] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 39, პუნქ. 2.

მიუთითებენ ალექსანდრე ელისაშვილის მხრიდან უწმაწურ ჟესტიკულაციაზე, რომელიც ხალხის სიმრავლისა და არეულობის მიუხედავად შეამჩნიეს, თუმცა არც ერთს დაუნახავს მის მიმართ განხორციელებული ძალადობა, მათი თქმით, აგრეთვე ხალხის სიმრავლიდან და არეულობიდან გამომდინარე.

ამგვარად, იმის გარდა, რომ მოცემულ შემთხვევაში იკვეთება მტკიცებულების, ანუ ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფალსიფიკაციის ნიშნები, სიმართლეს არ შეესაბამება პოლიციის დეპარტამენტის 10 მაისის წერილში დაფიქსირებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც დამკავებელი პირების გარდა ალექსანდრე ელისაშვილთან უშუალო კომუნიკაცია და შემხებლობა სხვა თანამშრომლებს არ ჰქონიათ, ვინაიდან თავად ოფიციალურად „დამკავებელი“ პირებიც აღიარებენ, რომ ალექსანდრე ელისაშვილის ფაქტობრივი დაკავება მათი მხრიდან არ მომხდარა და სამმართველოში გადაყვანა მათთვის უცნობი პირების მხრიდან მოხდა.

წინადადებაში სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და გენერალურ პროკურატურას კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისკენ მოუწოდა. ასევე აღნიშნა, რომ პოლიციელების მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას ისევე, როგორც განზრახ უკანონო დაკავებას.

3.2.1.6. ლეონიძის ქუჩაზე მომხდარი ძალადობა

2024 წლის გაზაფხულზე არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა და ცალსახად გამოკვეთილი შემთხვევა, ლეონიძის ქუჩაზე ი. წ-ს მიმართ მომხდარი ძალადობის ფაქტი იყო.

2024 წლის 10 მაისს მასობრივი მედიის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია ი. წ-ს მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული ძალადობის თაობაზე. აღნიშნული ეპიზოდი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ გავრცელებულ ვიდეოკადრებში ასახულ ძალადობაში მონაწილე ერთ-ერთი პოლიციელი სახით ჩანდა და იდენტიფიცირებადი იყო.[107]

სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში ასახული ძალადობის შემთხვევაზე განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, ხოლო მოგვიანებით სახალხო დამცველმა მოცემულ სისხლის სამართლის საქმის მასალებზე საგამონაკლისო წვდომა ითხოვა, რაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან ამ შემთხვევაშიც დაკმაყოფილდა.

სისხლის სამართლის საქმეს სახალხო დამცველის რწმუნებული 2024 წლის ნოემბერში გაეცნო და დადგინდა, რომ საქმე ვერ აკმაყოფილებდა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან თანამშრომლობის არარსებობა და პროკურატურის

[107] იხ. < https://www.radiotavisupleba.ge/a/32942057.html >

მხრიდან საჭირო საპროკურორო ჩართულობის არარსებობა მნიშვნელოვნად აზიანებდა გამოძიების პროცესს.

საქმის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ არ იყო ჩატარებული რიგი საგამოძიებო მოქმედებები. მართალია, გამოძიების ფარგლებშივე ძალადობის ეპიზოდი დგინდებოდა (გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში ძალადობა აშკარად იკვეთებოდა), თუმცა არ იყვნენ გამოკითხული პირები, რომლებსაც, შესაძლოა, ჰქონოდათ დამატებითი ინფორმაცია მომხდარი ძალადობისა და პოლიციის თანამშრომლების ვინაობის თაობაზე. ასეთ პირებს შორის იყვნენ ი. წ-სთან ძალადობის დროს მყოფი ორი მეგობარი, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე შემტყობინებელი პირები.

გარდა ამისა, გამოძიების ფარგლებში სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვიდეოკადრებში ასახული პოლიციის თანამშრომლის ვინაობისა და ზუსტი სამუშაო ადგილის, პოზიციისა და თანამდებობის დადგენის მიზნით, შსს-ს აღნიშნული ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოსათვის არ მიუწვდია. ამასთან, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და გენერალურ პროკურატურას არც სხვა გზებისთვის მიუმართავს პოლიციელის ვინაობის დასადგენად. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც აღინიშნა, ი. წ-ზე ძალადობა ერთმნიშვნელოვნად დასტურდებოდა, ი. წ. საქმის ფარგლებში დაზარალებულად არ იყო ცნობილი, ხოლო გამოძიება უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებით მიმდინარეობდა.

საქმის გაცნობის შედეგად, სახალხო დამცველმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და გენერალურ პროკურატურას წინადადებით მიმართა.[108]

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში აშკარა იყო, რომ ი. წ-ს მიმართ არ ხორციელდებოდა რაიმე ლეგიტიმური ძალის გამოყენება, რომელსაც შემდგომ „გადამეტება“ მოჰყვა. ი. წ-ს მიმართ არ ხორციელდებოდა რაიმე იძულების ღონისძიება, არ ხდებოდა მისი დაკავება ან განრიდება. ამდენად, მის მიმართ ადგილი არ ჰქონია უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას, არამედ, ადგილი ჰქონდა თვითნებურ ძალადობას, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემადგენლობას ქმნის.

ამგვარად, სახალხო დამცველმა წინადადებაში მიუთითა, რომ ხსენებული არასათანადო მოპყრობის ეპიზოდის სწორად კვალიფიკაციისათვის, მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი და კვალიფიკაცია მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 -ე მუხლით, რაც დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს და შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლის ირგვლივ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას. წინადადების შედეგად, პროკურატურამ ი. წ.

[108] სახალხო დამცველის 2025 წლის 7 მარტის № 25/1903 წინადადება.

საქმეზე დაზარალებულად ცნო, ხოლო საქმის კვალიფიკაცია არ შეცვალა, მიუთითა, რომ „ამ ეტაპზე არ არსებობს კვალიფიკაციის შეცვლის საჭიროება“.[109]

მნიშვნელოვანია, რომ, ზოგადად, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების გამოძიება, ხშირად, მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების, მათ შორის, ვიდეოჩანაწერების მოპოვების თვალსაზრისით. მაგალითად, პოლიციის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, ხშირად, ვერ ხერხდება სამხრე კამერების ჩანაწერების მოპოვება. მსგავსად, ზოგადად, სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, აგრეთვე, გამოძიების არსებით სირთულებთანაა დაკავშირებული, პირველ რიგში, იმის გამო, რომ სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირები, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურად არაიდენტიფიცირებადი არიან სამსახურებრივი ფორმის (მათ შორის ნიღბის), აგრეთვე, მაიდენტიფიცირებელი ნიშნების არარსებობის პირობებში.

იმის გარდა, რომ ამგვარი მდგომარეობა სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებს ფაქტობრივი დაუსჯელობის გარანტიას უქმნის ძალაუფლების ფაქტობრივად აბსოლუტური მინიჭების გზით, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აფერხებს არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიებას. ხოლო **ისეთ შემთხვევაში, როდესაც არასათანადო მოპყრობა არაერთ ვიდეოკადრშია აღბეჭდილი, სავარაუდო დამნაშავე კი ფიზიკურად იდენტიფიცირებადია, გამოძიებას ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება, მიიღოს ყველა გონივრული ზომა პასუხისმგებლობის გამოსაკვეთად, მსხვერპლის უფლებების აღსადგენად, საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ თანამშრომლებში სავარაუდოდ არსებული ან პოტენციურად გავრცელებადი დაუსჯელობის გარანტიის აღმოსაფხვრელად.**

წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთ ვითარებაშიც კი, როდესაც ხალხმრავალ ადგილას, მრავალი მოწმისა და ვიდეოკამერების თანდასწრებით ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტს არ ახლავს შემხვედრი მყისიერი ზომები და საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო გამოძიებას შედეგად არ მოყვება პასუხისმგებელი პირების გამოვლენა, არამხოლოდ **განსაკუთრებულად საზიანო გავლენას ახდენს საგამოძიებო ორგანოს მიმართ საზოგადოებრივ ნდობაზე,** არამედ, აგრეთვე, დამატებით **აძლიერებს** ძალოვანი სტრუქტურების რიგებში **დაუსჯელობის რწმენას და თვითნებობისა და მომავალი უკანონო ქმედებებისათვის მეტ შესაძლებლობას იძლევა.** მნიშვნელოვანია, რომ კონვენციის მე-3 და საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლებით გარანტირებული **უფლებების აბსოლუტური ხასიათი** არ დარჩეს მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტების ჩანაწერებად და ასახვა რეაგირებაზე პასუხისმგებელი უწყებების მყისიერ და ჯეროვან ქმედებებშიც ჰპოვოს.

[109] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 5 იანვრის №13/18 წერილი.

3.2.2. არასათანადო მოპყრობა ზამთრის აქციებზე

3.2.2.1. ფაქტობრივი გარემოებები და არასათანადო მოპყრობის ფორმები

2024 წლის 28 ნოემბრიდან საზოგადოება მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის მიზნით 100 დღეზე მეტია იკრიბება. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე, როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს 442 პირი, რომელთაგან 267 არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა. განსაკუთრებით პრობლემური იყო აქციების საწყის ეტაპზე პოლიციის მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები. აპარატის მიერ, ტელევიზიების[110] პირდაპირი ეთერით გადაცემული ვიდეო/აუდიო ჩანაწერების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან 3-4 დეკემბრის ღამის ჩათვლით პერიოდში და ასევე, 6-7 დეკემბრის ღამეს შინაგან საქმეთა სამინისტრო მრავალათასიანი მშვიდობიანი საპროტესტო აქციის სრულად დაშლის გადაწყვეტილებას იღებდა მაშინ, როცა აღნიშნულის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ პერიოდში ხდებოდა მომიტინგეების მიმართ არასათანადო მოპყრობა, მათ შორის სავარაუდო წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა გდდ-ს წევრების მხრიდან.

სახალხო დამცველმა არაერთხელ მიუთითა, რომ მშვიდობიანი აქციის მთლიანად დაშლის ლეგიტიმური საფუძველი არ არსებობს ცალკეული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში. ცალკეული კანონსაწინააღმდეგო ქმედების მიმართ დასაშვებია კანონით განსაზღვრული, კონკრეტული, ინდივიდუალური და პროპორციული საშუალებისა თუ ღონისძიების გამოყენება და ეს არცერთ შემთხვევაში არ წარმოშობს მთლიანი აქციისა და მშვიდობიანი მომიტინგეების სრულად დაშლის კანონიერ საფუძველს.

---

[110] იხ. < https://www.youtube.com/watch?v=oK1zn0ASrlQ > < https://www.youtube.com/watch?v=gSg6Sp1tJQ0 > < https://www.youtube.com/watch?v=qnVDmJFdg-s > < https://www.youtube.com/watch?v=L0niuMeKRJE > <https://www.youtube.com/watch?v=Qd1m3ruhAk4> <https://www.youtube.com/watch?v=4N1Fmc-EP-E> <https://www.youtube.com/watch?v=j7K-emaMFAw> <https://www.youtube.com/watch?v=YurG54nhuzg> <https://www.youtube.com/watch?v=Ss4jvwKtiPQ> <https://www.youtube.com/watch?v=c9XYIfNDCnw> <https://www.youtube.com/watch?v=2Sdm2xt0QQw> <https://www.youtube.com/watch?v=nte9TNtHfIE> <https://www.youtube.com/watch?v=RibJhlsph1E> <https://www.youtube.com/watch?v=fNnYw9XMF9g> <https://www.youtube.com/watch?v=JpmUNTKp1M0> <https://www.youtube.com/watch?v=o3wN5kv7AWQ> <https://www.youtube.com/watch?v=EJN14hiN9Xg> <https://www.youtube.com/watch?v=XCf4vLJyK_U> <https://www.youtube.com/watch?v=dp2jriIP5jY> <https://www.youtube.com/watch?v=f0r87Vn9zqw> <https://www.youtube.com/watch?v=FHTYs8vLBp0> <https://www.youtube.com/watch?v=2f_ZLLND_S0> <https://www.youtube.com/watch?v=MJJj626xr2U> <https://www.youtube.com/watch?v=H105k2xHPaA> <https://www.youtube.com/watch?v=CuLaDPxj2Sg> <https://www.youtube.com/watch?v=s8xOmz0TE1Y> <https://www.youtube.com/watch?v=mCX97IeySrM> <https://www.youtube.com/watch?v=dv-aary1X1M> <https://www.youtube.com/watch?v=upPmB6FOBAQ> <https://www.youtube.com/watch?v=e4wPhPgjLjE> <https://www.youtube.com/watch?v=n_ZTrkYvMtc> <https://www.youtube.com/watch?v=tqDLLiMGwnw> <https://www.youtube.com/watch?v=-alyjO3i0Y8> <https://www.youtube.com/watch?v=A7uXXJaX7BI> <https://www.youtube.com/watch?v=leONeLcDUNs> <https://www.youtube.com/watch?v=Q9avY-0mpIY> <https://www.youtube.com/watch?v=mhALX1XiLg4> <https://www.youtube.com/watch?v=ky-O1q0HIEc>

სახალხო დამცველის შეფასებით, 28 ნოემბერს 23:30 საათისთვის, 29 ნოემბერს 02 საათისთვის, 2 დეკემბერს 21:15-22:00 საათამდე და 7 დეკემბერს 00:34 საათისთვის, როცა სამინისტრომ აქციის დაშლა დაიწყო, აქცია იყო მშვიდობიანი და არ არსებობდა მისი დაშლის სამართლებრივი საფუძველი.[111]

საგულისხმოა, რომ 2024 წლის გაზაფხულის აქციებზე დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის მეთოდები და ხერხები განმეორდა შემოდგომა-ზამთრის აქციების დროსაც, თუმცა უფრო მასშტაბურად და ინტენსიურად.



აუცილებელია აღინიშნოს, რომ აპარატის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან 3-4 დეკემბრის ღამის ჩათვლით და 6-7 დეკემბრის ღამეს მშვიდობიანი საპროტესტო აქციების უკანონო დაშლის პროცესში, ასევე, 2025 წლის 2 თებერვალს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრების მხრიდან სავარაუდო

[111]იხ. < https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-mimdinare-saprotesto-aktsiebtan-dakavshirebit> <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsveli-tbilisshi-mimdinare-aktsias-tvals-adevnebs > <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-moutsodebs-shss-s-ar-gamoiqenos-spetsialuri-sashualebebi-mshvidobiani-shekrebis-monatsileta-mimart> < https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-rustavelis-gamzirze-mimdinare-aktsiis-dashlastan-dakavshirebit >

წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას დაექვემდებარა თითქმის ყველა დაკავებული. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 4 და 5 დეკემბერს და ასევე, 7 დეკემბრის შემდეგ პერიოდში, როცა არ მომხდარა აქციების დაშლა, მოქალაქეებს აკავებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფების წარმომადგენლები და შესაბამისად, 5 და 6 დეკემბერს, ასევე, 7 დეკემბრის შემდეგ პერიოდში აპარატის წარმომადგენლების მიერ მონახულებული პირები არასათანადო მოპყრობაზეც შედარებით იშვიათად მიუთითებდნენ.

სახალხო დამცველი აქციების მიმდინარეობისას საჯარო განცხადებებით არაერთხელ გამოეხმაურა არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, მოუწოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და პროკურატურას ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისა და ყველა დამნაშავის გამოვლენისა და დასჯისკენ:

- 29 ნოემბერს[112] - სახალხო დამცველმა შეშფოთება გამოთქვა მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის და მიზანმიმართული დევნის დანაშაულებრივი ქმედებების, სპეციალური საშუალებების უსაფუძვლო გამოყენების ფაქტებზე. ასევე, მიუთითა, რომ **სპეც. რაზმის მხრიდან გამოხატული დანაშაულებრივი ქმედებები სავარაუდოდ წახალისებულია იმით, რომ ისინი სარგებლობენ ფაქტობრივი დაუსჯელობის გარანტიებით, რაც განპირობებულია მათი საიდენტიფიკაციო ნიშნებისა და სამხრე კამერებით აღჭურვის ვალდებულების არარსებობით, წინა აქციების დროს მოძალადე პირების დაუსჯელობითა და სხვა;**
- 30 ნოემბერს[113] - **სახალხო დამცველმა იზოლატორში პირადად მოინახულა დაკავებული აქციის მონაწილეები და განაცხადა: „რაც ვნახე, არის სიმხეცე, რომელსაც გამართლება არ აქვს!“** კვლავ მოუწოდა ეფექტიანი გამოძიებისკენ და დასძინა, რომ **„ასეთი საქმეების გამოძიების დაყოვნებამ მოიტანა ის, რომ აქციებზე წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი ადამიანი ხდება ძალადობის მსხვერპლი“**;
- 30 ნოემბერს[114] - სამართალდამცველები განურჩევლად ყველას მიმართ იყენებდნენ სპეციალურ საშუალებებს, აკავებდნენ ნებისმიერ მოქალაქეს ვისაც ფიზიკურად მისწვდებოდნენ, ახორციელებდნენ მათ დევნას შეკრების ძირითადი ლოკაციიდან დაშორებით კერძო ობიექტებშიც კი, ჯგუფურად და მრავალჯერადად ძალადობდნენ დაკავებულებზე და მიზანმიმართულად თავს ესხმოდნენ ჟურნალისტებს. **მშვიდობიანი დემონსტრანტების, ჟურნალისტებისა და დაკავებულების მიმართ ადგილი ჰქონდა აბსოლუტური უფლების - წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის დარღვევას. შემაშფოთებელია, რომ ბოლო პერიოდში კონვენციის საწინააღმდეგო პრაქტიკის სახით მკვიდრდება საპროტესტო აქციების დაშლისას**

---

[112] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-28-29-noembris-aktsiis-dashlis-shesakheb> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[113] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-aktsiaze-dakavebulta-shesakheb> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[114] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-29-30-noembris-aktsiis-dashlis-shesakheb> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

მოქალაქეების მიმართ არასათანადო მოპყრობის მასშტაბური და განმეორებადი ხასიათის ფაქტები. განსაკუთრებით შემაშფოთებელია გავრცელებული ვიდეო ჩანაწერები, სადაც ასახულია დაკავებულების მიმართ სამართალდამცავების მიერ ჩადენილი ჯგუფური ძალადობის ფორმები, მეთოდები და გამოვლენილი სისასტიკის ხარისხი;

- 1 დეკემბერს[115] - საგანგაშოდ შეფასდა, რომ დაკავებული პირები მიუთითებენ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების მხრიდან მიზანმიმართულ ანგარიშსწორებაზე. მათი ნაწილის გადმოცემით, ალყაში მოაქციეს, არ აძლევდნენ გარიდების შესაძლებლობას, რა დროსაც სამართალდამცავები განურჩევლად ურტყამდნენ აქციის მონაწილეებს. არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ არამხოლოდ უშუალოდ დაკავების მომენტში, არამედ, შემდგომშიც - ავტომობილში ყოფნის დროს;
- 2 დეკემბერს[116] - 13:00 საათისთვის **მონახულებული პირების 80% პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა. როდესაც კონკრეტული სამართალდამცველები არ ისჯებიან ასეთი ქმედებისთვის, ყოველ ჯერზე აქციის დაშლა სულ უფრო და უფრო მეტი სისასტიკით ხორციელდება;**
- 3 დეკემბერს[117] - **მოქალაქეებს მძიმე დაზიანებები, უმრავლეს შემთხვევაში, სახის, თვალის და თავის მიდამოში აქვთ მიღებული, რაც იმთავითვე პრაქტიკულად გამორიცხავს იმის ალბათობასაც კი, რომ პოლიცია, ყველა ჯერზე, მათ მიმართ საჭირო, პროპორციულ ძალას იყენებდა. დაზიანებების ლოკაცია, ხასიათი, ხარისხი სარწმუნო წარმოდგენას ქმნის იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიცია დასჯის მიზნით იყენებს მოქალაქეების მიმართ ძალადობრივ მეთოდებს. დასჯის მიზნით განზრახი, მძიმე ძალადობა წამების ქმედებას წარმოადგენს;**
- 3 თებერვალს[118] - **საგანგაშოა, რომ თითქმის ყველა დაკავებული, მიუთითებს სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. „სამწუხაროდ, ისევე, როგორც წინა აქციების დროს, პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტება ჩვეულ მოვლენად იქცა და ის ფაქტი, რომ 25 დაკავებულიდან 22 ფიზიკურ ძალადობაზე მიუთითებს, საგანგაშო სტატისტიკაა."[119]**

---

[115] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-rtsmunebulebi-aktsiebze-dakavebuli-da-dazianebuli-mokalakeebis-monakhulebas-agrdzeleben> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[116] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-aktsiebze-mimdinare-dakavebebsa-da-dakavebulta-mimarta-araproportsiuli-dzalis-gamoqenebastan-dakavshirebit> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[117] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/241203081257sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[118] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/250203042524sakhalkho-damtsvelis-rtsmunebulebma-dakavebulebi-moinakhules> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[119] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-aktsiaze-dakavebuli-pirebi-moinakhula> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.}

ტელევიზიების პირდაპირი ეთერით გავრცელებულ ვიდეო/აუდიო ჩანაწერების მიხედვით, აქციების გარკვეულ დღეებში, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, აქციის დაშლის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებდა წყლის ჭავლს, წიწაკის სპრეის და ცრემლსადენ გაზს განურჩევლად ყველას მიმართ, მშვიდობიან მომიტინგეებს აკავებდნენ განურჩევლად ყველა ლოკაციაზე, სადაც მიწვდებოდნენ. აქციების დაშლის პროცესში გდდ-ს მხრიდან არასათანადო მოპყრობას ჰქონდა სისტემური და მასშტაბური ხასიათი. მათ შორის, აგრესიით გამოირჩეოდნენ ჟურნალისტების მიმართ.

არასათანადო მოპყრობის, რომელიც მოიცავს წამებას, წამების მუქარას, არაადამიანურ და დამამცირებელი მოპყრობას, სისტემურობაზე მეტყველებს რამდენიმე გარემოება: რამდენიმე ათეული მსხვერპლი, რომელიც მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის მსგავს მეთოდებზე, ხერხებსა და ფორმებზე მიუთითებს. მათი მონათხრობიდან იკვეთება გდდ-ს ქმედებებისთვის დამახასიათებელი ერთგვაროვანი ხელწერა. კერძოდ, დაკავებულები აღნიშნავდნენ, რომ დაკავებისას ძირს აგდებდნენ (მათ შორის, დარტყმით), დაგდებულს/წაქცეულს წრეში აქცევდნენ, ე.წ. „დერეფნებში“ ატარებდნენ, რა დროსაც ჯგუფურად, ხელებით და ფეხებით მრავალჯერად ძალადობდნენ, მიკრო ავტობუსებში სვამდნენ, სადაც სასტიკი ძალადობა გრძელდებოდა, მიზანმიმართულად დაზიანებებს აყენებდნენ სახისა და თავის არეში, რაც ხშირ შემთხვევაში მსხვერპლებს ვიზუალურადაც ემჩნეოდათ. ეს გარემოებები შეიძლება მიუთითებდეს, რომ არასათანადო მოპყრობის ერთნაირი მეთოდები წინასწარ იყო შემუშავებული.

არასათანადო მოპყრობის ამსრულებლებად მსხვერპლები ძირითადად და უმეტეს შემთხვევაში სწორედ სპეც. რაზმელებს ასახლებდნენ, ხოლო სხვა დანაყოფების მიერ ძალადობაზე დაკავებულები შედარებით იშვიათად მიუთითებდნენ.

საგულისხმოა, რომ სპეც. რაზმი არასათანადო მოპყრობის განხორციელებას არ ერიდებოდა საჯაროდ და მეტიც - მასმედიის და ვიდეო კამერების წინაშე არაერთი სასტიკი მოპყრობის ფაქტი დაფიქსირდა და აღიბეჭდა ჩანაწერებზე. არასათანადო მოპყრობის სისტემური ხასიათის წარმოსაჩენად ცალკე ყურადღებას იმსახურებს სპეც. რაზმის **მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ვალდებულების არქონა,** რაც ნების არსებობის შემთხვევაში, განსაკუთრებული ძალისხმევისა და ზედმეტი რესურსის გარეშე მარტივად მიიღწევა. ამასთან, წინარე პერიოდში, გაზაფხულის აქციების დროს ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება და მთელი წლის განმავლობაში (2024 წლის გაზაფხულსა და ზამთარში) ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე **ბრალდებული სამართალდამცველის არარსებობა მათ ფაქტობრივ დაუსჯელობას განაპირობებს.** ამ ყველაფრის ფონზე კი - სასამართლოების მიერ მსხვერპლების სამართალდამრღვევებად გამოცხადება ხდებოდა.

3.2.2.2. სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია

საგულისხმოა, რომ აქციის რამდენიმე ასეული მონაწილე დაკავებული იყო ადმინისტრაციული წესით პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის

(ასევე, წვრილმანი ხულიგნობის) საბაბით. შესაბამისად, მათი მხრიდან პოლიციისთვის ფიზიკური წინააღმდეგობა[120] თეორიულადაც გამოირიცხება და სწორედ ამიტომ მათ მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების საფუძველი ჰიპოთეტურადაც კი არ არსებობდა.

დაკავებულების გადმოცემით, არასათანადო მოპყრობას ახორციელებდნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრები (მათ მოიხსენიებდნენ სპეც. რაზმელებად, რობოკოპებად, შავნიღბიანებად და ა.შ.).

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მონახულებული დაკავებულები მიუთითებდნენ, რომ გდდ-ს წევრები ურტყამდნენ ჯგუფურად, მათ შორის, 3-15 პირის ჩათვლით და ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. მსხვერპლების გადმოცემით, მათ ურტყამდნენ წიხლებს, ხელებს, ფეხებს, მუშტებს, ხელკეტებს, ფარს, ჩაფხუტს სხეულის სხვადასხვა არეში: სახის, თავის, კეფის, თვალის, ყურის, ყბის, კბილების, ნეკნების, წელის, ზურგის მუცლის, გულმკერდის, კოჭების არეში. დაკავებულებს დაზიანებები თვალხილულად ძირითადად თავისა და სახის არეში აღენიშნებოდათ. დაკავებულები აღნიშნავდნენ სახეში ხელკეტის დარტყმის, თვალში წიხლის ჩარტყმის, მუშტის ცხვირში ამორტყმის, ხოლო დამცირების მიზნით ფეხის საჯდომის არეში ამორტყმის შესახებ. რამდენიმე დაკავებული მიუთითებს, რომ მომიტინგეებს შემოარტყეს ალყა და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ხოლო რამდენიმე დაკავებული აღნიშნავს, რომ ახლო მანძილიდან შეასხურეს წიწაკის სპრეი, მათ შორის, სახეში.

რამდენიმე დაკავებული კაცი მიუთითებდა გდდ-ს წევრების მხრიდან ხელკეტით გაუპატიურების მუქარის შესახებ.

დაკავებულების განმარტების მიხედვით, გდდ-ს მწკრივებად განლაგებული წევრებისგან მოწყობილი იყო ერთგვარი დერეფანი, სადაც ატარებდნენ დაკავებულებს და ყველა სპეცრაზმელი ჯგუფურად ურტყამდა ხელებს, ფეხებს სახის, თავის, გვერდების არეში. ასევე, დერეფანში გავლისას აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცყოფას.

დაკავებულების განმარტებით, გდდ-ს წევრები დაკავებულებს ფიზიკურად ჯგუფურად და სასტიკად უსწორდებოდნენ მიკროავტობუსებშიც: ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს. მიკროავტობუსში ყოველი ახალი დაკავებულის შეყვანისას ყველას ცემდნენ და ეს რამდენჯერმე მეორდებოდა. გარდა ამისა, რამდენიმე დაკავებული აღნიშნავს, რომ მიკრო **ავტობუსში შეასხეს წიწაკის სპრეი და კარი დაუხურეს.**

დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მომიტინგეები მიუთითებდნენ ახლო ნათესავების ერთმანეთის წინ ცემის შესახებ (მაგ., ძმის თვალწინ ძმის ცემა, მამის თვალწინ არასრულწლოვანი შვილის ცემა და სხვა).

ძალადობის სასტიკი ფორმების გამოყენებაზე მიუთითებენ პოლიტიკური მოტივითაც.

---

[120] პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს.

რამდენიმე პირი მიუთითებდა საყურის ყურიდან ჩამოგლეჯის შესახებ.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრების მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე მიუთითებდნენ მომიტინგეები და დაკავებულები მათი პროფესიის, ასაკის, სქესის განურჩევლად, კერძოდ, ჟურნალისტი, ექიმი, იურისტი/ადვოკატი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ბალერინა, პოეტი, მსახიობი, ყოფილი სამხედრო (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი), შშმპ, ქალი, არასრულწლოვანი.

მაგალითად, კლინიკაში მოთავსებული შშმ პირი მიუთითებდა, რომ ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს ტანის და სახის არეში და ვიზუალურადაც აღენიშნებოდა დაზიანებები თავის და სახის არეში.

დაკავებულები აღნიშნავდნენ, რომ დააგდეს ძირს. ერთ-ერთი მათგანის თქმით, და შეიყვანეს მოფარებულ ადგილას, ავტომანქანებს შორის, ხელებით და ფეხებით ცემეს სპეც. რაზმელებმა, ჰქონდა შოკი და ვერ ამჩნევდა, თუ სად ხვდებოდა დარტყმები, გაატარეს რობოკოპების დერეფანში, რა დროსაც ყველა ურტყამდა ხელებს და ფეხებს. სხვა დაკავებულის თქმით, მასზე დაახლოებით 10 წუთი ძალადობდნენ, სისხლი წამოუვიდა, რა დროსაც ერთ-ერთმა თქვა, რომ აღარ უნდოდა, ხოლო მეორე შეეპასუხა, რა აღარ უნდოდა და გააგრძელეს ცემა. კიდევ ერთი დაკავებული აცხადებს, რომ დაახლოებით 15 წუთი ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს, ფეხი ან მუხლი ამოარტყეს ცხვირში.

ერთ-ერთი დაკავებულის თქმით, მიკრო ავტობუსთან ეგდო დაკავებული მოქალაქე, რომლის შესახებ უთხრა, რომ შეეძლო დახმარებოდა, რადგან თვითონ ექიმი იყო, თუმცა სპეცრაზმელებმა ამის საშუალება არ მისცეს. აიყვანეს მიკროავტობუსში, სადაც 4 პირი იმყოფებოდა და ცემეს: სახეში დაარტყეს მუშტი და ეკითხებოდნენ კიდევ მივიდოდა თუ არა აქციაზე. ხოლო როცა ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა დაინახა დაკავებულის თავდაცვითი პოზიცია, როცა სახეზე ხელებს იფარებდა, უთხრა: „რა ბოქსის პოზაში დამიდექი“ და ცემეს. როცა სახეზე ხელებს იფარდებდა ნეკნებში ურტყამდნენ და ერთი პერიოდი დარტყმებისგან სუნთქვაც შეეკრა. შუალედებში სხვა დაკავებულებს ცემდნენ და ამასთან რწმუნდებოდნენ, რომ ტელეფონები ჩამორთმეული ჰქონოდათ.

სხვა დაკავებული აცხადებდა, რომ როცა მიკრო ავტობუსისკენ წაიყვანეს, ერთმა ნიღბიანმა დანარჩენებს დაავალა „დაემუშავებინათ“, რის შემდეგ 4 ადამიანი ფიზიკურად გაუსწორდა. ერთ-ერთი დაკავებულის თქმით, ხელები აწეული ჰქონდა იმის ნიშნად, რომ წინააღმდეგობას არ უწევდა, თუმცა გადაუგრიხეს ხელები და სიარულისას დაკავებულს უკან წიხლებს ურტყამდნენ.

2025 წლის 2 თებერვლის აქციაზე დაკავებულები მიუთითებდნენ გდდ-ს მხრიდან განხორციელებული ძალადობის თაობაზე. მათი თქმით, გდდ-ს ხელმძღვანელმა დაიწყო მოქალაქეთა გინება, ხოლო სპეც. რაზმმა - დაკავებები. ერთ-ერთი პირი აცხადებდა, რომ ხსენებული პირი სპეც. რაზმელებს აძლევდა მითითებებს ეცემათ დაკავებულები.

დაკავებულები აღწერდნენ არასათანადო მოპყრობის იმავე მეთოდებს, რასაც გდდ 2024 წლის გაზაფხულისა და ზამთრის აქციების დაშლის პროცესში იყენებდა.

არასათანადო მოპყრობას სისტემური ხასიათი ჰქონდა გდდ-ს მხრიდან. თუმცა, დაფიქსირდა სამინისტროს სხვა დანაყოფების მხრიდანაც არასათანადო მოპყრობაზე საჩივრები.

სისხლის სამართლის წესით დაკავებულებიდან ერთი ბრალდებული მიუთითებდა პოლიციის განყოფილებაში ფიზიკური ძალადობის შესახებ, ხოლო სხვა ბრალდებული მიუთითებდა ნარკოტიკების ე.წ. ჩადების თაობაზე, პოლიციის შენობაში გაშიშვლებასა და ბუქნების გაკეთებაზე.

ადმინისტრაციული წესით დაკავებული 3 პირი მიუთითებდა პოლიციის განყოფილების შენობაში, შესასვლელ სივრცეში, 10-მდე ადამიანის თანდასწრებით სრულად გაშიშვლებაზე და ბუქნების გაკეთებაზე, რაც იყო დამამცირებელი. სხვა პირი მიუთითებდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შენობაში გინებაზე, თხოვდნენ ტელეფონის კოდის მოხსნას, თავში ურტყამდნენ ტელეფონს და ლაზერს.

ბათუმში დაკავებულები მიუთითებდნენ პოლიციის უფროსის მხრიდან სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე, ქალი დაკავებული მიუთითებდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და პოლიციის უფროსის მხრიდან შეფურთხებაზე.[121] არასრულწლოვანი გოგონა მიუთითებდა, რომ პოლიციელმა მოქაჩა თმებით და უხეში ფორმით დაკავეს. თბილისში დაკავებული ქალებიც მიუთითებდნენ პოლიციის მხრიდან ძალადობის თაობაზე. ქალები ასევე, მიუთითებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, დამცინავ და ცინიკურ მოპყრობაზე. სხვა დაკავებული ქალის თქმით, თმაში ჩაავლეს ხელი და ისე შეათრიეს.

3.2.2.3. საჯარო წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია და ვიდეომასალა

საჯაროდ გავრცელებულ კადრებში ჩანს არაერთი არასათანადო მოპყრობის ფაქტი, ასევე არაერთმა პირმა მიუთითა სპეც.რაზმის მხრიდან ძალადობის შესახებ, მათ შორის ქალებმა და არასრულწლოვანმა. მაგალითად:

- ვიდეო ჩანაწერში ასახულია სისასტიკე, სადაც ძირს დაგდებულ ახალგაზრდა ბიჭს ჯერ ერთმა სპეცრაზმელმა ამოარტყა სახეში ქუსლი, ხოლო შემდეგ, მეორემ - დაარტყა ფეხი სახის არეში;[122]
- ვიდეო ჩანაწერში ასევე ასახულია ფაქტი, თუ როგორ დაუნდობლად უსწორდებიან სამართალდამცველების ცოცხალ დერეფანში პოეტ ზვიად რატიანს, რომელსაც

[121] სახალხო დამცველის აპარატმა 2025 წლის 21 იანვრის N25/506 წერილით შინაგან საქმეთა სამინისტროს, რელევანტური ვიდეოჩანაწერების დაარქივებისა და გაცნობის მოთხოვნით, მიმართა. უწყების 2025 წლის 20 თებერვლის NMIA 6 25 00494755 პასუხის შესაბამისად, აპარატის მიერ მოთხოვნილი ვიდეოჩანაწერები სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ იქნა გათხოვილი.

[122] იხ. <https://www.youtube.com/shorts/8wEwR4rR3rQ> <https://www.facebook.com/share/v/19oSsMTXks/>

ჯგუფურად აყენებენ მრავალჯერად დარტყმებს, მათ შორის, თავის არეში და მთელ პერიმეტრზე გადაადგილებისას მის მიმართ ძალადობა გრძელდება;[123]

- არაერთ ვიდეოჩანაწერში ფიქსირდება როგორ ძალადობენ მოქალაქეებზე (აგდებენ ძირს, ათრევენ, ურტყამენ ხელებსა და ფეხებს);[124] ასევე, არაერთი მოქალაქე მიუთითებს მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაზე;[125]
- ერთ-ერთ ვიდეო ჩანაწერში ჩანს, რომ რამდენიმე პირს ხელმძღვანელთან მიყავს დაკავებული, რომლის მიმართულებით გდდ-ს ხელმძღვანელი იქნევს ფეხს და მისი მოძრაობის ტრაექტორიიდან და დაკავებულამდე მცირე მანძილის გათვალისწინებით, რჩება მკაფიო შთაბეჭდილება, რომ დაკავებულს ურტყამს ფეხს სახის ან სხეულის არეში.[126]

3.2.2.4. ვიზუალურად შესამჩნევი დაზიანებები და სპეციალური საშუალებები

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას დმი-ში განთავსებულ დაკავებულებს და კლინიკაში მონახულებულ მომიტინგეებს აღენიშნებოდათ მრავლობითი **დაზიანებები განსაკუთრებით სახის და თავის არეში. არაერთი დაკავებულის ტანსაცმელი ძალადობის შედეგად სისხლიანი იყო. უფრო კონკრეტულად, დაკავებულებსა და პაციენტებს სხვადასხვა სახის დაზიანებები ვიზუალურად აღენიშნებოდათ** სახეზე: თვალების, ლოყის, ტუჩის არეში, თავზე, კეფაზე; ჰქონდათ: ცხვირზე ჭრილობა სისხლის კვალით, შუბლზე წითელი ფერის ნაჭდევი, რომელიც ჰგავდა ფეხსაცმლის კვალს; ყურის ნიჟარა მოშავო-მოლურჯო ფერის, ცხვირი გატეხილი, სახეზე მრავლობითი ნაკაწრები, სახეზე და თვალებზე შეშუპებები და სისხლჩაქცევები, ტუჩები გახეთქილი, ყბა-სახე შეშუპებული, სილურჯეები, ნაჭდევები და სისხლნაჟღენთები, სისხლჩაქცევები, ნაკაწრები, ცხვირის შეშუპება, თვალბუდის არეში ჩალურჯება და სისხლნაჟღენთები, ნაჭდევები და სისხლნაჟღენთები ნიკაპზე, ლოყაზე, ნახეთქი ჭრილობა წარბთან, თავი გატეხილი, ასევე, ღია ჭრილობა თავზე, ნახეთქი ჭრილობა შუბლის არეში, ყვრიმალი შეშუპებული, თვალი შეშუპებული და გაშავებული, ყური შეშუპებული, კისერზე დაზიანებები, წარბზე, შუბლზე, მრავლობითი სისხლნაჟღენთები,

---

[123] იხ. <https://www.youtube.com/shorts/4O6gU2wnr6E> <https://www.radiotavisupleba.ge/a/33224078.html>

[124] მაგ. <https://www.facebook.com/share/v/1AwE7GpKmk/> <https://www.instagram.com/reel/DDINxIXIS2C/?> <https://www.instagram.com/reel/DDIfQGQCerH/?> <https://www.facebook.com/share/v/19cditNStT/> <https://www.facebook.com/share/v/1EJscp8mpH/> <https://www.facebook.com/share/v/14TaPubAMu/> <https://www.facebook.com/share/v/15SDBHEsgk/> <https://www.facebook.com/share/v/15jAJ4s6M5/> <https://www.youtube.com/watch?v=WgypUf-73vA>

[125] მაგ. < https://www.radiotavisupleba.ge/a/33223836.html > < https://www.facebook.com/share/p/14dk5nGaMz/ > < https://www.youtube.com/watch?v=HPTs2wPl7Lg > < https://www.facebook.com/share/p/19p3w3EAPQ/ > <https://www.facebook.com/share/p/1AkdW9eKM5/> < https://www.facebook.com/TVFormula/videos/495065682900768/?rdid=TnDydDG9DK7NFgtx#> <https://www.youtube.com/watch?v=NnamLCRlN1I> <https://www.facebook.com/share/p/14iZMKbRtv/> <https://www.facebook.com/share/v/17moAAqvv6/>

[126] იხ. <https://www.youtube.com/watch?v=cqAC8781qoM> <https://www.youtube.com/shorts/AyVswzXGbto> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

მთლიანი სახე შეშუპებული, სიწითლე და ჩალურჯებები სახეზე, ცხვირზე. დაკავებულებსა და პაციენტებს ჰქონდათ ასევე, ნაჭდევები სხეულის სხვადასხვა ადგილას, ყბის მოტეხილობა, კბილის მოტეხილობა, ერთ-ერთ პირს სახის ძვლის მოტეხილობა, რის გამო ჩაუტარდა ოპერაცია. დაფიქსირდა პრეტენზია სასწრაფო სამედიცინო დახმარების თხოვნის თაობაზე, თუმცა მოქალაქის მტკიცებით, არ გამოიძახეს.

დაკავებულების და კლინიკაში მონახულებული მომიტინგეების თქმით, ისინი განიცდიდნენ ყბის, ფერდის, ფეხის, ბეჭის, ხერხემლის, ნეკნების, წელის, მუხლების, თავის, გულმკერდის ტკივილს; წიწაკის სპრეის მოქმედებისგან ჰქონდათ თვალების წვა; ასევე, ერთ-ერთს უჭირდა გადაადგილება, ეტყობოდა სილურჯეები და ნაკაწრები ხელებსა და ფეხებზე.

სახალხო დამცველის რწმუნებული კლინიკაში ვერ გაესაუბრა 2 პირს, რადგან ექიმის განმარტებით, მათივე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, არ იყო რეკომენდებული პაციენტებთან გასაუბრება. ექიმის განმარტებით, დაკავებულები მიიყვანეს მრავლობითი დაზიანებით და აწუხებდათ ტკივილები სხეულის არეში. გარდა ამისა, სხვა კლინიკაში რწმუნებულები შეხვდნენ მოქალაქეებს, რომლებსაც აღენიშნებოდათ ცხვირის მოტეხილობა, კბილების მოტეხილობა თავის ტვინის შერყევა. სხვადასხვა დროს, კლინიკაში მონახულებული პირებიდან, ერთი მათგანი ვერ გადაადგილდებოდა დამოუკიდებლად, თავი და სახე ჰქონდა შეხვეული და იჯდა ეტლში, ვერ ახერხებდა ქვედა კიდურების მოძრაობას. ასევე, 21 წლის ბიჭს ჩაუტარდა ოპერაცია მრავლობითი დაზიანებით, პაციენტი არ იყო კონტაქტური და იმყოფებოდა ხელოვნურ კომაში რამდენიმე დღე. რამდენიმე დაკავებულს რწმუნებულები ვერ გაესაუბრნენ კლინიკებში მათი ჯანმრთელობის მძიმე მდგომაროების გამო, ხოლო ერთი პირი ისეთ სტრესში იყო, ვერ საუბრობდა გამართულად, პაციენტებს ჰქონდათ დაზიანებები სახის არეში, ასევე, ტვინის შერყევა.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით, სხვადასხვა ქალაქში საპროტესტო აქციებზე დაკავებულებიდან, იზოლატორებში წარდგენისას, შესახლების გარეშე, სამედიცინო დაწესებულებებში რეფერირებული იქნა 19 პირი, რომელთაგან 5 მოქალაქე, გაწეული სამედიცინო მომსახურების შემდეგ მოთავსდა იზოლატორებში. გარდა ამისა, იმავე პერიოდში, საპროტესტო აქციებზე დაკავებული მოქალაქეებიდან, 6 პირი, იზოლატორებში შესახლების შემდგომ, გადაიყვანეს კლინიკაში და სამედიცინო დახმარების მიღების შემდეგ, კვლავ მოთავსდა იზოლატორში. მათი განმარტებით დაზიანება მიიღეს საპროტესტო აქციაზე, ხოლო მათ მიერ დაფიქსირებული ფაქტების შესახებ ინფორმირებული იქნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური.[127]

ფიზიკური ძალადობის გარდა, აქციების დაშლისას შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებდა აქტიურ სპეციალურ საშუალებებს, მათ შორის, წიწაკის სპრეის, არალეტალურ იარაღს - ცრემლსადენ გაზის კაფსულებს, წყლის ჭავლს.

[127] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 6 თებერვლის NMIA42500339214 წერილი.

სახალხო დამცველის აპარატმა[128] მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით. მათ შორის, აპარატი დაინტერესდა რა სახისა და რა ოდენობის სპეციალური საშუალებების (ცრემლსადენი გაზი, ე.წ. წიწაკის სპრეი, არალეტალური იარაღი, ე.წ. რეზინის ტყვიები და სხვა) გამოყენებას ითვალისწინებდა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა, გადაეცა და გამოიყენა სამინისტრომ; რამდენმა თანამშრომელმა, რა დროს, რა ლოკაციაზე, რა სახეობის და რაოდენობის სპეციალური საშუალება გამოიყენა; გაიარა თუ არა შემოწმება/ექსპერტიზა კონკრეტულმა სპეციალურმა საშუალებამ, რა გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე; რა სახის და ტიპის ქიმიური ნივთიერებები იქნა გამოყენებული და რა პროპორციით (მათი შემადგენლობის, კონცენტრაციის, ტექნიკური მახასიათებლებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ შესაბამისი პროტოკოლების/რეგულაციების შესაბამისად); წყლის ჭავლის მანქანები ხასიათდება თუ არა წყალში რაიმე ქიმიურ ნივთიერების შერევის ტექნიკური მახასიათებლით, ხდებოდა თუ არა წყლისა და ქიმიური ნივთიერების შერევა აღნიშნული მანქანებით ან ხდებოდა თუ არა ერთდროულად წყლისა და ქიმიური ნივთიერების გამოტყორცნა; შესწავლილია თუ არა კონკრეტული ქიმიური შემცველობის სპეციალური საშუალებების ადამიანზე ზემოქმედების სახე, ხარისხი, ხანგრძლივობა. აპარატს ხსენებული ინფორმაცია დღემდე არ მიუღია.

3.2.2.5. გამოძიება

კანონმდებლობის შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი არასათანადო მოპყრობის თაობაზე საგამოძიებო ორგანოს ატყობინებს მხოლოდ პირის თანხმობის[129] საფუძველზე. რწმუნებულებთან შეხვედრისას არაერთმა პირმა მიუთითა არასათანადო მოპყრობის შესახებ, თუმცა არ ისურვა სამართლებრივი რეაგირება.

მათ საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინებაზე უარის მიზეზად დაასახელეს გამოძიებისადმი უნდობლობა; ამ ვითარებაში სრულყოფილი გამოძიების შეუძლებლობა; ასევე, აცხადებდნენ, რომ ნიღბიანი დამნაშავეების ამოცნობას ვერ შეძლებდნენ და შესაბამისად, აზრს ვერ ხედავდნენ. რამდენიმე პირმა შურისძიების შიშიც ახსენა.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე ადამიანმა საერთოდ არ ისურვა რწმუნებულებთან გასაუბრება. ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ მისი უფლებების დარღვევის მიუხედავად, არ სურდა საუბარი, რადგან ეშინოდა, რომ ეს მის უსაფრთხოებაზე უარყოფითად აისახებოდა.

დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა დაკავებულები პრეტენზიას არ აცხადებდნენ და აღნიშნეს, რომ არ ახსოვდათ სად და როდის მიიღეს დაზიანება (მაგ. თვალბუდის არეში). ცალკე გამოვყოფთ ერთ-ერთ დაკავებულს, რომელსაც სახეზე მრავლობითი დაზიანება

[128] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 6 დეკემბრის N2024/6973 და 2025 წლის 26 თებერვლის N25/1616 წერილები.
[129] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლ. 20 პუნქტ. 2.

აღენიშნებოდა, სახეზე ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონდა დაზიანების (სისხლჩაქცევების და სილურჯეების) გარეშე და ცხვირი ჰქონდა გახეთქილი, თუმცა აცხადებდა, რომ დაზიანებები დაცემის შედეგად მიიღო, რაც რწმუნებულის შეფასებით, არადამაჯერებელი იყო. რწმუნებული გაესაუბრა იზოლატორის ექიმსაც, რომლის თქმით, ხსენებული პირის შესახებ შეტყობინებას საგამოძიებო ორგანოს გაუგზავნიდა.

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლების ყველა ზემოაღნიშნული განცხადება ცალსახად ადასტურებს, რომ საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვის სურვილის არქონას უმეტესწილად განაპირობებს წინარე პერიოდში განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება და სამართალდამცავების დაუსჯელობის დამკვიდრებული პრაქტიკა.

აუცილებელი და სავალდებულოა, იზოლატორში ახალი დაზიანებებით შესახლებული ყველა დაკავებულის შესახებ, რომელზეც ექიმს არასათანადო მოპყრობის ეჭვი უჩნდება, შეტყობინება გაეგზავნოს საგამოძიებო ორგანოს, მიუხედავად იმისა დაკავებული აფიქსირებს თუ არა პრეტენზიას; საგამოძიებო ორგანომ დაიწყოს გამოძიება და შესთავაზოს მსხვერპლებს დაცვის ღონისძიებები; ასევე, მოახდინოს დამნაშავეთა იდენტიფიცირება და პროკურატურამ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის[130] ინფორმაციით, 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, თბილისში, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის ფაქტებზე, გამოძიება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. გამოიკითხა 343 პირი, დაშავებული 226 პირის მიმართ დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. სამსახური დეტალურად სწავლობს ვიდეო ჩანაწერებს, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა 1400 საათს აღემატება. დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან და სასამართლოდან ხდება მასალების გამოთხოვა და შესწავლა. 52 პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. ასევე, მიმდინარეობს საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებასა და დაშავებულ მოქალაქეთა დაკავებაში მონაწილე სამართალდამცავების გამოკითხვები.

საგამოძიებო ორგანოს ინფორმაციიდან ირკვევა, რომ გამოძიება ზამთრის აქციების დროს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე, გაზაფხულის აქციების მსგავსად, აქაც, **არასწორი, ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით მიმდინარეობს მიუხედავად იმისა, რომ საჯაროდ გავრცელებული ვიდეო ჩანაწერები და მსხვერპლთა მონათხრობი მიუთითებს სავარაუდო წამების, წამების მუქარის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, ასევე ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშეშლის დანაშაულებზე.** ისევე, როგორც 2024 წლის გაზაფხულის აქციების გამოძიების პროცესში,

[130] იხ. <https://sis.gov.ge/media/Statement-of-the-Special-Investigation-Service-on-the-progress-of-the-criminal-cases-initiated-in-November-and-December-2024> [ბოლოს ნანახია: 19.02.2025 წ.]

შემოდგომა-ზამთრის აქციების დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესში **აუცილებელია გამოძიებამ დაადგინოს საპროტესტო აქციის დაშლის მთლიანი სურათი, გადაწყვეტილების მიმღები და ამსრულებელი პირები, სამინისტროს ხელმძღვანელებიდან - რიგით თანამშრომლებამდე, თითოეული მათგანის როლი და ფუნქცია დანაშაულში.** წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოძიება ეფექტიანად ვერ ჩაითვლება.

3.2.2.6. ჟურნალისტები

2024 წლის შემოდგომა-ზამთრის აქციების დროს სამართალდამცველების განსაკუთრებული აგრესიის მსხვერპლები, აქციის მონაწილეების ერთად, გახდნენ ჟურნალისტები.

აქციების დაშლის პირველივე დღიდან სახალხო დამცველმა ცალკე გაამახვილა ყურადღება ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილი ძალადობისა და სისასტიკის ხარისხზე, მათი ტექნიკის სავარაუდო მიზანმიმართული დაზიანების ფაქტებზე, რაც წარმოადგენს ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობის შემცველ ქმედებებს და ხელს უშლის მათ პროფესიულ საქმიანობაში.[131]

სახალხო დამცველის შეფასებით, უფლებადამცველებს მიეკუთვნებიან ჟურნალისტებიც და 2024 წელს განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა მათ მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევის ფაქტებს. აქციების დროს, სამწუხაროდ, არაერთი ჟურნალისტი თუ მედიის წარმომადგენელი დაშავდა, რამდენიმე მათგანი იმყოფებოდა სამედიცინო დაწესებულებაში, მათ საქმიანობის განხორციელებაში შეეშალათ ხელი და მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას და სიცოცხლეს შეექმნა საფრთხე. საჭიროა ყოველი ეს შემთხვევა იქნას გამოძიებული და შესაბამისი პირები მიეცნენ პასუხისგებაში და სახელმწიფომ უზრუნველყოს ჟურნალისტების საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.[132]

ჟურნალისტების მიმართ ადგილი ჰქონდა როგორც არასათანადო მოპყრობას, ასევე, მათ პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას.

აქციების დაშლის პირველივე დღეს გდდ-ს წევრის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა ჟურნალისტი გურამ როგავა, რომელსაც პირდაპირ ეთერში მუშაობის დროს თავს დაესხა სპეც. რაზმელი. საგულისხმოა, რომ თავდასხმამდე მთელი საღამოს განმავლობაში ჟურნალისტი სწორედ სპეცრაზმელების მუშაობას აშუქებდა და აღნიშნავდა, რომ მათ მაიდენტიფიცირებელი ნიშნები არ ჰქონდათ. ვიდეო ჩანაწერში ჩანს, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრი როგორ ურტყამს მუშტს თავში გურამ როგავას.[133]

---

[131] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-28-29-noembris-aktsiis-dashlis-shesakheb> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[132] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-brifingi-mimdinare-movlenebtan-dakavshirebit> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[133] ვიდეოჩანაწერში ჩანს, სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრი როგორ ურტყამს მუშტს თავში გურამ როგავას. სხვადასხვა რაკურსით გადაღებული ვიდეო ჩანაწერში ჩანს, რომ ხსენებული სპეც. რაზმელი ჯერ წაქცეულ მოქალაქეს არტყამს ფეხს, ხოლო შემდეგ გარბის გურამ როგავასკენ და არტყამს მუშტს თავის არეში. კლინიკაში რწმუნებულებთან შეხვედრისას ჟურნალისტმა დაადასტურა მასზე განხორციელებული ძალადობა და

კლინიკაში სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას, სხვა ჟურნალისტმა განმარტა, რომ ჰქონდა ბეიჯი და სამუშაო კამერა და მოულოდნელად, სრულიად უსაფუძვლოდ დააკავეს ნიღბიანმა პოლიციის თანამშრომლებმა. მისი თქმით, დაკავების დროს, ძირს დააგდო დაახლოებით, ათზე მეტმა სამართალდამცველმა, რომლებიც ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს სახისა და სხეულის სხვადასხვა არეში. პაციენტს ვიზუალურად დაზიანებები აღენიშნებოდა სახის არეში, შუბლის, ცხვირის და ყვრიმალების არეში შეშუპებისა და ნაკაწრების სახით. გავრცელებული ინფორმაციით, განხორციელებული ძალადობის შედეგად, საჭირო გახდა მისთვის ცხვირის ოპერაციის ჩატარება.[134]

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას უცხოელი ჟურნალისტის გადმოცემით, საპროტესტო აქციაზე იღებდა კადრებს პირადი ტელეფონით, რა დროსაც, მოულოდნელად, თავის არეში იგრძნო ტკივილი და წამოუვიდა სისხლი. მისივე გადმოცემით, არ დაუნახავს რა მოხდა, ვარაუდობს, რომ დაზიანება მიიღო რეზინის ტყვიის შედეგად.

გარდა ამისა, პირდაპირი რეპორტაჟის დროს, დაშავდა ჟურნალისტი მარიამ გაფრინდაშვილი, რის გამოც საჭირო გახდა მისი კლინიკაში გადაყვანა.[135] სახალხო დამცველის რწმუნებულის რწმუნებულთან კლინიკაში შეხვედრისას მარიამ გაფრინდაშვილი განმარტა, რომ იმყოფებოდა მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე და ახორციელებდა ჟურნალისტურ საქმიანობას, რა დროსაც, მოულოდნელად, მოხვდა თავში გაურკვეველი მყარი საგანი, რის შედეგადაც, დაკარგა გონება და დაეცა ძირს.

2024 წლის შემოდგომა-ზამთრის აქციებზე არაერთი ჟურნალისტი გახდა ფიზიკური თავდასხმის მსხვერპლი. აქციების მიმდინარეობისას, სხვადასხვა დროს მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია და ვიდეო ჩანაწერები ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელების, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების, საქმიანობაში ხელშეშლისა და ტექნიკის დაზიანების თაობაზე; ასევე, დაშავების შესახებ, მათ შორის, ცრემლსადენი გაზის გამოყენების შედეგად.[136]

დამატებით აღნიშნა, რომ ძალადობის განხორციელებამდე, ესმოდა მის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა, გვარით მიმართავდა სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრი. ამასთან, აღნიშნა, რომ რაზმის წევრს, რომელმაც განახორციელა მასზე ძალადობა, ხელში დაუნახა ე. წ. „კასტეტი“. იხ. <https://www.facebook.com/share/r/1AsJL8HhQ3/> <https://www.facebook.com/formulanews.ge/videos/499639319752852> <https://www.facebook.com/share/r/1BWKoLQQmi/> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.] [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[134] იხ. < https://shorturl.at/A8Jtz >

[135] იხ. <https://www.facebook.com/share/v/1GXc4gYThr/> < https://www.facebook.com/share/v/1GXc4gYThr/> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[136] იხ. <https://www.facebook.com/share/v/15fiyRcbEU/> <https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/87658-spetsrazmi-jurnalists-pizikurad-gaustsorda-kedelsmimakhetqa?><https://www.facebook.com/share/p/14QsiNBYtJ/> <https://www.facebook.com/share/p/15F8VCtYwE/> <https://www.facebook.com/share/v/15dfRdF19e/> <https://formulanews.ge/News/120918> <https://www.facebook.com/share/p/1D5drGQ4uF/> <https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/88046-kriminalurma-politsiam-tv-pirvelis-kamera-daamtvria-shavrazmelebma-idzalades?> <https://www.facebook.com/share/v/1AY4gXxViF/> <https://www.facebook.com/share/p/1B9yYxhhNZ/> <https://www.facebook.com/share/v/15qR2481P4/> <https://www.facebook.com/share/v/15MzX8hvbF/>

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ არცერთ დანაშაულებრივ ფაქტზე გამოვლენილი და დასჯილი არ არის შესაბამისი დამნაშავე.

3.2.3. სისხლის სამართლის საქმის კვალიფიკაცია - უფლებამოსილების ძალადობით გადამეტება წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვის აბსოლუტური უფლება[137] ავალდებულებს სახელმწიფოს ეფექტიანი გამოძიების წარმოებას.

„წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ქმედება ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა **მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი მდუმარე თანხმობით.**[138] ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია თავიდან აიცილოს **სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის** სხვა აქტები, რომელიც არ არის წამების ტოლფასი და ჩადენილია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან მისი ნებართვით, ან მისი მდუმარე თანხმობით.[139]

კონვენციის მე-3 მუხლის სფეროში მოქცევისთვის მოპყრობამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა მიაღწიოს. შეფასებისას გაითვალისწინება მოპყრობის შინაარსი, ბუნება, ფორმა, ხანგრძლივობა, ფიზიკური და სულიერი ზიანი, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.[140]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, წამება ხორციელდება კონკრეტული **მიზნით:** ინფორმაციის ან აღიარების მოპოვების ან

<https://www.facebook.com/share/r/18AfzBSU57/> <https://www.facebook.com/share/r/1812rqw5Q2/> <https://www.facebook.com/share/p/1CtXwtDoRe/> <https://www.facebook.com/share/v/19SQfwFfEe/> <https://www.facebook.com/share/v/1716EGXX45/> <https://www.facebook.com/share/p/1ES2A2kEFK/> <https://www.facebook.com/share/v/17yNAj3qow/> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[137] ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“, მუხლ. 3; გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია“.

[138] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია“ მუხლ. 1.

[139] გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია, მუხ. 16, პუნქტ. 1.

[140] Assenov and others v.Bulgaria, განაცხადი N90/1997/874/1086, 28.10.1998წ. §94; Muršić v. Croatia [GC], განაცხადი N7334/13, 20.10.2016 წ. §97.

დასჯის მიზნით,[141] **წინასწარი განზრახვით** და მსხვერპლში იწვევს **მძიმე და სასტიკ ტანჯვას**[142] და სწორედ „მიყენებული ტანჯვის ინტენსივობის საფუძველზე“[143] ხდება ქმედების წამებად შეფასება. სასამართლო მიუთითებს კონვენციის მე-3 მუხლში არსებულ განსხვავებაზე წამებასა და არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას შორის. წამებისგან განსხვავებით, **არაადამიანურ მოპყრობას კონკრეტული მიზანი არ ახასიათებს** და მისგან მიყენებული **ტკივილის/ტანჯვის ინტენსივობითაც** განსხვავდება.[144] სასამართლო **არაადამიანურად მიიჩნევს** წინასწარი განზრახვით ჩადენილ მოპყრობას, რომელიც სხეულის დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს, **დამამცირებელ მოპყრობად** თვლის ქმედებას, რომელიც შეურაცხყოფს ან ამცირებს პირს, ან აკნინებს მის ღირსებას ან აღძრავს მასში შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც მორალური თუ ფიზიკური გამძლეობის გატეხა შეუძლია.[145]

კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული ქმედებები არასათანადო მოპყრობის ფართო სპექტრს მოიცავს, რაც როგორც წამებას, ისე არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასაც გულისხმობს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღნიშნულ გრადაციას სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლსა და დამამძიმებელ გარემოებაში ითვალისწინებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის თანახმად, წამება არის პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის; იმავე კოდექსის 144[2] მუხლით კი დასჯადია **წამების მუქარა**, რაც წამების დანაშაულის პირობების შექმნის, მოპყრობის ან დასჯის მუქარას მოიაზრებს, განხორციელებული იმავე მიზნით, თუ ეს მუქარა არის რეალური და იმწუთიერი; ხოლო 144[3] მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - **არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა** გულისხმობს პირის დამცირებას ან იძულებას, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

---

[141] Selmouni v. France, განაცხადი N25803/94, 28.07.1999 წ. §98, Virabyan v. Armenia, განაცხადი N40094/05, 02.10.2012 წ. §156; Petrosyan v. Azerbaijan, განაცხადი N32427/16, 04.11.2021 წ. §68.

[142] Ireland v. the UK, განაცხადი N5310/71, 18.01.1978 წ. §167, Virabyan v. Armenia 02.10.2012 წ. განაცხადი N40094/05, §157.

[143] „Ireland v. the UK, განაცხადი N5310/71, 18.01.1978 წ. §167, Selmouni v. France”, განაცხადი N25803/94, 28.07.1999 წ. §97, 100, 104,105.

[144] Ireland v. the UK, განაცხადი N5310/71, 18.01.1978 წ. §167.

[145] Pretty v. the UK, განაცხადი N2346/02, 29.07.2002 წ. §52, Price v. the UK, განაცხადი N33394/96, 10.06.2001 წ. §30; Gäfgen v. Germany [GC], განაცხადი N22978/05, 01.06.2010 წ. §89; M.S.S. v. Belgium and Greece [GC], განაცხადი N30696/09, 21.01.2011 წ. §220.

არასათანადო მოპყრობის ფაქტების სწორი კვალიფიკაციის მნიშვნელობას, პრაქტიკასა და კანონმდებლობაში გამოვლენილ ხარვეზებს სახალხო დამცველმა სპეციალური ანგარიშიც მიუძღვნა.[146] ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმების (სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლები) საკანონმდებლო დეფინიციაში ასახულია საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული კრიმინალიზებული ქმედებები და მსგავსი დანაშაულები სწორედ აღნიშნული მუხლებით უნდა კვალიფიცირდებოდეს და სამოხელეო დანაშაულის ზოგადი/მსუბუქი ნორმებით.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის გაზაფხულსა და ზამთარში თბილისში გამართული შეკრება-მანიფესტაციების მონაწილეთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს. ხსენებული მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს წარმოადგენს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით ან იარაღის გამოყენებით გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

2024 წლის აპრილსა და მაისში, 1-თვიანი საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, ასევე, 2024 წლის ზამთარში, სამართალდამცველების მხრიდან ათეულობით ადამიანის - აქციის მონაწილეებისა და დაკავებულების მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები თავისი ძალადობის ხასიათით, ხარისხით და ინტენსივობით არ წარმოადგენს მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას და აშკარად მიუთითებს, რომ მსხვერპლების მიმართ ადგილი ჰქონდა სავარაუდო წამების (დასჯის მიზნით), არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ქმედებებს. სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას გამორიცხავს და არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებს მსხვერპლების ჩვენებებსა და არაერთ შემთხვევაში - ადასტურებს მასმედიით გავრცელებულ ვიდეო ჩანაწერებში ასახული დანაშაულებრივი ფაქტები, როგორიცაა დაკავებულების შეთრევა სპეცრაზმელების დერეფანში, სადაც მათ ხელებისა და ფეხების მრავალჯერადი დარტყმებით, ჯგუფურად ფიზიკურად უსწორდებოდნენ რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე პერიოდში; ასევე, ფიზიკური ძალადობა, რომელიც გრძელდებოდა პოლიციის მინივენებშიც იმავე მეთოდებით. საგულისხმოა, რომ არასათანადო მოპყრობის განხორციელების პირდაპირ განზრახვაზე ცალსახად მიუთითებს მსხვერპლებისთვის თავის და სახის არეში გამიზნულად მიყენებული დაზიანებებიც.

ხსენებულ ფაქტებზე სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმით გამოძიების დაწყება და წარმოება ვერ შეფასდება კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ვალდებულების შესრულებად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-3 მუხლის დარღვევად შეაფასა სამართალდამცველთა მხრიდან წამების ფაქტების უფლებამოსილების გადამეტებისა

[146] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი", იხ: < https://ombudsman.ge/res/docs/2023081816200941495.pdf >

და სხეულის დაზიანების კვალიფიკაციის შემთხვევები და მიუთითა არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის მიზნით სპეციალურად შექმნილი კანონმდებლობის პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად მისი გამოყენების თაობაზე.[147]

უშუალოდ შეკრება-მანიფესტაციების კონტექსტში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად აფასებს სამართალდამცველების მიერ დემონსტრანტებისთვის ხელკეტების დარტყმებს, ასევე, მათ მიმართ ცრემლსადენი გაზის გამოყენებას;[148] ფიზიკური ძალის გამოყენების შედეგად მნიშვნელოვანი დაზიანებების მიყენებას, რაც არ იყო გამართლებული;[149] პოლიციის მხრიდან მომიტინგეების მიმართ არააუცილებელი ძალის მიზანმიმართულ გამოყენებას დემონსტრაციებში მონაწილეობის გამო, მათ შორის, დარტყმებს რეზინის და/ან პლასტმასით ხელკეტებით საჯაროდ, რასაც რიგ შემთხვევებში თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფას, წარმოადგენდა არასათანადო მოპყრობას, ხოლო რამდენიმე განმცხადებლის შემთხვევაში უთანაბრდებოდა წამებას[150]. წამებად შეფასდა საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობის დროს სკოლაში მყოფი დემონსტრანტების გაურკვეველი და სისტემატური ცემა და აღნიშნულის შედეგად სერიოზული დაზიანებების მიყენება.[151]

საგულისხმოა, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ქართული სასამართლო პრაქტიკის[152] მიხედვითაც, არასათანადო მოპყრობაში მონაწილე ყველა დამნაშავის ქმედება კომპლექსურად, ერთობლიობაში ფასდება და ძირითადი აქცენტი მსხვერპლის მიერ მის მიმართ განხორციელებული მოპყრობის შედეგად განცდილი ტანჯვის აღქმაზე კეთდება. ამასთან, დაზიანების ხარისხი არ არის სავალდებულო ასპექტი, არამედ სისასტიკის ხარისხი.

ამდენად, რომ 2024 გაზაფხულსა და ზამთარში, მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა, დაკავებულთა და ჟურნალისტების მიმართ სამართალდამცველების მხრიდან ადგილი ჰქონდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ხოლო რამდენიმე ადამიანის მიმართ არასათანადო მოპყრობის სისასტიკის ხარისხი მათი დასჯის მიზნით ჩადენილ წამებას უთანაბრდება. შესაბამისად, საჭირო და აუცილებელია გამოძიების სწორი კვალიფიკაციით - სსკ-ის 144[1], 144[2] და 144[3] მუხლებით წარმართვა.

---

[147] Valeriu and Nicolae Roşca v. Moldova, განაცხადი N41704/02, 20.10.2009 წ. §32-33,74-76; Paduret v. Moldova განაცხადი N33134/03, 05.01.2010 წ. §74.

[148] İzci v. Turkey, განაცხადი N42606/05 23.07.2013 წ. §7-8, 75.

[149] Annenkov and others v. Russia, განაცხადი N1475/10, 25.07.2017 წ. პარ. 87, 90-91.

[150] Shmorgunov and others v. Ukraine, განაცხადი N15367/14, 21.01.2021, §§364-374, 392-396, 418-422, 429-433;

151 Cestaro v. Italy, განაცხადი N6884/11, 07.04.2015 წ. პარ. 177-190.

[152] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი", 2023 წ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023081816200941495.pdf> [ბოლოს ნანახია: 28.01.2025 წ.]

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის უშუალო ამსრულებლების მიერ ჩადენილი ფაქტების სწორი კვალიფიკაციით გამოძიების გარდა, მნიშვნელოვანია **სხვა პოლიციელების უმოქმედობით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიებაც.**

გაზაფხულის აქციების საქმის გამოძიების მასალების მიხედვით, პოლიციელთა ჩვენების თანახმად, ისინი იმყოფებოდნენ შეკრება-მანიფესტაციის პროცესში საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით საპოლიციო ღონისძიებაზე, განლაგებული იყვნენ გდდ-ს მწკრივის უკან, ხედავდნენ და ესმოდათ რამდენიმე მეტრის დაშორებით მყოფი პირის მხრიდან სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლინება, მათი დავალებით/თხოვნით და მათ თვალწინ ხდებოდა მოქალაქეების დაკავება, დერეფანში გატარება, მანქანაში განთავსება, **თუმცა ვერცერთი მათგანი ვერ ხედავდა დაკავებულების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.** აღნიშნულის საპირისპიროდ, მსხვერპლების ჩვენებებით, მათ ფიზიკურად სასტიკად უსწორდებოდნენ. დაკავებულების ჩვენებებს ადასტურებს სამედიცინო დოკუმენტებში დაფიქსირებული დაზიანებების კვალი და მასმედიით გავრცელებულ კადრებში ასახული მოქალაქეებზე სპეც. რაზმის მხრიდან განხორციელებული ძალადობის არაერთი ფაქტი. ამდენად, **ხსენებული პოლიციელები უმოქმედობით მონაწილეობდნენ არასათანადო მოპყრობაში და არ აღკვეთდნენ დანაშაულს, მიუხედავად იმისა, რომ ევალებოდათ და შეეძლოთ კიდეც.**

3.3. გაზაფხულის აქციების პარალელურად გამოვლენილი ინდივიდუალური და განმეორებადი დანაშაულებრივი ქმედებები

3.3.1. პოლიტიკური და მოსაზრების ნიშნით დევნა

2024 წლის გაზაფხულის აქციების პარალელურად მასობრივი მედიის საშუალებებით რეგულარულად ვრცელდებოდა ინფორმაცია უცნობი პირების მიერ პოლიტიკურად აქტიური პირებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ჯგუფური თავდასხმების თაობაზე.

მათ შორის, იყო ცნობილი პედაგოგი ლადო აფხაზავა, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ ლანჩხუთში რამდენიმე ადამიანი თავს დაესხა და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული თავდასხმა უკავშირდებოდა მის მიერ საჯაროდ დაფიქსირებულ პოზიციას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით და მის მონაწილეობას საპროტესტო აქციებში. სახალხო დამცველის რწმუნებული ტელეფონის საშუალებით გაესაუბრა ლადო აფხაზავას, რომელმაც დაადასტურა მასზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტი.[153]

[153] განმარტა, რომ 2024 წლის 5 აპრილს, საღამოს საათებში, საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან დახვდა ავტომობილი, რომელშიც იმყოფებოდა მისი უბნელი რამდენიმე პირი. აღნიშნული პირები აყენებდნენ მას

ხსენებულ ფაქტზე გამოძიება შსს-მ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ ძალადობას გულისხმობს. გამოძიების ფარგლებში ორი პირი დაზარალებულად არის ცნობილი, ერთი პირის მიმართ კი სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო.[154] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ დაუწყია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, რაც შეუწყნარებლობის მოტივით, ძალადობით დევნას გულისხმობს.

საპირწონედ, გასათავლისწინებელია, რომ ალექსანდრე ელისაშვილს ბრალი სწორედ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში წარედგინა, რაც ადამიანის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობის ან ძალადობის მუქარით დევნას გულისხმობს. ალექსანდრე ელისაშვილის ბრალდების საქმის მასალებიდან[155] ირკვევა, რომ ალი ბაბაევი (რომელზე თავდასხმას სახელმწიფო ალექსანდრე ელისაშვილს ედავება), მიუთითებს, რომ ალექსანდრე ელისაშვილის მიერ თავდასხმას წინ უძღოდა მისი მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელიც დაკავშირებული იყო მსხვერპლის პოლიტიკურ საქმიანობასთან. საქმეში დევს გენერალური პროკურორის 3 დეკემბრის დადგენილება, სადაც მიუთითებს, რომ მართალია სსკ-ის 156-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულის გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის განსჯადობას განეკუთვნება, თუმცა ვინაიდან გამოძიება დაწყებულია და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, ამიტომ, საქმე შსს-ს უნდა დარჩეს. აღსანიშნავია, რომ გამოძიება 2 დეკემბერს დაიწყო და ამავე დღეს არის გამოკითხული ალი ბაბაევი, რომელიც მიუთითებს, რომ ფიზიკურ ძალადობამდე მის მიმართ ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რომელიც მის პოლიტიკურ კუთვნილებასთან იყო დაკავშირებული. ამდენად, გაუგებარია, რატომ არ მოხდა საქმის მაშინვე სპეციალური საგამოძიებო სამსახურისათვის დაქვემდებარება. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მასალებში არაფერი მიანიშნებს რაიმე გონივრულ და ობიექტურ გარემოებაზე, რომელიც დაარწმუნებდა, რომ საქმის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის არდატოვებით გამოძიებას რაიმე არსებითი შეფერხება შეექმნებოდა.

გაუგებარია, თუკი ერთ შემთხვევაში მსხვერპლის ჩვენებით აღწერილი სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელიც მის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული, რა მიზეზით აღმოჩნდა საკმარისი პოლიტიკური ნიშნით დევნად კვალიფიკაციისათვის მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში ქმედება მხოლოდ ძალადობით დაკვალიფიცირდა და შეუწყნარებლობის ნიშანი, ამგვარად, გამოირიცხა. აქვე,

---

სიტყვიერ შეურაცხყოფას და ეძახდნენ „ნაციონალს“, რის შემდეგაც საბარგულიდან ამოიღეს ხის ჯოხები და ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს მას და მის თანხმლებ პირს, მცირე საოჯახო ტიპის ყოფილ აღსაზრდელს, რომელიც ლადო აფხაზავას მზრუნველობის ქვეშ იყო. აღნიშნულ ფაქტზე რეაგირების მიზნით, ლადო აფხაზავა დაუკავშირდა 112-ს და ადგილზე გამოიძახა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი.

[154] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 მაისის №13/32005 წერილი.

[155] მასალები სახალხო დამცველის აპარატში მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა წარმოადგინა.

მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის ნიშნების მქონე ქმედების სწორი კვალიფიკაციის მიზნებისათვის, **არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, პირი ნამდვილად ატარებს თუ არა იმ ნიშანს, რომელიც, თავდამსხმელის აზრით, მსხვერპლს გააჩნდა. პირის მიმართ გადაკიდება ნიშნის გამო, რომელიც, თავდამსხმელის მოსაზრებით, მას გააჩნია ან მასთან ასოცირდება, საკმარისია დისკრიმინაციის გამოკვეთისთვის.**[156]

მოცემულ შემთხვევაში ბუნდოვანი და, შეიძლება ითქვას, თვითნებური რჩება სახელმწიფოს მიდგომა სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის გამოყენებასთან მიმართებით. **მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით და სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის გამოყენება ხდებოდეს სიტუაციისა და დანაშაულის შემადგენელი ელემენტების შეფასებით, თანმიმდევრული და ერთგვაროვანი განმარტების გამოყენებით.**

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს არათანმიმდევრული მიდგომა და პრობლემატური პრაქტიკა ძალადობით, შეუწყნარებლობის მოტივით დევნის მიმართულებით სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წლის ანგარიშშიც შეაფასა.[157]

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2024 წლის გაზაფხულზე, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანს, დიმიტრი ჩიქოვანს საკუთარ სახლთან უცნობი პირები თავს დაესხნენ და ფიზიკურად სასტიკად გაუსწორდნენ, რის შემდეგაც კლინიკაში გადაიყვანეს.[158] ამავე პუბლიკაციის თანახმად, თავს დაესხნენ, ბაიკერ ლაშა ღვინიანიძესაც, რომელიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ გამართულ აქციებში მონაწილეობდა.

აგრეთვე, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ჭავჭავაძის ცენტრის" მკვლევარს, გია ჯაფარიძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ, რის შედეგადაც მიიღო ფიზიკური დაზიანებები.[159] აგრეთვე, თავს დაესხნენ „გირჩი-მეტი თავისუფლების“ ერთ-ერთ წევრ ბორის ჩელე ყურუას,[160]

---

[156] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი აგრეთვე მოიცავს ასოციაციით დისკრიმინაციას, ანუ იმგვარ შემთხვევას, როდესაც უფლებით დაცული ნიშანი პირმა რამენაირად მსხვერპლთან დააკავშირა. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში მოიცავს ისეთი ძალადობის შემთხვევებსაც, რომელიც ეფუძნებოდა მსხვერპლის ნამდვილ ან აღქმულ კავშირს ან აფილიაციას სხვა ადამიანთან, რომელიც ნამდვილად ან, წინასწარი ვარაუდით, ფლობდა კონკრეტულ სტატუსსა და მახასიათებელ ნიშანს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება „საქმეზე შკორიანეჩი ხორვატიის წინააღმდეგ“, საჩივარი no. 25536/14, პარა. 56.

[157] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 64-70. იხ: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >

[158] იხ. < https://www.interpressnews.ge/ka/article/798632-nacionaluri-mozraobis-inpormaciit-dimitri-chikovani-romelsac-gushin-tavs-daesxnen-kvlav-klinikashi-rcheba >

[159] იხ. < https://www.interpressnews.ge/ka/article/798673-gia-japarize-tvinis-sherqeva-makvs-aseve-bevr-adgilas-dazhezhiloba-es-iqo-lachruli-chasapreba-xelisuplebis-mxridan-organizebuli-magram-amisi-ar-gveshinia >

[160] იხ. < https://www.interpressnews.ge/ka/article/798729-zurab-japarizis-inpormaciit-boris-chele-quruas-pizikurad-gauscordnen >

პარტია „ახალის“ წევრ ნოდარ ჩაჩანიძეს,[161] ოპოზიციონერ აქტივისტ გიორგი მუმლაძეს,[162] სამოქალაქო აქტივისტის ანა სუბელიანის მამას,[163] „დიჯეი“ გიორგი შენგელიას[164] და სხვა.

აგრეთვე, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან თავს დაესხნენ სამოქალაქო აქტივისტს, სტუდენტ ნიკო მანაგაძეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.[165] აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატს მიმართა ნიკოლოზ მანაგაძის ადვოკატმა, რომელიც მიუთითებდა, რომ თვითნებურად ეზღუდებოდა საქმის მასალებზე წვდომა, მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ მანაგაძე საქმეზე დაზარალებულად არის ცნობილი. სახალხო დამცველის აპარატმა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არაერთხელ მიმართა გენერალურ პროკურატურას. დაზარალებულის ადვოკატს საბოლოოდ მიეცა შესაძლებლობა, საქმის მასალებს გაცნობოდა ადგილზე, თუმცა მისივე განმარტებით, დღემდე[166] ეზღუდებათ საქმის მასალების ასლების სახით გაცნობის შესაძლებლობა. გენერალური პროკურატურის წერილის თანახმად, საქმის მასალების ასლების სახით გაცნობის უფლება პროკურორის დადგენილებით შეზღუდული არ არის,[167] თუმცა ასევე პროკურატურა აცხადებს, რომ მასალებს ადვოკატი ადგილზე გაეცნო.[168] ადვოკატი, ამასთან, მიუთითებს გამოძიების არაეფექტიანობასა და სავარაუდო დამნაშავე პირების გამოვლენის მიზნით ჩაუტარებელ საგამოძიებო მოქმედებებზე, თუმცა დოკუმენტაციის შესწავლასა და შეფასების შესაძლებლობას სახალხო დამცველის აპარატი მოკლებულია სწორედ დაზარალებულისათვის საქმის მასალებზე ასლების სახით წვდომის სავარაუდო შეზღუდვის გამო.

მედიაში საჯაროდ გავრცელდა აგრეთვე ინფორმაცია,[169] რომ აქტივისტ ზუკა ბერძენიშვილს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ზუკა ბერძენიშვილი საოპერაციოდ კლინიკაში გადაიყვანეს.[170]

---

[161] იხ. < https://www.interpressnews.ge/ka/article/798730-tavs-daesxnen-axalis-cevr-nodar-chachanizesac >

[162] იხ. <https://tabula.ge/ge/news/717972-mokalake-samkharadzis-mumladzis-tsemashi> < https://www.interpressnews.ge/ka/article/798697-giorgi-mumlaze-otxi-nigbiani-tavs-damesxa-da-umocqalod-cema-damicqo >

[163] იხ. < https://www.interpressnews.ge/ka/article/798910-samokalako-aktivisti-ana-subeliani-acxadebs-rom-mamamiss-tavs-daesxnen-da-pizikurad-gauscordnen > გენერალური პროკურატურის 2024 წლის 24 მაისის N13/33808 წერილის მიხედვით, საქმის ფარგლებში ერთი პირის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 120-ე მუხლით.

[164] იხ. < https://formulanews.ge/News/110874 >

[165] იხ. < https://www.radiotavisupleba.ge/a/32983594.html >

[166] 2025 წლის 18 მარტის მდგომარეობით.

[167] გენერალური პროკურატურის 2025 წლის 6 თებერვლის №13/6531 წერილი.

[168] გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 დეკემბრის N13/81291 და 2024 წლის 7 ნოემბრის N13/72339 წერილები.

[169] იხ. < https://www.interpressnews.ge/ka/article/802885-zuka-berzenishvili-shevqavar-cxviris-operaciaze-kidev-ragac-patara-zvali-aris-gatexili-magram-arc-saoperacioa-da-arc-sashishi >

[170] პროკურატურის 2024 წლის 18 ივნისის №13/39365 წერილის თანახმად, ზურაბ ბერძენიშვილის მიმართ ჯგუფურად განხორციელებული ფიზიკური ძალადობისა და მუქარის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ზურაბ ბერძენიშვილი ცნობილია დაზარალებულად.

აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, ასევე, მიმართა ჟურნალისტების მიმართ სავარაუდო ძალადობის ან/და საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევებზე (IDFI-ის აღმასრულებელი დირექტორისა და ტელეკომპანია „ფორმულას“ გადამღებ ჯგუფზე სავარაუდო თავდასხმის ფაქტზე,[171] გამოძიება ძალადობისა და ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაიწყო.[172]

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2024 წლის 10 მაისს ღამის საათებში „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში გავრცელდა კადრები, რომლებშიც ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, რომ ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილდებოდნენ და ჩასაფრებული იყვნენ საეჭვო პირები, რომლებსაც სახე დაფარული ჰქონდათ, რის გამოც ჟურნალისტები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობდნენ და მყისიერი საფრთხის გასანეიტრალებლად ესაჭიროებოდათ ადგილზე პოლიციის ეკიპაჟის მისვლა. ჟურნალისტის თქმით, აღნიშნული ფაქტი გადაცემული იყო სარეაგირებოდ და 112-ის ცხელ ხაზზე არაერთხელ დარეკვის მიუხედავად, ეკიპაჟი არ გამოცხადდა.

სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ განახორციელა რეაგირება, კომუნიკაცია დაამყარა ტელეკომპანიასთან დეტალების გარკვევის მიზნით და ასევე, მიმართა „112“-ს,[173] რათა მოეპოვებინა დეტალური ინფორმაცია შესული შეტყობინებებისა და რეაგირების შესახებ, თუმცა ეს ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატს „112“-დან ამ დრომდე არ მიეწოდა.

გარდა აღნიშნულისა, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[174] შსს გენერალური ინსპექციის წერილის თანახმად,[175] ჟურნალისტის შეტყობინება, ქვემდებარეობით, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.

ვინაიდან, მოწოდებულ პასუხში არ იყო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ გამოცხადდა ადგილზე საპატრულო ეკიპაჟი, ჟურნალისტების მიერ მყისიერი საფრთხის დაფიქსირების მიუხედავად, სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს.[176] შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ შემთხვევაშიც არ გასცა კითხვას პასუხი.[177]

ამდენად, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციით, ვინაიდან შესული ზარების შინაარსი საგამოძიებო ქვემდებარეობით განეკუთვნებოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს,

[171] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 13 მაისის № 2024/1045 წერილი.
[172] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 23 მაისის SIS 9 24 00009861 წერილი.
[173] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 10 მაისის 2024/1031 წერილი.
[174] სახალხო დამცელის აპარატის 2024 წლის 10 მაისის 2024/1034 წერილი.
[175] შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2024 წლის 20 ივნისის MIA 3 24 01842791 წერილი.
[176] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 23 სექტემბრის 2024/4747 წერილი.
[177] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 02 ოქტომბრის MIA 3 24 03021231 წერილი.

ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის მათ გადაეცათ. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ პასუხობს კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ პირველადი რეაგირების განხორციელების მიზნით, როდესაც ჟურნალისტები თავს საფრთხეში გრძნობდნენ და ითხოვდნენ საპატრულო ეკიპაჟის ადგილზე მისვლას დასახმარებლად, რატომ არ გამოცხადდა ადგილზე ეკიპაჟი.

საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი განეკუთვნება მომხდარი ფაქტის შეფასებისა და დანაშაულის ნიშნების არსებობისას გამოძიების დაწყების ვალდებულებას, თუმცა ის ვერ და არ უნდა ანაცვლებდეს პოლიციის პირდაპირ მოვალეობას (უსაფრთხოების დაცვის ფუნქცია), რომელიც ავალდებულებს მათ, რომ ადგილზე გამოცხადებულიყვნენ და პირველადი რეაგირება განეხორციელებინათ.

რაც შეეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ განხორციელებულ რეაგირებას, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[178] გამოძიება დაიწყო ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ამასთან, აპარატს წარედგინა ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის თაობაზეც.[179]

ასევე, სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ[180], რომლებიც მიუთითებდნენ მათ მიმართ განხორციელებულ დევნასა და შეურაცხყოფებზე, რომელიც უკავშირდებოდა მათ პროფესიულ, საზოგადოებრივ მოღვაწეობას. კერძოდ, სხვადასხვა პირის მიერ, სამუშაო და ზოგ საცხოვრებელ ტერიტორიაზე, ინტენსიურად ხდებოდა შეურაცხმყოფელი წარწერების განთავსება. ასევე, პირად ტელეფონზე და სხვადასხვა აპლიკაციების საშუალებით ხდებოდა არასასურველი კომუნიკაცია. სამივე შემთხვევაზე გამოძიება დაიწყო მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და არა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა.

აპარატმა აგრეთვე შეისწავლა ჯ.ნ-ს განცხადება. ჯ. ნ არის სამოქალაქო აქტივისტი, რომელიც მონაწილეობას იღებდა საპროტესტო აქციებში. მას დაუზიანეს ავტომობილის საბურავები და გაუკეთეს სხვადასხვა შეურაცხმყოფელი წარწერა: „მოღალატე“, „ქათამი“, ა.შ. გამოძიება სსკ-ის 187-ე მუხლით დაიწყო, სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივი კი შეფასების მიღმა დარჩა.

სახალხო დამცველის აპარატს, აგრეთვე, მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარემ. წარმოდგენილი განცხადების თანახმად, 2024 წლის 1 ივნისს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისზე განხორციელდა ჯგუფური თავდასხმა, რა დროსაც დაზიანებულ იქნა პარტიის საკუთრებაში არსებული შენობის პირველი სართულის შემინული ფასადი. დამატებით განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ დანაშაულებრივი

[178] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 11 ივლისის SIS 8 24 00013333 წერილი.
[179] იქვე.
[180] „საფარი“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „ადამიანის უფლებათა სახლი“.

ორგანიზებული ჯგუფის უსაფრთხოებას, სავარაუდოდ, უზრუნველყოფდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომელი.

ზემოხსენებული ინფორმაციით და პოლიტიკური ნიშნით შესაძლო დევნის შესახებ განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიმართა.

უწყებამ სახალხო დამცველის აპარატს მხოლოდ აცნობა, რომ განცხადება, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტს.[181] საქმეზე გამოძიება ქონების ჯგუფურად დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაიწყო.[182]

ამგვარად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა არც ხსენებულ შემთხვევებში გამოკვეთა შესაძლო შეუწყნარებლობის მოტივი, არ დაიწყო გამოძიება დევნის ნიშნებით და მიმართვები შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაამისამართა.

რამდენიმე თვის შემდეგ, ზამთარში, მასობრივი მედია საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია უკვე პოლიტიკური პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერის, გიორგი გახარიას, მიმართ ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ თავდასხმის თაობაზე. გიორგი გახარიას მიადგა დაზიანებები, მათ შორის, ცხვირის ძვლის მოტეხილობა. გავრცელებული ინფორმაციით, ამავე სასტუმროში იგივე პირები თავს დაესხნენ ჟურნალისტსა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წარმომადგენელ ზვიად ქორიძესაც. გამოძიება ამ შემთხვევაშიც სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტრომ და შემდეგ იმავე კვალიფიკაციით გაგრძელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში.[183]

გასათვალისწინებელია, რომ ძალადობა, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, წარმოადგენს პირის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლებით დაცულ სფეროს და სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, რომ აღკვეთოს ძალადობის ფაქტები, ეფექტიანად გამოიძიოს და უზრუნველყოს პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება.

აღნიშნულის გათვალისწინება სისხლისსამართლებრივ კონტექსტში წარმოადგენს როგორც გამოხატვის თავისუფლების უფლებით, აგრეთვე თანასწორობის უფლებითა და ღირსების ხელშეუვალობის პრინციპით ნაგულისხმევ ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება, რომ

[181] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 11 ივლისის SIS 9 24 00013299 წერილი.
[182] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 18 ივნისის MIA 3 24 01811524 წერილი.
[183] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 23 იანვრის MIA 8 25 00188649 წერილი.

გამოიძიონ შესაძლო კავშირი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებსა და ძალადობის აქტებს შორის, კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლებით (წამების აკრძალვა) ნაკისრი პროცედურული ვალდებულებების სფეროში ექცევა, თუმცა კონვენციის მე-14 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) ნაკისრ პასუხისმგებლობაშიც შეიძლება მოვიაზროთ.[184]

დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ სარწმუნო კონტრარგუმენტად ვერ გამოდგება მოსაზრება, რომ ცემა ან ძალადობა ხშირად სწორედ შელაპარაკებას ან მიუღებელი აზრის გამოთქმას ან შეურაცხყოფას მოსდევს, რისი გათვალისწინების პირობებშიც, ყველა ამგვარი შემთხვევა დევნად უნდა დაკვალიფიცირდეს.

აღნიშნულ კონტექსტში გასათვალისწინებელია ქმედების სპონტანური თუ დაგეგმილი ხასიათი, პროვოკაციის არსებობის საკითხი და ნაგულისხმევი შეხედულებისა თუ მოსაზრების ბუნებაც, რომელიც სავარაუდო გადაკიდების ობიექტი გახდა. ამ მიზნებისთვის ხაზი უნდა გაესვას იმგვარ ნიშნებს, რომელიც ადამიანის პიროვნებას, მის იდენტობას ან იდენტობის ფუნდამენტურ ელემენტს უკავშირდება. ამგვარი შეხედულება შეიძლება შეეხებოდეს პოლიტიკურ, რელიგიურ, სოციალურ და საზოგადო ინტერესის მქონე საგნებს. ნაგულისხმევია მოსაზრებები იმგვარ საკითხებზე და მიკუთვნებულობაზე, რომელიც საფუძვლად უდევს თანასწორობის უფლებასა და ამა თუ იმ ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, inter alia იცავს პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებს.[185] სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სპეციალური კვალიფიკაციის არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ ყურადღების გარეშე არ დატოვოს ის გარემოებები და ნიშნები, რის გამოც პირი ძალადობის მსხვერპლი გახდა და რომელთა არარსებობის პირობებშიც, იგი, სავარაუდოდ, ამგვარ თავდასხმას არ დაექვემდებარებოდა.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით გახდეს თანმიმდევრული, გამჭვირვალე და განჭვრეტადი და არ ტოვებდეს ლეგიტიმურ პასუხგაუცემელ კითხვებს სპეციალური მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით.

---

[184] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“, საჩივრები nos. 43577/98 and 43579/98, პარა. 161.

[185] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად

3.3.2. სატელეფონო მუქარები

2024 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების კვალდაკვალ მასიურად ადგილი ჰქონდა საპროტესტო აქციების მონაწილეებისა და აქტივისტების მიმართ უცნობი ნომრებიდან ზარის განხორციელებას, რასაც თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის განცხადებით,[186] **მოქალაქეების მიმართ უცხო ნომრებიდან ხშირი დარეკვის, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისა და შესაძლო მუქარის შემთხვევები და ერთგვაროვანი მეთოდის (ე.წ. Caller ID Spoofing) გამოყენების, სიხშირისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, ატარებდა წინასწარ განსაზღვრულ და ორგანიზებულ ხასიათს. ამასთან, ძირითად შემთხვევაში, სატელეფონო ზარების შინაარსი იყო მუქარის შემცველი და შეურაცხმყოფელი, მიემართებოდა მოქალაქეების, მათ შორის, არასრულწლოვნების დაშინების მცდელობას,** რის გამოც, განცხადების თანახმად, სამსახურმა მითითებულ საკითხთან მიმართებით მიღებული ყველა განცხადება და შეტყობინება, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რეაგირებისა და გამოძიების დაწყების საკითხის გადაწყვეტის მიზნით გადაუგზავნა საქართველოს პროკურატურას.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შინაარსის განცხადებით სახალხო დამცველის აპარატს სამმა პირმა მიმართა,[187] რომელთა დაკავშირებითაც სახალხო დამცველის აპარატმა საგამოძიებო უწყებებს აცნობა. შსს-ში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით მიმდინარეობს, რაც მუქარას გულისხმობს. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქმეზე გამოძიება გრძელდება და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული ჯერ არ არის. [188]

პროკურატურის წერილით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიმართვა, საქართველოს პროკურატურიდან შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქმეზე დაზარალებულად და ბრალდებულად ცნობილი კი არავინ იყო.[189]

3.4. ზამთრის აქციების პარალელურად გამოვლენილი ინდივიდუალური და განმეორებადი უფლებადარღვევები და დანაშაულებრივი ქმედებები

3.4.1. მოძალადე ჯგუფების თავდასხმები

2024 წლის 7 დეკემბერს, პირდაპირ ეთერში მუშაობის დროს, ნიღბიანი კერძო პირები თავს დაესხნენ ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძეს და სასტიკად გაუსწორდნენ ოპერატორ გიორგი

[186] იხ. <https://www.facebook.com/photo/?fbid=431321036195697&set=a.118885740772563>
[187] ნ. ა, ბ. პ და ნ. უ.
[188] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 24 თებერვლის MIA 6 25 00193911 წერილი.
[189] 2025 წლის 25 თებერვლის №13/11484 წერილი.

შეწირულს.[190] გარდა ამისა, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს, რომ შესაძლოა ნიღბებიან და ე.წ. შაოსან დაჯგუფებასთან მიმდებარე ლოკაციაზე იყვნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები.[191] თუმცა მაკა ჩიხლაძის განცხადებით, რეაგირება არ განახორციელეს და შემთხვევის ადგილი დატოვეს.[192]

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის[193] ინფორმაციით, აქტიურად მიმდინარეობს გამოძიება ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის, ჯანმრთელობის დაზიანების და ძარცვის ფაქტებზე; გამოიკითხნენ მოწმეები, ვიდეო ჩანაწერებზე დაინიშნა ჰაბიტოსკოპური ექსპერტიზა; ასევე, დანიშნულია კომპიუტერულ-ტექნიკური, ბიოლოგიურ-გენეტიკური, ტრასოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზები. ხოლო ჟურნალისტი და ოპერატორი დაზარალებულებად ცნეს.

მიუხედავად ამისა, ფაქტიდან თითქმის 4 თვის გასვლის შემდეგად, სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, გამოძიებას არ მოუხდენია დამნაშავეების გამოვლენა.

დეკემბერში, მასმედიით ასევე გავრცელდა ინფორმაცია კერძო პირების/მოძალადე ჯგუფების მიერ მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებზე ძალადობის სხვა ფაქტების თაობაზე, მათ შორის, მაგალითად, პოლიტიკოს კობა ხაბაზზე, მსახიობ გიორგი მახარაძეზე და სხვებზე. [194]

---

[190] იხ. <https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/88430-shaabatis-eteris-jurnalists-maka-chikhladzes-titushkebi-tavsdaeskhnen-> <https://www.facebook.com/share/v/15bpnD88ne/> <https://www.facebook.com/share/v/17oabroN8Q/> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[191] იხ. <https://www.facebook.com/share/v/PUqeV7ZVyqwckZV9/?mibextid=UalRPS> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[192] იხ. < https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/88430-shaabatis-eteris-jurnalists-maka-chikhladzes-titushkebi-tavs-daeskhnen-mdzimed?fbclid=IwY2xjawHBcXtleHRuA2FlbQIxMQABHWiK0-DJ0AuaLL4rjCHtwQYpfgmL1xgMEZ-u0n4r8E16rJmzT7hGV9JrLA_aem_GwKrb2lL-lFSkNRaPGPa_A%20;%20https://fb.watch/wkj1D4W-lg/ >

[193] იხ. <https://sis.gov.ge/media/Statement-of-the-Special-Investigation-Service-on-the-progress-of-the-criminal-cases-initiated-in-November-and-December-2024> [ბოლოს ნანახია: 19.02.2025 წ.]

[194] იხ. < https://www.facebook.com/share/p/1BRJfgtaew/ > < https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/88427-nigbianebi-aqtsiis-monatsileebs-quchebshi-usaprdebian-da-sastikad-ustsordebian?fbclid=IwY2xjawHBZmdleHRuA2FlbQIxMQABHf5_kUikOfKf59eZapPnDvWSbB3ggtf7iuv5AN2MR7zJdKIROSYqy_Z4Gw_aem_1lwV_vAnRio12lUYPK0z9g >
< https://www.facebook.com/share/v/1DNecZ8DS1/ > < https://www.facebook.com/share/p/15NVmpgLe6/ >
< https://www.facebook.com/share/v/19LidZ84R4/ > < https://www.facebook.com/share/v/1DopdGLBNL/ > < https://www.facebook.com/share/p/1XbvDai7kr/?mibextid=WC7FNe > < https://www.facebook.com/share/p/15gQU4ffbi/ > < https://www.facebook.com/share/v/1Wr9nNNDVE/ > < https://www.facebook.com/share/v/1Wr9nNNDVE/ >
< https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/88459-politsiis-magalchinosani-giorgi-pirvelashvili-klinikashi-natsem-aqtivisttan?fbclid=IwY2xjawHBsZlleHRuA2FlbQIxMQABHSNsmMp-H3U4LQT8_0pGeynS3_9tO4IUpBQZj42ZAzC-DVeopPcdGrDyWw_aem_xcCcMHteA9qA4bVf6KDWdQ >
< https://www.youtube.com/watch?v=2GUsoFOlF1g > < https://www.facebook.com/share/v/1BeSbTEp9M/ > < https://www.facebook.com/share/v/14uGPBzPH4/ > < https://www.facebook.com/share/v/1BCzk8FyDD/ > < https://www.facebook.com/share/v/18TBMPHREp/ >
< https://www.facebook.com/share/v/15mgpFSC68/ > < https://www.facebook.com/share/v/1G95AMX3wh/ >
< https://www.facebook.com/share/p/1QWuyt1rw8/ > < https://www.facebook.com/share/v/1XHNYtxnkW/ > <https://www.youtube.com/watch?v=SPQQi1-3o9s> < https://mtavari.tv/news/171885-cin-medga-patruli-30-tipi-dubinkit-mtsemda?fbclid=IwY2xjawHBfJNleHRuA2FlbQIxMQABHXdex3QKQD3LeLnRVI-iVVdQo6akexUkDegDA7FoboOvIAEAOru_4ufkjg_aem_9_N_8K6PFCdyPeyRHwEfwQ > <

გავრცელდა ვიდეო, რომლის თანახმად, მოქალაქეები მიუთითებდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს კონკრეტულ ნიღბიან პირებზე და ეუბნებოდნენ, რომ აღნიშნული პირები ცემდნენ მოქალაქეებს და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. თუმცა, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები შესაბამის რეაგირებას არ ახორციელებდნენ. პოლიცია შეესწრო ასევე მუქარის ფაქტსაც, დაინახა, რომ ხელში ეჭირა ხელკეტი, თუმცა ნაცვლად დაკავებისა ან შეჩერებისა, კადრში ჩანს, რომ პოლიციის თანამშრომელი ნელი სვლით გაყვა მითითებულ პირებს და შემდეგ დაბრუნდა უკან.[195] სხვა ვიდეო ჩანაწერის აღწერაშიც მითითებულია, რომ ცისფერ გალერეასთან აქციის გაშუქებისას, „პუბლიკას" ჟურნალისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ, პოლიციამ კი მოძალადე არ დააკავა. [196] პროკურატურის ინფორმაციით, მოქალაქეებზე ძალადობის კვალიფიკაციით გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო ჟურნალისტებისთვის ხელის შეშლის ფაქტებზე - სპეციალური საგამოძიებო სამსახური.[197]

3.4.2. სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვა უფლებადარღვევები

ფიზიკური ძალადობის გარდა, დაკავებულები მიუთითებდნენ სამართალდამცველების სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ. მომიტინგეების მიმართ გინებით, უცენზურო და შეურაცხმყოფელი სიტყვებით გამოხატული ვერბალური აგრესია დასტურდება სატელევიზიო პირდაპირი ეთერით გავრცელებულ ვიდეო/აუდიო მასალაშიც.[198]

დაკავებულთა თქმით, სამართალდამცველები აგინებდნენ უშვერი სიტყვებით, აყენებდნენ შეურაცხყოფას.

---

https://www.facebook.com/share/v/1B85E8kzAH/ > < https://www.facebook.com/share/v/1APKPeoo3B/ > [ბოლოს [ბოლოს ნანახია: 9.12.2024]

[195] იხ. < https://www.facebook.com/share/v/1B85E8kzAH/ > [ბოლოს ნანახია: 9.12.2024]

[196] იხ. < https://www.facebook.com/share/v/1APKPeoo3B/ > [ბოლოს ნანახია: 9.12.2024][197] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 30 დეკემბრის N13/84641 წერილი.

[197] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 30 დეკემბრის N13/84641 წერილი.

[198] იხ. <https://www.facebook.com/tvpirveli.ge/videos/%EF%B8%8F-%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%90%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C/2758916502073 1888/>
<https://www.youtube.com/watch?v=o0C11ZfiZqs>

გდდ-ს წევრების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფის გარდა, სამინისტროს სხვა დანაყოფების მიერ სიტყვიერ შეურაცხყოფისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის შესახებ მიუთითებდნენ დაკავებულები.

რამდენიმე დაკავებულმა მიუთითა, რომ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები უღებდნენ ვიდეოებსა და ფოტოებს, რომლებსაც უგზავნიდნენ მათთვის უცნობ პირებს, აგზავნიდნენ „ჩატებში."

სხვადასხვა სახის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, მათ შორის, სიტყვიერი შეურაცხყოფის, უფლებების არ განმარტების თაობაზე აპარატმა[199] მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა აპარატს საბოლოო პასუხი დღემდე არ მიუღია.

გარდა ამისა, საჯაროდ გავრცელდა ქალების განცხადებები და ვიდეო ჩანაწერები, სადაც სამართალმდაცველები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ ქალებს, დამამცირებელ მიმართვებს და სიტყვებს იყენებენ მათი მისამართით.[200] 1 ქალი საუბრობდა ასევე პოლიციელების მხრიდან სექსუალური შევიწროვების შესახებ.[201] საჯაროდ ისაუბრა დაკავებულმა ქალმა პოლიციის მხრიდან სექსუალური შინაარსის სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე.[202]

3.4.3. ტელეფონების შემოწმება და პირადი ნივთების ჩამორთმევა/წართმევა

დაკავებულები მიუთითებდნენ, რომ არასათანადო მოპყრობის გარდა, 2024 წლის შემოდგომა-ზამთრის აქციების დროს გდდ-ს წევრების მობილური ტელეფონებისა და სხვა პირადი ნივთების ჩამორთმავა/წართმევასა და პირადი ინფორმაციის დათვალიერება/შემოწმებას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და პროცედურის გარეშე.

საგულისხმოა, რომ ამგვარ პრაქტიკაზე გაზაფხულის აქციების დროს რამდენიმე ადამიანი მიუთითებდა, ხოლო ზამთრის აქციების დროს დაკავებულთა მხრიდან ნივთების ჩამორთმევის თაობაზე პრეტენზიამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

სახალხო დამცველი საჯაროდ რამდენჯერმე გამოეხმაურა ხსენებულ საკითხს და აღნიშნა, რომ დაკავებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირადი ნივთების (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, საფულე მასში განთავსებული ფულადი თანხით და სხვა) ჩამორთმევაზე მიუთითებს, რომელთა შემდგომი ბედი მათთვის უცნობია.[203] სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ასევე, ყურადღება უნდა მიაქციოს

---

[199] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 დეკემბრის N2024/7071, 2024 წლის 10 დეკემბრის N2024/7096 და N2024/7119, 2024 წლის 12 დეკემბრის N2024/7207, 2024 წლის 13 დეკემბრის N2024/7241 და N2024/7245, 2024 წლის 17 დეკემბრის N2024/7319, N2024/7323 N2024/7331, N2024/7344, 2025 წლის 14 იანვრის N25/238, 2025 წლის 20 იანვრის N25/441 და N25/445, 2025 წლის 22 იანვრის N25/537 წერილები.

[200] იხ. <https://www.radiotavisupleba.ge/a/33306780.html>

[201] იხ. <https://www.youtube.com/watch?v=uTRn9myonLU>

[202] იხ. <https://publika.ge/bea-gazdeliani-ganyofilebashi-meubnebodnen-shenze-vicit-striptizs-rom-cekvav-chakhdilio/>

[203] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-rtsmunebulebi-aktsiebze-dakavebuli-da-dazianebuli-mokalakeebis-monakhulebas-agrdzeleben> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

სამართალდამცავთა მხრიდან დაკავებულთა ნივთების დაკარგვის საკითხს, ვინაიდან დაკავებულთა ნაწილი მიუთითებს, რომ პოლიცია დაკავების დროს ჩამორთმეულ ტელეფონებსა და სხვა პირად ნივთებს აღარ უბრუნებს.[204]

დაკავებულები აცხადებდნენ, რომ გდდ-ს წევრებმა ჩამოართვეს/წაართვეს მობილური ტელეფონები, ლეპტოპები, მეხსიერების ბარათი, ყურსასმენები, ბანკის ბარათები, დოკუმენტები, საფულე, ფულადი თანხა, ზურგჩანთები, ქურთუკები, ჰუდი, ფეხსაცმელი, ქუდი, სათვალე, საათი, სმარტ საათი, საყურე, მანქანის და სახლის გასაღებები, ფოტოაპარატი, მოოქროვილი ჯვარცმა და სხვა პირადი ნივთები.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატმა[205] ყველა შემთხვევაში, სადაც დაკავებულები რეაგირების სურვილს გამოთქვამდნენ, მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩამორთმეული ნივთების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით. თუმცა, სამინისტროს აპარატისთვის პასუხი მოცემულ დრომდე არ მიუწოდებია, გარდა ერთი ფაქტისა.[206]

ნივთების ჩამორთმევის გარდა, დაკავებულები მიუთითებდნენ, რომ გდდ-ს წევრები თხოვდნენ ტელეფონის პაროლებს და ტელეფონში არსებულ ინფორმაციასთან წვდომას.[207]

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფების პოლიციელების მხრიდან ტელეფონების იძულებით გახსნის, ასევე, პაროლის მოთხოვნის და ინფორმაციის დათვალიერებისა და ხმოვანი შეტყობინებების მოსმენის თაობაზე მიუთითებდნენ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით დაკავებულებიც.

ამდენად, დაკავებულთა გადმოცემით, დაკავების შემდეგ ტელეფონები და პირადი ნივთები წაართვეს და ტელეფონებში არსებული ინფორმაცია დაათვალიერეს სამართლებრივი საფუძვლის არსებობისა და ხსენებული ფაქტის რაიმე დოკუმენტში დაფიქსირების გარეშე.

---

[204] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-dakavebulebi-moinakhula> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[205] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 დეკემბრის N2024/7028 და N2024/7070, 2024 წლის 10 დეკემბრის N7090 და N2024/7118, 2024 წლის 11 დეკემბრის N2024/7157, N2024/7158 და N2024/7162, 2024 წლის 12 დეკემბრის N7207, 2024 წლის 17 დეკემბრის N2024/7322 და N2024/7323, 2024 წლის 19 დეკემბრის N2024/7411, 2024 წლის 20 დეკემბრის N2024/7455, 2025 წლის 17 იანვრის N25/388 წერილები.

[206] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 22 იანვრის NMIA12500168347 წერილი. მოცემულ საქმეში, ადვოკატი განმარტავდა, რომ დაკავებულს ჩამოართვეს პირადი ნივთები: ნიღაბი, ხელთათმანი, ტყავის საფულე, ფულადი თანხა, ცალი პლასტიკური ბარათები, მართვის მოწმობა, პირადობის მოწმობა, მაჯის საათი, მიკროფონი, სამაჯურები, ჯვრები, მობილური ტელეფონები, ხოლო დმი-დან გათავისუფლების შემდეგ არ დაუბრუნეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხსენებული ნივთები სასამართლოს განჩინების საფუძველზე ამოღებულია და ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, რომლის გამოძიება ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მონაწილეობის სავარაუდო ფაქტზე მიმდინარეობს.

[207] არაერთი დაკავებული ამტკიცებდა, რომ წაართვეს ტელეფონი, მუქარით და იძულებით გაახსნევინეს ტელეფონი, ასევე, აგრესიული მეთოდით აიძულეს კოდის მოხსნა, ხოლო შემდეგ დაათვალიერეს ინფორმაცია, მათ შორის, პირადი მიმოწერა. ერთ-ერთი დაკავებული აღნიშნავდა სამართალდამცავების მხრიდან პლანშეტის გახსნის, ფაილების დათვალიერების თაობაზე. ერთ-ერთი დაკავებულის თქმით, დაჟინებით თხოვდნენ ტელეფონზე პაროლის მოხსნას და სანამ არ მოხსნა, ურტყამდნენ. სხვა დაკავებული აცხადებდა, რომ მიკროავტობუსში ჩამოართვეს ტელეფონი და კოდის თქმაზე უარის მიღების გამო ცემეს და როცა კოდი მოხსნა, ჩაინიშნეს და მიიღეს წვდომა მის ტელეფონში არსებულ ინფორმაციაზე.

აღსანიშნავია, რომ გდდ-ს თანამშრომლებს არ აქვთ უფლებამოსილება ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები[208], მათ შორის, არც ნივთების ამოღება და არც ინფორმაციის გამოთხოვა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით,[209] ნივთების ამოღება დასაშვებია სასამართლოს განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობისას გამომძიებლის დადგენილებით (შემდგომი სასამართლო კონტროლით); ასევე, მობილური ტელეფონიდან და კომპიუტერული მოწყობილობიდან ინფორმაციის გამოთხოვას სჭირდება სასამართლოს განჩინება და სწორედ განჩინების საფუძველზე უნდა ჩაატარონ ხსენებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები უფლებამოსილმა გამომძიებლებმა. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, მობილურ ტელეფონებსა და ლეპტოპებში არსებულ პერსონალურ და პირადი ხასიათის განსაკუთრებით დიდი მოცულობის ინფორმაციასთან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე წვდომა წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის არსებითი ხასიათის დარღვევას. სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატისთვის დღემდე არ მიუწოდებია ინფორმაცია დაკავებულებისთვის ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონების ჩამორთმევის საფუძვლების თაობაზე. ამასთან, სამართალდამცველების მიერ დაკავებულებისთვის ტელეფონებისა და პირადი ნივთების წართმევა/ჩამორთმევისა და ტელეფონებსა და კომპიუტერულ მოწყობილობებში არსებული ინფორმაციის შემოწმება/დათვალიერების თაობაზე დაკავებულთა მიერ გადმოცემული ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს როგორც საკუთრების წინაამდეგ მიმართული დანაშაულის (ძარცვა/ყაჩაღობა), ისე, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის და პერსონალური მონაცემების ხელყოფის (სსკ-ის 157-157[1] მუხლები) დანაშაულის ნიშნებს, თუ კი დადგინდება, რომ ხსნებული ქმედებები სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა. შესაბამისად, საჭიროა, დადგინდეს ხსენებული ნივთების ჩამორთმევის და დათვალიერების საფუძვლები, ადგილსამყოფელი, ფაქტობრივად მპყრობელი პირი/უწყება და დაიწყოს გამოძიება დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში.

3.5. თავისუფლების უფლება

3.5.1. უკანონო დაკავება გაზაფხულის აქციებზე

2024 წლის აპრილსა და მაისში ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს, დაუსაბუთებლად, 48 საათამდე გაუგრძელეს ადმინისტრაციული დაკავების ვადა.[210] 24 საათის გასვლამდე პოლიციამ დმი-ის გაუგზავნა შაბლონური წერილები, სადაც მითითებული იყო, რომ საქმეზე მიმდინარეობს მტკიცებულებების მოპოვება და მიზანშეწონილია დაკავების ვადის კიდევ 24 საათით გაგრძელება. ბევრ წერილში

[208] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის N30 ბრძანება.
[209] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 111-112, 119-120, 136.
[210] დაკავების ვადა 48 საათამდე, საქმის მასალების მიხედვით, მინიმუმ, 70 პირს გაუხანგრძლივდა.

დაკავებულთა სახელი და გვარიც კი არ ეწერა და მხოლოდ პირადი ნომრები იყო მითითებული.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე შემთხვევაში, დმი-ის მიერ შედგენილი ოქმების მიხედვით, იზოლატორის თანამშრომლები ტელეფონზე დაუკავშირდნენ პოლიციელებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ დაკავებულების სასამართლოში იმ დღეს გაყვანა არ იგეგმებოდა, თუმცა მაინც დაეტოვებინათ იზოლატორში და მხოლოდ 48 საათის გასვლის შემდეგ გაეთავისუფლებინათ.

აღსანიშნავია, რომ პირის დაკავება, როგორც თავისუფლების შეზღუდვის ინტენსიური ფორმა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვითნებურად და კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. აღნიშნული ვრცელდება დაკავების ვადის გახანგრძლივებაზეც და იგი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ აშკარა და გამოკვეთილი საჭიროების შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევებში, როდესაც პირი დაკავებული, იდენტიფიცირებული და შემთხვევის ადგილს ფიზიკურად განრიდებულია, ადმინისტრაციულად დაკავებულის სახით იზოლატორში გატარებული აქვს 24 საათი, გაუგებარია, რას ემსახურება დამატებით 24 საათის განმავლობაში დაკავების ვადის გახანგრძლივება. თუ აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება, ამის მიღწევა შესაძლებელია დაკავებულის ხელწერილით გათავისუფლების გზითაც, ხოლო თუ აღნიშნული საფრთხეს შეუქმნის ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების შესრულებას ან/და საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებას, ამგვარ შემთხვევაში ეს მითითებული და **დასაბუთებული უნდა იყოს დაკავების ვადის გახანგრძლივების გადაწყვეტილებით.**

აღნიშნული პრობლემატური პრაქტიკა სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშშიც[211] არის მიმოხილული.

მართალია, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საკითხს არ განიხილავენ,[212] თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკის საგანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე დაკავების და მისი ვადის გაგრძელების საფუძვლების დაუსაბუთებლობა, რის გამოც დაკავება უკანონოდ და თვითნებურად ფასდება. ამიტომ, აუცილებელია საგამოძიებო ორგანომ იმსჯელოს და შეაფასოს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით

[211] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში.

[212] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი გვ. 103-104 <https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> [ბოლოს ნანახია: 06.06.2023 წ.]

გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით დაცული ქმედებისთვის პოლიციელების მიერ დემონსტრანტების ადმინისტრაციული დაკავების როგორც თავდაპირველი საფუძვლების,[213] ისე მისი 48-საათამდე[214] გახანგრძლივების მიზანშეწონილობის საკითხზე. აღსანიშნავია, რომ დაკავების ოქმების მიხედვით, უმრავლეს შემთხვევაში ადმინისტრაციული დაკავების საფუძველად სამართალდარღვევის აღკვეთა იყო მითითებული, ასევე, არაერთ შემთხვევაში პიროვნების დადგენა და სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. შესაბამისად, თუნდაც სავარაუდო სამართალდარღვევის აღკვეთის შემდეგ, აღარ არსებობდა დემონსტრანტების 24 საათით დაკავების და მითუმეტეს, ვადის 48-საათამდე გახანგრძლივების სამართლებრივი საფუძველი. რაც შეეხება პიროვნების დადგენას, ეს საპოლიციო ღონისძიება ამდენად ხანგრძლივ დროს ნამდვილად არ მოითხოვს, არამედ რამდენიმე წუთში შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში გადამოწმება. ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას, რომელიც 1-გვერდიანი დოკუმენტია და შაბლონურად იმეორებს დაკავების ოქმის მონაცემებს, ასევე, მცირე დროის პერიოდი სჭირდება შესავსებად. ყველა ასეთ შემთხვევაში, დაკავების საფუძველი აღარ არსებობს და დაკავება თვითნებურად და უკანონოდ უნდა შეფასდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი დანაშაულად აცხადებს პირის განზრახ უკანონო დაკავებას და დაპატიმრებას. აღნიშნული წარმოადგენს სპეციალურ მუხლს და ჰყავს სპეციალური სუბიექტი, რადგან დაკავება და დაპატიმრება ის სამართლებრივი პროცედურებია, რომლებიც სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის ექსკლუზიურად მინიჭებულ უფლებამოსილებას გულისხმობს. მუხლის დაცვის ობიექტს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს.[215] თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლიც, რომელიც განსაზღვრავს დაკავებისა და დაპატიმრების ლეგიტიმურ საფუძვლებს.

---

[213] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილი: „საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.“

[214] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი: „1. ადმინისტრაციული დაკავების დროს დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარედგინება სასამართლოს. 2. მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადა შეიძლება ერთჯერადად გახანგრძლივდეს არაუმეტეს 24 საათით. ამ შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი წერილობით ასაბუთებს ადმინისტრაციული დაკავების ვადის გახანგრძლივების მიზანშეწონილობას.“

[215] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 13.

სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლი უკანონო დაკავებაში მოიაზრებს დაკავებას იმ პირობებში, როდესაც დამკავებელი პირისათვის ცნობილია დაკავების კანონიერი საფუძვლის არარსებობის შესახებ და, მიუხედავად ამისა, ახორციელებს პირისთვის თავისუფლების შეზღუდვას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს პირის დაკავების საფუძვლებსა და ვადას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, პირის დაკავება **დასაშვებია მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთისთვის ზემოქმედების სხვა ზომების გამოყენების შესაძლებლობა ამოწურულია.** ადმინისტრაციული დაკავება ასევე დასაშვებია პიროვნების დადგენის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის მიზნით, თუ ადგილზე ოქმის შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად.[216] ასევე, მკაცრად დადგენილია **ადმინისტრაციული დაკავების ვადის გაგრძელების საფუძვლებისა და დასაბუთების ვალდებულება.** კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მართალია, დასაშვებად მიიჩნევს ადმინისტრაციულად დაკავებული პირის დაკავების ვადა, 24 საათის გასვლის შემდეგ გაგრძელდეს კიდევ 24 საათით, თუმცა, აქვე აწესებს ვალდებულებას, უფლებამოსილმა ორგანოს შესაბამისმა თანამშრომელმა **წერილობით დაასაბუთოს ადმინისტრაციული დაკავების ვადის კიდევ 24 საათით გახანგრძლივების მიზანშეწონილობა.**[217]

გამოძიების მასალების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაკავებული პირებისთვის ადმინისტრაციული დაკავების ვადის 24 საათით გახანგრძლივებას ასაბუთებდნენ, **თითქოსდა, მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით,** თუმცა **არც ერთ შემთხვევაში არ წარუდგენიათ დროებითი მოთავსების იზოლატორისთვის, რა გარემოებები შეუშლიდა ხელს მტკიცებულებების მოპოვებას დაკავებულის 24 საათის გასვლის შემდეგ გათავისუფლების შემთხვევაში.** აქვე აღსანიშნავია, რომ გამოძიების მასალებში[218] არსებული, თბილისის საქალაქო სასამართლოდან ამოღებული დაკავებულთა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების მასალების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განხორციელებული ჰქონდა მხოლოდ პირის შემოწმება ნასამართლობასა და ადმინისტრაციულ სახდელდადებულობის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, პირის შემოწმება ნასამართლობასა და ადმინისტრაციულ სახდელდადებულობის თაობაზე განხორციელებული იყო არა პირისთვის დაკავების ვადის გახანგრძლივების პერიოდში (საერთო ჯამში 48 საათი), არამედ რამდენიმე დღის შემდეგ,

[216] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 244. ნაწ. 1.
[217] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 247. ნაწ. 2.
[218] სისხლის სამართლის 199160424002 საქმე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სასამართლოსთვის გადაცემის წინ. ხშირ შემთხვევაში, ასევე მოგვიანებით პერიოდში, მათ შორის სასამართლოსთვის საქმის გადაცემის დღეს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებიც. გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაკავებული პირების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე მტკიცებულებად წარდგენილი აქვს ასევე თავად პოლიციის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებები თუ პატაკები, ასევე, სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ პოლიციის თანამშრომლები.

გამოძიებას, ასევე, მოპოვებული აქვს დოკუმენტაცია დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან, სადაც ასევე არის სატელეფონო გასაუბრების ოქმები, რომელთა თანახმადაც, დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელი ტელეფონით უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებელ თანამშრომელს, რომელმაც დაკავებული შეიყვანა დროებითი მოთავსების იზოლატორში, აცნობებს ადმინისტრაციული დაკავების 24 საათიანი ვადის გასვლის თაობაზე და სთხოვს ინფორმაციის მიწოდებას, იგეგმება თუ არა დაკავებულის სასამართლოში გადაყვანა ან/და შემდგომი მოქმედების ინსტრუქციას, გათავისუფლდეს 24 საათის გასვლის შემდეგ დაკავებული თუ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაკავების ვადის 24 საათით გახანგრძლივების მიზანშეწონილობის შესახებ.

გამოძიების მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან ამოღებული ასეთი დოკუმენტაციის თანახმად, რამდენიმე ათეულ შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელმაც დაკავებული შეიყვანა დროებითი მოთავსების იზოლატორში, დროებითი მოთავსების იზოლატორს აწვდის ინფორმაციას, რომ ადმინისტრაციულად დაკავებული პირის სასამართლოში გაყვანა არ იგეგმება, თუმცა, მაინც მიღებულია გადაწყვეტილება, პირს 24 საათით გაუხანგრძლივდეს ადმინისტრაციული დაკავების ვადა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის თანახმად, დაკავებული პირებისთვის ადმინისტრაციული დაკავების ვადის 24 საათით გახანგრძლივების მიზანშეწონილობის საფუძვლად მითითებულია მტკიცებულებათა მოპოვება, აღნიშნული არის მხოლოდ ფორმალური ხასიათის მითითება, ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლისთვის ცნობილია, რომ დაკავების გახანგრძლივება არ წარმოადგენს დაკავების საფუძვლების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას. მას შემდეგ, რაც პირი უკვე 24 საათის განმავლობაში არის დაკავებული, აღარ არსებობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის ან/და პიროვნების დადგენის საჭიროება. აღნიშნული ქმედებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს უკვე განხორციელებული აქვთ. ამასთან, ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლისთვის ცნობილია, რომ

მომდევნო 24 საათის განმავლობაში დაკავებულის სასამართლოში გადაყვანა არ არის დაგეგმილი, გამოირიცხება ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად განხილვა და გადაწყვეტის საფუძვლით ადმინისტრაციული დაკავება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა ან/და მტკიცებულებათა მოპოვების საფუძველით დაკავებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დაკავებული პირების საქმის მასალები შეიცავს პირის დაკავებიდან 48 საათის გასვლიდან დღეების გარკვეული ოდენობის გასვლის შემდეგ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმებსა და მხოლოდ ისეთ მტკიცებულებებსა და ინფორმაციას, რისი მოპოვებისთვის ხელშეშლის ან/და განადგურების შესაძლებლობა მოქალაქეს არ აქვს. კერძოდ, პოლიციელების ახსნა-განმარტებები, პატაკები, სასამართლოს წინაშე პოლიციელის დაკითხვა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზებში დაცული ინფორმაცია. შესაბამისად, დაკავების საფუძვლებიდან გამოირიცხება ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სწორად განხილვის საფუძვლების არსებობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ დაკავებული პირებისთვის დაკავების ვადის კიდევ 24 საათით გახანგრძლივება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლის მიერ განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით, ადმინისტრაციული დაკავების ვადის 24 საათით გახანგრძლივების მიზანშეწონილობის დასაბუთების გარეშე. ამასთან, საქმის მასალებიდან იკვეთება, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლებისთვის ცნობილი იყო პირის მიმართ ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების (გახანგრძლივების) საფუძვლების არარსებობის შესახებ, მათ მაინც მიიღეს დაკავებული პირების მიმართ ადმინისტრაციული დაკავების ვადის კიდევ 24 საათით გახანგრძლივების შესახებ გადაწყვეტილება და, შესაბამისად, კიდევ 24 საათის განმავლობაში უსაფუძვლოდ შეუზღუდეს თავისუფლება 70-მდე პირს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ქმედებებში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები (განზრახ უკანონო დაკავება), რისი გამოძიების საჭიროებაზე სახალხო დამცველმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და გენერალური პროკურატურისთვის გაგზავნილ წინადადებაში მიუთითა.

3.5.2. უსაფუძვლო დაკავებები ზამთრის აქციებზე

გასული წლებისა და გაზაფხულის აქციების მსგავსად მსგავსად, როცა სამინისტრო აქციის დაშლის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა, 2024 წლის ზამთრის აქციებზე დაკავებული მომიტინგეებიც აღნიშნავდნენ, რომ მათ ფაქტობრივად აკავებდნენ გდდ-ს წევრები, ხოლო შემდეგ გადასცემდნენ საპატრულო პოლიციას.

რწმუნებულებთან შეხვედრისას რამდენიმე დაკავებული მიუთითებდა, რომ დაკავების შემდეგ სამართალდამცველების 3 სხვადასხვა ჯგუფთან ჰქონდა შემხებლობა: პირველი, ვინც დააკავა და მიკრო ავტობუსში ჩასვა, მეორე ჯგუფი, ვინც საპატრულო პოლიციის მიკროავტობუსში ჩასვა და ბოლოს, მე-3 ჯგუფი, რომლებმაც განყოფილებაში ოქმები შეადგინეს.

რამდენიმე პირი ამტკიცებდა, რომ აქციაზე საერთოდ არ იმყოფებოდა და სხვადასხვა პირადი მიზნით გადაადგილდებოდა და მაინც დააკავეს. იყო შემთხვევები, როდესაც აქციიდან მომავალ მომიტინგეებს, ვინც ტოვებდა შეკრების ადგილს, სპეცრაზმი მაინც აკავებდა.[219]

სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა დაკავებულთა გადმოცემულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, მათი დაკავება ხდებოდა გდდ-ს თანამშრომლების მიერ, რომლებიც დაკავებულებს გადასცემდნენ სხვა თანამშრომლებს, რომლებსაც ასევე არ გააჩნდათ სპეციალური ამოსაცნობი ნიშნები, რის შემდეგაც ხდებოდა მათი გადაცემა საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის. საპატრულო პოლიციას ისინი გადაჰყავდა პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც იწყებოდა მათი ადმინისტრაციული წესით დაკავების შესახებ დოკუმენტაციის შედგენა. დაკავებულთა ნაწილის განცხადებით, დამკავებელ პირებად უთითებდნენ მცდარ მონაცემებს კერძოდ კი, იმ პოლიციელებს, რომელთა მიერ მათი უშუალო დაკავება არ განხორციელებულა. სახალხო დამცველის აპარატი წლებია მიუთითებს საპროტესტო აქციაზე მოქალაქეთა დაკავებისას ხსენებულ მავნე პრაქტიკაზე, რაც ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების უხეშ დარღვევას წარმოადგენს და სასამართლოების შეცდომაში შეყვანის საფუძველს ქმნის.[220]

სახალხო დამცველი მიუთითებდა, რომ გარდა აქციის ძირითადი ლოკაციისა, გავრცელებულ ვიდეოკადრებში აშკარად ჩანდა, რომ პოლიცია ახორციელებს აქციის მონაწილეების დევნას შეკრების ადგილიდან დაშორებით, რაც მიანიშნებს სავარაუდო შურისძიებისა და დაშინების მიზანზე.[221] ასევე, ათეულობით მოქალაქის დაკავების კანონიერი საფუძვლები არ არსებობდა. გავრცელებული ვიდეო ჩანაწერების მიხედვით, სამართალდამცველები აკავებდნენ ნებისმიერ მოქალაქეს ვისაც ფიზიკურად მისწვდებოდნენ, ახორციელებდნენ მათ დევნას შეკრების ძირითადი ლოკაციიდან დაშორებით კერძო ობიექტებშიც კი.[222] 2 თებერვლის აქციაზე დაკავებულთა გადმოცემით, სამწუხაროდ, მათი დაკავება ხდებოდა განურჩევლად,

---

[219] იხ. < https://shorturl.at/3Pxor > <https://www.palitravideo.ge/video/173504-specrazmi-respublikis-moedanze-ganlagda-akciis-monacileebma-rustavelis-metros-mimdebared-gadainacvles-daakaves-ramdenime-piri/> < https://shorturl.at/29X4A > <https://www.interpressnews.ge/ka/article/822640-respublikis-moednisa-da-rustavelis-metros-kvetaze-specrazmi-ganlagda/> < https://shorturl.at/JORGu >

[220] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-rtsmunebulebma-aktsiaze-dakavebulebi-moinakhules> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[221] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-28-29-noembris-aktsiis-dashlis-shesakheb> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

[222] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-29-30-noembris-aktsiis-dashlis-shesakheb> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგიერთი დაკავებულის თქმით, გზის სავალ ნაწილზე არც იმყოფებოდა და ისინი ტროტუარზე დააკავეს.[223]

3.5.3. გამოკითხვაზე „გადაყვანა“ და დაცვის უფლება

მასმედიით და სოციალური ქსელებით ვრცელდებოდა ინფორმაცია და ვიდეო ჩანაწერები[224], საიდანაც ირკვევა, რომ პოლიციელებს მოქალაქეები „გადაყავდათ გამოკითხვაზე“. გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც სოციალურ ქსელებსა თუ მედია საშუალებებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ადვოკატებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ ჩხრეკის პროცედურებს და მათ არ უშვებენ პოლიციის განყოფილებებში გადაყვანილ მოქალაქეებთან/დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან.

საპროცესო კანონმდებლობით, **გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია** და მოწმეს ეკისრება მხოლოდ სასამართლოში დასაკითხად გამოცხადების ვალდებულება. კანონმდებლობა პირის „გამოსაკითხად გადაყვანის“ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს უკანონო დაკავებას, რადგან ამგვარ ვითარებაში მოქალაქეებს ეზღუდებათ მიმოსვლის თავისუფლება და იმყოფებიან პოლიციის ექსკლუზიური უფლებამოსილების ქვეშ. დაკავება კი - დასაშვებია სასამართლოს განჩინებით ან კანონით მკაფიოდ განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში.

ამასთან, აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური გარანტიის - დაცვის უფლების შესაბამისად, მოქალაქეებს მიეცეთ ადვოკატთან დაუყოვნებლივი და კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა. დაუშვებელია დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელებისთვის ხელის შემშლელი შეზღუდვების დაწესება. ხოლო **დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა დანაშაულს წარმოადგენს.**

ადვოკატის მონაწილეობა განიხილება უფლებაში თვითნებური ჩარევისგან დაცვის ადეკვატურ გარანტიად. შესაბამისად, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში, როგორიცაა პოლიციის შენობაში მყოფ გამოსაკითხ პირთან ადვოკატის შესახვედრად არ შეშვება ან/და გამოკითხვისა და ჩხრეკის პროცედურაზე დასწრების აკრძალვა (მითუმეტეს, თუ მოპოვებულ მტკიცებულებას შეიძლება დაეფუძნოს ბრალდება) განიხილება სერიოზულ პროცედურულ დარღვევად, რამაც შეიძლება ხელყოს მთლიანი პროცესის სამართლიანობა.

სახალხო დამცველის პოზიციით, აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიცვას კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით გარანტირებული ადამიანის თავისუფლების და

---

223 იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/250203042524sakhalkho-damtsvelis-rtsmunebulebma-dakavebulebi-moinakhules> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.]

224 მაგალითად, იხ. <https://www.facebook.com/share/v/1BqcwB8Hby/?mibextid=wwXIfr> [ბოლოს ნანახია: 18.03.2025 წ.]

დაცვის უფლებები: უარი თქვას „გამოსაკითხად გადაყვანის“ ე. ი. ფაქტობრივი დაკავების კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკაზე და უზრუნველყოს გამოკითხვის ნებაყოფლობითობა; უზრუნველყოს გამოსაკითხ პირთან, დაკავებულთან/ბრალდებულთან ადვოკატის შეფერხების გარეშე კონფიდენციალური შეხვედრის შესაძლებლობა; არ შეუზღუდოს ადვოკატს საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებებში (მათ შორის, გამოკითხვასა და ჩხრეკა/ამოღების პროცესში დასწრება) დასწრება და მონაწილეობა. ამასთან, საჭიროა, საქართველოს პროკურატურამ, როგორც გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს, გამოძიების პროცესში კანონდარღვევის შემთხვევაში, განახორციელოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების დაწყებისა ან/და გამომძიებლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე წარდგინების გზით.

სახალხო დამცველი გამოეხმაურა მეტროს ამოსასვლელში აქციაზე მიმავალი მოქალაქეების უფლებებს დარღვევის ფაქტებსაც და მოუწოდა შინაგან საქმეთ სამინისტროს საპოლიციო ღონისძიებების გატარებისას, მათ შორის, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზედაპირული შემოწმებისა და დათვალიერების განხორციელების დროს, მკაცრად იმოქმედონ დადგენილი წესებით და კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლის გარეშე არ მოახდინოს მოქალაქეთა მასიური შემოწმებები.[225]

3.6. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

3.6.1. ხარვეზებიანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი და გამკაცრებული სახდელები

საანგარიშო პერიოდშიც პრობლემად რჩებოდა საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციის დებულებებთან წინააღმდეგობის მქონე კანონის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე მომიტინგეების სამართალდამრღვევებად გამოცხადება. ხსენებული ნორმატიული აქტი არ შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლითა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიებს.

მრავალი წელია, სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის მიმართ გასცემს 1984 წლის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, როგორც არასრულყოფილი ნორმატიული აქტის შეცვლის, ახალი კოდექსის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობის თაობაზე რეკომენდაციას.[226] სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია

[225] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-brifingi-mimdinare-movlenebtan-dakavshirebit> [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ]

[226] იხ. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 281; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 404; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 469; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 117; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში,

დღემდე შეუსრულებელია. პირიქით, საკანონმდელო ორგანომ 2024 წლის დეკემბერსა და 2025 წლის თებერვალში, გაამკაცრა სახდელები: ჯარიმა 5000-6000, ხოლო რიგ შემთხვევებში 10 000 ლარამდე გაიზარდა და ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 60 დღემდე გახანგრძლივდა იმ ფონზე, როცა კანონი სამართლიანი სასამართლოს საკმარის გარანტიებს არ ითვალისწინებს.

საგულისხმოა, რომ **სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, ეუთო/ოდირმა გამოაქვეყნა ხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით კრიტიკული დასკვნა და მიუთითა მათ შეუსაბამობაზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან. დასკვნის თანახმად, არაპროპორციული სანქციები შესაძლოა თავისთავად იყოს საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა.** მკაცრი ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სანქციები უნდა იყოს გაუქმებული ან მთლიანად გადახედილი. ადმინისტრაციული პატიმრობის, როგორც სანქციის დაკისრება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის დარღვევისათვის უნდა იყოს გაუქმებული, ჯარიმების ოდენობა კი არსებითად უნდა შემცირდეს, განსაკუთრებით მცირე დარღვევებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი პროპორციულობა დამდგარ ზიანთან მიმართებაში.[227]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-6 მუხლი გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე, რომლისთვის სანქციის სახედ გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.[228] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები სახდელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან ადმინისტრაციულ პატიმრობას. შესაბამისად, სავალდებულოა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას სამართლიანი სასამართლოს გარანტიების დაცვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში, სადაც ეროვნულმა სასამართლოებმა პოლიციელების მტკიცებულება ნდობის მაღალი ხარისხით გამორჩეულად მიიჩნიეს. ასევე, პოლიციელების ჩვენებები არ იყო გამყარებული სხვა

გვ. 109; 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 161; 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 147; 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118; 2022 წლის ანგარიში, გვ. 131; 2023 წლის ანგარიში, გვ. 130 <https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi> [ბოლოს ნანახია: 11.03.2025 წ.]

[227] იხ. <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/eutoodirma-shekrebebisa-da-manifestatsiebis-kanonshi-shesul-tsvlilebebtan-dakavshirebit-daskvna-gamoakveqna>
<https://legislationonline.org/sites/default/files/2025-03/2025-03-06%20FINAL%20ODIHR%20Urgent%20Opinion%20on%20Amendments%20on%20FoPA_Georgia_ENGLISH.pdf>
[ბოლოს ნანახია: 18.03.2025 წ.]

[228] Nemtsov v. Russia, განაცხადი N1774/11, 31.07.2014 წ. პარ. 82-83; Frumkin v. Russia, განაცხადი N74568/12, 05.01.2016 წ. პარ. 155; Makarashvili and others v. Georgia, განაცხადი N23158/20, 31365/20, 32525/20, 01.09.2022 წ. პარ. 51.

მტკიცებულებებით და მომჩივანი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, სადაც მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება წაყენებული ბრალდებების საპასუხოდ.[229]

სახალხო დამცველის ანგარიშებში,[230] წლების განმავლობაში, ფიქსირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას არსებული შემდეგი პრობლემები: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სამართალდამრღვევად ცნობისთვის კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდამრღვევად ცნობას სამართალდარღვევის ოქმის და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია, დადგენილებები ეყრდნობა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებას. ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მრავალწლიანი შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება,[231] რადგან მიგვაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი ბუნების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები) საქმეებზე სამართალწარმოების პროცესში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას: არ უზრუნველყოფს უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, არ აკისრებს ოქმის შემდგენ ორგანოს/პირს მტკიცების ტვირთს, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას. სამწუხაროდ, სარჩელის შეტანიდან 6 წელზე, ხოლო მისი დასაშვებად ცნობიდან 5 წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგაც გადაწყვეტილება კვლავ არ არის მიღებული.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის 29 ნოემბერს, საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების დაკავების დაწყების პერიოდიდან სახალხო დამცველმა მოუწოდა სასამართლოებს უზრუნველეყოთ დაკავებული მომიტინგეების სამართლიანი სასამართლოს უფლების ზედმიწევნითი დაცვა,

---

[229] Makarashvili and others v. Georgia, განაცხადი N23158/20, 31365/20, 32525/20, 01.09.2022 წ. პარ. 61, 64.

[230] იხ. სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 15-16; 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.448-450; 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 271-277; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 303-307; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 462-467; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 114; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 103-106; 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 157-159; 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 145-146; 2022 წლის ანგარიში, გვ. 101 იხ. <https://ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi> [ბოლოს ნანახია: 11.03.2025 წ.]

[231] საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N1361). იხ. <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1936> [ბოლოს ნანახია: 11.03.2025 წ.]

არსობრივად შეეფასებინათ დაკავების კანონიერების საკითხი და არ დაყრდნობოდნენ მხოლოდ პოლიციელთა განმარტებებს ნეიტრალური მტკიცებულებების არარსებობის პირობებში.[232]

სახალხო დამცველის აპარატმა[233] შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია 2024 წლის ზამთრის აქციების დროს დაკავებული პირების საერთო რაოდენობის შესახებ, მათ შორის, რამდენი პირის საქმე გადაიგზავნა სასამართლოში; სასამართლომ რამდენი პირის მიმართ (მათ შორის, სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული პირების) დაადგინა სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი და რა სახის სახდელი შეუფარდა. აპარატს დღემდე პასუხი არ მიუღია.

3.6.2. მტკიცებულებათა სავარაუდო ფალსიფიკაცია ადმინისტრაციულ საქმეზე

გაზაფხულის აქციების სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ დამკავებელი პირი, თითქმის ყველა შემთხვევაში, არის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი, ხოლო დაკავების ოქმების შემდგენი პირები, როგორც წესი, არიან საპატრულო პოლიციის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა და უკონტაქტო პატრულირების სამმართველოს ტურისტული უსაფრთხოების სამმართველო ინსპექტორები.

დაკავებულები მიუთითებდნენ, რომ დააკავეს ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა და ძალადობის შემდეგ გადააბარეს პოლიციელებს, რომლებმაც შეადგინეს ოქმები. შესაბამისად, რეალურად დამკავებელი პირები და ოქმში დამკავებლად გაფორმებული პირები სხვადასხვა პოლიციელები არიან. საგულისხმოა, რომ ჩვენებებში არც პოლიციელები უარყოფენ აღნიშნულ გარემოებას.

მათი ჩვენებებით, ძირითადად, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს თხოვეს დაკავება, ზოგიერთი ამის შემდეგ მივიდა მანქანასთან, ზოგიერთი მიკროავტობუსიდან დაკავებულის მანქანაში გადასმისას, ან მანქანიდან გადაიყვანა დაკავებულები, ზოგიერთი პოლიციელი ცალკე, სხვა მანქანით წავიდა პოლიციის განყოფილებაში (მაგ. ერთ-ერთი პატრულ-ინსპექტორი აცხადებს „მე ის ოფიციალურად დავაკავე დეპარტამენტში მისვლის შემდეგ და შევადგინე დაკავების ოქმი“).

ეს პოლიციელები აღიარებენ, რომ დამკავებელ პირებად საკუთარი თავი მიუთითეს, თუმცა ფაქტობრივად სპეცრაზმელებმა დააკავეს მომიტინგეები.

---

[232] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 29 ნოემბრის საჯარო განცხადება <https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-28-29-noembris-aktsiis-dashlis-shesakheb> [ბოლოს ნანახია: 10.03.2025 წ.]

[233] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 6 თებერვლის N25/1139 და 18 თებერვლის N25/1407 წერილები.

როგორც წესი, საგამოძიებო ორგანოში გამოკითხული პოლიციის თანამშრომელი აქციის მონაწილეთა დაკავების ირგვლივ მიცემული ინფორმაცია თითქმის იდენტურია და განსხვავებები მხოლოდ არაარსებით დეტალებშია. ჩვეულებისამებრ, პოლიციის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ საპროტესტო აქციებზე ყოფნისას ასრულებდნენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას, მოქალაქეთა ნაწილი აგრესიით გამოირჩეოდა, რა დროსაც შეამჩნიეს ესა თუ ის პირი, რომელიც, მათი განმარტებით, სამართალდარღვევას ჩადიოდა, მაგალითად, იგინებოდა უწმაწური სიტყვებით.

პოლიციის თანამშრომლები განმარტავენ, რომ ასეთ პირს არაერთხელ მოუწოდეს, რომ გაჩერებულიყო და შეეწყვიტა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, თუმცა კონკრეტული პირი არ დაემორჩილათ. ოფიციალურად დამკავებლად გაფორმებული თითოეული პოლიციელის ჩვენებით, ამის შემდეგ, სურდათ დაკავება, თუმცა ადგილზე ხალხმრავლობისა და ქაოსის გამო, ვერ შეძლეს, ფიზიკურად მისწვდომოდნენ პირს, ამის გამო სთხოვეს გდდ-ის თანამშრომელს, რომ მათ ნაცვლად შეეკავებინათ. როგორც წესი, პოლიციის თანამშრომლები „ვეღარ ხედავენ“ გდდ-ის თანამშრომლის მიერ პირის დაკავების შემდეგ განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის ცემას ან სხვაგვარ ძალადობას. პოლიციის თანამშრომლები მიდიან პოლიციის მანქანისკენ ან იმ მიმართულებით, სადაც ვარაუდობენ, რომ გდდ-ის თანამშრომლები გადასცემენ დაკავებულ პირს და მიჰყავთ პოლიციის სამმართველოში. კითხვაზე, თუ უშუალოდ ვინ დააკავა კონკრეტული პირი, პოლიციის თანამშრომელთა გამოკითხვის ოქმებში ვხვდებით ისეთ ფრაზებს, როგორებიცაა „უშუალოდ, ხელი მოკიდეს“, „უშუალოდ, შებოჭეს“, „უშუალოდ, ჩვენ გადმოგვცეს“ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

როგორც წესი, კითხვაზე, თუ რატომ არ არის დაკავების ოქმებში გაფორმებული ან მითითებული გდდ-ის თანამშრომლები დამკავებელ პირებად, პოლიციის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ ეს პირები აღჭურვილი იყვნენ ნიღბებით და არ იციან მათი ვინაობა, ამასთან, ვერც ამ მონაცემების მიღებას მოასწრებდნენ თანამშრომლებისგან, რადგან სიტუაცია მათ დაუყოვნებლივ მიბრუნებას მოითხოვდა.

ტენდენცია, რაც პოლიციელების ჩვენებებიდან იკვეთება ისაა, რომ როგორც წესი, მათი განმარტებით, მათ ესმით ამა თუ იმ მოქალაქის გინება, მოუწოდებენ შეწყვეტისკენ არაერთხელ, იმახსოვრებენ სახეზე, თუმცა იმის მიუხედავად, რომ დაკავებულების უმრავლესობა მიუთითებს არასათანადო მოპყრობაზე გდდ-ის თანამშრომლების მხრიდან უშუალოდ დაკავების მომენტიდანვე, პოლიციის თანამშრომლები მიუთითებენ, რომ ამ ფაქტებს ისინი ვერ ხედავენ ადგილზე შექმნილი „ჩოჩქოლისა“ და არეულობის გამო.

სწორედ ამიტომ, გაუგებარია, რომ ადგილზე შეკრებილი ხალხის რაოდენობის, ხმაურისა და აურზაურის მიუხედავად, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციის თანამშრომელთა განმარტებით, შემდგომში დაკავებული პირები იმგვარ დისტანციაზე იმყოფებოდნენ, რომ ოფიციალურად დამკავებელმა პირებმა ვერ შეძლეს მიახლოება და უშუალოდ დაკავება, მათ

ესმოდათ, მაგალითად, კონკრეტული პირის მხრიდან უწმაწური სიტყვების გამოყენება და, ამასთან, მიუწოდებდნენ აღნიშნულის შეწყვეტისკენ იმის ლეგიტიმური მოლოდინით, რომ კანონიერი მოთხოვნა ადრესატამდე მიაღწევდა. თუმცა დაკავების გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის და მას შემდეგ, ოფიციალურად დაკავებულის „გადმობარების“ მომენტამდე, ვერც ერთ შემთხვევაში ხედავენ დაკავებულის მიმართ განხორციელებულ ძალადობას.

დაკავებული პირები, როგორც წესი, მიუთითებენ, რომ მათი დაკავება სრულიად უსაფუძვლოდ მოხდა და დაკავების ოქმში დამკავებელ თანამშრომელ პირებად გაფორმებული ადამიანები პირველად ავტომანქანაში ან პოლიციის სამმართველოში ნახეს. ყველა შემთხვევაში უარყოფენ მათ მიმართ რაიმე მოწოდებას და მიუთითებენ გდდ-ის თანამშრომლების მხრიდან ძალადობასა და სხვაგვარ შეურაცხყოფაზე.

აღნიშნულ მავნე პრაქტიკაზე საუბარი სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშშიც იყო. სახალხო დამცველის აპარატი მიუთითებდა, რომ გრძელდებოდა საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და ამ ფორმით გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის არასწორი პრაქტიკა. ამავე ანგარიშში სახალხო დამცველის აპარატი მიუთითებდა ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შეუსაბამო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემურ ხარვეზებზე, მათ შორის, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების პრობლემურობაზე. კერძოდ, როდესაც პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე სადავოდ ხდის ადმინისტრაციულ დაკავებას, მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას და აცხადებს, რომ ცალკე სამართალწარმოების ფარგლებში უნდა იქნეს განხილული. ადმინისტრაციული დაკავების კანონიერება ამ საქმის განმხილველმა სასამართლომ თავად სამართალდარღვევის საქმის განხილვასთან ერთად უნდა შეაფასოს, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია. სახალხო დამცველის ხსენებული რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლი ითვალისწინებს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაციას მოცემულ შემთხვევებში, იკვეთება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან მტკიცებულების, ანუ დაკავების ოქმის, შესაძლო ფალსიფიკაციის ნიშნები ოქმებში მათ მიერ არასწორი ინფორმაციის და მონაცემების შეტანის გამო. ამგვარად, სახალხო დამცველმა წინადადებაში მიუთითა, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს ხსენებული მუხლით. [234]

[234] საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის 7 მარტის № 25/1903 წინადადება.

3.6.3. ნეიტრალური მტკიცებულებების პრობლემა სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების საქმეებში

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მანდატს არ მიეკუთვნება პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის დადგენა, სახალხო დამცველი უფლებამოსილია სასამართლოებს მიმართოს ადამიანის უფლებების სტანდარტებთან და უფლებების საპროცესო დარღვევების საკითხებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველის წარმომადგნელებმა ზამთრის აქციებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის წესით დაკავებული 45 პირი მოინახულეს. რამდენიმე მათგანმა მიუთითა საპროცესო უფლებების დარღვევაზე და სხვადასხვა დროს, მათი ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალები წარმოადგინეს აპარატში.

ორი სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლა სახალხო დამცველის აპარატში უკვე დასრულდა და შედეგების საფუძველზე სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებით (Amicus Curiae) მიმართა. [235]

მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნ. კ. და გ.ა. ბრალდებულები არიან ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის. გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდება ეყრდნობა მხოლოდ დამკავებელი პოლიციელების ჩვენებასა და პოლიციელების მიერ ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმს.

ამ საქმეებში, სამწუხაროდ, კვლავ გამოიკვეთა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკა, რომლის შედეგადაც მოქალაქეები კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების გარეშე რჩებიან. კერძოდ, პირადი ჩხრეკა ჩატარდა ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნისა და მისი მოპოვების მცდელობის გარეშე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის პასუხისგებაში მიცემისათვის და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

სახალხო დამცველმა დოკუმენტებში ხაზი გაუსვა, რომ სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება უზრუნველყოფს საკმარისი მტკიცებულების წარდგენას და მნიშვნელოვნად შეამცირებს თვითნებობის რისკებს. ჩხრეკის მიმდინარეობის კანონიერების ნეიტრალური მტკიცებულებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა დამნაშავედ ცნობა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ამ ვალდებულებების დარღვევას სათანადო მნიშვნელობას არ მიანიჭებს,

[235] 2025 წლის 24 თებერვლის N25/1549 და 2025 წლის 24 მარტის N25/2380 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება ამ ჭრილში ყოველგვარი კონტროლის გარეშე შეიძლება დარჩეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს ნეიტრალური მტკიცებულებების ყველა შესაძლო შემთხვევაში მოპოვების მნიშვნელობაზე პირის დამნაშავედ ცნობისთვის, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების საკითხი წარმოადგენს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

სახალხო დამცველის აპარატი, მანდატის ფარგლებში, გააგრძელებს სხვა ბრალდებულების საქმეების შესწავლას/მონიტორინგს, რომლებმაც მიმართეს აპარატს კონკრეტული უფლებების დარღვევის შესახებ.

3.7. შეჯამება

საანგარიშო წელი მძიმედ დასამახსოვრებელი არასათანადო მოპყრობის მასშტაბით გახდა. 2024 წლის გაზაფხულსა და ზამთარში, მრავალათასიანი მშვიდობიანი საპროტესტო შეკრებების მთლიანი დაშლა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ხდებოდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სპეციალური საშუალებების განურჩეველი, უსაფუძვლო და არაპროპორციული გამოყენებით; ხოლო აქციების დაშლისას დემონსტრანტების, დაკავებულების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების მიმართ ადგილი ჰქონდა მაშტაბურ არასათანადო მოპყრობას (რაც მათ შორის გამოიხატებოდა წამებაში, წამების მუქარაში, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაში), რამაც ზამთრის აქციების დროს კიდევ უფრო სისტემური ხასიათი მიიღო. მსხვერპლებისთვის პირდაპირი განზრახვით თავისა და სახის არეში მიყენებული სისასტიკის ხარისხით გამორჩეული დაზიანებები სავარაუდოდ პროტესტში მათი მონაწილეობის გამო დასჯის მიზნით ხორციელდებოდა.

სამწუხაროდ, გაზაფხულის აქციების გამოძიების კონტექსტში სახელმწიფო არ ასრულებს წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური უფლებით დაკისრებულ პოზიტიურ ვალდებულებას ეფექტიანად. გამოძიება არ მიმდინარეობს სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციით (არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით), შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული სამართალდამცველის მიერ ჩადენილი, სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტის გამოძიებით და არ არის ორიენტირებული აქციების დაშლისას ჩადენილი დანაშაულების ერთიანი სურათის დადგენაზე. ზამთრის აქციებზე მსხვერპლების მიერ გადმოცემული და აღწერილი, ასევე, მასმედიით გავრცელებული არასათანადო მოპყრობის მძიმე და სასტიკი ფორმების

მიუხედავად, გამოძიება ამ საქმეზეც ძალადობით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის ზოგადი/მსუბუქი და არასწორი მუხლის კვალიფიკაციით მიმდინარეობს.

არასათანადო მოპყრობის პრევენციული ეფექტის მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფომ დაგმოს სასტიკი მოპყრობის ფაქტები. ეფექტიანი გამოძიების ხელსშემშლელ ფაქტორად გვევლინება და დაუსჯელობას ახალისებს სპეცრაზმელების მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ვალდებულების არქონა, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის იმ პოლიციელების ვინაობის მიუწოდებლობაც, რომელთაც სახეები არ ჰქონდათ დაფარული არასათანადო მოპყრობის განხორციელების დროს.

გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ თითქმის ვერ ხდება ისეთი ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება, როგორიც არის ვიდეოჩანაწერები, სამხრე კამერების ჩანაწერები და ე.წ. რაციების აუდიოჩანაწერები.

აქციების დაშლისას მშვიდობიან მომიტინგეებს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრები უმეტესად უკანონოდ და უსაფუძვლოდ აკავებდნენ, დაკავების შემდეგ არასათანადოდ ეპყრობოდნენ (წამება, წამების მუქარა, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა), ხოლო მოგვიანებით საპატრულო ან კრიმინალურ პოლიციას გადასცემდნენ ფალსიფიცირებული ოქმების შესადგენად და სასამართლოში პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის წარდგენის მიზნით.

სახალხო დამცველი მოუწოდებს რელევანტურ სახელმწიფო უწყებებს (სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პროკურატურა) გაატარონ ეფექტიანი ღონისძიებები ყველა პასუხისმგებელი პირის გამოვლენის მიზნით და მისცენ თითოეულის ქმედებას ადეკვატური სამართლებრივი შეფასება. ასევე, მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გაატაროს ქმედითი ზომები, რათა აღმოფხვრას სამომავლოდ პოლიციელების და მათ შორის გდდ-ს წევრების მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და სხვა უფლებადარღვევების პრაქტიკა; ითანამშრომლოს საგამოძიებო უწყებებთან დამნაშავე პოლიციელების იდენტიფიცირების პროცესში. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს გდდ-ს მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით აღჭურვა და საპოლიციო ღონისძიებების პროცესში ყველა პოლიციელის სამხრე ვიდეო კამერით აღჭურვისა და გამოყენების ვალდებულების დაწესება.

სახალხო დამცველი კვლავ იმეორებს მის რეკომენდაციას, რომ პარლამენტმა გონივრულ ვადებში უნდა მიიღოს ახალი ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელშიც აისახება საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებრივი გარანტიები, რათა მოქალაქეებმა შეძლონ სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, გამოირიცხოს თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის შესაძლებლობა და ადმინისტრაციული დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლი დაწესდეს. ასევე, სახალხო დამცველი მოუწოდებს საერთო სასამართლოებს პირის დამნაშავედ ან სამართალდამრღვევად ცნობის პროცესში, იმსჯელოს

ნეიტრალური მტკიცებულებების არსებობაზე/არარსებობის ობიექტურ მიზეზებზე და მტკიცების ტვირთი არ გადაიტანოს მოქალაქეებზე.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ მშვიდობიანი შეკრება-გამოხატვის უფლებით სარგებლობის პროცესში მოქალაქეები აღარასოდეს დაექვემდებარებიან ასეთი მაშტაბური და ინტენსიური ხასიათის უფლებადარღვევებს, რასაც საანგარიშო პერიოდში ჰქონდა ადგილი; ხოლო ჟურნალისტები მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას შეუფერხებლად და უსაფრთხოდ შეძლებენ.

4. სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლების თავში ყურადღება გამახვილდება 2023 წლის 3 აგვისტოს, შოვში მომხდარი სტიქიური მოვლენის დროს ადამიანთა გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ხარვეზებზე. ხსენებული საქმე დღის წესრიგში აყენებს კლიმატის ცვლილებისა და ეკოლოგიური კატასტროფების პროცესში სახელმწიფოს ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების საკითხს.

ასევე, წინამდებარე თავში კვლავ შევეხებით რუსეთის ფედერაციის მიერ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საქართველოს მოქალაქის - თამაზ გინტურის მკვლელობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიებას, და გასული წლების ანგარიშებში ასახულ, სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტებზე მიმდინარე სხვა საკითხებსაც.

4.1. შოვის საქმე

2023 წლის 3 აგვისტოს, შოვში, სტიქიური მოვლენის დროს 32 ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 1 პირის ცხედარი აღმოჩენილი არ არის და დღემდე დაკარგულად ითვლება. გამოძიება მიმდინარეობს ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის; ასევე, სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. 2024 წლის ივლის-აგვისტოსა და სექტემბერში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აპარატს, საგამონაკლისო წესით,[236] უფლება მისცა გაცნობოდა ხსენებულ საქმეს.[237]

საქმის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი სიცოცხლის უფლების დაცვის თვალსაზრისით. თავდაპირველად მიმოვიხილავთ სტიქიური მოვლენებისა და ეკოლოგიური კატასტროფების დროს სიცოცხლის უფლების სახელმწიფოს

[236] სახალხო დამცველის აპარატს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნტის გათვალისწინებით, არ აქვს მიმდინარე გამოძიების მასალებზე წვდომის უფლებამოსილება.
[237] სისხლის სამართლის N059030823001 საქმე.

პოზიტიური ვალდებულების მატერიალურ და პროცედურულ მხარეებს და შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად, ყურადღება გამახვილდება გამოძიების პრობლემურ საკითხებზე. ამასთან, აპარატი ითვალისწინებს, რომ მოცემულ საქმეზე გამოძიება გრძელდება და კონკრეტული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების რეკომენდაციას პროკურატურას ანგარიშით მიაწვდის იმ სახით, რომ არ დაზიანდეს გამოძიების ლეგიტიმური ინტერესები.

კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებული სიცოცხლის უფლების მატერიალური მხარე

სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფთა სიცოცხლე, მოიცავს როგორც არსებით, ისე პროცედურულ ასპექტებს, კერძოდ, პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღოს მარეგულირებელი ზომები და ადეკვატურად აცნობოს საზოგადოებას სიცოცხლისთვის საშიში საგანგებო სიტუაციების შესახებ, და უზრუნველყოს, რომ ამით გამოწვეული სიკვდილის ნებისმიერ შემთხვევას მოჰყვება სამართალწარმოება.[238] სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას აქვს ორი ასპექტი: **მარეგულირებელი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს უზრუნველყოფის მოვალეობა; და პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულება.** ევროპული სასამართლო განიხილავს საკითხს: **ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სასიკვდილო საფრთხის შესახებ.**[239]

როდესაც სახელმწიფო ახორციელებს ან აძლევს კერძო პირებს სახიფათო საქმიანობის უფლებას, სახელმწიფომ წესების შემოღებით და ამ წესების საკმარისი კონტროლის მეშვეობით უნდა უზრუნველყოს სიცოცხლისთვის რისკის გონივრულ მინიმალურ ნიშნულამდე დაყვანა.[240] თუ ზიანი მაინც წარმოიქმნება, ის მხოლოდ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევაა, თუ ეს გამოწვეულია არასაკმარისი რეგულაციებით ან არასაკმარისი კონტროლით, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, თუ ზიანი მიყენებულია პირის გაუფრთხილებლობით ან თანამონაწილეობით ტრაგიკულ მოვლენასთან.[241]

კონვენციის მე-2 მუხლი არ ეხება მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენების შედეგად დამდგარ სიკვდილს, არამედ სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას მიიღოს შესაბამისი ზომები თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფთა სიცოცხლის დასაცავად. ეს ვალდებულება გულისხმობს შესაბამისი ზომების მიღებას ნებისმიერი საქმიანობის კონტექსტში, სადაც სიცოცხლის უფლებას შესაძლოა საფრთხე დაემუქროს, მაგალითად, ისეთი სამრეწველო საქმიანობის კონტექსტში, რომელიც სახიფათოა

[238] Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 131.
[239] Öneryıldız v. Turkey [GC], 2004, §101; Brincat and others v. Malta, განაცხადი N 60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11 and 62338/11, 24.07.2014 წ. §§105-106.
[240] Mučibabić v. Serbia, განაცხადი N34661/07, 12.07.2016 წ., § 126.
[241] Stoyanovi v. Bulgaria, განაცხადი N 42980/04, 09.11. 2010 წ., § 61.

(საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების ადგილის ექსპლუატაცია, წყალსაცავის მართვის რეჟიმი), ასევე სტიქიური უბედურების და ეკოლოგიური კატასტროფების დროს (ღვარცოფი, მიწისძვრა).[242] ევროპულმა სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ საჩივრები, რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში სახელმწიფოს წარუმატებლობას ეხებოდა, მიეკუთვნებოდა იმ საქმიანობის კატეგორიას, რომელსაც შეუძლია ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას.[243]

მიწისძვრის ბუნებრივ მოვლენაზე სახელმწიფოებს არ აქვთ კონტროლი, თუმცა სახელმწიფოებს ევალებათ უზრუნველყონ მოსალოდნელი ბუნებრივი მოვლენების რისკების პრევენცია და მიიღონ ზომები მისი ზემოქმედების და შედეგების შესამცირებლად ან შესარბილებლად. პრევენციული ღონისძიებები მოიცავს შესაბამის სივრცით დაგეგმვასა და ურბანული განვითარების კონტროლს. ადგილობრივ ხელისუფლებას გადამწყვეტი როლი და ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება რისკის პრევენციაში მიწათსარგებლობის რეგულირებისა და სამშენებლო ნებართვების გაცემის გზით. ხელისუფლება ვალდებულია განახორციელოს მშენებლობის წესების დაცვა, მათ შორის, სეისმური რისკების გათვალისწინება, ზედამხედველობა და შემოწმება. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს გეგმა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სეისმური რისკების თაობაზე ინფორმირების მიზნით. ასევე, უნდა დაინერგოს კრიზის მართვის გეგმები, სადაც უნდა განისაზღვროს მიწისძვრის შემთხვევაში განსახორციელებელი საჭიროებები. კრიზისების მართვის გეგმის ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა ტერიტორიისა და საჭიროების მიხედვით შემუშავებულ ინტერვენციისა და სამაშველო გეგმებს.[244]

უფრო მეტიც, კონვენციის მე-2 მუხლი მოიცავს არა მხოლოდ სიტუაციებს, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ ქმედებას ან უმოქმედობას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, არამედ ისეთ სიტუაციებს, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი გადარჩა, აშკარად არსებობდა სიცოცხლის მოსპობის სერიოზული რისკი, როცა პირის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა მესამე მხარის ქმედებით ან ბუნებრივი კატასტროფის შედეგად.[245] ამასთან, საფრთხე სიცოცხლისთვის უნდა იყოს „სერიოზული“[246], „რეალური და გარდაუვალი“ და კლიმატის ცვლილების კონტექსტში უნდა დადგინდეს სიცოცხლისთვის ასეთი „რეალური და

[242] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §71; Brincat and others v. Malta, განაცხადი N60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11, 62338/11, 24.07.2014 წ. პარ. 79-81 და 83; M. Özel and others v. Turkey, განაცხადი N14350/05, 15245/05,16051/05, 17.11.2015 წ. პარ. 170.

[243] Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland [GC] განაცხადი N53600/20 09.04.2024 წ. §§ 508-510.

[244] Erdal Muhammet Arslan and others v. Türkiye, განაცხადი N42749/19, 21.11.2023 წ. §§128-133 იხ. „Guide to the case-law of the European Court of Human Rights. Environment. Updated on 31 August 2024. Council of Europe/European Court of Human Rights, 2024“ გვ. 13.

[245] Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 151; Brincat and others v. Malta, განაცხადი N60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11, 62338/11, 24.07.2014 წ. პარ. 82.

[246] Brincat and others v. Malta, განაცხადი N60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11, 62338/11, 24.07.2014, §82.

გარდაუვალი“ რისკის არსებობა, რაც გულისხმობს და გაგებული უნდა იქნეს როგორც სერიოზული, ნამდვილი და საკმარისად გარკვეული/გამოვლენილი საფრთხე.[247]

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მე-2 მუხლის მიზნებისთვის გადადგას ყველა შესაბამისი ნაბიჯი სიცოცხლის დასაცავად, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას, შექმნას საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც შექმნილია სიცოცხლის უფლების საფრთხის წინააღმდეგ ეფექტური შეკავების უზრუნველსაყოფად.[248]

სასამართლო განიხილავს საქმის გარემოებების გათვალისწინებით, გააკეთა თუ არა სახელმწიფომ ყველაფერი, რაც შეეძლო, რათა თავიდან აეცილებინა ადამიანის სიცოცხლის რისკი.[249] სიცოცხლის უფლების არა განზრახ დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს საჯარო სივრცეში ადამიანების უსაფრთხოების დაცვის მიზნით რეგულაციების მიღებას და მათი ეფექტიანად აღსრულების უზრუნველყოფას.[250] რეგულაციები, რომლებიც მიმართულია ადამიანების სიცოცხლის დასაცავად, არა მხოლოდ უნდა არსებობდეს და იყოს შესაბამისი, არამედ სახელმწიფომ, ისინი, ასევე, უნდა შეასრულოს.[251]

ეს ვალდებულება უდავოდ ვრცელდება სახიფათო აქტივობების კონტექსტში, სადაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება რეგულაციებზე, რომლებიც მორგებულია განსახილველი საქმიანობის განსაკუთრებულ მახასიათებლებზე, განსაკუთრებით ადამიანის სიცოცხლისთვის პოტენციური რისკის დონესთან დაკავშირებით. სახელმწიფომ უნდა მართოს საქმიანობის ლიცენზირება, ექსპლუატაცია, უსაფრთხოება და ზედამხედველობა და სავალდებულო გახადოს ყველა დაინტერესებული პირისთვის პრაქტიკული ზომების მიღება იმ ადამიანების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად, რომელთა სიცოცხლეს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თანდაყოლილმა რისკებმა. ამ პრევენციულ ზომებს შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების უფლებას ინფორმაციის მიღების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, შესაბამისი რეგულაციები ასევე უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის პროცედურებს, განსახილველი საქმიანობის ტექნიკური ასპექტების გათვალისწინებით, შესაბამის პროცესებში არსებული ხარვეზებისა და სხვადასხვა დონეზე პასუხისმგებელი პირების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსავლენად.[252]

---

[247] Verein KlimaSeniorinnen Schweiz and Others v. Switzerland [GC], განაცხადი N53600/20 09.04.2024 წ. §512-513.

[248] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §89; Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 129; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 157.

[249] L.C.B. v. the UK განაცხადი N14/1997/798/1001, 09.06.1998 წ. §36.

[250] Ciechońska v. Poland, განაცხადი N19776/04, 14.06.2011 წ. პარ. 69.

[251] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. 30.11.2004, §97.

[252] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §90; Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 132; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 158-159.

სახელმწიფოს მოეთხოვება ზომების მიღება, თუმცა კონკრეტული პრაქტიკული საშუალებებისა და ზომების არჩევა სახელმწიფოს შეფასების ფარგლებშია. ვინაიდან კონვენციით გარანტირებული უფლებების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა გზა არსებობს, თუ სახელმწიფომ ვერ გამოიყენა შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი კონკრეტული ღონისძიება, მაინც შეიძლება შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულება სხვა საშუალებებით. ხელისუფლებას არ უნდა დაეკისროს შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი ოპერატიული არჩევანის გათვალისწინების გარეშე, რომელიც მან უნდა გააკეთოს პრიორიტეტებისა და რესურსების თვალსაზრისით; ეს გამოწვეულია შეფასების ფართო ზღვრით, რითაც სახელმწიფოები სარგებლობენ, რთულ სოციალურ და ტექნიკურ სფეროებში. ამ საკითხს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეტეოროლოგიურ მოვლენასთან დაკავშირებით საგანგებო დახმარების სფეროში, რაც ადამიანის კონტროლს მიღმაა, ვიდრე ადამიანის მიერ შექმნილი სახიფათო საქმიანობის სფეროში.[253]

სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შესრულების შეფასებისას სასამართლო განიხილავს საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს, სხვა ელემენტებთან ერთად, ხელისუფლების ქმედებების ან უმოქმედობის შიდასახელმწიფოებრივ კანონიერებას, შიდა გადაწყვეტილების მიღების პროცესს, შესაბამისი გამოკვლევებისა და კვლევების ჩათვლით და საკითხის სირთულეს, განსაკუთრებით იქ, სადაც ჩართულია კონფლიქტური ინტერესები. ბუნებრივ საფრთხეებთან დაკავშირებით და გადაუდებელი დახმარების სფეროში, სადაც სახელმწიფო უშუალოდ არის ჩართული ბუნებრივი საფრთხის შერბილების გზით სიცოცხლის უფლების დაცვაში, ეს ვალდებულება ვრცელდება იმდენად, რამდენადაც კონკრეტული შემთხვევის გარემოებები მოუთითებს ბუნებრივი საფრთხის გარდაუვალობაზე, რომელიც აშკარად იდენტიფიცირებული იყო და განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ეხებოდა განმეორებით მოვლენას, რომელიც განვითარდა სხვადასხვა საცხოვრებელ ზონაში. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლები დამოკიდებულია საფრთხის წარმოშობასა და რისკის შერბილების მიდრეკილებაზე.[254] ევროპული სასამართლო, როგორც წესი, განიხილავს კატასტროფების პრევენციისა და მოსახლეობის ასეთი მოვლენების ზემოქმედებისგან დაცვის ვალდებულების საკითხებს.[255]

პროცედურული ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, თუ ადამიანები გარდაიცვალნენ ან სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიიღეს არა სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების შედეგად, არამედ გაუფრთხილებლობის გამო,

---

[253] Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. §§134-135; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 160.

[254] Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. §§136-137; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 161; M. Özel and others v. Turkey, განაცხადი N14350/05, 15245/05, 16051/05, 17.11.2015 წ. პარ. 171.

[255] M. Özel and others v. Turkey, განაცხადი N14350/05, 15245/05, 16051/05, 17.11.2015 წ. პარ. 172.

ეფექტიანი გამოძიების ზოგადი სტანდარტები უნდა გავრცელდეს გარკვეული ადაპტაციით, კონკრეტულ გარემოებებზე მოდიფიცირების გზით.

როდესაც სიკვდილი დადგა სახელმწიფოს პოტენციური პასუხისმგებლობის მოვლენების დროს, კონვენციის მე-2 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს მოვალეობას უზრუნველყოს ადეკვატური რეაგირება - გამოძიებით/სასამართლო განხილვით თუ სხვაგვარად, რათა სიცოცხლის უფლების დასაცავად შექმნილი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული რეგულაციები სათანადოდ განხორციელდეს და სიცოცხლის უფლების ნებისმიერი დარღვევა იყოს დასჯილი.[256]

თუ სიცოცხლის ან ფიზიკური მთლიანობის უფლების დარღვევა განზრახ არ არის გამოწვეული, „ეფექტური სასამართლო სისტემის" შექმნის პოზიტიური ვალდებულება აუცილებლად არ მოითხოვს სისხლის სამართლის პროცესის აღძვრას ყველა საქმეში და ეს ვალდებულება შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან თუნდაც დისციპლინური საშუალებები ხელმისაწვდომი იყო დაზარალებულებისთვის.[257]

ამასთან, სახიფათო საქმიანობის კონტექსტში გარდაცვალების ფაქტზე გამოძიების პროცესში გამოსაყენებელი პრინციპები უფრო ხშირად გვხვდება ლეტალური ძალის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეებში. აუცილებელია ოფიციალური, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. სასამართლოს პოზიციით, ასეთი მოსაზრებები უდავოდ მართებულია სახიფათო აქტივობების კონტექსტში, როდესაც სიცოცხლე მოისპო საჯარო ხელისუფლების პასუხისმგებლობის ქვეშ მომხდარი მოვლენების შედეგად, და რომლებიც ხშირად არიან ერთადერთი სუბიექტები, რომლებსაც აქვთ საკმარისი შესაბამისი ცოდნა იმ კომპლექსური ფენომენების იდენტიფიცირებისთვის და დადგენისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ინციდენტები. სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოების დაუდევრობა სცილდება შეცდომას ან დაუდევრობას, როცა ხელისუფლება სრულად აცნობიერებს სავარაუდო შედეგებს და უფლებამოსილების უგულებელყოფით, არ იღებს აუცილებელ და საკმარის ზომებს სახიფათო საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების თავიდან ასაცილებლად. კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას შეიძლება წარმოადგენდეს სიცოცხლის საფრთხის გამო პასუხისმგებელი პირებისთვის ბრალის წაუყენებლობა ან დაუსჯელობა, მიუხედავად ნებისმიერი სხვა სახის დაცვის საშუალებისა, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პირმა საკუთარი ინიციატივით.[258]

---

[256] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §91; Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 138; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 188.

[257] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §92; Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 139; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. 189.

[258] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §93; Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 140; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 190; M. Özel and others v. Turkey, განაცხადი N14350/05, 15245/05,16051/05, 17.11.2015 წ. პარ. 188.

სახიფათო საქმიანობის შედეგად გამოწვეული ინციდენტების და კატასტროფების დახმარების სფეროში, როდესაც პოზიტიურ პრევენციულ ღონისძიებებზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება, მე-2 მუხლით მოთხოვნილი სასამართლო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ოფიციალური გამოძიების პროცედურას, რომელიც აკმაყოფილებს ეფექტიანობის გარკვეულ მინიმალურ სტანდარტებს და შეუძლია უზრუნველყოს სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება საშიში ქმედების შედეგად სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში, თუ და რამდენადაც ეს გამართლებულია გამოძიების დასკვნებით. ასეთ შემთხვევებში, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა იმოქმედონ სანიმუშო გულმოდგინებითა და ოპერატიულობით და საკუთარი ინიციატივით დაიწყონ გამოძიება, რომელიც, პირველ რიგში, უნდა ადგენდეს იმ გარემოებებს, რომლებშიც მოხდა ინციდენტი და მარეგულირებელი სისტემის მუშაობაში არსებული ხარვეზები და, მეორე მხრივ, ახდენდეს სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოების იდენტიფიცირებას, რომლებიც მონაწილეობდნენ მოვლენათა ჯაჭვში.[259] ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოების პროცესი მთლიანად, სასამართლო პროცესის ჩათვლით, უნდა აკმაყოფილებდეს კანონის მეშვეობით სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნებს.[260]

არ უნდა დავასკვნათ, რომ მე-2 მუხლი შეიძლება ითვალისწინებდეს განმცხადებლის აბსოლუტურ უფლებას, მოხდეს მესამე პირების სისხლისსამართლებრივი დევნა ან დასჯა. თუმცა, მეორე მხრივ, ეროვნული სასამართლოები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყვნენ მზად, რათა სიცოცხლისათვის საშიში დანაშაულები დაუსჯელი დარჩეს. ეს აუცილებელია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველსაყოფად და უკანონო ქმედებებში ტოლერანტობის ან შეთქმულების გამოვლენის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ ევროპული სასამართლოს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განიხილოს: რამდენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, თავიანთი დასკვნის გამოტანისას, საქმე კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნა გულდასმით შეისწავლეს, რათა არსებული სასამართლო სისტემის შემაკავებელი ეფექტი და როლის მნიშვნელობა, რომელიც მან უნდა შეასრულოს სიცოცხლის უფლების დარღვევის თავიდან აცილებაში, არ იყოს დაცული.[261]

როდესაც ინდივიდს აქვს სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები, ან სიკვდილის შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს შექმნილი ქმედითი მართლმსაჯულების სისტემა, რომელსაც

---

[259] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §94; Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 142; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 191; M. Özel and others v. Turkey, განაცხადი N14350/05, 15245/05,16051/05, 17.11.2015 წ. პარ. 189.

[260] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §95; Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 143.

[261] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი N48939/99, 30.11.2004 წ. §96; Budayeva and others v. Russia, განაცხადი N15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარ. 144-145; Kolyadenko and others v. Russia, განაცხადი N17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარ. 192-193; M. Özel and others v. Turkey, განაცხადი N14350/05, 15245/05,16051/05, 17.11.2015 წ. პარ. 187.

შეუძლია ფაქტების და დამნაშავეების პასუხისმგებლობის დადგენა და მსხვერპლისთვის სათანადო ანაზღაურების უზრუნველყოფა.[262] კონვენციის მე-2 მუხლი არ დაკმაყოფილდება, თუ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმი მხოლოდ თეორიულად არსებობს: ის ეფექტიანად უნდა მუშაობდეს პრაქტიკაში, რაც მოითხოვს საქმის სწრაფ შემოწმებას კომპეტენტურ ორგანოებში ზედმეტი გაჭიანურების გარეშე.[263]

ევროპულ სასამართლოს არ გამოაქვს ზოგადი დასკვნები შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების თაობაზე, არამედ იკვლევს ადეკვატურად განიხილა თუ არა სამართლებრივმა სისტემამ კონკრეტული საქმე. კონვენციის მე-2 მუხლით პასუხისმგებლობის საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა ვერ უზრუნველყოფს პასუხისმგებლობას ნებისმიერი გაუფრთხილებლობით ქმედებებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ან იწვევს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო იკვლევს კანონით გათვალისწინებულ და პრაქტიკაში გამოყენებულ სამართლებრივ საშუალებებს, რომლებსაც შეუძლიათ ფაქტების დადგენა, დამნაშავეთა პასუხისმგებლობის დაკისრება და დაზარალებულის ზიანის სათანადო ანაზღაურება.[264]

ე.წ. შოვის საქმის გამოძიების პროცესში გამოვლენილი პრობლემური საკითხები

გამოძიების პროცესში ჩატარებული ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების მიუხედავად, არსებობს მნიშვნელოვანი საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული სიცოცხლის უფლების ჭრილში და საჭიროებს ეფექტიან გამოძიებას, რომელიც დაადგენს ყველა ფაქტობრივ გარემოებას, კერძოდ, გახდა თუ არა შოვში ბუნებრივი კატასტროფის შედეგად ადამიანების გარდაცვალების მიზეზი სახელმწიფოს უმოქმედობა.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების/შეუსრულებლობის დადგენა

გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების კონტექსტში, ასევე, სამაშველო ღონისძიების განხორციელების ნაწილში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულებისა თუ შეუსრულებლობის საკითხს. ამ თვალსაზრისით, უნდა დადგინდეს ყველა რელევანტური გარემოება. უპირველეს ყოვლისა, გამოძიებამ უნდა გაარკვიოს სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების არსებობის და

[262] Istanbullu and Ayden v. Turkey (dec.), განაცხადი N20793/07 და 29240/07, 29.09.2015 წ. §32; Erdal Muhammet Arslan and others v. Türkiye, განაცხადი N42749/19, 23.11. 2023 წ. §126.წ. „Guide to the case-law of the European Court of Human Rights. Environment. Updated on 31 August 2024. Council of Europe/European Court of Human Rights, 2024“ გვ. 11.
[263] Istanbullu and Ayden v. Turkey (dec.), განაცხადი N20793/07 და 29240/07, 29.09.2015 წ. §34; Erdal Muhammet Arslan and others v. Türkiye, განაცხადი N42749/19, 23.11. 2023 წ. §151.წ. „Guide to the case-law of the European Court of Human Rights. Environment. Updated on 31 August 2024. Council of Europe/European Court of Human Rights, 2024“ გვ. 11.
[264] Ciechońska v. Poland, განაცხადი N19776/04, 14.06.2011 წ. პარ. 70-71.

პრევენციული ღონისძიებების გატარების, მათ შორის, ადრეული გაფრთხილებისა და განგაშის სისტემების არსებობა-არარსებობის საკითხი და მიზეზები.

სამწუხაროდ, გამოძიებას, ამ ეტაპისთვის არ დაუდგენია მთავარი და საკვანძო საკითხი - იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს მოსალოდნელი სტიქიის შესახებ, რათა სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებები განეხორციელებინა ადამიანების სიცოცხლის უფლების დარღვევის პრევენციის მიზნით. გამოძიებას არ მოუპოვებია დეტალური ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების პრევენციის მიზნებისთვის ადრეული გაფრთხილებისა და განგაშის სისტემების დამონტაჟების თვალსაზრისით სახელმწიფო უწყებების ვალდებულებების და მათი შესრულების თაობაზე.

მოცემულ ეტაპზე, გამოძიება დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების გარეშე დაკმაყოფილდა გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიციით, რომლის თანახმად, შოვში მომხდარი მოვლენების (მყინვარის ინტენსიური დნობა, ნალექები წვიმის სახით, კლდის ნაწილის ჩამოშლა, კლდეზვავი, წყლის შერევა და მდინარის კალაპოტში დაშვება, ლოდებისა და ხეების წამოღებით) პროგნოზირება შეუძლებელი იყო.

გამოძიებისთვის აუცილებლად დასადგენ საკითხს მიეკუთვნება: თუ რა მიზეზით არ მოხდა მდინარე ბუბისწყალზე ადრეული გაფრთხილებისა და მონიტორინგის სისტემის მონტაჟი. ეს ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, რადგან გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნით, ღვარცოფული მასის მყინვარიდან შოვის დასახლებულ ტერიტორიამდე ჩასვლას 7.5-10 წუთი სჭირდებოდა. შესაბამისად, არ არის გამორიცხული და მაღალი ალბათობით, სავარაუდოა, რომ განგაშის სისტემის ქონისას მოქალაქეები ან მათი დიდი ნაწილი გაქცევას მოასწრებდნენ. ეს რამდენიმე წუთიც, შესაძლოა, გადამწყვეტი ყოფილიყო ადამიანების სიცოცხლისთვის. სამწუხაროდ, ეს საკითხიც გამოძიების ყურადღების მიღმა დარჩა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიციით, ადრეული გაფრთხილების სისტემა და განგაშის სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდება; ადრეული გაფრთხილების სისტემა სხვადასხვა მონაცემების ერთობლიობას და მათ ანალიზს გულისხმობს; სამომავლოდ იგეგმება ადრეული გაფრთხილების და განგაშის სისტემების გაკეთება. თუმცა, გამოძიება არ სვამს დამატებით შეკითხვებს რატომ არ მოხდა ამ სისტემების მონტაჟი ამ დრომდე. გამოძიებამ გამოკითხა მხოლოდ გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი და ჰიდროლოგიური დეპარტამენტის უფროსი. მათთვის არ დაუსვამთ დეტალური შეკითხვები, თუ რა მიზეზით არ მოხდა წინა წლებში მყინვარების შესწავლა, მათ შორის, მყინვარ ბუბას შესწავლა.

2023 წლის 3 აგვისტომდე პერიოდში, რამდენიმე წლის განმავლობაში (2019-2022) გამოცემულ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენებში[265] აღნიშნულია კატასტროფების რისკის წინასწარი იდენტიფიცირების და შემცირების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე; ასევე,

[265] ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენები მოიცავს საქართველოში კონკრეტულ წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებსა და პროგნოზს მომდევნო წლისთვის.

ადრეული შეტყობინების სისტემების გაზრდის მიზანზე. სტრატეგიის დოკუმენტში ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნისთვის შესაბამისი ფინანსური რესურსიც არის გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, გამოძიებას არ დაუდგენია/არ გაურკვევია რა მიზეზით, რომელი უწყების თუ უწყებების უმოქმედობით არ განხორციელდა ამ სისტემის მონტაჟი, ბიუჯეტის თუ დონორების სახსრებიდან მოხდა თუ არა თანხების გამოყოფა, და დაიხარჯა თუ არა ისინი მიზნობრივად. გარდა სამართლებრივი აქტებისა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო განცხადებაში, ჯერ კიდევ 2018 წელს იყო მითითებული რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადრეული გაფრთხილების გამართული სისტემა 2-3 წელში იქნებოდა.[266] თუმცა, სამინისტროს შესაბამისი წარმომადგენლები ამ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად არ არის გამოკითხულები, თუ რა გარემოებებს ეფუძნებოდა ხსენებული განცხადება ან რატომ ვერ შესრულდა ეს გეგმა.

გამოძიებამ უკრიტიკოდ გაიზიარა გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიცია, რომ ბიულეტენებში მითითებული ინფორმაცია შოვში ღვარცოფის და მეწყრის მაღალი საშიშროების რისკის შესახებ ეხებოდა მდ. ჭანჭახის ხეობას და მდ. ბუბას ხეობა და მყინვარი ბუბა შესწავლილი არ ყოფილა, რადგან ბუბას ხეობაში მანამდე მსგავსი მოვლენები არ დაფიქსირებულა და მოსალოდნელიც არ ყოფილა. თუმცა, გამოძიების მოპოვებული და საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია საპირისპიროზე მიუთითებს. გამოძიებას არ დაუდგენია, რატომ არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი მყინვარი ბუბა და მდინარე ბუბისწყლიდან მომდინარე საფრთხე. ამ თვალსაზრისით გამოძიებას ყურადღება უნდა გაემახვილებინა შემდეგ საკითხებზე:

1. გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ. გვერდზე[267] არსებული ინფორმაციით, საქართველოში **383 მყინვარია** და კლიმატის ცვლილებაზე მითითებით (მყინვარების დეგრადაცია კლიმატის მიმდინარე ცვლილების ეფექტური ინდიკატორია), აუცილებელია მყინვარებთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენებისადმი ადაპტაციის სტრატეგიის განვითარება და მოწყვლად მაღალმთიან რეგიონებში შერბილების ღონისძიებების გატარება. თუმცა ამგვარი დოკუმენტი არც გამოძიებას მოუპოვებია და არც კითხვები აქვს დასმული, შემუშავდა თუ არა, ხოლო უარყოფით შემთხვევაში - რატომ;
2. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწვეული, საერთაშორისო საექსპერტო კომპანიის მიერ შოვთან დაკავშირებულ 2023 წლის 28 ნოემბრის დასკვნაშიც კლდის ფერდის ნაწილის ჩამოშლის კონტექსტში საუბარია გლობალური დათბობის შედეგად მყინვარების დნობაზე და კლდეების მზრადობის შესახებ; ასევე, წყალზე, როგორც მასების სწრაფი გადაადგილების მოვლენაზე. ეს საკითხი

[267] იხ. <https://nea.gov.ge/Ge/popular/5> [ბოლოს ნანახია: 31.01.2025 წ.]

უნდა შეფასებულიყო სხვა რელევანტურ საკითხებთან ერთობლიობაში მყინვარებიდან მომდინარე საფრთხის ცოდნის თვალსაზრისით;

3. დებულებით, გარემოს ეროვნული სააგენტოს კლდე ზვავების შესწავლაც ევალება, რასაც იმავე სააგენტოს 2024 წლის დასკვნით, ადგილი ჰქონდა შოვში. თუმცა გამოძიებას არ გაურკვევია, რატომ არ მოხდა ამ საკითხის და მყინვარიდან კლდე ზვავის განვითარების საფრთხის შესწავლა;
4. გამოცემულ გარემოს ეროვნული სააგენტოს (2019-2022) ბიულეტენებში პირდაპირ წერია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის მხარეში პერიოდული „გლაციალური“ ღვარცოფების შესახებ; გეოლოგიური პროცესების გააქტიურებას რთულ გეოლოგიურ და მორფოლოგიურ პირობებთან ერთად განაპირობებს კლიმატური თავისებურებები: მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, მათი სეზონური განაწილება და გადახრა ნორმიდან. ბიულეტენებში, ასევე, ფიქსირდება შოვში ნალექების საშუალო ნორმიდან გადახრა და თავსხმა წვიმებიც. შესაბამისად, გამოძიებას უნდა გაერკვია ამ მონაცემების შეფასებისა და ანალიზის შედეგად ახორციელებდა თუ არა სახელმწიფო რაიმე სახის რეაგირებას და თუ არა, რატომ;
5. ბიულეტენებში შოვი მიეკუთვნება მაღალი რისკის ზონას ღვარცოფის და მეწყრის განვითარების თვალსაზრისით, რაც საფრთხეს უქმნის შოვის ინფრასტრუქტურას. მართალია, ბიულეტენებში სახელდება მდ. ჭანჭახი, თუმცა საგულისხმოა, რომ მდ. ბუბისწყალი მდ. ჭანჭახის შენაკადია და სწორედ შოვის ტერიტორიაზე უერთდებიან ერთმანეთს. შესაბამისად, ბუბაც და ჭანჭახიც რიონის აუზის მდინარეები არიან. ხოლო გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ. გვერდზე მითითებული ინფორმაციით, საქართველოში მყინვარები ძირითადად თავმოყრილია მდინარეების: ენგურის, რიონის, კოდორის და თერგის აუზებში. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ საკითხი კომპლექსურ შესწავლას საჭიროებდა, რაც არ მომხდარა.

საგულისხმოა, რომ მხოლოდ სტიქიის შემდეგ, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გააფორმა ხელშეკრულება საერთაშორისო კომპანიასთან მყინვარების (22 მყინვარის, მათ შორის, ბუბას) საფრთხეების შესწავლაზე. გამოძიებას არ შეუფასებია, თუ რატომ არ იყო შოვის სტიქიამდე შესწავლილი მყინვარებიდან მომდინარე საფრთხეები იმ ფონზე, როცა ცნობილი იყო კლიმატის ცვლილების მყინვარებზე გავლენა (დნობა, ჩამოშლა და ა.შ.).

ამასთან, სწორედ სტიქიის შემდეგ, უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭომ დაიწყო ადრეული გაფრთხილების სისტემების კონცეფციის შექმნაზე მუშაობა. ეს გარემოებები ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ჰქონდა და აქვს ვალდებულება, შეესწავლა მყინვარებიდან მომდინარე საფრთხეები.

სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათო მდგომარეობის შესაძლო ცოდნაზე ან/და იმ გარემოებაზე, რომ ასეთი ინფორმაცია სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა, რამდენიმე ფაქტორი მიუთითებს:

გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიულეტენში მითითებულია, 2020 წლის ივლისში ძლიერი ნალექის შემდეგ, მდ. რიონის და მისი შენაკადების ადიდების შედეგად მეწყრული პროცესების განვითარებასა და ინფრასტრუქტურის დაზიანებაზე. ასევე, ონის მერიიდან და გზების დაცვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ სხვადასხვა დროს მოსახლეობაც მიუთითებდა სტიქიის შესახებ (არა ამ მასშტაბით) და გზის აღდგენის საჭიროებაც ყოფილა შოვში, სადაც არაერთხელ არის ჩატარებული მდ. ბუბაზე სტიქიის შემდგომი რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე, ონის მერიის და მოქალაქე მარიტა გუტაშვილის საჯარო „facebook" სტატუსით, ირკვევა 2020 წელს ბუბასწყლის ადიდება (ფოტო/ვიდეო მასალასა). ყველა ამ ინფორმაციის მიუხედავად გამოძიება არ სვამს კითხვას და არ ადგენს, სტიქიამდე რამდენიმე წლის განმავლობაში მდინარე ბუბაზე წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მიუხედავად, რატომ არ ხდებოდა საფრთხეების შესწავლა და მონიტორინგი.

გარდა ამისა, გარემოს ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენებში მითითებულია მთავრობის მიერ დამტკიცებულ საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების სტრატეგიის თაობაზე. გამოძიების მიერ **არ არის გაანალიზებული კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების სტრატეგიაში მითითებული საკითხი - რატომ არ იქნა დამონტაჟებული ადრეული გაფრთხილების და განგაშის სისტემები, როცა სტრატეგიაში გათვალისწინებულია; არ არის გარკვეული 2020 წლის შემდეგ, რატომ არ შემუშავდა კატასტროფის რისკის შემცირების ახალი სტრატეგია მომდევნო წლებისთვის, რაც მთავრობას ევალებოდა;** საქმეში ასევე დევს საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მე-3 ეროვნული პროგრამა 2017-2021 წლებისთვის, რომელშიც აღნიშნულია კლიმატის ცვლილების გამო ტემპერატურის მატების, ნალექების ცვლილების, წყალდიდობების, წყალმოვარდნების, ღვარცოფების შესახებ. სამოქმედო პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვას; შესრულების ვადა 2017-2021 წწ. და დასახელებულია დონორის გრანტი, თუმცა გამოძიებას არ გამოუკვლევია მიიღო თუ არა აღნიშნული გრანტი გარემოს დაცვის სამინისტრომ, შესრულდა თუ არა პროგრამის მიზანი; ხოლო უარყოფით შემთხვევაში - რა მიზეზით; სამოქმედო გეგმა, ასევე, ითვალისწინებს, წყალდიდობებისა და წყალმოვარდენების შეფასებისა და მართვის სისტემის დანერგვას სახელმწიფო ბიუჯეტის თანხით, თუმცა არც ეს საკითხი დაუდგენია გამოძიებას; მე-4 ეროვნულ პროგრამაში 2022-2026 წლებისთვის აღნიშნულია ადრეული შეტყობინების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება. თუმცა გამოძიებას არ დაუდგენია და არ შეუფასებია საკითხი იმის შესახებ, რომ არა თუ სისტემის გაუმჯობესება, არამედ დამონტაჟებაც კი არ განხორციელებულა.

გამოძიებას არ მოუპოვებია სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს ვებ. გვერდზე არსებული ინფორმაცია/მინისტრის განცხადება, იმის შესახებ, რომ 2021 წლისთვის ქვეყანას ადრეული გაფრთხილების სისტემა ექნებოდა; ასევე, არ გამოუკითხავს მინისტრი და სხვა პირები, რას ეფუძნებოდა ეს განცხადება და რატომ არ შესრულდა.

გარდა ამისა, გამოძიებას არ დაუდგენია რატომ დაიწყო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატმა მხოლოდ სტიქიიდან 1 წლის შემდეგ, 2024 წელს, საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის ადრეული შეტყობინების სისტემის დანერგვისა და მართვის პრინციპების შემუშავება და მანამდე რა მიზეზით არ შემუშავდა ეს დოკუმენტი; გამოძიებას არ გამოუთხოვია ონის მერიიდან გარემოს დაცვის პასპორტი. როგორც აპარატს ონის მუნიციპალიტეტიდან წერილობითი პასუხით ეცნობა, ამგვარი პასპორტი შედგენილი არ ყოფილა.[268] არ გამოკითხულა ონის მერი და შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელები და არც კითხვები დასმულა, თუ რატომ არ ჰქონდა მაღალმთიან კურორტს, სადაც ხშირად ხდებოდა მდინარეების ადიდება და ღვარცოფი/მეწყერი, გარემოს პასპორტი ან ვისთან ერთად უნდა შეემუშავებინათ ეს დოკუმენტი.

გამოძიებას მოპოვებული აქვს საქართველოს ცენტრალური და ქუთაისის არქივიდან შოვთან დაკავშირებული საარქივო მასალები, რომელთა მიხედვით, კურორტ შოვში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შენდებოდა შენობები, ასევე, საჯარო რეესტრიდან და ონის მერიიდან - დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გაცემული მშენებლობის ნებართვები და შოვის განვითარების გენერალური გეგმა. თუმცა გამოძიებას არ აქვს დადგენილი/შესწავლილი რატომ არ არის მითითებული შოვის გენერალური განვითარების გეგმაში (თარიღდება 2018 წლით და დამტკიცდა 2022 წელს) მყინვარ ბუბადან მომდინარე საფრთხეები, გეგმის შედგენისას შესწავლილი იქნა თუ არა, თუ არა - რატომ და რატომ იქნა გაცემული მშენებლობის ნებართვები, რომელთა საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები დასაბუთებულობის სტანდარტებით არ გამოირჩევა.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნული, ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომელმაც სტიქიასთან დაკავშირებით საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები უნდა დაადგინოს, 1 წლის შემდეგაც არ არის მიღებული. საგულისხმოა, რომ ბიუროს არ გააჩნდა[269] ექსპერტიზის ჩატარებისთვის საჭირო აღჭურვილობა და საჭირო დოკუმენტები - დრონით და ვერტმფრენით გადაღებული ფოტოები, 2 და 3 განზომილებიანი ფოტოები, რუკები (გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული) - გამოძიებამ მიაწოდა. რა თქმა უნდა, საქმის მასალები გამოძიებამ უნდა მიაწოდოს ექსპერტს, თუმცა კითხვები ჩნდება რამდენად აქვს ბიუროს ამ მასშტაბის სტიქიის შეფასებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები და ხომ არ არის იმის საჭიროება, რომ გამოძიებამ იმსჯელოს საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, ამგვარი ექსპერტიზის საზღვარგარეთ მაღალტექნოლოგიურ საექსპერტო ბიუროში დანიშვნის შესახებ.

პროკურატურის პოზიციით, სტიქიასთან დაკავშირებული გარემოებების დასადგენად სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნულია

---

[268] ონის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 7 თებერვლის N78-782403830 წერილი.

[269] გამოძიების მასალებით დგინდება, რომ ამაზე თავად ბიურომ მიუთითა და მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ თხოვნით, რომ წარედგინათ საჭირო მასალები, რადგან თავად არ ჰქონდათ იმის ტექნიკური შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლად მოეპოვებინათ საჭირო მასალები.

ეკოლოგიური ექსპერტიზა. გამოძიების წინაშე ექსპერტიზის ბიუროს მხრიდან არ დასმულა საკითხი ექსპერტიზის პროცესში უცხო ქვეყნის წარმომადგენელების ჩართვის თაობაზე. შესაბამისად სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შუამდგომლობით უცხო ქვეყნისთვის მიმართვა არ განხორციელებულა.[270]

საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა დაინიშნა 2024 წლის ივნისში, რომელმაც უნდა დაადგინოს წინა წლებში სტიქიის შემდგომ ხიდის, გზების, მდინარეების კალაპოტის გამაგრებითი სამუშაოების ხარისხი. თუმცა გამოძიებას არ შეუსწავლია ამ სამუშაოების მწარმოებელი კომპანიების, რომლებსაც მთლიანობაში, ბიუჯეტიდან რამდენიმე მილიონი ლარი გამოეყოთ, თანხის ხარჯვის, ტენდერის გამართვის, სამუშაოთა წარმოების პროცესში კანონმდებლობის მოთხოვნების დაცულობის თუ დარღვევის საკითხები.

პროცედურული მხარე

გამოძიებას არ აქვს მოპოვებული ინფორმაცია არსებობდა თუ არა საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა; არ არსებობდა ან/და გამოძიებას არ მოუპოვებია სამაშველო ღონისძიების გეგმა და არ დაუდგენია კრიზისის/საგანგებო შემთხვევის დროს რა გეგმით მოქმედებდნენ, დროის რომელ მონაკვეთში, რა თანმიმდევრობით.

საგანგებო შტაბს დაევალა სიტუაციისთვის ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე ორგანიზების და კოორდინაციის გაწევა, თუმცა კონკრეტული მოქმედების გეგმა, ტაქტიკა და ქმედებები შს მინისტრის მ/შ-ის ბრძანებაში ან გამოძიების მიერ მოპოვებულ სხვა დოკუმენტაციაში განსაზღვრული არ არის და გამოძიებას ეს ინფორმაცია არც შტაბის წევრების გამოკითხვის დროს დაუზუსტებია. შტაბის წევრები გადაწყვეტილებას იღებდნენ მყისიერად, ერთობლივად, ზეპირად და რაიმე დოკუმენტი არ შედგენილა (მაგ. ოქმის სახით ან სხვა).

გამოძიებას არ დაუსვამს კონკრეტული კითხვები რა საშუალებით გადაეცემოდა დავალებები მორეაგირე ჯგუფებს - ტელეფონით, რაციით, სოციალური ქსელით თუ სხვა, რომ შემდეგ ეს მონაცემი მოეპოვებინათ. გამოკითხული არ არის შტაბის წევრების ნახევარი, მათ შორის, შტაბის და საგანგებო სიტუციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი; ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ტერიტორია არ იყო დაყოფილი სექტორებად, ხოლო მაშველები პირიქით, და გამოძიებას ეს საკითხიც ზუსტად არ დაუდგენია.

რაც შეეხება მაშველების მონაწილეობას, ჩვენებების მიხედვით, უშუალოდ სტიქიის ზონაში მაშველთა ძირითადი ნაწილი სამაშველო ოპერაციაში ჩაერთო 4 აგვისტოს გამთენიიდან, ხოლო 3 აგვისტოს დღისა და 3-4 აგვისტოს ღამის განმავლობაში ოპერაციას ატარებდა მხოლოდ რამდენიმე ათეული მაშველი. გამოძიებას არ გამოუკვლევია რა იყო იმის მიზეზი

[270] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 თებერვლის N13/10446 და 2025 წლის 5 მარტის N13/13545 წერილები.

რომ ღამის განმავლობაში მაშველთა სრული შემადგენლობა არ იყო სამაშველო პროცესში ჩართული.

საგულისხმოა, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს, 15:07 საათზე, 112-ზე შევიდა პირველი შეტყობინება, სადაც ვერტმფრენის მოთხოვნაც დაფიქსირდა. თუმცა, პირველი ვერტმფრენი სტიქიის ზონაში თითქმის 3 საათის შემდეგ, 18 საათზე ჩავიდა თბილისიდან, ხოლო მე-2 – 19 საათზე. საგანგებო სიტუაციის დროს, შემთხვევის ადგილზე, მეწყერში მოყოლილი ადამიანების სამაშველო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ვერტმფრენის ჩაფრენის 3-საათიანი დრო არაგონივრულია საქართველოს ტერიტორიის ფართობის გათვალისწინებით.

გამოძიების მასალების მიხედვით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს არ ჰყავს ვერტმფრენი. სასაზღვრო პოლიციას კი ჰყავს საბჭოთა წარმოების - „მი 8“ ტიპის ვერტმფრენები, რომლებსაც არ აქვს არც „ჯი პი არ ეს“ სისტემა და არც გარე ვიდეო კამერები. 2 ვერტმფრენი თბილისში, ხოლო 1 - ქუთაისშია ბაზირებული. ქუთაისიდან ვერტმფრენის აფრენის შეუძლებლობის მიზეზად უამინდობა დასახელდა. თუმცა **გამოძიებას, იმ დროისთვის როდესაც სახალხო დამცველის აპარატი ეცნობოდა საქმის მასალებს, არ ჰქონდა გარკვეული, როგორ შეძლო უამინდობის მიუხედავად ორმა ვერტმფრენმა თბილისიდან შოვში ჩაფრენა (მარშრუტის ცვლილების გათვალისწინებით) და რატომ იყო ეს შეუძლებელი ქუთაისში განთავსებული ვერტმფრენისთვის.** ასევე, **იყო თუ არა ტექნიკურად გამართული ქუთაისში ბაზირებული ვერტმფრენი.** ცხადია, თავად მაშველთა უსაფრთხოების დაცვა უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია სამაშველო ღონისძიებების დროს და თუკი უამინდობა ან სხვა მიზეზი ობიექტურად შეუძლებელს ხდის კონკრეტული ვერტმფრენის სამაშველო ღონისძიებაში ჩართვას, აქ არ შეიძლება არსებობდეს კრიტიკა, თუმცა, აპარატი ყურადღებას აპყრობს იმ გარემოებას, რომ ერთი შეხედვით ბუნდოვანი გარემოება (რატომ შეუშალა უამინდობამ ხელი ქუთაისში განთავსებულ ვერტმფრენს და არა თბილისში განთავსებულ ვერტმფერენებს, კონკრეტულად რა ლოკაციაზე იყო ასეთი უამინდობა და რატომ არ შეიძლებოდა მარტრუტის ცვლილება, როგორც ეს თბილისის ვერტმფრენებისას მოხდა) გამოძიებას არ გამოუკვლევია და შესაბამისად, არ ახსნილა გამოძიების მასალებში სათანადოდ. ღამით, 21 საათის შემდეგ, ვერტმფრენებმა შეწყვიტეს ფრენა, რთული რელიეფის, ხილვადობის სირთულის მიზეზით.

ღონისძიებაში საგანგებო სიტუაციების 5 დრონი მონაწილეობდა (ამბროლაურის, იმერეთის, თბილისის), თუმცა დრონის პირველმა ოპერატორმა - ამბროლაურის სამმართველოდან სტიქიის ზონაში დრონით დათვალიერება დაიწყო 18 საათის შემდეგ. არცერთი დრონის ოპერატორს არ ჩაუწერია დათვალიერების პროცესში ფოტო ან ვიდეო მასალა, გარდა ამბროლაურის განყოფილებისა, რომელმაც 18-19 საათამდე გადაიღო რამდენიმე ფოტო/ვიდეო და შტაბში გადააგზავნა. **შესაბამისად, საქმეში არ მოიპოვება სხვა ნეიტრალური მტკიცებულებები და მხოლოდ დრონის ოპერატორების ჩვენებით დასტურდება,** რომ მთელი ღამით „live” რეჟიმში ხდებოდა დათვალიერება და არ აღმოუჩენიათ და არ დაუფიქსირებიათ ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ დრონებით დათვალიერება თითქმის 3 საათის შემდეგ დაიწყო, როცა სტიქიის პირველ წუთებში მყისიერ რეაგირებას ჰქონდა განსაკუთრებული და შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობაც.

გვამების აღმოჩენის შემთხვევაში, არ ხდებოდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება გამომძიებლების მიერ, ხოლო მაშველების მიერ გვამის აღმოჩენის შემდეგ, არ ხდებოდა რაიმე დოკუმენტის შედგენა, მათი აღმოჩენის გარემოებების აღწერით (როგორიცაა: მეწყრის/ღვარცოფის ზედაპირი, სიღრმე, მანძილი და სხვა), რაც მნიშვნელოვანია გარდაცვალების გარემოებების დადგენისთვის. მაშველები აღმოჩენილ გვამებს უღებდნენ ფოტოებს (თუმცა, არა ყველა შემთხვევაში) და ნიშნავდნენ ლოკაციას (კოორდინატები), რასაც შტაბში აგზავნიდნენ. თუმცა, რაიმე მაიდენტიფიცირებელ ნიშანს (მაგ. ნომერი და სხვა) არ აღნიშნავდნენ, რის გამოც კონკრეტულ თარიღში ნაპოვნი რამდენიმე გვამის აღმოჩენის ადგილმდებარეობის ზუსტი დადგენა გამოძიებისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. გვამების დათვალიერება ხდებოდა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში.

სტიქიის დროს გარდაცვლილი და აღმოჩენილი 32 პირიდან (დამატებით, 1 ბავშვი დღემდე დაკარგულად ითვლება) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩაუტარდა 11 ცხედარს. გამოძიება გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს განუმარტავდა, რომ თუ სიცოცხლე ჰქონდათ დაზღვეული, კომპენსაციის მისაღებად საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარება, რასაც ოჯახის მხრიდან უარი მოსდევდა. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, გარდაცვლილის ახლო ნათესავების პოზიციას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების შესრულება სავალდებულოა, გამოძიების ამგვარი ქმედებით, 11 პირის სიკვდილის უშუალო მიზეზი და გარდაცვალების დრო ვერ დადგინდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას არ აქვს დასმული შეკითხვა დაზიანებათა თანმიმდევრობის შესახებ, ხოლო დასკვნათა ნაწილი, რომელიც მომზადებულია, მიუთითებს სიცოცხლის დროინდელ სახიფათო დაზიანებებზე და არ არის კონკრეტული დრო (წერია: „არაუმეტეს/არაუმცირეს 24 საათია, 48 საათისა ...“). შესაბამისად, არ არის დადგენილი სტიქიის დაწყებიდან რამდენ ხანში დადგა სიკვდილი, რაც აჩვენებდა დაახლოებით რამდენი ხნის განმავლობაში იყო იმის ალბათობა, რომ დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში, არ დამდგარიყო ლეტალური შედეგი. ასევე, მნიშვნელოვანია გვამების აღმოჩენის ადგილიდან უახლოესი არა დამეწყრილი ტერიტორიამდე მანძილის განსაზღვრა და რა დრო დასჭირდებოდა ამ მანძილის დაფარვას ადამიანის მიერ; თუნდაც 7-10 წუთში მათი დატოვება შესაძლებელი იყო თუ არა.

სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია, გამოძიებამ ყველა ზემოხსენებულ კითხვას გასცეს ამომწურავი და სრულყოფილი პასუხი და დაადგინოს სტიქიისა და სამაშველო ღონისძიების დროს სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების პოზიტიური ვალდებულების შესრულების ან შეუსრულებლობის საკითხი. შესაბამისად, საჭიროა, დადგინდეს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა). ამ მიზნით აუცილებელია ყველა სახელმწიფო უწყებიდან ინფორმაციის

მოპოვება, თუ რა მიზეზით არ იქნა დამონტაჟებული ადრეული გაფრთხილების სისტემები; გამოიყო თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და დონორის მიერ ადრეული გაფრთხილების სისტემების დამონტაჟებისთვის თანხა, დადებით შემთხვევაში, მათი ხარჯვის საკითხი; რა ღონისძიებები გატარდა ადრეული გაფრთხილების სისტემის მონტაჟისთვის; რა მიზეზით არ იქნა შესწავლილი მყინვარებიდან მომდინარე საფრთხეები, მითუმეტეს გარემოს ეროვნული სააგენტო მიუთითებს კლიმატის ცვლილების გამო მყინვარების დნობის შესახებ; ასევე; კრიზისების მართვის გეგმის და ამ გეგმის შესრულების თაობაზე.

ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისთვის, საჭიროა კვალიფიკაციის დაზუსტება და გამოძიების წარმართვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით - სამსახურებრივი გულგრილობა, ე. ი. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

საგულისხმოა, რომ **ხსენებული დანაშაულის გამოძიება მიეკუთვნება პროკურატურის უწყებრივ საგამოძიებო ქვემდებარეობას, რაზეც სახალხო დამცველი გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის ნაწილში ჯერ კიდევ 2023 წელს მიუთითებდა[271].** ამასთან, გამოძიების საგანი უნდა გახდეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების, მათ შორის, ხელმძღვანელი პირების ქმედებების შეფასება. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - იმერეთის პოლიციის დეპარტამენტი - გამოძიებას აწარმოებს მოცემულ საქმეზე, სადაც ერთ-ერთი საკითხი იმავე სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქმედებების დადგენა და შეფასება უნდა მოყვეს. ამასთან, სტიქიურ უბედურებაზე რეაგირებისთვის საგანგებო შტაბი შს მინისტრის მ/შ-ს ბრძანებით შეიქმნა. ამ გარემოებების გამო, **საქმის სრულყოფილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად, აუცილებლად მიგვაჩნია საქმის გამოძიება წარმართოს საქართველოს პროკურატურამ.**

4.2. თამაზ გინტურის საქმე

2023 წლის 6 ნოემბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალთან, რუსმა სამხედროებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს საქართველოს მოქალაქე - თამაზ გინტური, ხოლო ერთი პირი გაიტაცეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად,

[271] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 19-20 იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf> [ბოლოს ნანახია: 11.03.2025 წ.] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 32-33 იხ. <https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf> [ბოლოს ნანახია: 11.03.2025 წ.]

საქართველოს მოქალაქის მკვლელობისა და ერთი პირის გატაცების ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო.[272]

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სახალხო დამცველმა, საკუთარი ინიციატივით, დაიწყო მოცემული სისხლის სამართლის საქმის შესწავლა, რომლის ფარგლებშიც მან საგამოძიებო უწყებებიდან ინფორმაცია გამოითხოვა.[273] მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიებაზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში, ასევე თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარებისთვის.[274] ამასთან, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილია თამაზ გინტურის შვილი, ხოლო თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტთან დაკავშირებით, დაზარალებულად ცნობილია ლ. დ.[275]

როგორც სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში, ისე სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღინიშნა თუ რამდენად მნიშვნელოვანია, მოცემულ საქმეზე წარმოებული გამოძიება იყოს ეფექტიანი.[276] სახელმწიფომ ყველა სამართლებრივი მექანიზმი უნდა გამოიყენოს, რათა შესაბამისი პასუხი გაეცეს ჩვენი მოქალაქის მკვლელობის ფაქტს.

2024 წელს სახალხო დამცველის აპარატმა კვლავ გამოითხოვა საგამოძიებო ორგანოდან ინფორმაცია, რათა გაეგო, სისხლის სამართლის საქმეში იყო თუ არა რაიმე წინსვლა.[277] **სამწუხაროდ, 1 წლის თავზე გამოძიება კვლავ უშედეგოგ გრძელდება.[278]** აპარატი კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, ხელისუფლების მიერ მოხდეს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალების რეალობაში გამოყენება, რათა უზრუნველყოს დამნაშავეთა დასჯა.

2024 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა აპარატს აცნობა,[279] რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატში, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში, თამაზ გინტურის მკვლელობაში დამნაშავე პირის/პირების მიმართ

---

[272] გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

[273] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 ნოემბრის N 15-10/11428 და 8 დეკემბრის N 15-10/11939 წერილები.

[274] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

[275] გენერალური პროკურატურის 2023 წლის 18 დეკემბრის N 13/84736 წერილი.

[276] სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023, გვ. 31-32. ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf > < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >.

[277] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 6 ნოემბრის 2024/6135 და 2025 წლის 6 იანვრის 25/432 წერილები.

[278] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 12 ნოემბრის MIA 0 24 03446354 და 2025 წლის 27 იანვრის MIA 3 25 00212916 წერილები.

[279] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის 21 თებერვლის SSG 8 24 00040100 წერილი.

სამართლის აღსრულების საკითხის მოთხოვნას. თუმცა, სამწუხაროდ, რაიმე ხელშესახები შედეგი ამ დრომდე არ არის მიღებული. 2025 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით,[280] ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების (GID) და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრებზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ დააყენეს მკვლელობაში დამნაშავე პირის/პირების მიმართ სამართლის დაუყონებლივ აღსრულების საკითხი. თამაზ გინტურის მკვლელობის შემთხვევა ასევე განხილულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატში. მათ შორის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა თამაზ გინტურის მკვლელობის საკითხზე დეტალური მოხსენება გააზიარეს ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციაზე ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. სამწუხაროდ, რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებს არ შეუცვლიათ პოზიცია მკვლელობის ჩამდენი პირის/პირების მიმართ; მათი თქმით, რუსეთის საოკუპაციო ძალა კვლავ არ აპირებს გინტურის მკვლელობის ჩამდენი პირის/პირების დასჯას და სამართლის აღსრულებას.

სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს მოცემული სისხლის სამართლის საქმის მონიტორინგს, მათ შორის, ყურადღებას მიაქცევს, იქნება თუ არა გატარებული ყველა საჭირო ღონისძიება დამნაშავე პირების გამოვლენისა და მათი საქართველოსთვის გადმოცემისთვის.

4.3. ხანძრის საქმე

ბოლო წლების განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად აწარმოებდა 2021 წლის 14 ოქტომბერს, N17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრისა და შედეგად, ორი მსჯავრდებულის გარდაცვალების საქმის მონიტორინგს. მოცემული საქმის, მათ შორის, ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მასალების შესწავლის შედეგად, პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო-უსაფრთხოების ნორმების დაცვის პრობლემა გამოიკვეთა.[281]

დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ ბოლო წლების განმავლობაში, პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო-უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით სათანადო ღონისძიებები აქტიურად ტარდებოდა.[282] მსგავსი ღონისძიებები საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი, პენიტენციური დაწესებულებების შენობანა-გებობების სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების რეკომენდაციების საფუძველზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის

[280] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2025 წლის 19 მარტის SSG 2 25 00059707 წერილი.
[281] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 35-37; ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >.
[282] იქვე.

დაკვეთით, კონტრაქტორი საპროექტო ორგანიზაციის მიერ, მომზადებულია პენიტენციური დაწესებულებების სახანძრო უსაფრთხოების სისტემებისა და სახანძრო რეზერვუარების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია გადაიგზავნა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, საიდანაც გაცემულია დადებითი სარეკომენდაციო წერილი, ხოლო ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასება, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, რომლის შემდეგაც განხორციელდება სამუშაოების შესყიდვის პროცედურები. ამასთან, 2021-2024 წლებში ყველა პენიტენციური დაწესებულება აღიჭურვა სახანძრო ევაკუაციის გეგმებით და ხელის ცეცხლმაქრებით, ხოლო დაწესებულებების ძირითად ნაწილში აღდგენილია სახანძრო ჰიდრანტების სისტემა.[283]

4.4. ხორავას ქუჩის საქმე

7 წლის გასვლის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდშიც არ დამდგარა არანაირი შედეგი ქ. თბილისში, ხორავას ქუჩაზე, 2017 წლის 1 დეკემბერს, არასრულწლოვნების დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის მკვლელობის საქმეზე შესაძლო არასათანადო საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ფაქტზე, გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმებით.[284]

5. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა

2024 წელი განსაკუთრებით მძიმე იყო არასათანადო მოპყრობის სისტემურობისა და მოქალაქეების მიმართ ღირსების ხელშეუვალობის აბსოლუტური უფლების მასობრივად დარღვევის კუთხით. ვინაიდან აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე მასშტაბურ დარღვევებს ადგილი 2024 წელს საპროტესტო აქციების კონტექსტში ჰქონდა, საკითხი დეტალურად განხილული და შეფასებული შესაბამის თავშია.

მოცემულ თავში კი ყურადღება დაეთმობა წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ირგვლივ გამოვლენილ სხვა საქმეებსა თუ საყურადღებო საკითხებს, რაც გამოვლინდა საანგარიშო პერიოდში როგორც პენიტენციური სისტემის ფარგლებში, ისე - მის გარეთ, მართლმსაჯულების სხვადასხვა ასპექტში. ანგარიშის

[283] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2025 წლის 15 იანვრის N9069/01 წერილი.
[284] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 23 იანვრის N13/3182 წერილი.

წინამდებარე ნაწილში მიმოხილული იქნება სხვა ინდივიდუალური საქმეებიც, რომელთა მონიტორინგსაც სახალხო დამცველის აპარატი, წლების განმავლობაში ახორციელებს.

5.1. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საკითხები პენიტენციურ სისტემაში

5.1.1. ჯანდაცვა პენიტენციურ სისტემაში

სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ სისტემაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს პატიმრების ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და უზრუნველყოფაზე. პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვა არა მხოლოდ ამ დაწესებულებების შიდა საორგანიზაციო საკითხია, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ზოგადი პასუხისმგებლობაა, რადგანაც პენიტენციური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. ამასთანავე, ჯანმრთელობის პრობლემები, საბოლოოდ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პატიმრების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესზე.

თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის უფლების მნიშვნელობაზე საუბარია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში, სახელმძღვანელო წესებში და რეკომენდაციებში.[285] აღნიშნულის გარდა, პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის, ადეკვატურობის ან/და დროულობის მიმართულებით არსებული პრობლემები არაერთხელ გახდა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასების საგანი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირდაპირ არ განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, სახელმწიფოები, რომლებიც პატიმრებს ან დაკავებულ პირებს არ უზრუნველყოფენ სათანადო ჯანდაცვით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ ცნო ბრალეულად მე-2 (სიცოცხლის უფლება) ან მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევაში. სასამართლოს მოსაზრებით, იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.[286] პატიმარი უნდა

[285] ევროპული ციხის წესები 2006, ევროპის საბჭო, წესი №2; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, §40.2; გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №14: უფლება ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს მიღწევად სტანდარტზე (პაქტის მე-12 მუხლი), 11.08.2000; ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3XPYIdi > ; [ბოლოს ნანახია: 28.01.2025]

[286] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Bujak v. Poland, №686/12, § 68.

იღებდეს დროულ და მისი ჯანმრთელობისთვის საჭირო მკურნალობას[287] და ექიმის მიერ პატიმრის მხოლოდ მონახულება/კონსულტირება სასამართლოს საკმარისად არ მიაჩნია.[288] სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმას, რომ პატიმრის მკურნალობა, საჭიროების შემთხვევაში, რეგულარული და მიმართული იყოს დაავადების გამწვავების თავიდან აცილებისკენ.[289]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2024 წლის განმავლობაშიც, სახალხო დამცველის აპარატმა დეტალურად და სიღრმისეულად შეისწავლა ისეთი შემთხვევები, სადაც ბრალდებულები/მსჯავრდებულები სამედიცინო მომსახურების სხვადასხვა ხარვეზებზე მიუთითებდნენ ან/და საჭიროებდნენ დროულ სამედიცინო ჩარევას. მოცემულ შემთხვევებში, საქმეების სამედიცინო კომპონენტი შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულმა ექიმმა, მედიცინის დოქტორმა.

5.1.2. სამედიცინო მომსახურების პრობლემები პენიტენციურ სისტემაში: ინდივიდუალური საქმეები

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციებით საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ამა თუ იმ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის კონკრეტული სამედიცინო სერვისების დროულად მიწოდების თაობაზე, მიმართა. მაგალითისთვის, მსჯავრდებული რ.ი., დიაგნოზის საბოლოოდ დადგენისა და მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმვის მიზნით, საჭიროებდა ელექტრონეირომიოგრაფიული კვლევის, ასევე, ნეიროქირურგის, ნევროლოგისა და ტრავმატოლოგის კონსულტაციების ჩატარებას (სასწრაფო-დაყოვნებადი წესით).[290]

დიაგნოსტირების პრობლემა გამოიკვეთა მსჯავრდებულ კ.ბ.-ს საქმეში. აპარატმა შეისწავლა როგორც მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ასევე, მისი სამედიცინო ბარათის ასლი. შედეგად, დადგინდა, რომ მსჯავრდებულს დაგვიანებით ჩაუტარდა შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევები და დასმული დიაგნოზი არ შეესაბამებოდა მისი ჯანმრთელობის რეალურ მდგომარეობას. აპარატში დასაქმებული ექიმის მოსაზრებით, არ იყო გათვალისწინებული მისი მხედველობის დაქვეითების ხარისხი და არ იყო გამოტანილი დიაგნოზი: „მხედველობის დარღვევა სიბრმავის ჩათვლით". შესაბამისად, მსჯავრდებულ კ.ბ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის სრულყოფილად შესწავლისა და დიაგნოზის დაზუსტების მიზნით, სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მიმართა.[291] შედეგად, მსჯავრდებულს

---

[287] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Holomiov v. Moldova, №30649/05, §§117-122; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Ashot Harutyunyan v. Armenia, №34334/04, §§112-116; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Kolesnikovich v. Russia, №44694/13, §§76, 80, 81.

[288] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Hummatov v. Azerbaijan, №9852/03 და №13413/04, §116.

[289] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Amirov v. Russia, №51857/13, §93.

[290] სახალხო დამცველის 2024 წლის 26 თებერვლის №15-12/2020 რეკომენდაცია.

[291] სახალხო დამცველის 2024 წლის 15 იანვრის №15-13/606 რეკომენდაცია.

დამატებითი კვლევა და კონსულტაციები ჩაუტარდა (შემდგომ სამედიცინო ჩარევაზე თავად პატიმარმა განაცხადა უარი).

დიაგნოზის არასწორად დასმის პრობლემა, აგრეთვე, თ. ჯ-ის საქმეშიც გამოიკვეთა. პატიმრის განცხადებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ კლინიკა „ვივამედში", სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა პატიმრისათვის დიაგნოზის არასწორ დასმას, რასაც შედეგად არასწორი მკურნალობა მოჰყვა. შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებთ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიმართა, პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და დროულობის შესწავლისა და პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე მედიცინის მუშაკების მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად საქმისწარმოების დაწყების მიზნით.[292]

მსჯავრდებულ ლ. ა.-ს საქმეზე, რეკომენდაცია ეხებოდა ქირურგის განმეორებითი კონსულტაციისა და შესაბამისი კვლევების ჩატარებას, რაც აპარატის ექიმის მოსაზრებით საჭირო იყო მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის ოპერატიულად განსაზღვრის მიზნით.[293] იგივე მოცემულობა იყო მსჯავრდებულ რ.ს.-თან, რომელიც საჭიროებდა დამატებით და დროულ სამედიცინო მომსახურებას. კერძოდ კი, კონკრეტული დაავადების გართულებებისა და ქრონიკული ტკივილის სინდრომის მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმვის მიზნით, რ. ს.-სთვის მკურნალობის პროცესში აქტიურად უნდა ჩართულიყო რევმატოლოგი. ასევე, საჭირო იყო ტკივილის მართვის სპეციალისტის, ნევროლოგისა და ნარკოლოგის კონსულტაციები.[294] სამივე შემთხვევაში, რეკომენდაცია შესრულდა და მსჯავრდებულებს მიეწოდათ საჭირო სამედიცინო სერვისები.

სახალხო დამცველის აპარატისთვის, ამ ეტაპზე, უცნობია ბრალდებულ ა. ბ.-სთან დაკავშირებით გაგზავნილი რეკომენდაციის შედეგები,[295] რომლის შემთხვევაშიც გამოიკვეთა პერიოდული დაავადების დიაგნოსტირების, ავადმყოფობის სწორად მართვის, საჭირო გამოკვლევების ჩატარებისა და პაციენტის სამკურნალო სქემაში კონკრეტული მედიკამენტის ჩართვის საჭიროება, რომელიც საბაზისო პრეპარატს წარმოადგენს და პაციენტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა ეძლეოდეს.

განსხვავებული იყო მსჯავრდებულ თ.ს.-სთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგები. ამ შემთხვევაში, გამოიკვეთა მსჯავრდებულისთვის სრულყოფილი დიაგნოსტირებისა და ადეკვატური მკურნალობის გარკვეული დროით გაჭიანურება. შესაბამისად, ამჯერად სახალხო დამცველმა მიმართა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წინადადებით: შეისწავლონ მსჯავრდებულ თ.ს.-ს მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი და

[292] სახალხო დამცველის 2024 წლის 1 აგვისტოს № 2024/3406 წინადადება.
[293] სახალხო დამცველის 2024 წლის 28 თებერვლის №15-12/2114 რეკომენდაცია.
[294] სახალხო დამცველის 2024 წლის 18 მარტის №15-3/2698 რეკომენდაცია.
[295] სახალხო დამცველის 2024 წლის 27 აგვისტოს №2024/4094 რეკომენდაცია.

დროულობა, ასევე, დაიწყონ საქმისწარმოება მედიცინის მუშაკების მიმართ პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის კომპეტენტური ორგანოს - პროფესიული განვითარების საბჭოს - წინაშე დასაყენებლად.[296] რეგულირების სააგენტომ დაიწყო საქმისწარმოება მოცემულ საქმეზე, თუმცა საკითხის შესწავლის საბოლოო შედეგები, ამ ეტაპზე, უცნობია.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სხვა ისეთი ფაქტიც, როდესაც ერთ-ერთ მსჯავრდებულს მნიშვნელოვანი დაგვიანებით გაეწია შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულ ა.ხ.-ს უფიქსირდებოდა ხელის ტრავმა და დაწესებულების მორიგე ექიმმა მართალია, იმავე დღეს აღმოუჩინა პირველადი სამედიცინო დახმარება, თუმცა, საჭირო რენტგენოლოგიური კვლევის ჩატარების შესახებ რეკომენდაცია გაიცა გეგმიური და არა - სასწრაფო-დაყოვნებული წესით. ამასთანავე, სათანადო ინფორმაცია სავარაუდოდ არ მიეწოდა პაციენტის მკურნალ ექიმს. შედეგად, რენტგენოლოგიური კვლევა დაიგეგმა მხოლოდ სახალხო დამცველის რწმუნებულის პაციენტთან და შემდეგ, მკურნალ ექიმთან შეხვედრის შედეგად, ტრავმის მიღებიდან მხოლოდ მე-13 დღეს. კვლევამ გამოავლინა ხელის მტევნის ძვლის მოტეხილობა ცდომით და საჭირო გახდა საიმობილიზაციო თაბაშირის ნახვევის დადება. ვინაიდან სახეზე იყო მსჯავრდებულ ა.ხ.-სთვის მნიშვნელოვნად დაგვიანებული სამედიცინო მომსახურების გაწევა, ასევე, შესაძლებელია ყოფილიყო სისტემურ პრობლემა - კომუნიკაციის ხარვეზი მორიგე ექიმსა და მკურნალ ექიმს შორის, სახალხო დამცველმა მიზანშეწონილად მიიჩნია შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ წინადადებით მიემართა საქართველოს იუსტიციის მინისტრისთვის.[297] ამ ეტაპზე, აპარატისთვის უცნობია წინადადების განხილვის შედეგები.

გარდა პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ხარვეზებისა, საანგარიშო პერიოდში **კვლავ გამოიკვეთა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ პატიმართა სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესწავლის გაჭიანურების პრობლემა.**

მაგალითისათვის, მსჯავრდებულ გ. გ.-ს[298] სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლენილ პრობლემასთან დაკავშირებით, აპარატის მიმართვის საფუძველზე,[299] სააგენტო **თითქმის 3 წელია,** სწავლობს შპს „ვივამედში“ მსჯავრდებულ გ. გ.-სთვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხს.[300] საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მსჯავრდებულმა სასჯელი მოიხადა და 2023 წელს გათავისუფლდა კიდეც.

---

[296] სახალხო დამცველის 2024 წლის 6 მარტის №15-3/2369 წინადადება.

[297] სახალხო დამცველის 2024 წლის 28 დეკემბრის №2024/7766 წინადადება.

[298] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 55; 2023 წლის ანგარიში, გვ. 84.

[299] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 28 მარტის N15-5/3297 წერილი.

[300] სამედიცინო დოკუმენტაცია, კლინიკური შეფასებისთვის, სარეცენზიოდ, განმეორებით, გადაიგზავნა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების“ ექიმ-სპეციალისტებთან, თუმცა სარეცენზიო დასკვნები 2024 წლის ბოლოსაც არ იყო წარმოდგენილი (სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2024 წლის 7 დეკემბრის NREG32401337225 წერილი).

აგრეთვე, სახალხო დამცველის ანგარიშში[301] აისახა ინფორმაცია 2020 წელს, კლინიკა „ვივამედში“ გარდაცვლილი მსჯავრდებულის რ. ქ.-ს საქმის შესახებ. გამოძიების ფარგლებში, სხვა გარემოებებთან ერთად, შესწავლას ექვემდებარება მსჯავრდებულის გარდაცვალების წინა პერიოდში პენიტენციურ და სამედიცინო დაწესებულებებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ადეკვატურობისა და დროულობის საკითხი. სააგენტომ პატიმრის გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ გასცა ნაწილობრივი დასკვნა მხოლოდ კლინიკაში ჩატარებული მკურნალობის შესახებ, ხოლო პენიტენციურ დაწესებულებაში გაწეული სამედიცინო მომსახურების შეფასება მოცემულ დრომდე არ მომხდარა და შესაბამისად, **4 წელზე მეტი** პერიოდის შემდეგაც, სარეცენზიო დასკვნები გაცემული არ არის.[302]

სამწუხაროდ, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლის გაჭიანურება ხელს უშლის საგამოძიებო ორგანოების საქმიანობასაც და აფერხებს ეფექტიანი გამოძიების პროცესს.

5.1.3. დაზიანების დოკუმენტირების პრობლემა

პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირებისა და ექიმის მხრიდან, შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების მნიშვნელობაზე გვექნება საუბარი წინამდებარე ქვეთავში.

ერთ-ერთი საქმის შესწავლის ფარგლებში პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილის ექიმ(ებ)ის მიერ მსჯავრდებულ ბ. ლ.-ს სხეულზე ნანახი **დაზიანებების აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და სათანადო რეაგირების განხორციელების ვალდებულების უგულებელყოფის ფაქტი გამოვლინდა.**

მონიტორინგისას სახალხო დამცველის რწმუნებულებს, პენიტენციურ დაწესებულებაში, დეესკალაციის ოთახში მყოფმა მსჯავრდებულმა ბ. ლ.-მ აცნობა, რომ ამავე დაწესებულების თანამშრომელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, კერძოდ, სახეში დაარტყა პლასტმასის ფარი, ასევე, თავის უკანა მხარეს მუშტი ჩაარტყა. შეხვედრისას მსჯავრდებულს ხილულად აღენიშნებოდა დაზიანება ცხვირის არეში შეშუპებისა და მოწითალო-მოყვითალო ფერის სისხლნაჟღენთის სახით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა აღნიშნული ინფორმაცია დაწესებულების მორიგე ექიმს მიაწოდეს.

ვიზიტის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის რწმუნებულები კვლავ შეხვდნენ ამავე ექიმს, რომელმაც განმარტა, რომ მან მოინახულა ბ. ლ. და დოკუმენტურად დააფიქსირა მის სხეულზე არსებული დაზიანება, თუმცა მისი წარმოშობის მიზეზი არ მიუთითებია. მიზეზად კი განმარტა, რომ პატიმრისთვის არ უკითხავს, თუ რა ვითარებაში მიიღო დაზიანება. ექიმი

---

[301] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 82-83.

[302] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2024 წლის 24 დეკემბრის NREG82401362592 წერილი.

ასევე ამტკიცებდა, რომ აღნიშნული დაზიანება ფიზიკური ძალადობის შედეგად მიღებული არ იქნებოდა და შესაძლოა, ის პატიმარს დეესკალაციის ოთახში ყოფნის დროს, კარებზე თავის მირტყმის შედეგად, თვითდაზიანების სახით მიეყენებინა. მისივე თქმით, აღნიშნულიდან გამომდინარე არ შეავსო საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის სპეციალური ფორმა, ასევე, არ შეატყობინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, სახალხო დამცველის რწმუნებულებს ექიმმა განუმარტა, რომ იგი შეხვდა ბ. ლ.-ს დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანის დროს[303] და დაათვალიერა მის სხეულზე არსებული დაზიანება. ასევე, გამოკითხა დაზიანების წარმოშობის მიზეზების თაობაზე. მსჯავრდებულმა განუმარტა, რომ პლასტმასის ფარი მოხვდა, რომელიც თანამშრომელს ეკავა. ექიმის განმარტებით, თანამშრომლები მსჯავრდებულის საკანში ფარით იმიტომ შევიდნენ, რომ ამ უკანასკნელს ხელში სითხით სავსე ბოთლი ეკავა, რომელიც სავარაუდოდ იყო შარდი. ექიმის განმარტებით, აღნიშნული ძალადობას არ წარმოადგენდა და არ შეატყობინებდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ბ. ლ.-ს დეესკალაციის ოთახში ყოფნის პერიოდში შედგენილი დოკუმენტაციაც.[304] შედეგად გაირკვა, რომ ბ. ლ.-ს სხეულის დაზიანებები დოკუმენტურად არც მისი დეესკალაციის ოთახში ყოფნის განმავლობაში დაფიქსირდა.[305]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბ. ლ. გასინჯული იყო მორიგე ექიმის მიერ. მსჯავრდებულს, მის მიმართ წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ განცხადება/განმარტება არ გაუკეთებია. სამედიცინო შემოწმების შედეგად არც ექიმს გასჩენია ეჭვი ზემოხსენებულის შესახებ, შესაბამისად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის, ტრავმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება არ მომხდარა. ინფორმაცია მიეწოდა პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[306]

იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მსჯავრდებულ ბ. ლ-ს ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ ეცნობა 2024 წლის 24 მაისს, პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე. გამომძიებელთან შეხვედრისას, ბ. ლ.-მ მიუთითა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მიერ ფიზიკური

---

[303] მსჯავრდებული ბ. ლ. დეესკალაციის ოთახიდან საცხოვრებელ საკანში 2024 წლის 24 მაისს გადაიყვანეს.

[304] მსჯავრდებული ბ. ლ. დეესკალაციის ოთახში განთავსებული იყო 2024 წლის 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით. N6 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 31 ივლისის № 224459/23 წერილი.

[305] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების“ 27-ე მუხლის თანახმად, დეესკალაციის ოთახში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა ფასდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც, მათ შორის, შედის სამედიცინო პერსონალი.

[306] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2024 წლის 27 აგვისტოს № 251951/01 წერილი.

შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, რის შედეგადაც მიიღო სხეულის დაზიანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, გენერალური ინსპექციის მიერ ინფორმაცია მიეწოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[307]

სახალხო დამცველის აპარატმა ფაქტის შესახებ ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიაწოდა.[308] წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად,[309] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან ბ. ლ.-ს მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.[310]

საგულისხმოა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო არასათანადო მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანებების დოკუმენტირების წესი და ამ კუთხით სამედიცინო პერსონალის ვალდებულებები დეტალურად არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით.[311] მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო მუშაკმა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულზე არსებული ფიზიკური დაზიანებების გამოვლენის შემთხვევაში, დროულად და ზუსტად ასახოს ისინი და იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი განაცხადებს არასათანადო მოპყრობის შესახებ ან ასეთის შესახებ ეჭვი თავად სამედიცინო მუშაკს გაუჩნდება, ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიაწოდოს.

მსჯავრდებული ბ. ლ. 2024 წლის 21 მაისს შეასახლეს დეესკალაციის ოთახში და როგორც მან სახალხო დამცველის რწმუნებულსა და შემდგომში, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამომძიებელს განუმარტა, დაწესებულების თანამშრომელმა პლასტმასის ფარი სახეში განზრახ ჩაარტყა, რის შედეგადაც სახის არეში დაზიანება მიიღო. **აღნიშნული დაზიანება ხილული იყო ჯერ კიდეც 2024 წლის 24 მაისს, როდესაც მსჯავრდებული სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს. შესაბამისად, ის ხილული იქნებოდა პენიტენციური დაწესებულების იმ სამედიცინო მუშაკებისთვისაც, ვისაც შეხება ჰქონდა ბ. ლ-სთან 2024 წლის 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით პერიოდში, დეესკალაციის ოთახში მისი ყოფნის განმავლობაში.**

საყურადღებოა ის გარემოება, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის განთავსებისას სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით შედგა დოკუმენტები, რომლებშიც აისახა პატიმრის მდგომარეობა მის მიმართ დეესკალაციის ოთახში განთავსებისა და შემდგომში, ამ ღონისძიების გაგრძელების საჭიროების შესახებ, თუმცა, **მის სხეულზე არსებული**

---

[307] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2024 წლის 11 ოქტომბრის № 11741 წერილი.

[308] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის 2024 წლის 24 მაისის შეტყობინება; სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 27 მაისის № 2024/1406 წერილი.

[309] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 6 ივნისის SIS 3 24 00010999 წერილი.

[310] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

[311] „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №663 ბრძანება.

დაზიანებები არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, ინფორმაცია არ მიეწოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების წარმართვა. **ამდენად, 2024 წლის 21 მაისიდან 24 მაისის ჩათვლით პერიოდში, სამედიცინო პერსონალის მიერ უგულებელყოფილი იქნა შესაძლო არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებული დაზიანების აღრიცხვისა და სათანადო რეაგირების განხორციელების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები.**

უფრო მეტიც, 2024 წლის 24 მაისს, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, პენიტენციური დაწესებულების ექიმს თავად მიაწოდეს ბ. ლ-სგან მიღებული ინფორმაცია (პატიმრის თანხმობით) დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ძალადობისა და მიღებული ფიზიკური დაზიანებების შესახებ, ასევე, სათანადო სამართლებრივი რეაგირების თაობაზე პატიმრის სურვილის თაობაზე. შემდგომში, ექიმმა მართალია, მოახდინა ბ. ლ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება, თუმცა, მისი წარმოშობის მიზეზი არ მიუთითა და **ივარაუდა, რომ დაზიანება ფიზიკური ძალადობის შედეგი არ იქნებოდა, შესაძლოა, ის თვითდაზიანება ყოფილიყო და ამიტომ არ შეატყობინა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.**

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოგვიანებით, იმავე ექიმმა გამოკითხა ბ. ლ. და დაათვალიერა მისი სხეული, რომლისგანაც მიიღო ინფორმაცია სხეულის დაზიანების წარმოშობის თაობაზე, რომ ის დამცავი ფარის მოხვედრის შედეგი იყო, თუმცა, მიიჩნია, რომ აღნიშნული ძალადობას არ წარმოადგენდა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ აცნობებდა მოცემული ფაქტის შესახებ.

როგორც აღინიშნა, კანონმდებლობა ცალსახად მიუთითებს, რომ როდესაც ბრალდებული/მსჯავრდებული განაცხადებს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, ან არ განაცხადებს, თუმცა, ექიმს თავად წარმოეშობა ასეთის განხორციელების ეჭვი, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონმდებლობა სამედიცინო პერსონალისგან მაქსიმალური ძალისხმევის გამოჩენას მოითხოვს, რათა პატიმრისგან ინფორმაცია იქნეს მოპოვებული. ხოლო, თუ პატიმარი ინფორმაციას არ გასცემს, ეჭვის გაჩენის შემთხვევაშიც კი, ექიმი ვალდებულია, შესაბამისად იმოქმედოს. ბუნებრივია, სამედიცინო პერსონალის მხრიდან ასეთი მოთხოვნები ნაკარნახევია იმ გარემოების გამო, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირი, რომელიც, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა, კიდევ უფრო მეტად მოწყვლადი ხდება და მან შესაძლოა, ვერც განაცხადოს მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შესახებ შიშის ან სხვა ფაქტორების ზემოქმედების გამო.

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა სამედიცინო მუშაკისგან არ მოითხოვს იმის შეფასებას, კონკრეტულ შემთხვევაში, პატიმრის მიმართ ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი

არასათანადო მოპყრობას, ან, პატიმრის სხეულზე ნანახი დაზიანება იქნებოდა მის მიერვე მიყენებული თვითდაზიანება თუ არასათანადო მოპყრობის შედეგი. ექიმმა არ უნდა შეაფასოს დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ პატიმრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ნამდვილობისა და სანდოობის საკითხი. აღნიშნული არათუ სცდება ექიმის კომპეტენციას, პირიქით, ასეთი ინფორმაციის მიღებისას მის ნამდვილობაში ეჭვის წარმოშობის შემთხვევაშიც კი, ექიმმა უნდა იმოქმედოს კანონმდებლობით დადგენილი ინსტრუქციით, რომლის დარღვევასაც ერთმნიშვნელოვნად ადგილი ჰქონდა მოცემულ საქმეში. მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შესახებ ინფორმაცია, პატიმრის მონაყოლის საფუძველზე, ექიმმა სახალხო დამცველის რწმუნებულებისგან მიიღო. შემდგომში, მსჯავრდებულს უშუალოდ მასთან გასაუბრებისას რომც არ განეცხადებინა არასათანადო მოპყრობის შესახებ, სახალხო დამცველის რწმუნებულებისგან მიღებული ინფორმაცია, მინიმუმ, ეჭვის გაჩენისთვის მაინც საკმარისი უნდა ყოფილიყო, რაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის მიმართვის საფუძველს ქმნიდა. თუმცა, ექიმმა თავად გადაწყვიტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად მიღებული ინფორმაციისა და პატიმრის სხეულზე ნანახი დაზიანებისა, ძალადობრივ ქმედებას ადგილი არ ჰქონდა.

შეტყობინება გაიგზავნა მხოლოდ მას შემდეგ (და ისიც არა რელევანტურ უწყებაში), რაც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დააფიქსირეს ფაქტი და მორიგე ექიმის ყურადღება მიაქციეს ბ. ლ.-ს სხეულის დაზიანებასა და მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. მანამდე კი, სამედიცინო მუშაკებისა და სხვა პერსონალის მხრიდან, მსჯავრდებულის სხეულის დაზიანება, მიუხედავად იმისა, რომ ის ხილული იყო, უგულებელყოფილი იქნა, რაც, დამატებით მიუთითებს კონკრეტული პირების მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაზე.

სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე,[312] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში სამსახურებრივი შემოწმება ჩატარდა. შემოწმების ფარგლებში, პენიტენციური დაწესებულების ექიმმა განმარტა, რომ ბ. ლ.-ს სხეულზე ნანახი დაზიანება არ იძლეოდა არასათანადო მოპყრობის ვარაუდის კლინიკურ საფუძველს, რაც პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით შეაფასა. ხოლო, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, მხოლოდ, სახალხო დამცველის წარმომადგენლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არ გაუგზავნა შეტყობინება.[313]

თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულმა ექიმს აცნობა პატიმრის პრეტენზია (მისივე თანხმობით) არასათანადო მოპყრობის შესახებ და დაზიანების წარმომავლობის შესახებ რწმუნებულს თავისი ეჭვი არ გაუზიარებია ექიმისთვის.

სამწუხაროდ, მონიტორინგის დეპარტამენტმა ექიმის ქმედება არ შეაფასა კანონმდებლობის დარღვევად. სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, კონკრეტული სამედიცინო მუშაკის

[312] სახალხო დამცველის 2024 წლის 1 ნოემბრის № 2024/5990 წინადადება.
[313] სამსახურებრივი შემოწმების მასალები აპარატს მიეწოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 18 მარტის № 73568/01 წერილით.

პროფესიული ცოდნის მიუხედავად, როდესაც სახეზეა პატიმრის სხეულის დაზიანება და ინფორმაცია სავარაუდო ძალადობის თაობაზე, ეს უკვე წარმოშობს საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების ვალდებულებას. სხვაგვარად, თუკი ექიმი ადგილზე გადაწყვეტს, სხეულის დაზიანება, თავისი კლინიკური ნიშნებით, არის თუ არა არასათანადო მოპყრობის შედეგი, რაც გამოძიებისა და მის ფარგლებში ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის კომპეტენციაა, აზრი ეკარგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულმა კი, საბოლოოდ, შესაძლოა გამოძიების შედეგები დააზიანოს.

5.1.4. ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურება

წინა წლების მსგავსად, 2024 წელსაც, კვლავ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულთა მიმართ, **სასამართლოს განჩინებით დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურების საკითხი.**

მართალია, წინა წლებისგან განსხვავებით, აპარატს აღნიშნული უფლების შესაძლო დარღვევის თაობაზე ბრალდებულებმა (ადვოკატებმა, ბრალდებულთა ოჯახის წევრებმა) ნაკლები განცხადებით მომართეს, თუმცა, საანგარიშო პერიოდში, აპარატმა მითითებული საკითხი პროაქტიულადაც შეისწავლა. შესწავლილი საქმეების ანალიზით, დანიშნული ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება, ხშირ შემთხვევაში, **2-3 თვის** მანძილზე არ ხორციელდებოდა.[314] ამასთან, ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, დასკვნის მიღებას აგვიანდებოდა დაახლოებით **3 კვირა,** შესაბამისად, ბრალდებულებს, დასკვნის მიღებამდე, კვლავ პენიტენციურ დაწესებულებაში უწევდათ ყოფნა.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა ადვოკატის მომართვის საფუძველზე, შეისწავლა ბრალდებულ მ.ც.-ს საქმე. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, მ.ც.-ს მიმართ სასამართლომ 2024 წლის 11 აპრილს მიიღო განჩინება ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, სტაციონარში მოთავსების თაობაზე. მიუხედავად ამისა, ბრალდებულის სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაყვანა **3 თვის** განმავლობაში არ განხორციელებულა.[315] პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის

---

[314] 2024 წლის 19 და 20 თებერვალს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების ვიზიტის დროს შესწავლილი დოკუმენტების თანახმად: ვ.მ.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნული ჰქონდა 2023 წლის 24 ნოემბერს და ჩატარებული არ ჰქონდა; ბ.მ.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნული ჰქონდა 2023 წლის 5 დეკემბერს და ჩატარებული არ ჰქონდა; ვ.პ.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნული ჰქონდა 2023 წლის 7 დეკემბერს და ჩატარებული არ ჰქონდა; მ.თ.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნული ჰქონდა 2023 წლის 18 დეკემბერს და ჩატარებული არ ჰქონდა; დ.გ.-ს ფსიქიატრიული ექსპერტიზა დანიშნული ჰქონდა 2023 წლის 20 დეკემბერს და ჩატარებული არ ჰქონდა.

[315] მ.ც.-ს ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების მიზნით სტაციონარში მოთავსება განუსაზღვრა 2024 წლის 11 აპრილს, ბრალდებული პენიტენციური დაწესებულებიდან ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გადაიყვანეს 2024 წლის 15 ივლისს, საიდანაც დაბრუნდა 2024 წლის 19 ივლისს. ექსპერტიზის

პერიოდში, ბრალდებული უარს აცხადებდა ოჯახის წევრებთან და ადვოკატთან ყოველგვარ კომუნიკაციაზე, შეხვედრაზე. აღნიშნული კი, სავარაუდოდ, გამომდინარეობდა მისი ფსიქიკური მდგომარეობიდან.

ცალკე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბრალდებული ექსპერტიზის ბიუროდან დაბრუნების შემდეგ, **3 კვირის** განმავლობაში, შესაბამისი დასკვნის მიღებამდე, კვლავ პენიტენციურ დაწესებულებაში იყო განთავსებული. საბოლოოდ, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნიდან **4 თვის** შემდეგ განხორციელდა მ. ც.-ს მიმართ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის განსაზღვრა და სამკურნალოდ სტაციონარში გადაყვანა.

ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ, **ხშირ შემთხვევაში, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული განყოფილება ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულთა მიმართ დანიშნული სასამართლო ფსიქიატრიული/კომპლექსური ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნიდან უმოკლეს დროში ჩატარებას და შესაბამისი დასკვნის დროულად მომზადებას ან/და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა მთავარი სამმართველო ვერ ახორციელებს ბრალდებულთა ექსპერტიზის ბიუროში სათანადო დროში გადაყვანას. აღნიშნული კი, მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ბრალდებულთა მენტალურ მდგომარეობას და უფლებებს. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებებს[316], არ გააჩნიათ გამოხატული ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების სათანადო მართვის მექანიზმები.[317]**

5.1.5. ექსპერტიზის კანონიერება

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შეისწავლა საქმე, რომელშიც გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართვის საფუძველზე[318] ჩატარებული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის კანონიერების თაობაზე.[319]

განცხადების და წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის ეროვნული ცენტრის“ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიამ, 5 ექსპერტის ხელმოწერით, გასცა დასკვნა N18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო

ბიუროს დასკვნის საფუძველზე, სასამართლომ განუსაზღვრა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა, სტაციონარში მოთავსდა 2024 წლის 9 აგვისტოს.

[316] გარდა N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა.

[317] „პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება, წინა წლების მსგავსად, კვლავ არ შეესაბამება თანამედროვე ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას და მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციითა და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება. არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა.“ – „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 39.

[318] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების მიმართვა.

[319] შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა N64. ექსპერტიზის დასაწყისი - 15.07.2024, დასასრული - 16.07.2024.

დაწესებულებაში მყოფი პატიმრის, ა.ფ-ს, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსების თაობაზე. დასკვნის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბრძანებით, ა. ფ. მოთავსდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“.[320]

შესწავლილი დოკუმენტების თანახმად, ა. ფ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრძანება გაასაჩივრა სააპელაციო წესით, სადაც საკითხის განხილვის დროს გაირკვა, რომ მსჯავრდებულს კომისიური ექსპერტიზის საფუძველზე, შეხვდა და გაესაუბრა მხოლოდ 2 ექიმ-ფსიქიატრი, მაშინ როდესაც დასკვნას ხელს 5 ექიმ-ფსიქიატრი აწერს.[321] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, **სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნა ვერ იქნება სრულყოფილ მტკიცებულებად მიჩნეული, რადგან დასკვნაზე ხელმომწერმა ყველა წევრმა უშუალო მონაწილეობა არ მიიღო პაციენტის გასინჯვასა და შემოწმებაში.** სასამართლომ განჩინებით, დასკვნაზე ხელმომწერ ყველა ექსპერტ-ფსიქიატრს დაავალა ა. ფ.-ს ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის განმეორებით, უშუალოდ შემოწმება და შეფასების შედეგად, დასაბუთებული კომისიური დასკვნის სააპელაციო სასამართლოსთვის წარდგენა 5 დღის ვადაში.[322] მიუხედავად აღნიშნულისა, განმეორებითი ექსპერტიზა ჩატარდა განსაზღვრული ვადის მნიშვნელოვანი დარღვევით, კერძოდ, თითქმის 1 თვის დაგვიანებით.[323]

აღნიშნული საკითხის უფლებამოსილების ფარგლებში შესწავლის და სათანადო რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სსიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს“. ამ ეტაპზე, შესწავლის შედეგების შესახებ, პასუხი მიღებული არ არის.

5.1.6. მსჯავრდებულთა საშიშროების რისკები

სახალხო დამცველის გასული წლის ანგარიშში[324] განხილული იქნა მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების განსაზღვრისა და სასამართლო განხილვის პროცედურები; ასევე, გაიცა რეკომენდაცია საკანონმდებლო ცვლილების შესახებ, რომლითაც მსჯავრდებულთა რისკების

---

[320] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 18 ივლისის ბრძანება.

[321] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 12 აგვისტოს სხდომის ოქმის თანახმად, ექსპერტ-ფსიქიატრი ადასტურებს, რომ პაციენტი ა.ფ. გასინჯა და შეამოწმა პირადად თვითონ და მეორე ექსპერტ-ფსიქიატრმა, შემდეგ მათ აღნიშნული კვლევის შედეგები მოახსენეს დასკვნაზე ხელმომწერ დანარჩენ ექსპერტ-ფსიქიატრებს.

[322] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 12 აგვისტოს განჩინება.

[323] შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ექსპერტ-ფსიქიატრებმა ა.ფ.-ს განმეორებითი ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარეს 2024 წლის 13 სექტემბერს.

[324] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 104-141; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 123-128, 131.

შეფასების გუნდის ოქმში ასახულ საიდუმლო ოპერატიულ ინფორმაციაზე პატიმრის წვდომის ბლანკეტური შეზღუდვა გაუქმდება და სასამართლოს დაეკისრება ყოველ ინდივიდუალურ საქმეში ინფორმაციის მსჯავრდებულისთვის გაცნობის შესაძლებლობაზე მსჯელობის ვალდებულება. სამწუხაროდ, რეკომენდაცია ამ დროისთვის არ შესრულებულა.

ამასთან, ხსენებულ ანგარიშში პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების განხილვის ხანგრძლივი ვადით გაჭიანურების სისტემური პრობლემის აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციებიც შეუსრულებელია, კერძოდ, საკანონმდებლო ან პრაქტიკული ღონისძიებები არ გატარებულა მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის ან ვიწრო სპეციალიზაციის შემოღების სახით.

სასამართლოში პატიმართა სარჩელების განხილვის გაჭიანურების და, შესაბამისად, სასამართლო წესით უფლებების სრულყოფილი და ეფექტიანი დაცვის შეუძლებლობის საილუსტრაციო მაგალითია მსჯავრდებულ ი. კ.-ს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ **სასამართლომ მისი სარჩელი დააკმაყოფილა, საქმისწარმოების გაჭიანურების გამო, გადაწყვეტილების შინაარსმა აზრი დაკარგა.** საქმე ისაა, რომ მოცემულ პერიოდში, რისკების გადაფასების 18-თვიანი ვადა გავიდა და მსჯავრდებულის რისკი თავიდან, კვლავ მომეტებულად შეაფასა პენიტენციურმა სამსახურმა; ხოლო **ახალი სასამართლო დავის პერიოდში, პატიმარი „ამნისტიის კანონის" საფუძველზე გათავისუფლდა**. **კალენდარულად გათავისუფლდა.** საგულისხმოა, რომ გასული წლის ანგარიშში[325] დადებითად შეფასდა ხსენებულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი მსჯავრდებულ ი.კ.-ს საშიშროების რისკების თაობაზე და გაიზიარა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. 2022 წელს, მსჯავრდებულ ი.კ.-ს რისკი დაუმძიმდა და განესაზღვრა „მომეტებული", იმ მოტივით, რომ მისი ნებისმიერი ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, არსებობდა სხვა პატიმრების მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დიდი რისკი. სახალხო დამცველი მიუთითებდა, რომ **პატიმრის უსაფრთხოების მოტივით, მისთვის რისკის სახის დამძიმება და აქედან გამომდინარე - უფლებების შეზღუდვა, ვერ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო დებულებების შესაბამის გადაწყვეტილებად.** 2024 წლის 22 მაისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება, ხოლო უზენაესმა სასამართლომ 2024 წლის სექტემბერში, პენიტენციური სამსახურის საჩივარი დაუშვებლად ცნო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე, 2024 წლის 14 მაისს, ი. კ.-ს კვლავ მომეტებული რისკის სახე განესაზღვრა. ახალი გადაწყვეტილება მსჯავრდებულმა ცალკე გაასაჩივრა და სასამართლომ დასაშვებად ცნო. 2024 წლის ოქტომბერში, მსჯავრდებული ი. კ. გათავისუფლდა და შესაბამისად, პენიტენციურ სამსახურს მსჯავრდებულ ი. კ.-ს საშიშროების

[325] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 141-143.

რისკის შეფასებისას სასამართლოს გადაწყვეტილებებში მითითებული გარემოებები არ გაუთვალისწინებია. გარდა ამისა, 2022-2023 წწ-ში, ი.კ .-ს საქმე იყო ერთ-ერთი იმ იშვიათ საქმეებს შორის, სადაც „დანართი N2"-ში მოცემული ინფორმაცია არ იყო საიდუმლო, თუმცა 2024 წელს, სხდომის ოქმი შეიცავდა საიდუმლო ნაწილს, რაც უცნობი დარჩა.

5.1.7. პატიმართა ტრანსპორტირებისას ხელბორკილის გამოყენება

საანგარიშო პერიოდში, გასული წლებისგან განსხვავებით, **რამდენიმე პატიმარი, მათ შორის, არასრულწლოვანი, მიუთითებდა ბადრაგირების პროცესში, სატრანსპორტო საშუალებაში ხელბორკილის გამოყენების თაობაზე.** საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების სამმართველოს თანამშრომლების მიერ ბადრაგირების პროცესში სპეციალური სატრანსპორტო საშუალების ლითონის კარებით (გასაღებით) ჩაკეტილ განყოფილებაში/საკანში ყოფნის დროს პატიმართა მიმართ სპეციალური საშუალება **- ხელბორკილი - გამოიყენება რუტინულად** და არ დგება წერილობითი დოკუმენტი/ოქმი. სამმართველო არ აღრიცხავს ბადრაგირებული პატიმრების რაოდენობას და არც იმ პატიმრების რიცხვს, რომელთა მიმართ, ბადრაგირების პროცესში, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების რკინის კარებით ჩაკეტილ განყოფილებაში ყოფნის დროს, ხელბორკილი იქნა გამოყენებული.

პატიმართა უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხელბორკილების გამოყენება დასაშვებია ციხის გარეთ გადაყვანისას, ხანმოკლე პერიოდით (პერიოდული გადახედვით), **ინდივიდუალურად, პატიმრის ქცევის შეფასების საფუძველზე მისი რისკის შეფასების შედეგად.** ამ თვალსაზრისით შესაფასებელ გარემოებებს წარმოადგენს სასჯელის სიმძიმე, პატიმრის კრიმინალური წარსული და ძალადობის ისტორია, ხელბორკილის გამოყენების პროპორციულობა პატიმრის ქცევასთან მიმართებით, ჯანმრთელობის მდგომაროება და შედეგები ჯანმრთელობისთვის; ასევე, ხელბორკილების გამოყენების პერიოდი. გარდა ამისა, აუცილებელია პატიმართა ტრანსპორტირება ისეთი სატრანსპორტო საშუალებებით, რომელშიც დაცული იქნება სათანადო პირობები (ვენტილაცია, სინათლე, საკმარისი ფართობი, სავარძლები და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილობა).[326] CPT[327] აკრიტიკებს რამდენიმე ქვეყანაში ტრანსპორტირებისას პატიმართა

[326] Transport of detainees European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) Factsheet, 2018 იხ. <https://rm.coe.int/16808b631d> [ბოლოს ნანახია 28.11.2024 წ.] Shlykov and Others v. Russia, განაცხადი N78638/11, 6086/14, 11402/17, 82420/17 19.01.2021 წ. §73, §76; Kaverzin v. Ukraine განაცხადი N23893/03 15.05.2012 წ. §156, 159-160; Goriunov v. the Republic of Moldova განაცხადი N 14466/12 29.05.2018 წ. §33; Raninen v. Finland განაცხადი N20972/92 16.12.1997 წ. §§57-58; Kashavelov v. Bulgaria განაცხადი N891/05 20.01.2011 წ. §39; Yakovenko v. Ukraine განაცხადი N15825/06 25.10.2007 წ. §§107-109; Vlasov v. Russia განაცხადი N78146/01 12.06.2008 წ. §§92-99; Radzhab Magomedov v. Russia განაცხადი N 20933/08 20.12.2016 წ. §61; Idalov v. Russia [GC] განაცხადი N5826/03 22.05.2012 წ. §103; Retunscaia v. Romania განაცხადი N25251/04 08.01.2013 წ. §78.

[327] ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი.

მიმართ ხელბორკილის რუტინულად გამოყენებას, როცა ჩაკეტილ ლითონის კონსტრუქციის კაბინაში იმყოფებიან და ამის საშიშროებაზეც მიუთითებს.[328]

ცხადია, პატიმართა ბადრაგირების პროცესში აუცილებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ მიზნით, გამოიყენება კიდეც სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სადაც მოწყობილია ლითონის საკნები, რომელიც თავის მხრივ, გასაღებით იკეტება. ასეთ გარემოებებში მგზავრობისას, სავალდებულო და ჯეროვანი ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობის პირობებში გაქცევის რისკები თითქმის გამოირიცხება. შესაბამისად, აღნიშნული შემთხვევის შემდეგ, პატიმართა ბადრაგირების პროცესში ლითონის ჩაკეტილ სივრცეში ხელბორკილებით მგზავრობის დამკვიდრებული პრაქტიკა, რაზეც პატიმრები მიუთითებენ, **არ ითვალისწინებს ინდივიდუალურად კონკრეტული პატიმრისგან მომდინარე შესაძლო საფრთხეებს,** დანაშაულებრივ ქმედებას, რისთვისაც ისინი არიან ბრალდებულები ან მსჯავრდებულები და ნასამართლობის ისტორიას, არასრულწლოვან ასაკს და **ყველას მიმართ განურჩევლად, რუტინულად გამოიყენება ხელბორკილები.**

სპეციალური საშუალების - ხელბორკილების გამოყენების პროცესში ინდივიდუალური გარემოებების შესწავლა, დადგენა და დასაბუთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რასაც პირდაპირ უკავშირდება ხსენებული ფაქტის დოკუმენტირების საკითხი. პენიტენციური კოდექსი და სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ავალდებულებს სპეციალური საშუალების გამომყენებელ პირს შესაბამისი დოკუმენტის - ოქმის -შედგენას,[329] მათ შორის, საბადრაგო ჯგუფის/კოლონის ან სპეციალური დანიშნულების ჯგუფის მიერ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ ოქმს ადგენს ჯგუფის/კოლონის უფროსი.[330] თუმცა უშუალოდ ბადრაგირების წესი[331] არ შეიცავს ამგვარ მოთხოვნას. სწორედ ხსენებულ ბრძანებაზე მითითებით, პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველო პატიმართა ბადრაგირების პროცესში სპეციალური საშუალების - **ხელბორკილის გამოყენების შესახებ ოქმს არ ადგენს.**

---

[328] Report to the Government of Ireland on the visit to Ireland carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 2 to 13 October 2006, პარ.101 <https://hudoc.cpt.coe.int/eng#{%22sort%22:[%22cptdocumentdate%20descending,cptdocumentid%20ascending,cptsectionnumber%20ascending%22],%22cptsectionid%22:[%22p-irl-20061002-en-26%22 >. [ბოლოს ნანახია: 28.11.2024 წ.] Report to the United Kingdom Government on the visit to the United Kingdom carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 20 to 25 November 2005 პარ. 23 <https://hudoc.cpt.coe.int/eng#{%22sort%22:[%22cptdocumentdate%20descending,cptdocumentid%20ascending,cptsectionnumber%20ascending%22],%22cptsectionid%22:[%22p-gbr-20051120-en-7%22> [ბოლოს ნანახია: 28.11.2024 წ.]

[329] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლ. 63 ნაწ. 8; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი, მუხლ. 17, პუნქტ. 1.

[330] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბრის N145 ბრძანება, N1 დანართი. მუხლ. 17 პუნქტ. 2.

[331] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N149 ბრძანება, N1 დანართი.

შესაბამისად, **სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მიმართა წინადადებით**[332] პატიმართა უფლებების თაობაზე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში **მკაფიო რეგულაციების განსაზღვრის თაობაზე.**

სამწუხაროდ, წინადადება არ იქნა გაზიარებული. კერძოდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოზიციით, ესკორტირებისას კონკრეტული პატიმრის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, ხელბორკილს იყენებენ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით[333] დადგენილი წესით. ხელბორკილის გამოყენება ხდება მხოლოდ პატიმართა, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე, ჯგუფური გადაყვანის დროს, უსაფრთხოების მიზნით. ყველა ავტომობილი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით და შესაბამისად დარღვევა აღირიცხება და ხდება შესწავლა. პრაქტიკაში ხელბორკილი არ გამოიყენება ქალთა, არასრულწლოვანთა, ხანდაზმულთა და შშმ პირთა ესკორტირებისას. ბოლო წლებში გაყვანა/გადაყვანის სტატისტიკა ყოველწლიურად რამდენიმე ათასს მოიცავს. რაც შეეხება, ხელბორკილის გამოყენების დოკუმენტირების (ოქმის შედგენა) ვალდებულებას, ესკორტირებისას ხელბორკილის გამოყენების საპრევენციო ხასიათისა და პირთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, ასევე ესკორტირების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, წარმოიქმნება გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის ოქმის შედგენას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.[334]

5.1.8. ვიდეომეთვალყურეობა პენიტენციურ დაწესებულებებში

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში, უარყოფითად შეფასდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში, ვიდეოჩანაწერების დაარქივების 30 დღიანი ვადის 10 დღემდე შემცირების ფაქტი.[335] ამასთან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3, N11 და N8 დაწესებულების ნაწილში,[336] ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების განახლებამდე, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეო მასალის შენახვის ვადად, კვლავ რჩებოდა 120 საათი.[337]

---

[332] სახალხო დამცველის 2024 წლის 26 დეკემბრის N2024/7699 წინადადება.

[333] „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა სახეების, მათი შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესის და პირობების, აგრეთვე სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 12 სექტემბერის N145 ბრძანება, მუხლ. 3, პუნქტ. 2, ქ/პ. „ა”.

[334] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 18 მარტის N25/2226 წერილი.

[335] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 40-42.

[336] N8 პენიტენციური დაწესებულების ნაწილი, რომელიც განთავსებულია ქ. თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11.

[337] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2024 წლის 9 იანვრის N5201/01 წერილი.

სახალხო დამცველის აპარატმა 2025 წელსაც გამოითხოვა ინფორმაცია, დღეის მდგომარეობით, დასახელებულ დაწესებულებებში ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის განახლების შესახებ.[338] როგორც აღმოჩნდა, მოცემულ ეტაპზე, N3, N11 და N8 დაწესებულების ნაწილში ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის **განახლებითი სამუშაოები დაწყებული არც არის.** სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნულ ეტაპზე, მიმდინარეობს სათანადო სამუშაოები N3, N11 პენიტენციურ დაწესებულებსა და N8 პენიტენციური დაწესებულების ნაწილში, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის განახლების დასაწყებად.[339] სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში კი ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადა კვლავ არ გაზრდილა და არ გამხდარა ისევ 30 დღე.

5.2. ვიდეოჩანაწერების პრობლემა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქუტირი) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის დაწესებულება, რომლის ფუნქციონირების ძირითად ნაწილს მოიცავს სახელმწიფოსთვის „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ (ფსიქიკური ჯანმრთელობა)[340] ყოველწლიურად გათვალისწინებული სერვისების მიწოდება.

ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მოთავსებული პაციენტები განეკუთვნებიან **განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს,** რომელთაც, ერთი მხრივ, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების მსგავსად, შეზღუდული/აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, მეორე მხრივ, რიგ შემთხვევებში, **ფსიქიკური მდგომარეობა და დაწესებულებაში არსებული პირობები (გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ნაკლებობა) არ აძლევს საკუთარი უფლებების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობას.**

საგულისხმოა, რომ 2024 წელს, აპარატმა **3 საქმე** შეისწავლა, რომლებშიც განმცხადებლების გადმოცემით, ადგილი ჰქონდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ პაციენტების მიმართ **თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტს.**

არც ერთ ზემოაღნიშნულ ფაქტზე **სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა** შესაბამისი თანამშრომლის/თანამშრომლების მიმართ, რაც მეტწილად შესაძლოა დაკავშირებული იყოს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ **ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის დაარქივება/შენახვის ფუნქციის არქონასთან**.

ნიშანდობლივია, რომ უმეტეს შემთხვევაში, ვერც სახალხო დამცველის აპარატი და ვერც საგამოძიებო ორგანო უტყუარად ვერ დაადგენს დახურული ტიპის დაწესებულებაში

[338] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 16 იანვრის N25/362 წერილი.
[339] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2025 წლის 27 იანვრის N21931/01 წერილი.
[340] იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6056955?publication=14> დანართი N12 [ბოლოს ნანახია 22.01.2024].

არასათანადო მოპყრობის ფაქტს, დაარქივებული ვიდეო სამეთვალყურეო მასალის არსებობის ან სხვა ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე. ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის დაარქივება/შენახვის ფუნქციით უზრუნველყოფა კი, თავის მხრივ, უკიდურესად **მნიშვნელოვანია გამოძიების ეფექტიანობის** და ამავე დროს, - **არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის.**

სიცოცხლის უფლების შესაძლო დარღვევის გამოძიების ან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღმოფხვრისა და ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის მნიშვნელოვანია სტაციონარში ვიდეო მეთვალყურეების სისტემის გამართულად ფუნქციონირება, რაც, რასაკვირველია, უნდა მოიცავდეს სათანადო მასალის გონივრული ვადით შენახვის ვალდებულებასაც.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული საკითხის აქტიური შესწავლა სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წელს დაიწყო.[341] აპარატმა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან ინფორმაცია 2023 წელსაც გამოითხოვა.[342] დაწესებულების პასუხის მიხედვით, **„ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში“ ვიდეო-სათვალთვალო სისტემა სრულად არის ჩაშვებული ექსპლუატაციაში, რომელიც მეთვალყურეობას ახორციელებს პირდაპირ რეჟიმში და ჩანაწერის გაკეთებას არ ახდენს.**[343]

ამასთან, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშში, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“ **სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტით, ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადად განისაზღვროს სულ მცირე 10 დღე; შესწავლის შედეგების საფუძველზე კი დაგეგმოს დაარქივების ვადის 30 დღით განსაზღვრის საკითხი.**[344]

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წელს ზემოაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების, შესაბამისად, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მასალის შენახვის ფუნქციით აღჭურვის თაობაზე, ორჯერ მიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს.[345] პირველ წერილზე მიღებული პასუხის თანახმად, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არსებული **ვიდეოსათვალთვალო სისტემა მეთვალყურეობას ახორციელებს პირდაპირ რეჟიმში და ჩანაწერების გაკეთება არ ხდება. სამომავლოდ, იგეგმება სისტემის უზრუნველყოფა, რათა მოხდეს დაარქივება/შენახვა განსაზღვრული დროით.**[346] მოგვიანებით, 2025 წლის იანვარში, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად კი, **უახლოეს მომავალში არ იგეგმება სისტემის უზრუნველყოფა ჩანაწერების**

[341] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 21 თებერვლის N15-14/2089 და 29 აპრილის N15-14/4543 წერილები.
[342] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 20 დეკემბრის N12271 წერილი.
[343] ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2024 წლის 4 იანვრის N13 წერილი.
[344] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, გვ. 94.
[345] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 19 ივნისის N2024/2021 და 27 დეკემბრის N2024/7750 წერილები.
[346] შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ 2024 წლის 28 ივნისის N1122 წერილი.

დაარქივება/შენახვისათვის, ვინაიდან აღნიშნული მოითხოვს ძალიან დიდ მატერიალურ ხარჯს, რის საშუალებაც დაწესებულებას ამ ეტაპისთვის არ გააჩნია და ამავდროულად, მოქმედი კანონმდებლობითაც არ არის სავალდებულო.[347]

ცალსახაა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო უწყებებს არ ექნებათ ვიდეო-ჩანაწერების მოპოვების შესაძლებლობა, არსებითად შეფერხდება გამოძიების პროცესი. პაციენტების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენცია კი კვლავ გართულებული იქნება სახალხო დამცველის აპარატისთვის. შესაბამისად, **აუცილებელია „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა" უზრუნველყოს ვიდეო ჩანაწერების დაარქივება და გონივრული ვადით შენახვა, რაც იქნება ნორმატიულად დარეგულირებული.**

კ.ლ.-ს საქმე

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" ვიზიტის დროს სახალხო დამცველის რწმუნებულს ერთ-ერთმა პაციენტმა აცნობა, რომ პაციენტ კ. ლ.-ს მიმართ **სტაციონარის დაცვის თანამშრომლებმა განახორციელეს ფიზიკური ძალადობა.**

პაციენტის განმარტებით, სტაციონარის კონკრეტულ განყოფილებაში მყოფი პაციენტები გაყვანილი იყვნენ დერეფანში არსებულ სასადილოში, რა დროსაც, სრულიად უმიზეზოდ, დაცვის თანამშრომელმა კ. ლ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. განერვიულებულმა პაციენტმა თანამშრომელს მსუბუქად ჰკრა ხელი ბეჭის არეში, რის შემდეგაც დაცვის თანამშრომელმა მას **დაუწყო ცემა თავის არეში,** წაქცევის შემდეგ კი, კ. ლ.-ს **ცემა განაგრძო ფეხებით** სხეულის მიდამოში. პაციენტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ასევე, დაცვის მეორე თანამშრომელმაც. მას **წაქცეულ მდგომარეობაში ცემდნენ გამეტებით.**

პაციენტმა სახალხო დამცველის რწმუნებულთან აღნიშნა, რომ ნაცემი კ. ლ. შეიყვანეს ერთ-ერთ პალატაში, სადაც **ერთი კვირის განმავლობაში არ მისცეს დარეკვის უფლება, არ გაიყვანეს ეზოში სასეირნოდ, მედიკამენტური მკურნალობა შეუცვალეს ინექციური მკურნალობით.** პაციენტს **ცემის შედეგად აღენიშნებოდა დაზიანებები.**

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის რწმუნებული პალატაში შეხვდა კ. ლ.-ს, რომელიც იყო შეშინებული, არ ისურვა არც ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა, აცხადებდა, რომ იყო ცუდად და არ სურდა საუბარი.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა ვიზიტის დროს შეამოწმა ასევე, კ. ლ.-ს სამედიცინო ბარათი, განყოფილებაში წარმოებული შემთხვევების ჟურნალი. სათანადო დოკუმენტების თანახმად, **მითითებული შემთხვევა დაფიქსირებული არ არის,** თუმცა სამედიცინო ბარათში აღნიშნულია, რომ პაციენტს გამოეხატა ფსიქო-მოტორული აგზნება, ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილზე, ყვიროდა, ჩხუბობდა, იგინებოდა, ცდილობდა ხელით შეხებოდა მედ. პერსონალს

[347] შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" 2025 წლის 10 იანვრის N31 წერილი.

და ირგვლივმყოფთ, ავლენდა დეზორგანიზებულ ქცევას. აღნიშნულის გამო მიზანშეწონილად ჩაითვალა პაციენტის ფიქსაცია ოთხ წერტილში.[348]

კ. ლ-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს.[349] მიღებული პასუხით, დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება კ. ლ-ს მიმართ განხორციელებული ძალადობის[350] ფაქტზე.[351]

გ. ნ.-ს საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს, პაციენტ გ. ნ-ს განმარტებით, მის მიმართ 2024 წლის ნოემბრის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობას. კერძოდ, მის პალატაში შევიდნენ დაწესებულების თანამშრომლები, რომლებმაც მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, **დაარტყეს სახეში, ცემეს და გაუკეთეს ინექცია.** აღნიშნულ ქმედებას ესწრებოდა განყოფილების ექიმი, რომელიც **აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას.**

გ. ნ.-ს მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს.[352] მიღებული პასუხით, დაიწყო გამოძიება გ. ნ.-ს მიმართ განხორციელებული ძალადობის[353] ფაქტზე.[354]

რ. რ.-ს საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს პაციენტმა რ. რ.-მ აღნიშნა, რომ 2024 წლის 24-დან 30 ნოემბრის ჩათვლით, მის მიმართ **ორჯერ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა.** ორივე შემთხვევაში, **წვერის გაპარსვის მიზნით,** პალატიდან გასული იყო დიასახლისის ოთახში, სადაც დაცვის ერთი და იმავე თანამშრომელმა (იცნობს მხოლოდ ვიზუალურად, არ იცის სახელი) გაშლილი ხელი **რამდენიმეჯერ დაარტყა სახის არეში.** ორივე

---

[348] სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ პაციენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მითითებული თარიღი და დრო თითქმის სიზუსტით ემთხვევა სამედიცინო დოკუმენტებში დაფიქსირებულ, პაციენტ კ.ლ.-სთვის ფიქსაციის გამოყენების დროს. კერძოდ, მოწოდებული ინფორმაციით, კ.ლ.-ს მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტს ადგილი ჰქონდა 2024 წლის 4 ივნისს, დაახლოებით 14:00 საათზე, სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით კი, კ.ლ.-ს მიმართ ფიქსაციის გამოყენებას ადგილი ჰქონდა 2024 წლის 4 ივნისს 14:45 საათზე.

[349] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 20 ივნისის N2024/2047 წერილი.

[350] დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[351] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 24 ივნისის MIA 3 24 01879412 წერილი.

[352] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 2 დეკემბრის N2024/6820 წერილი.

[353] დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

[354] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 5 დეკემბრის MIA 7 24 03700727 წერილი.

შემთხვევაში, დაცვის თანამშრომელი იყო აგრესიული, სიტყვიერი შეურაცხყოფით ერეოდა მასსა და დიასახლისს შორის საუბარში, რაც საბოლოოდ, გადაიზარდა ფიზიკურ ძალადობაში.

მითითებულ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს.[355] მიღებული პასუხით, დაიწყო გამოძიება რ. რ.-ს მიმართ განხორციელებული ძალადობის[356] ფაქტზე.[357]

5.3. მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

5.3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლის საქმე

პოლიციის მხრიდან **პირის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებში სავარაუდო დაუსაბუთებელი და თვითნებური ჩარევის მაგალითია საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლის, თ. ო.-ს საქმე,** რომელიც სამართლიანი სასამართლოს გარანტიების უგულებელყოფით სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო. ხოლო **პოლიციელების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და პირადი და პერსონალური მონაცემების ხელყოფის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით მოქალაქის საჩივრის საფუძველზე გამოძიება არ დაიწყო.**

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პოზიციით, თ. ო.-სგან მიღებული ინფორმაცია არ შეიცავდა საკმარის მონაცემებს გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად, რის გამოც გამოთხოვილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალების და საკითხის შესწავლის შედეგად, არ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები.[358]

საქმის მასალების[359] მიხედვით, თ. ო.-მ განმარტა, რომ 2024 წლის 15 ივლისს, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა 2 პოლიციელმა შეაჩერა და მოთხოვნის შემდეგ, წარუდგინა პირადობის მოწმობა და პოლიციელებმა ზედაპირულად შეამოწმეს. შემდეგ პოლიციელებმა ჰკითხეს თუ რა ჰქონდა ჩანთაში, რაზეც ჩანთის ჩხრეკაზე უარი განაცხადა. ვინაიდან პოლიციელების მხრიდან ადგილი ჰქონდა უკანონო ქმედებებს, საკუთარი მობილური ტელეფონით დაიწყო ვიდეოს გადაღება (გააფრთხილა კიდეც პოლიციელები ამის შესახებ), რამაც გამოიწვია მათი გაღიზიანება. პოლიციელები ეცნენ, წაართვეს ტელეფონი, დაიწყეს მისი დაკავება, ორივე მხარეს მკლავებში ძლიერად მოკიდეს ხელები (ასე ცდილობდნენ ტკივილის მიყენებას) და **მიათრევდნენ მანქანისკენ მიუხედავად იმისა, რომ არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდა.** მისივე განმარტებით, ამ გათრევის პროცესში **განზრახ დააგდეს ძირს,** რის შედეგად **იდაყვიდან წამოუვიდა სისხლი და განიცადა ტკივილი.** ისევ წამოაყენეს და გათრევით

[355] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 დეკემბრის N2024/7064 წერილი.
[356] დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.
[357] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 12 დეკემბრის MIA 5 24 03771510 წერილი.
[358] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 22 აგვისტოს NSIS12400016063 წერილი.
[359] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 27 აგვისტოს NSIS02400016341 წერილი.

მიიყვანეს მანქანამდე და ძალის გამოყენებით ჩატენეს მანქანაში. გარდა ამისა, პოლიციელები ექცეოდნენ უხეშად და უპატივცემულოდ. დაკავებული მანქანით გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მისვლისას მანქანიდან კვლავ გადაათრიეს ძალის გამოყენებით, რისი საჭიროებაც არ იყო, რადგან არც წინააღმდეგობას უწევდა და არც სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

თ. ო.-ს თქმით, პოლიციის განყოფილებაში კითხვაზე - ამჯერად მაინც თუ გახსნიდა ჩანთას, უპასუხა, რომ **საკუთარი სურვილით და ნებით ჩანთას არ გახსნიდა,** ხოლო თუ პოლიციას სურდა, თავად ენახა რა ჰქონდა ჩანთაში, თუმცა **ეს გამოდიოდა არა შემოწმება, არამედ ჩხრეკა.** მისი თქმით, 4 საათის განმავლობაში ჰყავდათ განყოფილებაში, მობილური ტელეფონი ჰქონდათ პოლიციელებს, ხოლო ჩანთა ჰქონდა თვითონ და საკუთარი ნებით მის გახსნას თხოვდნენ (რათა ეჩვენებინა ჩანთაში მოთავსებული ნივთები). ამ დროის განმავლობაში **არ განუმარტეს სტატუსი, მის მიმართ დამცინავი და ირონიული დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ,** მოითხოვა ადვოკატთან ან ოჯახის წევრთან დარეკვა, რის გამოც მიუტანეს მისი კუთვნილი ტელეფონი და **როგორც კი ტელეფონს ბლოკი მოხსნა, ტელეფონი მყისიერად გამოგლიჯეს ხელიდან და წაიღეს**. არ იცის რას ეძებდნენ ტელეფონში. ამ დროის განმავლობაში მასთან მიდიოდა სხვადასხვა პოლიციელი, მათ შორის, განყოფილების უფროსი, რომელიც გულგრილად მოეკიდა დაკავებულის ნათქვამს და არაფერი გააკეთა მის გასათავისუფლებლად. შემდეგ დამკავებელმა პოლიციელებმა მოთხოვეს ჩანთა, რომელიც მათ მისცა და შეთავაზა გაეჩხრიკათ. ამ პროცესს ერთ-ერთი პოლიციელი იღებდა ტელეფონით. ჩანთაში იპოვეს მისი სამსახურებრივი მოწმობა (მანამდე არ უთქვამს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობდა), **რის შემდეგ დაკავებულის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.** პოლიციელებმა უთხრეს, რატომ არ უთხრა სად მუშაობდა, განყოფილებაში არც შეიყვანდნენ. მერე შეავსეს ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომელიც გაუგებრად იყო შედგენილი. შემდეგ დაუბრუნეს ტელეფონი, საიდანაც წაშლილი დახვდა რამდენიმეწამიანი ვიდეო (რომლის გადაღება მოასწრო ტელეფონის წართმევამდე) და ხელწერილით გაათავისუფლეს. თ. ო.-ს მტკიცებით, **სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანების კვალი სილურჯეები და სისხლჩაქცევები** (ორივე მკლავსა და იდაყვზე).

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-3 მუხლი არ კრძალავს ძალის გამოყენებას დაკავების მიზნებისათვის. თუმცა, მსგავსი ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ გარდაუვალ ვითარებაში და ის **არ უნდა იყოს გადამეტებული** (უნდა იყოს მკაცრად აუცილებელი პირის ქმედებიდან გამოდინარე). როდესაც, პოლიციის მიერ დაკავებისას, პირი ჯანმრთელია, ხოლო განთავისუფლებისას მას აღმოაჩნდება დაზიანებები, სახელმწიფოს ვალდებულებაა, გააკეთოს დამაჯერებელი განმარტება, თუ როგორ იქნა ეს დაზიანებები მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, აშკარად დგება კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენების საკითხი. ამასთან, სამართალდამცავების მხრიდან არაპროპორციული, გადამეტებული ძალის გამოყენებას არასათანადო მოპყრობად

მიიჩნევს.[360] შესაბამისად, სავალდებულოა ამგვარი საჩივრის საფუძველზე გამოძიების ჩატარება. სამწუხაროდ, საგამოძიებო უწყებამ **თ. ო.-ს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში დანაშაულის ნიშნები ვერ დაინახა** ვერც პოლიციელების მხრიდან გადამეტებული, არასაჭირო ძალის გამოყენების შედეგად დაზიანებების მიყენების ფაქტზე და **ვერც პოლიციელების მიერ ტელეფონის ბლოკის მოხსნის შემდეგ,** ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, **მასში არსებული პირადი და პერსონალური ინფორმაციის სავარაუდო უკანონო გაცნობისა და ვიდეო ფაილის წაშლის ფაქტებზე.** მიუხედავად იმისა, რომ იკვეთებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფის[361] ნიშნები.

რაც შეეხება თ.ო.-ს წინააღმდეგ საქმის წარმოებას, ადმინისტრაციული დაკავების ოქმში[362] თ.ო.-ს ასკ-ის 173-ე მუხლით დაკავების საფუძვლად სამართალდარღვევის აღკვეთის საფუძველია მითითებული. საგულისხმოა, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა მცირე ზომის დაზიანება იდაყვზე ნაკაწრის სახით. დაკავების, პირადი გასინჯვის ანდა ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილ და ჩამორთმეულ ნივთებს შორის დაფიქსირებულია მობილური ტელეფონი (ხელწერის თანახმად, კი - გათავისუფლებისას ჩაიბარა დაკავების დროს არსებული პირადი ნივთები). იმავე ოქმის თანახმად, პოლიციელებმა პიროვნების დადგენის მიზნით შეაჩერეს, მან უთხრა, რომ იყო თ. ო. და ზედაპირულ შემოწმებაზე განაცხადა უარი, აგრესიულად და დამცინავად უთხრა, რომ არ დაემორჩილებოდა, არაერთხელ მოუწოდეს დამორჩილებოდათ, თუმცა კვლავ ცინიკურად დამცინავად აგრძელებდა მათთან საუბარს, რის შემდეგად დააკავეს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, თ.ო.-სგან ადგილი ჰქონდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას - მიეცა შესაძლებლობა ზედაპირულ დათვალიერებაზე, აგრეთვე, ადგილი ჰქონდა პოლიციელის სიტყვიერ შეურაცხყოფას.

სასამართლომ თ. ო. **სამართალდამრღვევად ცნო (სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა) და დადგენილად მიიჩნია, რომ პოლიციელებმა ზედაპირული შემოწმების მიზნით შეაჩერეს თ. ო., რომელმაც პოლიციელებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.**

სასამართლომ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების განხილვის გარეშე მიუთითა კანონის ნორმა, რომლის თანახმად, პრევენციული ღონისძიებისას პოლიციელი უფლებამოსილია ზედაპირული შემოწმების მიზნით შეაჩეროს პირი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ პირს თან აქვს ნივთი, რომლის გადატანა შეზღუდულია ან რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.[363] სასამართლომ არ იმსჯელა და არ განიხილა, რომ კანონი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ პირის ზედაპირული შემოწმება გულისხმობს მისი ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე ხელით, სპეციალური

[360] Mikiashvili v. Georgia განაცხადი N18996/06, 09.10.2012 წ. §69, 70 და 77.
[361] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლ. 157.
[362] ოქმის ხელნაწერი რთულად იკითხება.
[363] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლ. 22, პუნქტ. 2, ქ/პ. „ა“.

ხელსაწყოთი ან საშუალებით შეხებას.[364] ხოლო ნივთის ზედაპირული დათვალიერება გულისხმობს ნივთის ვიზუალურ დათვალიერებას.[365] პირის შეჩერების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შეჩერების მომენტიდან 30 წუთს.[366] ხოლო თუ ზედაპირული შემოწმების დროს წარმოიშვა ჩხრეკის საფუძველი, პოლიციელი ატარებს ჩხრეკას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.[367] აღნიშნული კი - აუცილებლად გულისხმობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით (ფაქტის ან ინფორმაციის ერთობლიობა), სასამართლოს განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში - გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე (შემდგომი სასამართლო კონტროლით) საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას.[368]

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამოდ მიიჩნევს პოლიციისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებს, რომელიც არ ითვალისწინებს გაჩერებისა და ჩხრეკის შესახებ გადაწყვეტილებაზე რაიმე შეზღუდვას და რომელსაც არ სჭირდება რაიმე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის მტკიცება. ამგვარი უფლებამოსილება რადიკალურად სცილდება პოლიციის უფლებამოსილების ფარგლების ტრადიციულ გაგებას და **თვითნებობის აშკარა რისკს შეიცავს.** ამასთან, გაჩერებისა და ჩხრეკის უფლებამოსილება არც საკმარისად განსაზღვრულია და მასზე არც ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო სათანადო სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ვრცელდება.[369]

მიუხედავად ამისა, სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა თ. ო.-ს განმარტება, რომ ის დაემორჩილა პოლიციელებს და ზედაპირულად შეამოწმეს, ხოლო ჩანთის გახსნის და მასში არსებული ნივთების ნახვა წარმოადგენდა ჩხრეკას, რაც ვერ ჩატარდებოდა საპოლიციო პრევენციული ღონისძიების ფარგლებში, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, შესაბამისი საფუძვლებით და წესით.

სასამართლოსთვის თ. ო.-ს სამართალდამრღვევად ცნობისთვის მხოლოდ პოლიციელების ჩვენებები და მათ მიერვე შედგენილი ოქმები, რაიმე ნეიტრალური მტკიცებულების არარსებობის მიუხედავად, საკმარისი, სარწმუნო, და დამაჯერებელი მტკიცებულება აღმოჩნდა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა მოქალაქე პოლიციელების მისი უფლებების უხეშად დარღვევაში ადანაშაულებდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში განიხილავს და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში, სადაც **ეროვნულმა სასამართლოებმა პოლიციელების**

---

[364] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლ. 22, პუნქტ. 1.
[365] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლ. 22, პუნქტ. 5.
[366] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლ. 22, პუნქტ. 8.
[367] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლ. 22, პუნქტ. 10.
[368] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 112.
[369] Gillan and Quinton v. the UK განაცხადი N4158/05 12.01.2010 წ. პარ. 83, 85, 87.

მტკიცებულება ნდობის მაღალი ხარისხით გამორჩეულად მიიჩნიეს. ასევე, პოლიციელების ჩვენებები არ იყო გამყარებული სხვა მტკიცებულებებით და მომჩივანი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, სადაც მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება წაყენებული ბრალდებების საპასუხოდ.[370]

თ.ო.-ს საქმეზე მიღებული სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისთვის დამახასიათებელი **სისტემური პრობლემის ამსახველი შაბლონური ხასიათის გადაწყვეტილებაა,** რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს ზემოხსენებულ გარანტიებს.

5.3.2.გამოძიების დაწყების გაჭიანურება

საანგარიშო პერიოდში, აპარატის მიერ შესწავლილ რამდენიმე საქმეში დაფიქსირდა პოლიციელების მხრიდან სავარაუდო დანაშაულის ნიშნების შემცველ განცხადებებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყების ან დაწყებაზე უარის გადაწყვეტილების მიღებამდე არაგონივრულად ხანგრძლივი დროით საკითხის შესწავლის შემთხვევები.

კანონით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.[371] **შესაბამისად, პროკურატურის ამგვარი პრაქტიკა, როცა რამდენიმე თვიდან - 1 წელზე მეტი ვადით აჭიანურებს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შესწავლას, შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს, გამოძიების დაწყების შემდეგ, მისი ეფექტიანად წარმართვისთვის.**

სახალხო დამცველის გასული წლის ანგარიშში აისახა ინფორმაცია ადვოკატის, შ.თ-ს საქმის[372] შესახებ, რომელიც 2023 წლის 2 ივნისს, დაკავებისას პოლიციელების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე მიუთითებდა. საგულისხმოა, რომ 1 წლის და 6 თვის გასვლის შემდეგაც, 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობდა შ. თ-ს განცხადებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და აღნიშნულთან დაკავშირებული მასალების შესწავლა.[373]

შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის ვ. გ.-ს განმარტებით, **პირადი შეურაცხყოფის, დამცირების და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო,** 2022 წლის მარტში, იძულებული გახდა დაეწერა პატაკი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. ვ.გ. მიუთითებდა საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელების მხრიდან სამსახურიდან წასვლის თაობაზე პატაკის დაწერის მოთხოვნის იძულებაზე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - პირადი ცხოვრების გახმაურების, ნარკოტიკული საშუალების ან იარაღის ე. წ. „ჩადების“ მუქარის

---

[370] Makarashvili and others v. Georgia, განაცხადი N23158/20, 31365/20, 32525/20, 01.09.2022 წ. პარ.51, 61, 64.

[371] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 100.

[372] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 164.

[373] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 20 დეკემბრის N13/82425 წერილი.

თაობაზე; ასევე, სიცოცხლის მოსპობის მუქარის შესახებ, თუ ხსენებულ ინფორმაციას მიაწოდებდა შესაბამის სამსახურებს ან ვინმეს. ვ. გ. მიუთითებდა მის მიმართ განხორციელებული უკანონო თვალთვალის, მიყურადების და მოსმენის; ასევე, სამსახურიდან წასვლის შემდეგ - **ცემის და მუქარის თაობაზე.** მისი თქმით, მუქარის განმახორციელებელი პირები არიან მოხელეები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები. ხსენებულ საკითხზე ვ. გ.-ს 2023 წლის დეკემბერის განცხადების შესწავლა თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობდა 2024 წლის დეკემბერშიც.[374] **1 წლის განმავლობაში პროკურატურა არ იწყებს გამოძიებას.**

2024 წლის ივნისში, სახალხო დამცველმა პროკურატურას მიმართა ბრალდებულ უ. ა.-ს[375] დაცვის უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით.[376] თუმცა 6 თვეზე მეტია, პროკურატურის ინფორმაციით, გრძელდება წინადადებაში მითითებული გარემოებების შესწავლა.[377]

5.3.2. ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიება

გასული წლების ანგარიშებში[378] სახალხო დამცველი მიუთითებდა ნინოწმინდის პანსიონის აღსაზრდელი ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების არსებითი ხარვეზებით მიმდინარე გამოძიების შესახებ. 2021 წელს, საქმეების გაცნობის შედეგად, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურორს ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოების თაობაზე,[379] შესაბამისი მოქმედებების ჩატარების მოთხოვნით. ამასთან, სახალხო დამცველმა მოითხოვა პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულის გამოძიების წარმართვა სსკ-ის 144[3] მუხლით, რადგან საქმეებში იკვეთება სისტემური, თითქმის ყველა ბავშვის მიმართ გამოყენებული, პერმანენტული ხასიათის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის ძალადობრივი მეთოდები, რის გამო სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) კვალიფიკაცია არასაკმარისია.

---

[374] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 13 მარტის N13/16842, 5 აგვისტოს N13/50956, 19 დეკემბრის N13/82235, 30 დეკემბრის N13/84637 წერილები და თბილისის პროკურატურის 2024 წლის 18 დეკემბრის N13/01-81846 წერილი.

[375] უ.ა.-ს საქმის შესახებ ვრცლად საუბარია წინამდებარე ანგარიშში, სამართლიანი სასამართლოს უფლების თავში.

[376] სახალხო დამცველის 2024 წლის 6 ივნისის N2024/1670 წინადადება.

[377] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 21 ივნისის N13/40467, 5 აგვისტოს N13/51012 და 20 დეკემბრის N13/82423 წერილები.

[378] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2021 წლის ანგარიში, გვ. 66-67; 2022 წლის ანგარიში, გვ. 69-70; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშები: 2021 წლის ანგარიში, გვ. 31-33; 2022 წლის ანგარიში, გვ. 46-47; 2023 წლის ანგარიში, გვ. 91-92.

[379] სახალხო დამცველის 2021 წლის 12 დეკემბრის N15-5/11525 წინადადება.

სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა: აპარატისთვის თავდაპირველად მიწოდებული ინფორმაციით, საპროცესო მოქმედებების შედეგების გათვალისწინებით და დანიშნული ექსპერტიზების დასკვნების მიღების შემდეგ, მიიღებოდა გადაწყვეტილება საქმის საბოლოო კვალიფიკაციის შესახებ. თუმცა, **2024 წელსაც გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) გრძელდება და პროკურატურის პოზიციით, კვალიფიკაცია არ შეცვლილა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობის გამო; დაზარალებულად ცნობილია მხოლოდ 1 პირი, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არავის მიმართ არ დაწყებულა.**[380]

საგულისხმოა, რომ 2024 წელს, გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის გადაწყვეტილებით[381] დადგინდა, რომ საქართველომ ვერ დაიცვა ნინოწმინდის პანსიონში განთავსებული ბავშვები ძალადობისა და შეურაცხყოფისგან, არ გამოიჩინა სათანადო გულმოდგინება არასათანადო მოპყრობის მრავალრიცხოვანი ბრალდებების სწრაფად და ეფექტიანად გამოსაძიებლად. აგრეთვე, კომიტეტმა საქართველოს მოსთხოვა უზრუნველყოს, მსხვერპლი ბავშვების დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, ეფექტიანი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება და პასუხისმგებელი პირების დასჯა.

საქმეების გაცნობისა და შესწავლის შედეგად, **იკვეთებოდა ბავშვების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნები (რაზეც ხანდაზმულობა არ გამოიყენება)[382], რაზეც სახალხო დამცველის წინადადებასა და გაეროს ბავშვთა კომიტეტის გადაწყვეტილებაში ნათლად არის მითითებული. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ამდენი წლის შემდეგაც, გამოძიება კვლავ უშედეგოდ და მსუბუქი მუხლით - ძალადობის ფაქტზე, სსკ-ის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილით მიმდინარეობს, რომელზეც გამოძიების ხანდაზმულობის ვადა[383] გასულია.**

5.4. გასული წლების საპროტესტო აქციების საქმეების გამოძიება

საანგარიშო პერიოდში გამოძიებისა და კონკრეტული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა, 2019 წლის 20-21 ივნისს საპროტესტო აქციის დაშლისა და 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული

---

[380] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 2 თებერვლის N13/5438, 2022 წლის 21 მარტის N13/16205, 2022 წლის 28 დეკემბრის N13/84256, 2023 წლის 15 დეკემბრის N13/84295, 2024 წლის 31 დეკემბრის N13/84815 და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 23 მარტის NMIA62200758070, 2022 წლის 29 დეკემბრის NMIA62203706498, 2023 წლის 20 დეკემბრის NMIA32303746607, 2024 წლის 25 დეკემბრის NMIA52403911253 წერილები.

[381] იხ. <https://www.ohchr.org/en/press-releases/2024/06/georgia-failed-protect-children-against-violence-and-abuse-church-run>
<https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2FC%2F96%2FD%2F144%2F2021&Lang=en> [ბოლოს ნანახია: 10.12.2024 წ.]

[382] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 5[1].

[383] იქვე, მუხ. 71, ნაწ. 1, ქვეპ. „ა“.

ღონისძიებების საწინააღმდეგო შეკრების მონაწილეთა მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში.

5.4.1. 20-21 ივნისის საქმის გამოძიება

გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, პროკურატურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან ქ. თბილისში საქართველოს პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობითა და იარაღის გამოყენებით გადამეტების შესაძლო ფაქტზე[384] მიმდინარე გამოძიება, 2024 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული არ არის და კვლავ გრძელდება. ამასთან, 2024 წელს დაზარალებულად ცნობილი იქნა 1 პირი, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელიმე თანამშრომლის მიმართ არ დაწყებულა.[385]

20-21 ივნისის აქციის დაშლისას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან აქციის მონაწილეთა მიმართ ძალადობის განხორციელების ფაქტებზე მიმდინარე გამოძიების ხარვეზებზე საუბარია სახალხო დამცველის სხვადასხვა ანგარიშებში, მათ შორის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშშიც.[386]

აღსანიშნავია, რომ **2024 წლის 7 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევა 2019 წლის 20-21 ივნისს, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან რეზინის ტყვიების გამოყენებასა და შეკრების მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიანი გამოძიების გამო და მიუთითა, რომ გადაწყვეტილების შესასრულებლად საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ უნდა იქნეს გამოტანილი შესაბამისი დასკვნები მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ღიად დარჩენილ საკითხებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ და საპარლამენტო ანგარიშებში ასახულ მიგნებებსა და რეკომენდაციებზეც.[387]**

სახალხო დამცველმა, ევროპული სასამართლოს 2024 წლის 7 მაისის გადაწყვეტილების გამოტანისთანავე გაავრცელა განცხადება, სადაც მითითებულია ადამიანის უფლებათა

---

[384] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

[385] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 30 დეკემბრის N13/84560 წერილი.

[386] იხ. < https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/strasburgis-sasamartlom-2019-tslis-20-21-ivnisis-saprotesto-aktsiis-darbevastan-dakavshirebit-adamianis-uflebata-konventsiis-me-3-mukhlis-protseduruli-aspektis-darghveva-daadgina > (გვ. 175).

[387] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2024 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „Tsaava and others v. Georgia “ იხ. <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22fulltext%22:[%22tsaava%22],%22itemid%22:[%22001-233412%22]}> აღნიშნული გადაწყვეტილება, დღეის მდგომარეობით, გასაჩივრებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისა და შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხის მნიშვნელობაზე.[388]

5.4.2. 5 ივლისის საქმის გამოძიება

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში ასევე მითითებული იყო 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის" მიერ ორგანიზებული ღონისძიებების საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების გამოძიების გაჭიანურებასა და სასამართლოს მიერ შეფასებების მნიშვნელობაზე.[389]

საანგარიშო პერიოდში **გამოძიება კვლავ არ დასრულებულა და კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ ყოფილა.**[390] გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ (შინაგან საქმეთა სამინისტრო) კი სახალხო დამცველის აპარატს, მიმართვაზე, თუ რა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები იქნა ჩატარებული გამოძიების ფარგლებში 2024 წლის განმავლობაში,[391] აცნობა, რომ ინფორმაცია, საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ აპარატს მიღებული ჰქონდა 2023 წლის დეკემბერში,[392] რაც **აჩენს იმის განცდას, რომ საგამოძიებო უწყებას 2024 წლის განმავლობაში ახალი საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაუტარებია.**

5.5. გენერალური ინსპექციების საქმიანობა

წლების განმავლობაში, სამართალდამცავი უწყებების გენერალური ინსპექციების საქმიანობის ეფექტიანობის პრობლემა სახალხო დამცველის აპარატის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

სახალხო დამცველის აპარატი წლებია მიუთითებს, რომ დემოკრატიული წესრიგისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, სახელმწიფო განსაკუთრებით აკონტროლებდეს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას, რომელიც იძულების ღონისძიებებისა და ძალის გამოყენების ექსკლუზიური უფლებამოსილებით სარგებლობს. მოქალაქეებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება, ყოველდღიურ საქმიანობაში ადამიანის უფლებების პატივისცემა, დიდწილად **განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ საზოგადოების ნდობასა და კეთილგანწყობას.** ამ პროცესში, **მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ** თავად **სამართალდამცავი უწყებების შიდა მონიტორინგის**

---

[388] იხ. < https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/strasburgis-sasamartlom-2019-tslis-20-21-ivnisis-saprotesto-aktsiis-darbevastan-dakavshirebit-adamianis-uflebata-konventsiis-me-3-mukhlis-protseduruli-aspektis-darghveva-daadgina >

[389] იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf > (გვ. 175-177).

[390] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 24 იანვრის N13/3545 წერილი.

[391] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 14 იანვრის N25/235 წერილი.

[392] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 17 იანვრის NMIA 6 25 00118491 წერილით.

მექანიზმებს - გენერალურ ინსპექციებს, რომლებიც მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტიან რეაგირებაზე პასუხისმგებელ უწყებებს წარმოადგენენ.

2017 წელს სახალხო დამცველის აპარატმა საზოგადოებას სპეციალური ანგარიში წარუდგინა, რომელშიც მიმოხილული იყო საქართველოს მთავარი პროკურატურის (ამჟამად, საქართველოს გენერალური პროკურატურა), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (ამჟამად, სპეციალური პენიტენციური სამსახური) გენერალური ინსპექციების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით შეთავაზებული რეკომენდაციები.[393]

მომდევნო წლებშიც, სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშებში, **არაერთხელ გამახვილდა ყურადღება ხსენებულ პრობლემატიკაზე**, მათ შორის, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ინდივიდუალურ საქმეებს, როდესაც სამართალდამცავი უწყებების გენერალური ინსპექციების მიერ სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილად წარმოების შემთხვევები გამოვლინდა.[394]

5.5.1. გენერალური ინსპექციების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები

2024 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში.[395] ანგარიშში წარმოდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციების, ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზების, ასევე საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი. გარდა საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვისა, სახალხო დამცველის აპარატმა, წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში, ბოლო წლების პრაქტიკის კვლევის მიზნით, ზემოხსენებული **სამივე უწყებიდან სამსახურებრივი შემოწმების მასალები გამოითხოვა.**

---

[393] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, 2017, გვ. 14, ხელმისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf > [ბოლოს ნანახია: 23.01.2025].

[394] მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, 131-140, ხელმისაწვდომია: < https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf > [ბოლოს ნანახია: 23.01.2025].

[395] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „გენერალური ინსპექციების საქმიანობის საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“, 2024. ანგარიში ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/vPH4m > [ბოლოს ნანახია: 23.01.2025].

<u>სპეციალური ანგარიშის ძირითადი მიგნებები, რომლებიც საკანონმდებლო გაზას უკავშირდება შემდეგია:[396]</u>

სამართალდამცავ სტრუქტურებში დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი საკანონმდებლო და პრაქტიკული კუთხით **ცხადყოფს მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირების პრობლემას.**

სამართალდამცავ უწყებებში სამსახურებრივი გადაცდომების შიდა კონტროლის მოქმედი ინსტიტუციური მოწყობა, **გარე კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის არარსებობის გამო, საჭიროებს სიღრმისეულ ცვლილებებს.** საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი, ამ კუთხით, პრობლემის გადაჭრისთვის გვთავაზობს ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით სამართალდამცავი სისტემის შიგნით დისციპლინურ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის გარე მექანიზმს, მეორე მხრივ - მოქალაქესა და გენერალურ ინსპექციას შორის დავის სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტას. ამასთან, დასახელებული გზები ერთმანეთს არ გამორიცხავს და ორივე მათგანის თანადროულად დანერგვა შესაძლებელია.

ნორმატიული კანონმდებლობა ჩამოთვლის უწყებათა უფლებამოსილებებს სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, თუმცა არ ადგენს ფაქტობრივი გარემოებების სრულფასოვნად გამოკვლევისთვის მინიმალურ აუცილებელ ქმედებებს, გადაწყვეტილების მიღების მტკიცებულებით სტანდარტს, სამართალწარმოების პროცესში განმცხადებლის ჩართულობის საკითხებს, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტისას მისი გასაჩივრების წესებს და ზოგადად, სასამართლოს მეშვეობით კონტროლის ფარგლებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, სამართალდამცავ სტრუქტურებში შიდა კონტროლის მექანიზმის გარდაქმნა იმგვარად, რომ ის პასუხობდეს **დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის და ეფექტიანობის კრიტერიუმებს.** გარდა ამისა, მკაფიოდ უნდა გაიწეროს დისციპლინური წარმოების წესები, რომელიც საჩივრის განხილვაში ჩართულ პირებს თუ საზოგადოებას გაუჩენს **პროცესისადმი ნდობისა და სამართლიანობის განცდას.** გენერალური ინსპექციების ფუნქციონირების მარეგულირებელი კანონმდებლობის სამართლებრივი მიმოხილვა და ანალიზი ცხადყოფს ამ კუთხით არსებულ არაერთ გამოწვევას. ბუნებრივია, აღნიშნული უარყოფით გავლენას ახდენს გენერალური ინსპექციების მუშაობის ხარისხზეც.

<u>პრაქტიკის კვლევისას გამოვლენილი ხარვეზები:[397]</u>

დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში **ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, ვინაიდან მხოლოდ მხარეთა ზეპირი გასაუბრების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში ვერ იქნება საკმარისი, რეალური

[396] იქვე, გვ. 16-20.
[397] იქვე, გვ. 37-44.

სურათის აღსადგენად. ნეიტრალური მტკიცებულება იძლევა საშუალებას, დადასტურდეს/გამყარდეს საქმეზე ესა თუ ის ფაქტი და გადაცდომის დადასტურება **ცალმხრივად არ იყოს დამოკიდებული თავად დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩამდენი პირის განმარტებაზე.** ამის მიუხედავად, გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, სადაც არ ჩანდა უწყების მხრიდან ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების მცდელობაც კი.

საქმესთან უშუალოდ შემხებლობაში მყოფ **მოწმეთა გამოკითხვა და გამოკითხვის კრიტიკული/დეტალური ხასიათი** უწყებებისთვის პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვნად აზიანებს ჩატარებული შემოწმების სანდოობის საკითხს. არადეტალური გასაუბრებები შედეგობრივად აზიანებს მთლიან შემოწმების წარმოებას. შესწავლილმა მასალებმა ცხადყო, რომ არც თუ ისე იშვიათად, **მოწმეებს არ აქვთ დასმული მნიშვნელოვანი კითხვები,** რომლებითაც შემდგომ შესაძლებელი გახდებოდა არსებული და მოპოვებული ინფორმაციის შეჯერება, მათ შორის წინააღმდეგობის ან თანხვედრის დადგენა, შემდგომი მოქმედებების სწორი დაგეგმვა და სხვ.

ხარვეზების მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება **ეფექტიან და დროულ ღონისძიებებს** შესწავლის ფარგლებში. აგრეთვე, პრობლემურ საკითხად გამოვლინდა მომჩივნის **ინფორმირებულობის საკითხიც.**

ყურადღებას საჭიროებს ის ფაქტი, რომ როგორც უკვე აღინიშნა, გენერალური ინსპექციების საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სამართლებრივი ანალიზი და საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე კვლევის შედეგები სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჯერ კიდევ 2017 წლის სპეციალურ ანგარიშშია დაფიქსირებული და **6 წლიანი სხვაობის მიუხედავად,** რამდენიმე მიმართულება წინამდებარე კვლევის მიერ დაიდენტიფიცირებულ **ხარვეზებს ემთხვევა და იმეორებს.** კერძოდ, აღნიშნული უკავშირდება განმცხადებელთა ინფორმირებას, წარმოების შედეგებთან დაკავშირებით; ასევე, ნეიტრალური მტკიცებულებების, განსაკუთრებით, ვიდეოჩანაწერების მოპოვების მცდელობას.

სპეციალური ანგარიშის ფარგლებში გაიცა რეკომენდაციები საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის დასახვეწად.[398]

5.5.2. გამოვლენილი ხარვეზები ინდივიდუალურ საქმეებში

შ. ა.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ შ. ა.-ს საქმე, მის მიერ გაგზავნილი **კორესპონდენციის კონფიდენციალობის დარღვევასთან დაკავშირებით.**

სახალხო დამცველის აპარატში მსჯავრდებულ შ. ა-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა (ვინაობა ვერ დაასახელა) იმავე დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულ მ. ც-ს წააკითხეს მის მიერ სახალხო დამცველის

[398] იქვე, გვ. 48-50.

აპარატში და პენიტენციური დაწესებულების დირექტორის სახელზე გაგზავნილი განცხადება, ასევე, იუსტიციის მინისტრის, გენერალური პროკურატურისა და სახალხო დამცველის სახელზე გაგზავნილი საჩივარი. შ. ა-ს განმარტებით, მ. ც-მ გადაძახილის მეშვეობით აცნობა მის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შინაარსი, რაც ასევე გაიგეს სხვა პატიმრებმა. ამასთან, შ. ა-ს თქმით, მ. ც-მ ხსენებული საჩივარი და განცხადება თავის საწინააღმდეგოდ გაგზავნილად აღიქვა, რის გამოც აგრესია გამოხატა მის მიმართ.[399]

სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს,[400] რომლის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, მსჯავრდებულ შ. ა.-ს უფლების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

სამსახურებრივი შემოწმების მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ შემოწმების ფარგლებში, ახსნა-განმარტება ჩამოერთვა პენიტენციური დაწესებულების ექვს თანამშრომელსა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის ერთ შემთხვევის ადმინისტრატორს, რომლებმაც უარყვეს მსჯავრდებულის უფლების დარღვევის ფაქტი.

მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისა და შემთხვევის ადმინისტრატორის ახსნა-განმარტებები საკმარისად მიიჩნია და ისე, რომ მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტება არ ჩამოურთმევია მსჯავრდებულებისთვის - შ. ა.-სა და მ. ც.-სთვის, დაასრულა სამსახურებრივი შემოწმება.

გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებულ შ. ა.-ს სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას არ დაუფიქსირებია იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც, სავარაუდოდ, გააცნეს მისი კორესპონდენცია მ. ც-ს. ასეთი ფაქტის არსებობა და მისი განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაცია მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ არც მ. ც.-სთან არის დაზუსტებული. შესაბამისად, გაუგებარია, მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა რა პრინციპით შეარჩია დაწესებულების მხოლოდ ის თანამშრომლები, რომლებსაც ჩამოართვა ახსნა-განმარტება.

ახსნა-განმარტებებში დაწესებულების თანამშრომლები განმარტავდნენ, რომ შესაძლოა, შ. ა.-მ, გადაძახილის მეშვეობით, თავად გააცნო საჩივარ-განცხადების შინაარსი მ. ც.-ს. თუმცა, ამ ვერსიის გადამოწმებისა და დამატებითი მტკიცებულების მოპოვების მიზნით, მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ, უფლებადარღვევის სავარაუდო პერიოდში, არ არის ინფორმაცია მოძიებული შ. ა.-ს მიმართ გადაძახილზე ჩატარებული შესაძლო დისციპლინური წარმოების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დადასტურდებოდა დაწესებულების თანამშრომელთა მიერ გამოთქმული ვარაუდი.

---

[399] მსჯავრდებულ შ. ა.-სთან 2023 წლის 12 სექტემბრის შეხვედრის ოქმი.
[400] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 სექტემბრის N15-15/9608 წერილი.

ვინაიდან, გადაძახილზე მიუთითებდა, ასევე, შ. ა.-ც და ამბობდა, რომ მ. ც.-მ სწორედ გადაძახილის მეშვეობით აცნობა მისივე საჩივარ-განცხადების შინაარსი, შესაძლებელი იყო მათი საუბარი ამავე დაწესებულებაში განთავსებულ სხვა პატიმრებსაც მოესმინათ. მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ საქმის დეტალების შესახებ ინფორმაცია არც შ. ა.-ს და მ. ც.-ს მომიჯნავე საკნებში განთავსებული პატიმრებისგან არის მოპოვებული, რომლებსაც შეეძლოთ გამოერიცხათ ან დაედასტურებინათ სამსახურებრივი შემოწმების პროცესში წამოჭრილი, როგორც მსჯავრდებულ შ. ა.-ს, ასევე, დაწესებულების თანამშრომელთა ვერსია.

ამდენად, საქმის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ სამსახურებრივი შემოწმება სრულყოფილად არ არის ჩატარებული და ინფორმაცია არ არის მოპოვებული ყველა შესაძლო წყაროდან.

დ. მ-ის საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მოქალაქე დ. მ.-ს განცხადება, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული შესაძლო უკანონო ქმედებების თაობაზე.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ არასრულწლოვან შვილთან ერთად, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან, მიემგზავრებოდა ესპანეთში, რა დროსაც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს თანამშრომლებმა შეამოწმეს მის ზურგჩანთაში არსებული მედიკამენტები და იმ საფუძვლით, რომ ნემსი წარმოადგენს საჰაერო ხომალდის სალონით გადასატან აკრძალულ საგანს, ინსულინის დოზირებისთვის განკუთვნილი სპეციალური ნემსები ჩამოართვეს. ამასთანავე, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

მოქალაქემ შესაბამისი რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა, თუმცა, უწყების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით გამოითხოვა და შეისწავლა გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[401] ამასთანავე, ხომალდის სალონით ნემსის გადატანის დასაშვებობასთან დაკავშირებით, აპარატმა გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოდან.[402]

[401] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 1 ივლისის №2024/2356 წერილი.
[402] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 16 ივლისის № 2024/2842 წერილი.

შედეგად, გაირკვა, რომ განმცხადებლის საჩივარი არასრულყოფილად იყო შესწავლილი, უწყების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება შემოიფარგლა მხოლოდ ზემოაღნიშნული პირების ზედაპირული გამოკითხვით და არ იყო მოპოვებული საქმისთვის მნიშვნელოვანი არც ერთი ნეიტრალური მტკიცებულება. დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურებრივი შემოწმება განსხვავებული შედეგით დასრულებულიყო. შესაბამისად, სახალხო დამცველმა, გენერალური ინსპექციის უფლებამოსილ თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე წინადადებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა.[403]

რუსეთიდან შემოსული საკრუიზო გემის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე მომხდარი ინციდენტი

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქმე, 2023 წლის 31 ივლისს, რუსეთიდან შემოსული საკრუიზო გემის წინააღმდეგ, ბათუმის ნავსადგურთან გამართულ საპროტესტო აქციაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის შესახებ.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას დაკავებულთა მიერ დაფიქსირებული საჩივრების საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა.[404] გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, არ დადგინდა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.[405]

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი შემოწმების მასალები. შემოწმებისას მოპოვებული მტკიცებულებებით, მათ შორის, ვიდეო ჩანაწერებით, ვერ დადგინდა ხსენებულ დაკავებულთა უფლების დარღვევის ფაქტები, თუმცა, ერთ-ერთი ვიდეო ჩანაწერის დათვალიერების შედეგად, გამოიკვეთა საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მხრიდან, სავარაუდოდ, ეთიკის ნორმების დარღვევა. კერძოდ, ვიდეო ფაილში, პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი ეუბნება მოქალაქეს - „უზრდელო შენ“.

სახალხო დამცველის აპარატმა განმეორებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია მითითებულ ფაქტზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ,[406] თუმცა გენერალურმა ინსპექციამ მიუთითა, სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე უკვე ჩატარებულ სამსახურებრივ

[403] სახალხო დამცველის 2025 წლის 4 თებერვლის № 25/1076 წინადადება.
[404] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 3 აგვისტოს N15-15/7630 წერილი.
[405] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 15 დეკემბრის NMIA 0 23 03695575 წერილი.
[406] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 13 მარტის N15-15/2589 წერილი.

შემოწმებაზე და განმარტა, რომ სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა არ დადასტურდა.[407] მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს სამსახურებრივი შემოწმება ფოკუსირებული იყო კონკრეტულ დაკავებულთა უფლებების დარღვევის დადგენაზე და არა ზოგადად პოლიციელების ქმედებებზე აქციის სხვა მონაწილეთა მიმართ. შესაბამისად, ვიდეო ჩანაწერში დაფიქსირებული, პოლიციის თანამშრომლის მხრიდან, სავარაუდო არაეთიკური მიმართვა დარჩა შინაგან საქმეთა სამინიტროს გენერალური ინსპექციის მხრიდან შეფასების გარეშე.

6. 2024 წლის არჩევნები

სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობისთვის 2024 წელი ასევე გამორჩეული იყო 26 ოქტომბერს, ელექტრონული წესით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებით და არჩევნებთან დაკავშირებით გამოვლენილ არაერთ დანაშაულებრივ ფაქტზე რეაგირებით.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი, ფაქტობრივად, საარჩევნო სუბიექტთა მიერ წინასაარჩევნო კამპანიების დაწყებიდანვე, ახორციელებდა მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგს, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით. ხსენებული ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებაში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტს არსებითი და მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია აპარატის რეგიონული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.

შედეგად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტს, არჩევნებთან დაკავშირებით, იდენტიფიცირებული აქვს, ჯამში, **139 სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტი/საქმე[408],** რომელთაგან, **76 შემთხვევას ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო პერიოდში, 37 - არჩევნების დღეს, 17 ფაქტს - არჩევნების შემდგომ პერიოდში, 9 კი იყო ის განცხადებები, რომელიც სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა და მიემართებოდა არჩევნებთან დაკავშირებულ შესაძლო დანაშაულებს.** დეტალური ინფორმაცია განხილული იქნება ქვემოთ.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციით, აპარატის მიერ იდენტიფიცირებული 139 სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტიდან/საქმიდან:[409]

---

[407] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2024 წლის 13 ივნისის NMIA 8 24 01756251 წერილი.

[408] ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა ერთ საჯარო განცხადებასა თუ სიუჟეტში, საუბარი იყოს რამდენიმე შესაძლო დანაშაულის ფაქტზე, ამიტომაც სახალხო დამცველის აპარატი იყენებს აღნიშვნას - „ფაქტი/საქმე".

[409] ანგარიშის წინამდებარე თავში საუბარი იქნება იმ ინფორმაციაზე, რაც აპარატს ამ ეტაპისთვის საგამოძიებო უწყებებიდან უკვე მიღებული აქვს. დანარჩენ ფაქტებზე, კომუნიკაცია ჯერ ისევ გრძელდება და აპარატი ელოდება საპასუხო პოზიციებს.

- გამოძიება დაიწყო - 75 ფაქტზე;
- გამოძიება არ დაიწყო - 28 ფაქტზე;
- გამოძიება შეწყდა - 1 საქმეზე;
- ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო - 20 ფაქტზე;
- ბრალდებულად ცნობილია - 5 პირი;
- დაზარალებულად ცნობილია - 11 პირი, მათ შორის, 1 ჟურნალისტი;
- სასამართლოში არსებითად განსახილველად გადაგზავნილი - 2 საქმე.

აქვე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე თავში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი დეტალურად არ განიხილავს ყველა იმ ფაქტს, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან განხორციელდა რეაგირება. ანგარიშში წარმოდგენილი იქნება ის ძირითად საკითხები, პრობლემები და ტენდენციები, რაც გამოვლინდა მედია მონიტორინგისა და საგამოძიებო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ასევე, საილუსტრაციოდ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ რამდენიმე სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტი.

6.1. წინასაარჩევნო პერიოდი

წინასაარჩევნო პერიოდში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ იდენტიფიცირებული 76 სავარაუდო დანაშაულებრივი შემთხვევა მოიცავდა:

- ძალადობრივი დანაშაულების 12 ფაქტს;
- პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო ძალადობის 2 ფაქტს;
- ამომრჩევლებსა და პოლიტიკური პარტიის წევრებზე სავარაუდოდ განხორციელებული მუქარისა და ზეწოლის 20 ფაქტს;
- ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველთათვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევის 19 ფაქტს;
- ამომრჩეველთა მოსყიდვის 9 ფაქტს;
- ინვენტარის დაზიანების 14 ფაქტს.

სახალხო დამცველის აპარატმა, წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ, 76 დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით, შემდგომი რეაგირების განხორციელებისა და მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, ქვემდებარეობის მიხედვით, მიმართა გენერალურ პროკურატურას, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს.

აპარატის მიერ მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ 76 სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტიდან:

- გამოძიება დაიწყო ჯამში 52 ფაქტზე;
- არ დაიწყო გამოძიება 16 შემთხვევაზე:

- 2 შემთხვევაში გამოძიების დაწყებაზე უარი განაცხადა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2 შემთხვევაში - გენერალურმა პროკურატურამ, ხოლო 4 შემთხვევაში - შინაგან საქმეთა სამინისტრომ;
- 6 შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატს არ აქვს განსხვავებული პოზიცია იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რაც აპარატმა მოიპოვა;
- 7 შემთხვევაში, აპარატი ელოდება გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დასრულებას, ხოლო ერთ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების დასრულებას;
- 3 შემთხვევაში, სახალხო დამცველის აპარატის პოზიციით, იყო დანაშაულის დაწყების საფუძველი, თუმცა, სამწუხაროდ, საგამოძიებო უწყებებმა, 1 შემთხვევაში - სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა,[410] ხოლო ორ შემთხვევაში - შინაგან საქმეთა სამინისტრომ,[411] უარი განაცხადეს გამოძიების დაწყებაზე.

- გამოძიება შეწყდა - 1 საქმეზე;
- დაზარალებულად ცნობილია - 4 პირი;
- ბრალდებულად ცნობილია 1 პირი;
- სასამართლოში არსებითად განსახილველად გადაგზავნილი - 1 საქმე;
- 8 შემთხვევაში შესაძლოა იყოს პრობლემური კვალიფიკაცია:
  - 4 შემთხვევაში, გამოძიება მიმდინარეობს უფრო მსუბუქი - ძალადობის კვალიფიკაციით (126 მუხლი);
  - 1 შემთხვევაში - მხოლოდ 144^3-ე მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), დამატებით, 164^4-ე მუხლის (ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა) გარეშე;
  - 3 შემთხვევაში - მხოლოდ 164^3-ე მუხლით (არჩევნების გაყალბება), მაშინ, როცა იკვეთება 164^1-ე მუხლით (ამომრჩევლის მოსყიდვის) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებიც.

იდენტიფიცირებული დანაშაულებრივი ფაქტების მოკლე მიმოხილვა

მოცემულ ქვეთავში მოკლედ იქნება განხილული ის ძირითადი დარღვევები, რაც გამოვლინდა მედია მონიტორინგისა და საგამოძიებო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ქვეთავი შეეხება წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ იმ დარღვევებს, რასაც ჰქონდა სისტემური ხასიათი და გამოიყოფა ცალკეული პრობლემური შემთხვევები, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატს აქვს კრიტიკული პოზიცია.

---

[410] პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ზურაბ აბაევის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული ძალადობის ფაქტი.

[411] სტუდენტური მოძრაობის მანქანის დაზიანების ფაქტი. „ნაციონალური მოძრაობის“ ვარკეთილის ოფისის დარბევა.

6.1.1. ძალადობრივი დანაშაულები

დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია თითოეულ საარჩევნო სუბიექტს მიეცეს შესაძლებლობა სხვა საარჩევნო სუბიექტებთან თანაბარ პირობებში, მშვიდ გარემოში აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია, შეხვდეს თავის ამომრჩევლებს, ეწეოდეს აგიტაციას და ახორციელებდეს სხვა მოქმედებებს, რაც არ იკრძალება კანონით და კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიაჩნია არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტებთან კონკურირებისთვის.

მიუხედავად ამისა, წინასაარჩევნო პერიოდში, სამწუხაროდ, არაერთი ინფორმაცია გავრცელდა, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ძალადობისა და წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეშლის შესახებ.[412] სავარაუდო ძალადობას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის მიმდინარეობისას, არამედ, კონკრეტული პირის მიმართ საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ ქუჩაში გადაადგილების დროს.[413]

ყურადსაღებია, 2024 წლის 11 აგვისტოს, ნიკანორ მელიას მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევა, რისი ამსახველი ვიდეო ჩანაწერიც გავრცელდა მედია საშუალებებით.[414] ვიდეო ჩანაწერში ნათლად ჩანს თავდამსხმელი პირის სახე და შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება, მიუხედავად ამისა, დღემდე კონკრეტული პირის მიმართ არ არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. ნიკანორ მელია კი არ არის ცნობილი დაზარალებულად.[415]

ნიკანორ მელიას მიმართ თავდასხმის ფაქტზე, თავდაპირველად, გამოძიება დაიწყო უფრო მსუბუქი - ძალადობის - მუხლით,[416] სახალხო დამცველის აპარატის მიერ დამატებით მიღებული ინფორმაციით, ხსენებულ საქმეს კვალიფიკაცია შეეცვალა და მისასალმებელია, რომ დღეის მდგომარეობით, გამოძიება მიმდინარეობს სპეციალური მუხლით - სისხლის სამართლის კოდექსის 162[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობას.[417]

გარდა ამისა, 2024 წლის 6 ოქტომბერს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კარდენახში, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს დაესხნენ თავს, რა დროსაც ფიზიკური დაზიანება მიაყენეს პარტიის წევრს, ლევან მეტრეველს.[418]

---

[412] იხ. < https://www.youtube.com/watch?v=CllxHb2HXgY >; < https://www.facebook.com/share/v/pCZ2X8a6SKn5Hqpo > ; < https://www.facebook.com/tvpirveli.ge/videos/1697156967523138/?rdid=ShXg90pBvcooFnyz >

[413] იხ. < https://www.facebook.com/watch/?v=831639135616961; https://shorturl.at/9sz1k >

[414] იხ. < https://www.facebook.com/imedinewsge/videos/7904774546242879/ >

[415] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 23 იანვრის NMIA 2 25 00188616 წერილი.

[416] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 126, ნაწ. 1.

[417] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 30 იანვრის N13/4660 წერილი.

[418] იხ. < https://formulanews.ge/News/118055 > ; < https://fb.watch/v3mObikONd/ >; < https://www.facebook.com/share/v/19vQpi1i2x/ >

აღსანიშნავია, რომ მითითებულ ფაქტს, სხვა მსგავსი შემთხვევებისგან განსხვავებით,[419] საგამოძიებო უწყების მიერ მინიჭებული აქვს სწორი კვალიფიკაცია. წარმოდგენილი ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით,[420] რაც გულისხმობს, არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე, წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას. ხსენებულ საქმეზე ერთი პირი ცნობილია დაზარალებულად.[421] თუმცა, დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის დაწყებული.[422]

მნიშვნელოვანი ინფორმაცია გავრცელდა ასევე „გახარია საქართველოსთვის" პარტიის წევრის, ლია ყოჩიშვილის მკვლელობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით.[423] გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ხსენებულ ფაქტზე რეაგირებას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.[424] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,[425] გამოძიება მიმდინარეობს ორი ან მეტი პირის მიმართ ძალადობის მუხლით.[426]

წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური ნიშნით, სავარაუდო დევნის მსხვერპლი გახდა „გახარია საქართველოსთვის" წევრი, ლევან გოგიჩაიშვილი.[427] მიუხედავად იმისა, რომ ლევან გოგიჩაიშვილის განცხადებიდან იკვეთებოდა პოლიტიკური მოღვაწეობის გამო დევნის[428] ნიშნები, გამოძიება დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჯგუფური ძალადობის და არა დევნის მუხლით. წარმოდგენილი ინფორმაციით, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.[429]

---

[419] მაგალითად, 2024 წლის 8 სექტემბერს, ქარელში, „ძლიერი საქართველოს" წევრების მიერ გამართული წინასაარჩევნო კამპანიის დროს, აქტივისტ გ. დ.-ს მიმართ ფიზიკური ძალადობა.

[420] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 19 ნოემბრის NMIA 1 24 03520082 წერილი.

[421] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის NMIA 7 25 00233179 წერილი.

[422] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 12 თებერვლის N13/7996 წერილი.

[423]იხ. < https://www.interpressnews.ge/ka/article/816091-natia-mezvrishvili-ksanshi-umzimesi-danashauli-moxda-romelic-dimitri-xundazis-korumpirebulma-da-kriminalurma-dajgupebam-chaidina-chveni-partiis-carmomadgenlis-mimart/ >

[424] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 5 ნოემბრის N13/71666 და 6 ნოემბრის N13/72023 წერილები.

[425] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 1 ნოემბრის NMIA 7 24 03338720 და 2025 წლის 14 თებერვლის NMIA 5 25 00429945 წერილები.

[426] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 126, ნაწ. 1[1]-, ქვეპ. „ბ".

[427] იხ. < https://formulanews.ge/News/118880 >; < https://formulanews.ge/News/118875 >; < https://www.facebook.com/GakhariaGiorgi/posts/pfbid02P1TWmhEtKZon5tEEJvJwkVijJyKTdPAqoxeUiM45mQsED71Q15WNLRR24Rrik6cLl >; < https://formulalight.com/post/ivanishvilis-shp-ana-iq-o-otsnebis-droshebi-ech-irat-gogichaishvili-tavdaskhmis-det-alebs-ikhsenebs-4zd4cv >

[428] ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით.

[429] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის NMIA 7 25 00234484 წერილი.

ამავე მიზეზით, ძალადობის მსხვერპლი გახდა ასევე საბჭოთა კავშირის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი, ბადრი ოყუჯავა.[430] მოცემულ შემთხვევაშიც, გამოძიება მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჯგუფური ძალადობის მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ ბადრი ოყუჯავა მიუთითებდა, მასზე მოძალადე პირებისთვის მისი, როგორც ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქის, მიუღებლობის ფაქტზე. წარმოდგენილი ინფორმაციით, საქმეზე ერთი პირი ცნობილია დაზარალებულად,[431] თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ არ არის დაწყებული.[432]

6.1.2. პოლიციის მხრიდან სავარაუდო ძალადობა

სახალხო დამცველის აპარატისთვის მედიის საშუალებით გახდა ცნობილი, რომ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, ზურაბ აბაევს ფიზიკურად გაუსწორდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციის თანამშრომლები.[433] სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ,[434] თუმცა, მიღებული პასუხით ირკვევა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გამოძიება არ დაუწყია, რადგან არ მიუღია შეტყობინება ზურაბ აბაევის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ.[435] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან გაგრძელდა კომუნიკაცია ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით,[436] რადგან მედიით გავრცელებული ინფორმაცია შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს და საკმარისი იყო გამოძიების დასაწყებად, თუმცა აპარატმა იგივე პასუხი მიიღო საგამოძიებო უწყებისგან.[437]

სახალხო დამცველის აპარატი არ იზიარებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გადაწყვეტილებას გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ და მიაჩნია, რომ სამსახურს ჰქონდა საკმარისი საფუძველი, სულ მცირე, დანაშაულის ფაქტის არსებობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო მოქმედებების განხორციელებისთვის.

6.1.3. ამომრჩეველთა მიმართ სავარაუდო მუქარა და ზეწოლა

მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მმართველი პარტია არამართლზომიერი მეთოდებით ცდილობდა ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვებას, რა დროსაც იყენებდა ადმინისტრაციულ რესურსს.[438]

---

[430] იხ. < https://www.facebook.com/share/v/15w1sRzhwB/ >
[431] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის NMIA 7 25 00234484 წერილი.
[432] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 12 თებერვლის N13/7996 წერილი.
[433] იხ. < https://www.youtube.com/watch?v=1dIFho0eOW8 >
[434] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 24 სექტემბრის N2024/4823 წერილი.
[435] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 2 ოქტომბრის NSIS 3 24 00018423 წერილი.
[436] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 16 ოქტომბრის N2024/5481 წერილი.
[437] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის NSIS 1 24 00019312 წერილი.
[438] იხ. < https://www.facebook.com/watch/?v=416540608156446 > < https://qvemoqartli.ge/ადამიანებს-ურეკავენ-და-ს/ >; <https://aktual.ge/Read/42305?fbclid=IwY2xjawGG2aNleHRuA2FlbQIxMQABHTZnYkQfdUzhiIohMComXlMOcRi3yTClLXci3lJ6PPZr_tOef6wIeeufKg_aem_vePEPPvaXqigbL43v_2FBg>

ხსენებულ ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში. გენერალური პროკურატურის განმარტებით, საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ჩატარებულია 800-ზე მეტი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. ამ ეტაპზე, დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის. საქმეზე გამოძიება გრძელდება.[439]

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მედია საშუალებებით გავრცელებული არაერთი ინფორმაცია ეხებოდა, წინასაარჩევნო პერიოდში, მმართველი პარტიის მიერ ე. წ. კრიმინალური ავტორიტეტების და ე. წ. ქურდული სამყაროს წევრების გამოყენებას, ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.[440]

მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში, დაშინება და ზეწოლა მიემართებოდა არა მხოლოდ ამომრჩევლებს, არამედ ცალკეული ოპოზიციური პარტიების წევრებსაც.[441]

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციით, ზემოხსენებულ ფაქტებზე რეაგირებას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტრო,[442] თუმცა მიუხედავად მიმართვისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია ინფორმაცია კონკრეტულად ამ ფაქტებთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

გარდა ამისა, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, 2024 წლის 23 ოქტომბერს, „ქართულმა ოცნებამ“ ჩაატარა მხარდამჭერთა აქცია, რომელიც გაიმართა ქალაქ თბილისში. გავრცელებული ინფორმაციით, აქციაზე წასვლის სანაცვლოდ გამოყენებული იქნა ისეთი მეთოდები, როგორიცაა ამომრჩევლის მოსყიდვა და იძულება.[443]

სოციალურ ქსელ „facebook“-ში, გავრცელდა ვიდეო, რომლის თანახმადაც, ერთ-ერთი პირი, სავარაუდოდ, ხელმძღვანელი, ბაღის მასწავლებლებს, მათი ნების საწინააღმდეგოდ, აიძულებდა მმართველი პარტიის მიერ გამართულ აქციაზე წასვლას.[444] მითითებულ ფაქტზე, გამოძიება მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სისხლის სამართლის კოდექსის

<https://www.facebook.com/TVGeorgiantimes1/posts/pfbid0fm6kkM6bwH6Z5Tc8JAJURM92BTPQ7ztN1kAcSmHXECWCWzU8i1BTnxi9SeyL3NfVl?rdid=XScXrz43DiDFdPAS>

[439] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 30 იანვრის N13/4664 წერილი.

[440] იხ. < https://aktual.ge/Read/42305?fbclid=IwY2xjawGG2aNleHRuA2FlbQIxMQABHTZnYkQfdUzhiIohMComXlMOcRi3yTClLXci3lJ6PPZr_tOef6wIeeufKg_aem_vePEPPvaXqigbL43v_2FBg > < https://www.facebook.com/watch/?v=1906112263191492 > < https://www.facebook.com/watch/?v=878795911009437 > < https://www.facebook.com/watch/?v=744790924482448&rdid=4kngiSlmvRypneVG >; < https://www.facebook.com/watch/?v=855419293455180&rdid=u9l893Lk8t2oFldx >

[441] იხ. < https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/548905/?fbclid=IwY2xjawGCzihleHRuA2FlbQIxMAABHfQ2-kXxM1a9Dw2WMI0pO5SoNjAHO849KAdDBHdzVJuE5Nth6b7XtMnqmA_aem_h2frVU6fiESxPgYZ5fdx_w >

[442] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 7 ნოემბრის N13/72272 წერილი.

[443] იხ. < https://ajaratimes.ge/ლექტორები-და-სტუდენტები/ >; < https://mozaikanews.ge/2024/10/24/ოცნების-აქციაზე-წასვლა/?fbclid=IwY2xjawGHEDJleHRuA2FlbQIxMQABHc-6hbhVe8KY8_KvmlQwY60DWDiQI9zQKiBXQO3JZh__so-cOPtevLNn6Q_aem_hyz236B8glVIEKc8JR2ztQ >; < https://www.facebook.com/share/v/yAhkGfzaigxdvXZL/ >

[444] იხ. < https://www.facebook.com/aleksi.tolordava.79/videos/1761641641304909/?rdid=jeDKkWNa8Lj78Xbz#>

150-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს იძულებას.[445] საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.[446]

ტელევიზიით გავრცელებულ სიუჟეტში,[447] განსაკუთრებით მნიშვნელოვან გარემოებებზე მიუთითებდა ყოფილი პატიმარი, ზურაბ მელიქიშვილი, რომელიც საუბრობდა წინასაარჩევნო პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებებში, პატიმართა მიმართ განხორციელებულ ზეწოლასა და არასათანადო მოპყრობაზე, რომლის მიზანი იყო მმართველი პარტიისთვის პატიმართა მიერ ხმების შეგროვება.

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია ზურაბ მელიქიშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, საგამოძიებო უწყების მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ.[448] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,[449] ამავე უწყებაში დაიწყო გამოძიება დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის მუხლით,[450] რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულს, არ მოიცავს ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის ნაწილს.

მართალია, ყოფილი პატიმარი საუბრობდა წარსულ გამოცდილებაზე და მიუთითებდა, რომ ყოველი არჩევნების წინა პერიოდში ჰქონდა მსგავს ზეწოლას ადგილი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ყურადღების მიღმა და სამართლებრივი შეფასების გარეშე არ დარჩეს აღნიშნული ფაქტი, რადგან ეს ხელყოფს არა მხოლოდ პატიმართა ფიზიკურ თუ მორალურ უსაფრთხოებას, არამედ მათი და მათი ოჯახის წევრების მიერ არჩევნებში ნების თავისუფალი გამოვლენის უფლებასაც.

6.1.4. პირადობის მოწმობების ჩამორთმევა

არაერთი მედია საშუალების მიერ გავრცელდა ინფორმაცია ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლებისთვის, სოციალურად დაუცველებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. ცალკეულ შემთხვევებში, ამომრჩევლებს ფულადი თანხის სანაცვლოდ სთხოვდნენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს.[451]

---

[445] ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ან რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

[446] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის NMIA 7 25 00234484 წერილი.

[447] იხ. < https://www.youtube.com/watch?v=AQoHjGhgBtc >

[448] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 1 ოქტომბრის N2024/5014 წერილი.

[449] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის NNSIS 8 24 00020542 წერილი.

[450] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 144[3], ნაწ. 2, ქვეპ. „ა“, „ბ“, „ე“, „ზ“.

[451] იხ. < https://www.facebook.com/watch/?v=1297221405060308 >; < https://shorturl.at/MRlLj> <https://www.wevote.ge/post/ხელისუფლება-ამომრჩეველთა-თავისუფალ-ნებაზე-ზეგავლენას-უკანონო-მეთოდებით-ცდილობს?fbclid=IwY2xjawIFuXxleHRuA2FlbQIxMAABHYIsYmGF0V0QD5U9E5WtXVb9ltT25FNKO-cmKm-LNW1RVmM3XCER4-rk7Q_aem_yDJrSkc1nV_K8cmomsev1w> ; < https://www.facebook.com/watch/?v=1366465077661964&rdid=83ESrtht4q62MATe >;

დასახელებულ ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლის სამართლის კოდექსის 164[3]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც გულისხმობს არჩევნების გაყალბებას. საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.[452]

6.1.5. ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვა

მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში, ადგილი ჰქონდა მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომორჩეველთა მოსყიდვის ფაქტებს.[453]

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეები და პოლიტიკური პარტიის წევრები მიუთითებდნენ ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, ცალკეულ შემთხვევებში,[454] გამოძიება მიმდინარეობს მხოლოდ არჩევნების გაყალბების მუხლით, დამატებით, ამომრჩეველთა მოსყიდვის მუხლის მითითების გარეშე.[455] მართალია, ამომრჩევლის მოსყიდვა ემსახურება არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის მიზანს, თუმცა წარმოადგენს დამოუკიდებელ დანაშაულს. ამიტომ, საჭიროა გამოძიება წარიმართოს ზუსტი და სწორი კვალიფიკაციით, რათა დანაშაულის ნიშნების შემცველი არც ერთი ფაქტობრივი გარემოება არ დარჩეს გამოკვლევისა და სამართლებრივი შეფასების გარეშე.

6.1.6. ინვენტარის დაზიანება

გარდა ზემოაღნიშნულისა, წინასაარჩევნო პერიოდში, სისტემატური ხასიათი ჰქონდა პოლიტიკური პარტიების კუთვნილი ინვენტარის დაზიანების ფაქტებს. მედიით გავრცელდა არაერთი ინფორმაცია, ცალკეული პოლიტიკური პარტიების ინვენტარის (ბანერები, მანქანები, ვიდეო კამერები და სხვა) დაზიანების შესახებ. ადგილი ჰქონდა ასევე ოპოზიციური პარტიების ოფისების დარბევის ორ შემთხვევას. ესენია, თბილისში, ვარკეთილში მდებარე, „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ოფისი და ქარელში, დაბა აგარაში მდებარე, „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ოფისი.[456]

< https://www.interpressnews.ge/ka/article/816708-ana-citlize-ocnebis-aktivistebi-kerzo-sektorshi-momushave-pirebs-emukrebian-tu-archevnebze-kartuli-ocnebis-sasargeblod-xmas-ar-miscemen-samsaxurebis-datoveba-moucevt-vasaxeleb-am-adamianebs >; < https://www.facebook.com/story.php?story_fbid=944059357753332&id=100064478298510&mibextid=WC7FNe&rdid=LDfMecyj08jTymoj> ; <https://www.youtube.com/watch?v=WV1wLcMaZy8 >

[452] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 6 ნოემბრის NN13/71913, N13/72023, N13/71990, N13/72025, 7 ნოემბრის NN13/72272 და 6 დეკემბრის N13/79247 წერილები.

[453] იხ. <https://t.ly/5my4x >; <https://www.facebook.com/watch/?v=1297221405060308 >; <https://www.facebook.com/100079152755185/videos/840800658269298/ >; <https://www.facebook.com/share/v/1EkVBYUdZg/ >; <https://www.youtube.com/watch?v=OMIQyUTEWmU>; <https://www.facebook.com/share/v/19fzCNWGEc/?mibextid=WC7FNe >; < https://www.youtube.com/watch?v=WV1wLcMaZy8>

[454] იხ. <https://t.ly/5my4x >; < https://www.facebook.com/100079152755185/videos/840800658269298/ >; < https://www.facebook.com/watch/?v=1297221405060308 >

[455] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 6 ნოემბრის N13/71990 წერილი.

[456] იხ. <https://shorturl.at/1yFd5 >; < https://formulanews.ge/News/118364 >

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დაბა აგარაში მდებარე, „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ოფისის ინვენტარის დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება და ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.[457] თუმცა, სამინისტროს განმარტებით, პოლიტიკური პარტია „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ვარკეთილის ოფისის სავარაუდო დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში რაიმე სახის შეტყობინება/განცხადება არ ფიქსირდება.[458]

აქვე აღსანიშნავია, რომ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ვარკეთილის ოფისის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, მედიით გავრცელებული ინფორმაცია შეიცავდა დანაშაული ნიშნებს და საკმარისი იყო გამოძიების დასაწყებად. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოძიება არ დაწყებულა, შესაბამისი განცხადების/შეტყობინების არარსებობის გამო, მაშინ, როცა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გამოძიების დაწყების საფუძველია არა მხოლოდ შეტყობინება და განცხადება, არამედ მასმედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციაც.[459]

წინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მანქანის დაზიანების შესახებ არაერთი ინფორმაცია გავრცელდა.[460]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების, მანქანების დაზიანების ფაქტზე, მიმდინარეობს გამოძიება ნივთის დაზიანების[461] მუხლით. ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილია დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ,[462] თუმცა სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული და გამოძიება გრძელდება. ხოლო მმართველი პარტიის წევრის მანქანის დაზიანების საქმეზე დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ნივთის დაზიანების ბრალდებით და საქმე არსებითი განხილვისთვის გადაგზავნილია სასამართლოში.[463]

ასევე, 2024 წლის 15 ოქტომბერს, სოციალურ ქსელ „facebook“-ში გაავრცელებულ ვიდეოში ასახულია მმართველი პარტიის ბანერის სავარაუდო დაზიანების ფაქტი.[464] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მითითებულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება სხვისი ნივთის განზრახ ჯგუფურად დაზიანების ფაქტზე.[465]

---

[457] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის NMIA 7 25 00233179 წერილი.
[458] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის NMIA 7 25 00234484 წერილი.
[459] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 101, ნაწ. 1.
[460] იხ. < https://www.interpressnews.ge/ka/article/817378-ertianoba-nacionaluri-mozraobis-inpormaciit-gamit-zugdidis-raionis-sopel-riqeshi-mati-shtabis-cevrs-tavs-daesxnen-da-koaliciis-logoti-gapormebul-mankanas-kvebi-daushines > < https://mtavari.tv/news/164478-rachashi-ertianoba-natsionaluri-modzraobis-cevrs > <https://shorturl.at/PkR1o >
[461] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 187.
[462] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 10 ნოემბრის N13/65553 წერილი.
[463] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის NMIA 7 25 00233179 და NMIA 7 25 00234484 წერილები.
[464] იხ. < https://www.facebook.com/reel/1067361321661975 >; < https://www.facebook.com/share/p/HcSV97tAjFVz2PLq/ >
[465] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 28 იანვრის NMIA 7 25 00234484 წერილი.

ნივთის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, აღსანიშნავია სოციალური ქსელით გავრცელებული კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ეხებოდა ანაკლიაში, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების მიერ სტუდენტური მოძრაობის წევრის მანქანის დაზიანებას.[466]

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს,[467] რომელმაც განმარტა, რომ ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინება არ დაფიქსირებულა.[468] აპარატმა გააგრძელა კომუნიკაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მითითებულ შემთხვევაზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესახებ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით,[469] თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიუთითა სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ პირველ წერილზე და განმარტა, რომ ხსენებული წერილით უკვე ეცნობა აპარატს მოთხოვნილი ინფორმაცია.[470] ამდენად, სტუდენტური მოძრაობის წევრის მანქანის დაზიანების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიმე სახის რეაგირება არ განუხორციელებია, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებული ინფორმაცია შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს.

6.1.7. პრობლემური კვალიფიკაციის საკითხი

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივს და მიზანს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ქმედების სწორი კვალიფიკაციისთვის. როდესაც ძალადობა ჩადენილია პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური კამპანიისა თუ სხვა აქტივობებისას, კონტექსტი ქმნის იმის ეჭვს, რომ ძალადობა მოტივირებულია მსხვერპლის პოლიტიკური შეხედულებებისა და მოღვაწეობის კონკრეტული პირებისთვის მიუღებლობისა თუ ზიზღის მოტივით, რაც სცდება მხოლოდ ძალადობის[471] დისპოზიციას და წარმოადგენს ძალადობით ჩადენილ დევნას, პირის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.[472] ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსგავს დანაშაულებრივ ქმედებას არ აქვს ე. წ. ზიზღის მოტივი და ძალადობა ან ძალადობის მუქარა ჩადენილია, მაგალითად, წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს, მაშინ იგი უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162^1-ე მუხლით.[473]

---

[466] იხ. < https://www.facebook.com/photo?fbid=1084785770313745&set=pcb.1084790600313262 >; < https://www.facebook.com/share/p/sWXpfQcPvWtUUt3K/ >

[467] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 1 ოქტომბრის N2024 /5015 წერილი.

[468] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 11 ოქტომბრის MIA 4 24 03123527 წერილი.

[469] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 24 ოქტომბრის N2024/5736 წერილი.

[470] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 8 ნოემბრის NMIA 3 24 03409259 წერილი.

[471] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 126.

[472] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 156, ნაწ. 2, ქვეპ. „ა“.

[473] კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა.

აქვე ნიშანდობლივია, რომ 126-ე და 162[1]-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემდებარეა, ხოლო 156-ე მუხლი - სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე.[474]

იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის ნიშნები ე. წ. ზიზღის მოტივთან ერთად მკაფიოა, აუცილებელია გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყოს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა და თუ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები გამოკვეთს, რომ არ იყო სახეზე დევნის ნიშნები, გადასცეს საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მაგალითისთვის შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე საქმე. კერძოდ, სოვლაბის მკვლევრის, ბადრი ოყუჯავას მიმართ თავდასხმა და „გახარია საქართველოსთვის“ წევრის, ლევან გოგიჩაიშვილის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფა ქართული ოცნების მხარდამჭერების მხრიდან, შესაძლოა იყოს სწორედ დევნა. ხოლო ანა წითლიძისა და მისი მხარდამჭერების მიმართ,[475] ასევე, ქარელში „ძლიერი საქართველოსთვის“ მხარდამჭერის მიმართ[476] განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები შესაძლოა იყოს 162[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. თუმცა, თუ, მაგალითად, ანა წითლიძეზე თავდასხმის ფაქტის გამოძიებისას გამოვლინდება პოლიტიკურ მოღვაწეობის გამო ძალადობა, მაშინ აქაც დევნის შემადგენლობა იქნება სახეზე.

გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ის, რომ სახელმწიფომ არ დატოვოს მოტივი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სამწუხაროა, რომ დასახელებულ ფაქტებს, სადაც დევნის ნიშნები იკვეთება, ამ დრომდე იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამ ჭრილში აუცილებელია პროკურატურამ განახორციელოს იმ გამოძიებების მჭიდრო ზედამხედველობა, რომელზეც ამჟამად გამოძიება დაწყებული აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალადობის კვალიფიკაციით, რათა დევნის მაკვალიფიცირებელი მოტივისა და მიზნის გამოკვეთისთანავე, საქმეს შეუცვალოს კვალიფიკაცია და დაუქვემდებაროს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

ამავდროულად ხაზგასასმელია, რომ არაერთი ფაქტის შესახებ სახალხო დამცველის აპარატი ჯერჯერობით ელოდება საგამოძიებო უწყებებიდან ინფორმაციას თუ რა კვალიფიკაციით არის დაწყებული გამოძიება. შესაბამისად, კვალიფიკაციასთან დაკავშირებული დამატებითი შეფასების გაკეთება ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამასთან, გარკვეულ ფაქტებთან დაკავშირებით, აპარატს, ამ ეტაპზე, მედიაში გავრცელებული მწირი ინფორმაციის გამო და იმის გამო, რომ აპარატში არ ფიქსირდება ამ ფაქტებთან დაკავშირებით დამატებითი განცხადება/მომართვა, არ შეუძლია გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ჩადენილი იყო დევნა,

---

[474] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 1 ნოემბრის N3 ბრძანება.

[475] იხ. < https://palitranews.ge/video/246465-ana-citlize-zugdidshi-50-mde-adamiani-dagvesxa-tavs-cemis-mcdeloba-hkondat/ >

[476] იხ. < https://www.facebook.com/watch/?v=831639135616961 >

თუმცა, ამ ქმედებების კვალიფიკაცია უნდა განისაზღვროს გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებებით, რომელიც გამოკვეთს დანაშაულებრივი ქმედების რეალურ მოტივს.

6.2. არჩევნების დღე

სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ, მედია მონიტორინგის შედეგად, 2024 წლის 26 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, დაიდენტიფიცირდა ჯამში 37 სავარაუდო დანაშაულებრივი შემთხვევა, რასთან დაკავშირებითაც, აპარატმა რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას მიმართა.

ხსენებული 37 შემთხვევიდან გამოვლინდა:

- ძალადობის/ფიზიკური დაპირისპირების - 16 ფაქტი, მათ შორის ჟურნალისტისა და ოპერატორის მიმართ - 3 ფაქტი;
- ნივთის დაზიანების - 4 ფაქტი, მათ შორის, ოპერატორის კამერის დაზიანების 2 ფაქტი;
- მუქარისა და ზეწოლის - 9 ფაქტი;
- ცივი იარაღის ტარების - 1 ფაქტი;
- პირადობის მოწმობების ჩამორთმევის - 2 ფაქტი;
- მოსყიდვის - 10 ფაქტი;
- სხვისი პასპორტით ხმის მიცემის - 4 ფაქტი;
- ორჯერ ხმის მიცემის - 3 ფაქტი;
- ყალბი დოკუმენტის (დამკვირვებლის მოწმობა) გამოყენების - 1 ფაქტი;
- ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის - 1 ფაქტი;
- არჩევნების გაყალბების - 2 ფაქტი;
- დოკუმენტის განადგურების - 2 ფაქტი;
- მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიის - 1 ფაქტი;
- ნების განხორციელებისთვის ხელშეშლის შესახებ, გავრცელებული ინფორმაცია, 102 დადასტურებული ფაქტის შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატში გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით:

- დაწყებულია გამოძიება - 23 ფაქტზე;[477]
- არ დაიწყო გამოძიება - 3 ფაქტზე;
- ბრალდებულად არის ცნობილი - 4 პირი[478]

[477] იხ. < https://pog.gov.ge/news/pog-gov-ge-blog-update?fbclid=IwY2xjawGQEj9leHRuA2FlbQIxMAABHeket61ZswxLs6-LmeIGgAeIeykkWhWu-VAAZ1pnXTUsnufQFW1FwUndyw_aem_NCPlsSOJpDlaXTYC15bwrA >

[478] იხ. < https://pog.gov.ge/news/prokuraturam-archevnebis-gayalbebis-faqtze-or-pirs-braldeba-warudgina >; < https://police.ge/ge/politsiam-sadakhlos-saarchevno-ubanze-momkhdar-faqttan-dakavshirebit-2-piri-daakava/16455 >

- დაზარალებულად არის ცნობილი - 2 პირი;
- სასამართლოში არსებითად განსახილველად გადაგზავნილი - 1 საქმე;
- კვალიფიკაცია პრობლემურია - 5 საქმეზე.

6.2.1. ცალკეული დარღვევების მოკლე მიმოხილვა

2024 წლის 26 ოქტომბერს, მედია საშუალებებით გავრცელდა არაერთი ინფორმაცია, საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე და მის გარეთ, მოქალაქეთა ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის შესახებ, როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში. გავრცელდა ასევე ვიდეო ჩანაწერები, რომლებზეც ასახულია უშუალოდ ძალადობის კადრები და იდენტიფიცირებადია დანაშაულის ჩამდენი პირები.

მაგალითად, მედიით გავრცელდა ვიდეო, თბილისში, გლდანის მე-60 საარჩევნო უბანზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.[479]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქმეზე საგამოძიებო უწყება სწორი კვალიფიკაციით აწარმოებს გამოძიებას, განსხვავებით ქვემოთ მითითებული, ყიზილაჯლოში მომხდარი ფაქტისგან. წარმოდგენილი ინფორმაციით, გლდანის N60 საარჩევნო უბნის ინციდენტთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობს კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობის მუხლით.[480] სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ვიდეო ჩანაწერში ნათლად ჩანს დანაშაულის ჩამდენ პირთა სახეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დღემდე საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ არ არის დაწყებული. არც სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილება არის მიღებული.[481]

აქვე განვიხილავთ მარნეულის N74 საარჩევნო უბანზე, ყიზილაჯლოში მომხდარ ფაქტს, სადაც ფიზიკურად გაუსწორდნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელს.[482] გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ხსენებულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს ძალადობის მუხლით,[483] მიუხედავად იმისა, რომ იკვეთება კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობის ან ძალადობის მუქარის ნიშნები, ისევე, როგორც გლდანის N60 საარჩევნო უბნის შემთხვევაში. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,

---

[479] იხ. < https://www.facebook.com/share/v/1DnsKJeYjB/ >; < https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/84072-otsnebis-e-ts-shpana-movida-da-pizikurad-gagvistsorda-natsemi-damkvirvebeli?fbclid=IwY2xjawGNuENleHRuA2FlbQIxMQABHd8L-q-X4YULiKS2yzbyC_UE09VUt3Z6ueZ49bCdoN0mnQFDps_zcrdi0w_aem_ioEeLeQUCKeJwDZ5jFcg-w >

[480] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 11 ნოემბრის N13/72948 წერილი.

[481] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 29 იანვრის NMIA 1 25 00249013 წერილი.

[482] იხ. < https://www.facebook.com/watch/?v=909021247332309 >;
< https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=887163826890194> (8:26 წუთიდან);
< https://publika.ge/marneulshi-saarchevno-enm-is-regionuli-organizaciis-tavmjdomares-scemes/ >; < https://www.facebook.com/watch/?v=1288265529193851&rdid=lYd0TEhPvMTHAFAY >

[483] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 11 ნოემბრის N13/72948 წერილი.

ხსენებულ საქმეზე დაზარალებულად არის ცნობილი ერთი პირი, თუმცა სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის დაწყებული.[484]

გავრცელებული ინფორმაციით, ქუთაისში, N2 დაარჩევნო უბანზე, ფიზიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა ჟურნალისტი მას შემდეგ, რაც მის მიერ ამომრჩეველთა სიები იქნა აღმოჩენილი.[485] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მიმდინარეობს გამოძიება ჟურნალისტებისთვის საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით. თუმცა აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი არ მოიცავს ძალადობას. შესაბამისად, ჟურნალისტის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების დადასტურების შემთხვევაში, საჭირო იქნება კვალიფიკაციის დაზუსტება.

ასევე, „TV პირველის“ მიერ გავრცელებული ვიდეოს თანახმად, ჟურნალისტი მიუთითებს, რომ თელავში, ქვემო ხოდაშენის N16 საარჩევნო უბანთან დაფიქსირდა მასსა და ოპერატორზე თავდასხმა. ცემეს ოპერატორი და დაუზიანეს კამერა.[486] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წერილის თანახმად, მიმდინარეობს გამოძიება სხვადასხვა მედია ორგანიზაციების ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით. მოცემულ შემთხვევაშიც, ძალადობის და ვიდეო კამერის დაზიანების ფაქტები, ამ დროისთვის, რჩება შესაბამისი სამართლებრივი შეფასების გარეშე.

მედიით გავრცელდა ასევე მარნეულში, სადახლოს N69 საარჩევნო უბანზე არჩევნების გაყალბების ამსახველი ვიდეო. კადრში ჩანს ორი პირის მიერ ყუთში ბიულეტენების ჩაყრის პროცესი. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული ფაქტი ვიდეოზე დააფიქსირა „ჩემი ხმას“ დამკვირვებელმა, რის შემდეგაც, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ და უბნიდან გააძევეს. წარმოდგენილი ინფორმაციით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ორი პირის მიმართ და ორივე დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1]-ე მუხლით, არჩევნების გაყალბების ფაქტზე.[487] ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით,[488] „ჩემი ხმას“ წარმომადგენლის, ი. ჭ.-ს მიმართ შესაძლო ძალადობის ფაქტზე, ქვემო ქართლის

---

[484] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 25 თებერვლის N13/11485 წერილი.

[485] იხ. < https://www.facebook.com/share/v/vxT5LmqRMoRi8VPL/ >;
< https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/84024-qutaisis-n-2-saarchevno-ubanze-jurnalisti-stsemes?fbclid=IwY2xjawGOyp1leHRuA2FlbQIxMQABHZa53a89qQu1Rf-xOsvtlRGWMc9syiu5Hk1vJ5vKhqEiyRXJ3xLI1AtS5w_aem_CAP9u_p9VoEMRYNnpCuajA >

[486] იხ. < https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/84054-qvemo-khodashenshi-tavs-tv-pirvelis-gadamgeb-jgups-daeskhnen >

[487] იხ. < https://www.facebook.com/Airutnach/videos/907534694648843 >;
< https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=8884734484899647&external_log_id=fef9df41-27ce-4422-8e46-3553e4fac254&q=radio%20marneuli%2096.9%20fm%2F%20რადიო%20მარნეული%2096.9%20fm >;
< https://www.facebook.com/story.php?story_fbid=1090351689761348&id=100063595808097&rdid=DNMGUZn3g4W2jGRO >; < https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=887163826890194 >;
< https://formulanews.ge/News/119414 >

[488] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 18 თებერვლის NMIA 7 25 00468926 წერილი.

პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით.[489]

სამწუხაროდ, არჩევნების დღესაც აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია საარჩევნო უბნებთან ე. წ. ძველი ბიჭების მობილიზების თაობაზე.[490] სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციით,[491] ხსენებულ ფაქტზე, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება ჟურნალისტებისთვის საქმიანობის განხორციელების ხელშეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით. მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებულ ინფორმაციაში, საუბარი იყო ასევე აპარატურის დაზიანებაზე, კვალიფიკაციაში ნივთის დაზიანების მუხლი არ არის მითითებული.

გავრცელდა ასევე ინფორმაცია ბაღდათში, სოფელ დიდველაში, საარჩევნო უბანზე არსებული ინვენტარის დაზიანების შესახებ.[492] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ბაღდათის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ბაღდათის რაიონის სოფელ დიდველაში, №23-ე საარჩევნო უბანზე, საარჩევნო აპარატურის სავარაუდო დაზიანების ფაქტზე. ხსენებულ საქმეზე, ერთი პირი ცნობილია ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. საქმე, არსებითი განხილვის მიზნით, გადაგზავნილია სასამართლოში.[493]

არჩევნების შემდგომ, მმართველი პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა, გაავრცელა ინფორმაცია, რომ ხელთ აქვს 102 დადასტურებული ფაქტი, რომ ოპოზიციური პარტიები ხელს უშლიდნენ ამომრჩევლებს ნების განხორციელებაში. ასევე, მიუთითა, რომ ხსენებული ინფორმაცია სრული მოცულობით მიაწოდეს საგამოძიებო უწყებას. გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს გამოძიება ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით.[494] სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და გამოითხოვა იმ 102 საქმის შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია,[495] კონკრეტული დანაშაულებრივი ფაქტების მითითებით, თუმცა სამინისტროს ხსენებული ინფორმაცია, ამ დრომდე, არ წარმოუდგენია.

---

[489] არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ან ძალადობის მუქარა,

[490] იხ. < https://www.facebook.com/watch/?v=545244671592784&rdid=LuPmXXmmg8ThrQje >

[491] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 11 ნოემბრის N13/72948 წერილი.

[492] იხ. < https://www.facebook.com/share/v/g1EL8gSGgyr89Zo7/ >

[493] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 29 იანვრის NMIA 1 25 00249013 წერილი.

[494] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 12 ნოემბრის N13/73363 წერილი.

[495] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 18 ნოემბრის N2024/6471 წერილი.

ასევე, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია,[496] რომელიც ეხებოდა მმართველი პარტიის მიერ არჩევნების გაყალბების, ორჯერ ხმის მიცემის, ფულადი თანხის სანაცვლოდ პასპორტის ჩამორთმევის ფაქტებს. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, არჩევნებში ნების განხორციელების ხელის შეშლის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით.[497] დეტალების დაზუსტების მიზნით, აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, თუმცა ინფორმაცია ჯერ არ არის წარმოდგენილი.[498]

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „ინფო იმერეთის“ მიერ გავრცელდა „კოალიცია ცვლილებებისთვის“ წარმომადგენლის, დავით ბახტაძის განცხადება, რომელიც საუბრობს ამომრჩეველთა ნების გამოხატვის კონტროლსა და მათ სავარაუდო მოსყიდვაზე.[499]

პროკურატურის პასუხის თანახმად, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში შესწავლილია „კოალიცია ცვლილებებისთვის“ წარმომადგენლის, დავით ბახტაძის განცხადებაში დაფიქსირებული გარემოებები ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის შესახებ. შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად გამოძიება არ დაწყებულა.

სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მიერ ჩატარებული წარმოების მასალები. გენერალურმა პროკურატურამ წარმოადგინა მედიით გავრცელებული ინფორმაციის შესწავლის ორი ოქმი. ხსენებულ ოქმებში მითითებულია, რომ მედიით გავრცელებული ინფორმაცია არ შეიცავს დანაშაულის (ამომრჩეველთა მოსყიდვის) ნიშნებს, ამიტომ გამოძიების დაწყება არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად. ხსენებული ორი ოქმის გარდა, სხვა მოქმედება არ არის განხორციელებული. არც დავით ბახტაძესთან გასაუბრების მცდელობა იკვეთება, დამატებითი გარემოებების დაზუსტების მიზნით. ამდენად, სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, ხსენებული საკითხი გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს მიერ სრულყოფილად და ობიექტურად არ არის მოკვლეული.

6.3. არჩევნების შემდგომი პერიოდი

სახალხო დამცველის აპარატი არჩევნების შემდგომ პერიოდში ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებებში მოიაზრებს:

---

[496] იხ. < https://www.youtube.com/watch?v=QaddSzFqTm8 >

[497] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 12 ნოემბრის N13/73363 წერილი.

[498] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 18 ნოემბრის N2024/6471 და 2025 წლის 24 იანვრის N25/683 წერილები.

[499] იხ. < https://infoimereti.ge/ქუთაისში-მე-7-საარჩევნო-უბ/?fbclid=IwY2xjawGJyBdleHRuA2FlbQIxMQABHYwIaMrVETkpkmlv6Q43iXxGhuqOXfWiO2yBIltLiaiaxRd2yFLyPV5JuQ_aem_GMJ4xKhmpYU2Qe4VwTj7nA >

- 2024 წლის 26 ოქტომბრის შემდეგ, პოლიტიკური ოპონენტის მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით, მედიით გავრცელებულ ინფორმაციას;
- არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისში, სხვადასხვა დროს ჩატარებულ საპროტესტო აქციებზე, აქციის მონაწილეების უფლებების დარღვევისა და პოლიციის მხრიდან მათ მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.

პოსტარჩევნების პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირება განახორციელა დანაშაულის შესახებ მედიით გავრცელებულ 1 ინფორმაციასა და არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით გამართულ 3 საპროტესტო აქციაზე გამოვლენილ სავარაუდო უფლებადარღვევებზე.

მედიით გავრცელებული და სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა:

- ძალადობრივი დანაშაულის - 1 ფაქტი;
- ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის - 1 ფაქტი;

აქედან:

- გამოძიება დაწყებულია - 1 საქმეზე;
- დაზარალებულად ცნობილია 2 პირი;
- ბრალდებულად ცნობილია - 1 პირი.

2025 წლის 26 ოქტომბრის შემდეგ, სახალხო დამცველის აპარატმა, მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე,[500] ჯამში, 1 სავარაუდო დანაშაულებრივ შემთხვევაზე განახორციელა რეაგირება და მიმართა გენერალურ პროკურატურასა და საგამოძიებო უწყებას.[501]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ორი ან მეტი პირის მიმართ ძალადობის[502] და ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის[503] მუხლებით.[504] საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 2 პირი, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 1 პირის მიმართ.

---

[500] იხ. < https://tabula.ge/ge/news/725019-mezvrishvili-chveni-tanagundelis-mokhuts-mamas >

[501] კერძოდ, „გახარია საქართველოსთვის“ წევრის, ნათია მეზვრიშვილის განმარტებით, ლია ყოჩიშვილის მკვლელობის მცდელობიდან რამდენიმე დღეში, იგივე დაჯგუფება ლია ყოჩიშვილის მოხუც მამას შეუვარდა სახლში და საწოლში მყოფს სასტიკად გაუსწორდა.

[502] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 126, ნაწ. 1^1, ქვეპ. „გ“.

[503] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 160, ნაწ. 1.

[504] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 5 ნოემბრის N13/71666 წერილი.

როგორც აღინიშნა, სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირება განახორციელა, არჩევნებთან დაკავშირებულ, 3 საპროტესტო აქციაზე[505] დაფიქსირებულ უფლებადარღვევებზე. კერძოდ, ესენია:

- 2024 წლის 16 ნოემბერს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან მიმდინარე საპროტესტო აქცია;
- 2024 წლის 19 ნოემბერს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქცია;
- 2024 წლის 24 ნოემბერს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული მსვლელობა.

მითითებულ საპროტესტო აქციაზე დაფიქსირებულ სავარაუდო უფლებადარღვევებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია მიიღო:

- აქციებზე დაკავებულ ჯამში 20 პირთან (მათ შორის, 2 პირი მონახულებულ იქნა სამედიცინო კლინიკაში[506]) შეხვედრის საფუძველზე;
- აპარატში წარმოდგენილი 1 განცხადების საფუძველზე;
- სავარაუდო დანაშაულის შესახებ, მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.[507]

ხსენებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა:

- სავარაუდო არასათანადო მოპყრობის - 12 ფაქტი;
- ჟურნალისტის საქმიანობაში ხელშეშლის - 2 ფაქტი;
- ჟურნალისტის მიმართ ძალადობის - 2 ფაქტი;
- სავარაუდო სექსუალური შევიწროვების და დამამცირებელი მოპყრობის - 1 ფაქტი.

სახალხო დამცველის აპარატმა, თითოეულ სავარაუდო დანაშაულებრივ შემთხვევაზე სამართლებრივი რეაგირების განხორციელების მიზნით, მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[508] წარმოდგენილი ინფორმაციის[509] შესწავლის შედეგად დგინდება, რომ:

- გამოძიება დაწყებულია - 16 ფაქტზე;
- გამოძიება არ არის დაწყებული - 1 ფაქტზე;
- კვალიფიკაცია პრობლემურია - 1 შემთხვევაში;

---

[505] 2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებულ აქციებზე მოცემული ანგარიშის შესაბამის თავშია დეტალური მსჯელობა.

[506] მათგან ერთ პირთან, ლ. თ.-სთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, რადგან დაკავებული ძალიან სუსტად გრძნობდა თავს და ვერ პასუხობდა კითხვებს.

[507] იხ. < https://www.facebook.com/share/v/18ZsEfEvev/ >; < https://www.facebook.com/share/v/19gueM4AqU/ >; < https://www.facebook.com/share/p/1H3wR8QPdW/ >; < https://www.facebook.com/share/v/14FvM7VSWf/ >; < https://www.facebook.com/share/v/14GPGn7B8R/ >; < https://www.facebook.com/share/v/18ejJzFkaY/ >; < https://www.facebook.com/share/r/15G1Sj8dWh/ >

[508] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 19 ნოემბრის N2024/6495, N2024/6510, N2024/6516, N2024/6525 და 26 ნოემბრის N 2024/6679 წერილები.

[509] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 29 ნოემბრის NSIS 3 24 00021528, NSIS 6 24 00021521 და 6 დეკემბრის N SIS 7 24 00022431, ასევე, 2025 წლის 20 მარტის NSIS 4 25 00005175 წერილები.

- დაზარალებულად ცნობილია - 5 პირი, მათ შორის, 1 ჟურნალისტი;
- ბრალდებულად ცნობილი არავინაა.

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მოქალაქე ნ. ძ.-ს განცხადება ეხებოდა, 2024 წლის 19 ნოემბერს, დაკავების შემდეგ, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დამამცირებელ მოპყრობასა და სექსუალურ შევიწროვებას.

ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს,[510] რომლის პასუხის თანახმად, მოქალაქე ნ. ძ.-ს მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სავარაუდოდ განხორციელებული დანაშაულებრივი ფაქტის გამოძიება მიმდინარეობს, 2024 წლის 19 ნოემბერს, დაწყებული გამოძიების ფარგლებში. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან, საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 154-ე მუხლის პირველი ნაწილით.[511]

გამომდინარე იქიდან, რომ მოქალაქე ნ. ძ. მიუთითებდა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სექსუალურ შევიწროვებასა და დამამცირებელ მოპყრობაზე, ვფიქრობთ, რომ ხსენებულ საქმეზე კვალიფიკაცია არასრულყოფილია და უნდა მოიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტსაც, რომელიც გულისხმობს დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას, ჩადენილს დაკავებული პირის მიმართ.

სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური, გაჭიანურების გარეშე, ჩაატარებს ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას, სამართალდამცავი ორგანოს იმ წარმომადგენლების იდენტიფიცირების მიზნით, რომელთა მხრიდანაც, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა საპროტესტო აქციებზე დაკავებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობას. ამასთან, სახალხო დამცველი მოუწოდებს სამსახურს, საქმის ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გამოძიება წარმართოს სწორი კვალიფიკაციით.

სახალხო დამცველის აპარატი გააგრძელებს მიმდინარე გამოძიების მონიტორინგს და პერიოდულად გამოითხოვს ინფორმაციას საგამოძიებო უწყების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, გამოძიების მიმდინარეობის შეფასების მიზნით.

[510] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 5 დეკემბრის N2024/6940 წერილი.
[511] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის NSIS 1 24 00023191 წერილი.

6.4. არჩევნებთან დაკავშირებით წარმოდგენილი განცხადებები

2024 წლის 26 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო ჯამში 9 განცხადება არჩევნებთან დაკავშირებული უფლებადარღვევების/შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. მათ შორის, 3 მიმართვა დაფიქსირდა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის მხრიდან, 3 განცხადება წარმოადგინეს არასამათავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, 2 განცხადება - მოქალაქემ, ხოლო 1 განცხადების ავტორი - პოლიტიკური პარტია „ერთიანობა- ნაციონალური მოძრაობა“ იყო.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიღებული განცხადებებიდან იკვეთებოდა:

- სავარაუდო ძალადობის 2 ფაქტი;
- შესაძლო მუქარის 1 ფაქტი;
- ხმის ფარულობის დარღვევის სავარაუდო 1 ფაქტი;
- ნების განხორციელების ხელშეშლის შესაძლო 2 ფაქტი;
- არჩევნების სავარაუდო გაყალბებისა და ამომრჩეველთა სავარაუდო მოსყიდვის ფაქტებზე აპარატმა მიიღო 3 განცხადება, შესაბამისი დანართით.

აქედან:

- გამოძიება მიმდინარეობს ძალადობის 2 ფაქტზე;
- დაზარალებულად არის ცნობილი - 1 პირი;
- სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის დაწყებული;
- ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს - 2 საქმეზე.

კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებაში სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას, მსჯავრდებულმა რ. ს.-მა განმარტა, რომ სურდა არჩევნებში მონაწილეობა. 2024 წლის 18-20 ოქტომბერს დაწერა განცხადება, თუმცა, არ დაუმზადეს პირადობის მოწმობა და არც აცნობეს გონივრულ ვადაში, რომ ოჯახის წევრებს ჰქონოდათ პასპორტის მიტანის შესაძლებლობა.

პენიტენციური დაწესებულების განმარტებით, რ. ს.-ს არჩევნებში არ მიუღია მონაწილეობა, რადგან არ ჰქონდა პირადობა. ხოლო პირადობის მოწმობის დამზადების მოთხოვნით ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს.[512] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს განმარტებით, რ. ს.-ს ან დაწესებულების მიმართვა, რ. ს.-სთვის პირადობის მოწმობის დამზადებაზე, არ ფიქსირდება.[513] ხსენებულ საკითხზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, თუმცა დარღვევა არ დადგინდა.[514] აპარატმა გამოითხოვა და სწავლობს მონიტორინგის

[512] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულების 2024 წლის 15 ნოემბრის N344063/23 წერილი.
[513] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 8 ნოემბრის N01/304568 წერილი.
[514] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2025 წლის 23 იანვრის N19067/01 წერილი.

დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალებს, შემოწმების სრულყოფილად და ობიექტურად ჩატარების შეფასების მიზნით.

ასევე, მსჯავრდებულ გ. ვ.-ს განმარტებით, პენიტენციურ დაწესებულებაში დაირღვა მისი ხმის ფარულობა, რადგან თანამშრომელი ახლოს იდგა კაბინასთან და სავარაუდოდ, დაინახა თუ ვის მისცა ხმა. სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციით, პენიტენციური დაწესებულებიდან, სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოებიდან და უწყებებიდან მიღებული წერილების საფუძველზე დაარქივებული ვიდეო ჩანაწერები, რომლებიც ინახებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში, საამისოდ დაცულ ბაზაში, ინფორმაციის შემნახველი მასივის ტექნიკური დაზიანების შედეგად იქნა განადგურებული. უწყების განმარტებით, განადგურებული ვიდეო მასალა მოიცავს 2024 წლის 1 აგვისტოდან 11 ნოემბრის ჩათვლით პერიოდს.

სამწუხაროდ, ხსენებული მიზეზით, ვერ მოხერხდა მსჯავრდებულ გ. ვ.-ს მიერ დაფიქსირებული ფაქტის გადამოწმება და მისი ხმის ფარულობის დარღვევის დადგენა.

გარდა ამისა, მოქალაქე შ. თ.-მ სახალხო დამცველს აცნობა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბერს, სამტრედიაში, სოფელ გომის N28 საარჩევნო უბანთან, შვილიშვილის თანდასწრებით, მ. ნ.-მ და გ. ნ-მ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაემუქრნენ სიცოცხლის და ოჯახის განადგურებით. მისივე თქმით, გ. ნ.-მ ხელი დაარტყა სახეში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილობითი პასუხის თანახმად, სამტრედიის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება შ. თ-ს მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით, მისი ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის მუხლით.[515] მოქალაქე შ. თ. ცნობილია დაზარალებულად. თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის დაწყებული.[516]

სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო ასევე „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ განცხადება, 2024 წლის 26 ოქტომბერს, ყიზილაჯლოში, საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოქალაქე ა. კ.-ს მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე რეაგირების მიზნით. თუმცა ხსენებულ საკითხზე აპარატს, საკუთარი ინიციატივით, უკვე ჰქონდა დაწყებული საქმისწარმოება, მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე. ა. კ.-მ თავად გამოითხოვა აპარატისგან ხსენებულ ფაქტზე განხორციელებული რეაგირების შესახებ, რაც ეცნობა წერილობით.[517]

---

[515] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 126, ნაწ. 2, ქვეპ. „კ“.
[516] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 3 თებერვლის N13/5454 წერილი.
[517] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 2 დეკემბრის N2024/6832 წერილი.

სახალხო დამცველს მიმართეს ს. შ.-მ, GSRT წარმომადგენელმა და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელმა დირექტორმა.

ს. შ.-მ განცხადებასთან ერთად წარმოადგინა დოკუმენტაცია და მიუთითა, რომ ხსენებული დოკუმენტაცია წარმოადგენს 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების დამადასტურებელ მასალას. GSRT წარმომადგენელმა წარმოადგინა „წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრისა“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ დასკვნა, იმავე საკითხთან დაკავშირებით, თანდართულ მასალებთან ერთად. ხოლო „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელმა დირექტორმა წარმოადგინა მასალები 2024 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილი სავარაუდო დარღვევების შესახებ, რომელშიც მითითებულია სხვადასხვა, მათ შორის, ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის და სხვა ფაქტები. ხსენებული ინფორმაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.[518] გენერალური პროკურატურის განმარტებით, მიმდინარეობს სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა.[519]

7. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

სახალხო დამცველის აპარატი წლების განმავლობაში საუბრობს ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში არსებულ ხარვეზებზე. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებების სტანდარტს.

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა სამართალდამცავი ორგანოების უკანონო პრაქტიკა, როდესაც პირებს, რომელთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, გამომძიებლის სიტყვიერი მითითების საფუძველზე, უსაფუძვლოდ ეზღუდებათ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა.

აქვე, სახალხო დამცველი მიესალმება პარლამენტის მიერ მიღებულ ამნისტიის აქტს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულების მიმართ ჰუმანური მიდგომა და თავისუფლებააღკვეთილი პირების რაოდენობის შემცირება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს მართლმსაჯულების სფეროში, თუმცა, ასევე კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობას და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი სერვისებისა და სამართალდამცავი სისტემის ეფექტიანი მუშაობის აუცილებლობას.

[518] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 30 იანვრის N25/967 წერილი.
[519] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 6 თებერვლის N13/6532 წერილი.

7.1. ამნისტიის შედეგები

2024 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“.[520] ამნისტიის კანონპროექტის საკომიტეტო განხილვაში სახალხო დამცველის აპარატიც მონაწილეობდა.

სახალხო დამცველის აპარატი ყოველთვის მიესალმება პატიმრების მიმართ ადეკვატური და სამართლიანი საშეღავათო მექანიზმებისა და მიდგომების გატარებას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მექანიზმების გამოყენებისას სათანადოდ უნდა შეფასდეს და დაზღვეული უნდა იქნას საზოგადოებრივი უსაფრთხოების რისკებიც.

აღსანიშნავია, რომ ამნისტია არის ჰუმანური პოლიტიკური აქტი და სახალხო დამცველი, თავისი მანდატის გათვალისწინებით, ვერ მისცემს პარლამენტს კონკრეტულ რეკომენდაციებს თუ რა დანაშაულებისთვის ან რა ფარგლებში უნდა შეეხოს ამნისტია მსჯავრდებულ პირებს. თუმცა, პრინციპების დონეზე აპარატმა თავისი ხედვა საქართველოს პარლამენტს სამი კონკრეტული მიმართულებით შესთავაზა, კერძოდ:

- ✓ ამნისტიის აქტის განხილვის პროცესში მსჯელობა გაიმართოს ამნისტიის გავრცელების შესაძლებლობაზე უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც მოხდილი აქვთ სასჯელის გონივრული ვადა და განხილულ იქნას მათ მიმართ ამნისტიის გავრცელების შესაძლებლობა, იმის გათვალისწინებითაც, რომ აღნიშნული კატეგორიის მსჯავრდებულებს 2012 წელს მიღებული საყოველთაო ამნისტიის აქტი მხოლოდ ფორმალურად შეეხოთ, პრაქტიკაში კი შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა არ მიეცათ;
- ✓ პარლამენტმა მეტად ლოიალური მიდგომა გაატაროს იმ პატიმართა მიმართ, რომელთაც ეხებათ ამნისტია და აქვთ ქრონიკული ან/და განუკურნებელი დაავადებები;
- ✓ განსაკუთრებული სიფრთხილე იქნას გამოჩენილი ოჯახური ძალადობისთვის მსჯავრდებულთა გათავისუფლების პროცესში, რათა მსხვერპლთაგან თანხმობების მიღებისას დაცული იყოს მათი ინტერესები და უსაფრთხოება.[521]

სამწუხაროდ, ამნისტიის შესახებ კანონი კვლავ არ შეეხოთ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს. ასევე, კანონით რაიმე შეღავათი არ ყოფილა გაწეული იმ პირების მიმართ, რომელთაც ქრონიკული და განუკურნებელი დაავადებები აქვთ. სახალხო დამცველის აპარატი იმედს გამოთქვამს, რომ პარლამენტი სამომავლოდ დამატებით იმსჯელებს ამ მიმართულებით.

---

[520] 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“.

[521] იხ. < https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-amnistiis-kanonproekttan-dakavshirebit > [ბოლოს ნანახია: 06.02.2025].

რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში პირველ მოსმენაზე განსახილველად წარდგენილი კანონპროექტის თანახმად, მსჯავრდებულზე ამნისტიის გავრცელებისთვის აუცილებელი იყო, რომ თითოეულ დაზარალებულს კანონის აღსრულებისას, გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობა განეცხადებინა მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გავრცელების თაობაზე.[522] ამავდროულად, კანონპროექტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილი იყო ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებული პირის მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განეხილა.

სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, არ გამოირიცხებოდა საფრთხე, რომ პირის მიმართ ამნისტიის გავრცელებისთვის აუცილებელი თანხმობის მოპოვების მიზნით, დაზარალებულზე მსჯავრდებული პირის ან მხარის მხრიდან გარკვეული ზეწოლა განხორციელებულიყო და ამდენად, მის მიერ გამოხატული თანხმობა, შესაძლოა, არ ყოფილიყო მისი ნამდვილი ნების გამოვლენის შედეგი. ამდენად, სახალხო დამცველის აპარატის მოსაზრებით, ხსენებული რისკების პრევენციისთვის, დაზარალებულს საკუთარი თანხმობა უშუალოდ სასამართლოს წინაშე უნდა დაეფიქსირებინა და სასამართლო თავად უნდა დარწმუნებულიყო დაზარალებულის ნების ნამდვილობაში. აპარატმა აღნიშნული პოზიცია კანონპროექტის პირველი საკომიტეტო მოსმენის პროცესში დააფიქსირა და პარლამენტს მიეცა რეკომენდაცია, კანონში ასახული ყოფილიყო შესაბამისი გარანტიები მოცემული მიმართულებით.

მისასალმებელია, რომ პარლამენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის აპარატის პოზიცია და უკვე მეორე მოსმენაზე წარდგენილ კანონპროექტში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, ოჯახური დანაშაულისთვის მსაჯვრდებული პირის მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლე დაზარალებულის პოზიციას არკვევს ზეპირი მოსმენით გამართულ სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მისი ადვოკატის დაუსწრებლად. აღნიშნული დებულება აისახა კანონის საბოლოო რედაქციაშიც, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

თუმცა აქვე აღსანიშნავია, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის მოსაზრებების გაზიარების შემდეგ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონში გარკვეული ცვლილებები შევიდა, რიგი საკითხები ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე ამნისტიის გავრცელების თვალსაზრისით კვლავ პრობლემად დარჩა, რაზეც დეტალური საუბარი სახალხო დამცველის 2024 წლის საპარლამენტო ანგარიშში იქნება წარმოდგენილი. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ 2024 წელს, ამნისტიის შედეგად პენიტენციური

[522] კანონპროექტის თანახმად, დაზარალებულის თანხმობასთან ერთად, პირს თანხმობა უნდა გამოეხატა, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მის მიმართ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე, გამოცემული ყოფილიყო დამცავი ორდერი იმ ვადით, რა ვადითაც პირს ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, თუმცა არაუმეტეს 9 თვისა.

დაწესებულების დატოვების შემდგომ, მოძალადემ მისი ყოფილი მეუღლე დამცავი ორდერის პირობებში მოკლა.[523] აღნიშნული ფაქტი საკითხის პრობლემურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და კომპლექსურად გადაჭრის აუცილებლობაზე მიუთითებს.

2024 წლის 17 სექტემბრის „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის მიღების შემდეგ სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია ამნისტიის შედეგების შესახებ.[524]

2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით, „ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებული იყო 835 მსჯავრდებული, მათ შორის: 25 ქალი და 810 მამაკაცი. ამავე დროისთვის, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან 397 ქალი იყო, ხოლო 9011 - მამაკაცი, რომელთაგან, 2024 წლის 31 დეკემბრამდე, ამნისტიით კიდევ უნდა გათავისუფლებულიყო 91 მსჯავრდებული - 6 ქალი და 85 მამაკაცი.[525]

7.2. პრევენციული დაკავება

სახალხო დამცველი წლებია საუბრობს ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საკითხის სასამართლო კონტროლის არარსებობის სისტემურ პრობლემაზე და გასცემს რეკომენდაციას ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება მოსამართლის ვალდებულებად განისაზღვროს.[526]

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტს ხსენებული რეკომენდაცია დღემდე არ შეუსრულებია და ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის დაკავების კანონიერებას სასამართლო არ ამოწმებს. ამ ფონზე, საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების ადმინისტრაციული წესით დაკავების, დაკავების ვადის 48 საათამდე უსაფუძვლო გახანგრძლივებისა და ამ ფორმით გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის არასწორი პრაქტიკა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის დეკემბერში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან

---

[523] საქმე N 2024-1865.

[524] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 7 ნოემბრის N2024/6187 წერილი.

[525] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 18 ნოემბრის N345360/01 წერილი.

[526] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, გვ. 129 და 134. < https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf >; 2020 წელი, გვ. 103 და 112, < https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf >; 2021 წელი, გვ. 91, < https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf >; 2022 წელი, გვ. 96, < https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf >; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 167-169, < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >

შეუსაბამო რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება.[527] **მათ შორის, განსაკუთრებით შემაშფოთებელია პოლიციელისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნით პირის ადმინისტრაციული დაკავების, პირადი და ნივთების გასინჯვისა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის უფლებამოსილების მინიჭება.[528]**

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციით და განმარტებით,[529] ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენცია გულისხმობს სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მხრიდან მისი განმეორებით ჩადენის რეალური საფრთხის არსებობას. სამინისტრო მიუთითებს საფრთხის რეალურობის კონკრეტული ფაქტებით ან ინფორმაციით დადასტურებაზე, რაც სასამართლოს წინაშე უნდა იქნეს წარდგენილი. სამინისტრომ მოიხმო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება,[530] სადაც პრევენციული დაკავება მე-5 მუხლთან შესაბამისად ჩაითვალა.

ხსენებულ გადაწყვეტილებასთან[531] მიმართებით აუცილებელად გასათვალისწინებელია კონკრეტული საქმის გარემოებები: საფეხბურთო მატჩამდე პოლიციამ წინასწარ მიიღო ინფორმაცია აგრესიული დაჯგუფების მიერ ხულიგნური არეულობების დაგეგმვის შესახებ, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია მნიშვნელოვანი საფრთხე მრავალი მშვიდობიანი გულშემატკივრისა და სხვა პირებისთვის. საზოგადოების სიმშვიდის უზრუნველყოფისა და შეტაკებების თავიდან აცილების მიზნით, აგრესიული დაჯგუფების რამდენიმე ლიდერი პრევენციულად დააკავეს და ჩამოაცილეს დაპირისპირების წაქეზებას ან მის მოწყობას. ხსენებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღსაკვეთად მათი დაკავება აუცილებელი იყო, რადგან ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები არ იქნებოდა საკმარისი. ამასთან, მათი დაკავება მაშინვე დასრულდა, როგორც კი არეულობის საფრთხე აღმოიფხვრა. სწორედ ამ კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მათი პრევენციული დაკავება, მათგან მშვიდობიანი მოქალაქეებისთვის მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ჩათვალა კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, რადგან დადგინდა სამართლიანი ბალანსი თავისუფლების უფლებასა და დაკავებულთა მხრიდან ხულიგნური დაპირისპირების ორგანიზებასა და მასში მონაწილეობის მიღების აღკვეთის ღირებულებებს შორის.

---

[527] საქართველოს სახალხო დამცველის საჯარო განცხადება, იხ. <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-gankhortsielebuli-rigi-sakanonmdeblo-tsvlilebebis-taobaze> [ბოლოს ნანახია: 21.01.2024 წ.]

[528] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, 13/12/2024, 169-Iმს-XIმპ.

[529] იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16523> [ბოლოს ნანახია: 20.01.2025 წ.]

[530] S., V. and A. v. Denmark, [GC] განაცხადი N35553/12, 36678/12 და 36711/12, 22.10.2018 წ.

[531] S., V. and A. v. Denmark" [GC] განაცხადი: N35553/12, 36678/12 და 36711/12, 18.10.2018 წ. პარ. 10-11, 158, 166, 169-170, 172-174.

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატა[532] კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილ სტანდარტებთან მიმართებით მიუთითებს თავისუფლების თვითნებურად ან დაუსაბუთებლად შეზღუდვის აღკვეთის, დაკავების კანონიერების საპროცესო და მატერიალური თვალსაზრისით კანონის უზენაესობის სკურპულოზური დაცვის საჭიროებასა და სათანადო სასამართლო კონტროლის ზომების დაუყოვნებლად და სწრაფად განხორციელებაზე. გარდა ამისა, ყურადღებას ამახვილებს კანონიერების მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა იყოს თვითნებური; ამასთან, უნდა იყოს აუცილებელი და, დაცული იყოს სამართლიანი ბალანსი დემოკრატიულ საზოგადოებაში სადავო ვალდებულების შესრულებასა და თავისუფლების უფლების მნიშვნელობას შორის. აუცილებლობის კრიტერიუმთან მიმართებით, მნიშვნელოვანია ხელისუფლების ვალდებულება, განიხილოს „ალტერნატიული შესაძლებლობები" (ჯერ ნაკლებად მკაცრი ღონისძიებები უნდა იქნეს განხილული და ისინი მიჩნეულ იქნეს არასაკმარისად). ამასთან, პროპორციულობის ნაწილში - კონკრეტული და სპეციფიკური „სამართალდარღვევა" უნდა იყოს სერიოზული ხასიათის, ქმნიდეს ან უკავშირდებოდეს სიცოცხლის მიმართ საფრთხეს ან იწვევდეს მნიშვნელოვან ქონებრივ ზიანს. პატიმრობა უნდა დასრულდეს საფრთხის გასვლისთანავე. ამასთან, გასათვალისწინებელი ფაქტორია ხანგრძლივობა. **აუცილებელია, რომ ფაქტები, რომლებიც მიუთითებს დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე უკვე გამოვლენილი უნდა იყოს იმ დროისათვის, როდესაც პირს აკავებენ დანაშაულის აღკვეთის მიზნით.** მე-5 მუხლის დარღვევის დადგენა უნდა ანიჭებდეს კომპენსაციის ქმედით უფლებას ეროვნული სასამართლოების წინაშე. ამგვარი საჩივრის განხილვისგან განუყოფელია დაკავების კანონიერების სამართლებრივი შეფასება.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან შეუსაბამოა ადმინისტრაციული პრევენციული დაკავება სამართალდარღვევის განმეორების თავიდან აცილების მიზნით. **საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, არ არის განსაზღვრული პრევენციული დაკავების კონკრეტული საფუძველი და არც მისი გამოყენებისთვის რაიმე მტკიცებულებითი სტანდარტის (კონკრეტული ფაქტი ან ინფორმაცია) მოთხოვნა არ არის დაწესებული. ამასთან, ადმინისტრაციული დაკავების 48-საათიანი ვადის და დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის არარსებობის პირობებში, პრევენციული ადმინისტრაციული დაკავების შემოღება საბჭოთა პერიოდში მიღებული, ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო კოდექსის მოქმედების პირობებში, კიდევ უფრო ზრდის ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის თვითნებობის რისკებს.**

ანალოგიურად, საკანონმდებლო ცვლილებები ბუნდოვანი და არაგანჭვრეტადია **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნით** პირადი გასინჯვის, ნივთების გასინჯვისა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის თვალსაზრისითაც.

[532] S., V. and A. v. Denmark განაცხადი N35553/12, 36678/12 და 36711/12, 22.10.2018 წ. პარ. 73, 133, 136, 161.

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამოდ მიიჩნევს პოლიციისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებს, რომელიც არ ითვალისწინებს გაჩერებისა და ჩხრეკის შესახებ გადაწყვეტილებაზე რაიმე შეზღუდვას და რომელსაც არ სჭირდება რაიმე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის მტკიცება. ამგვარი უფლებამოსილება რადიკალურად სცილდება პოლიციის უფლებამოსილების ფარგლების ტრადიციულ გაგებას და თვითნებობის აშკარა რისკს შეიცავს. ამასთან, გაჩერებისა და ჩხრეკის უფლებამოსილება არც საკმარისად განსაზღვრულია და მასზე არც ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო სათანადო სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ვრცელდება.[533] შესაბამისად, პოლიციის მხრიდან პირადი ცხოვრების დაცულ სფეროში გაუმართლებელი, არაპროპორციული და დაუსაბუთებელი ჩარევის რისკებს ქმნის.

7.3. მტკიცების ტვირთი პატიმრობის გამოყენებისას

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება.[534] ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრობის ავტომატური გახანგრძლივება ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს.[535] ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაადგინონ იმ საფუძვლების არსებობა, რომლებიც ამართლებს წინასწარი პატიმრობის გაგრძელებას.[536] ამ საკითხებში, მტკიცების ტვირთი არ უნდა შეიცვალოს და დაკავებულს (დაცვის მხარეს) არ უნდა დაეკისროს ვალდებულება, რომ თავად ამტკიცოს მისი თავისუფლებაში ყოფნის საფუძვლები.[537]

საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომაზე, როდესაც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე, განაჩენის გამოტანამდე, თავისი ინიციატივით, პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც, განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, საანგარიშო წელს, ბრალდებულ ე.ა.-ს სისხლის სამართლის საქმეზე[538] თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის ოქმის[539] შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ა.ე-ს ბრალდების საქმის განმხილველმა მოსამართლემ

---

[533] Gillan and Quinton v. the UK, განაცხადი N4158/05 12.01.2010 წ. პარ. 83, 85, 87.

[534] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 206, ნაწ. 9.

[535] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Tase v. Romania, განაცხადი N 29761/02, §40.

[536] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: Merabishvili v. Georgia [GC], განაცხადი N72508/13, § 234.

[537] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე: Bykov v. Russia, [GC], განაცხადი N4378/02, §64.

[538] სისხლის სამართლის N009160323002 საქმე.

[539] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 19 თებერვლის N1ბ-177/24 წერილი.

უგულვებელყო სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები და **ბრალდების მხარის პოზიციის მოსმენის გარეშე, ბრალდებულ ე. ა.-ის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის - მოქმედების გააგრძელა.**

თბილისის საქალაქო სასამართლოში, ბრალდებულ ე. ა.-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა საქმის არსებითი განხილვის სხდომა (2023 წლის 19 ივლისი), რომელ **პროცესზეც ბრალდების მხარე - პროკურორი - არ გამოცხადდა.** გამოუცხადებლობა კი მოსამართლემ დაადასტურა გენერალური პროკურატურის მიერ სასამართლოსთვის გაგზავნილი წერილით, რომლის თანახმად, პროკურორის გამოუცხადებლობის მიზეზი იყო მისი მივლინებაში ყოფნა.

სხდომაზე უნდა გადასინჯულიყო აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის - ძალაში დატოვების საკითხი.

სასამართლოს სხდომაზე გამოქვეყნებულ პროკურორის განცხადებაში (სადაც განმარტებული იყო, რომ პროკურორი იმყოფებოდა მივლინებაში და ითხოვდა პროცესის გადადებას), **აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ძალაში დატოვების თაობაზე არგუმენტაცია არ იყო მითითებული და არც ცალკე შუამდგომლობა იქნა წარმოდგენილი პროკურორის მიერ, ასევე არ იყო წარმოდგენილი შემცვლელი პროკურორი.**[540]

ადვოკატმა პროცესზე აღნიშნა, რომ პროკურორის გამოუცხადებლობის გამო, აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვაზე პროკურორის პოზიცია გაუგებარია და არც არგუმენტებია წარმოდგენილი უნდა გაგრძელდეს თუ არა ბრალდებულისთვის პატიმრობა. მიუხედავად ამისა, **ადვოკატს, ბრალდების მხარის მონაწილეობის გარეშე, მოუწია ემტკიცებინა მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის სხვა, ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა.** შესაბამისად, **მტკიცების ტვირთი მოსამართლის მიერ, დაცვის მხარეს დაეკისრა.**

7.4. თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა

სახალხო დამცველის აპარატმა გასული წლების ანგარიშებში არაერთი ფაქტი მიმოიხილა, როდესაც **საგამოძიებო ორგანოების სავარაუდო უკანონო მითითების საფუძველზე, პირებს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის (ქვეყნიდან გასვლის) შესაძლებლობა არ მიეცათ.**[541] მსგავსი სავარაუდო უფლებადარღვევები, სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდშიც გამოვლინდა.

---

[540] დგინდება სასამართლოს სხდომის ოქმიდან (12:15 სთ - 12:22 სთ).

[541] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 144-146; ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf >; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 101-103; ხელმისაწვდომია: < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >.

2021-2024 წლებში აპარატმა ჯამში 7 შემთხვევა გამოკვეთა, სადაც მოპოვებული ინფორმაციითა და დოკუმენტაციით დასტურდებოდა თავისუფალი მიმოსვლის უფლების უსაფუძვლო შეზღუდვისა და სამართალდამცავი პირების/ორგანოების მხრიდან მოქალაქეების მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის მიმართულებით დანაშაულებრივი ქმედებები.

4 ფაქტის შესწავლა აპარატმა 2022 წელს დაასრულა, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის სავარაუდო მითითების საფუძველზე, კონკრეტულ პირებს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა არ მიეცათ. საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე, სახალხო დამცველმა შესაბამისი წინადადებებით საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა და გამოძიების დაწყება მოითხოვა.[542]

სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წელს 3 საქმის შესწავლა დაასრულა, რომლის შედეგად კვლავ გამოიკვეთა, რომ პირებს სავარაუდოდ უკანონოდ არ მიეცათ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის (ქვეყნიდან გასვლის) შესაძლებლობა და ამ პროცესში კვლავ სამართალდამცავი პირების/უწყებების დანაშაულებრივი ქმედებები იკვეთებოდა. სახალხო დამცველმა ამ სამ შემთხვევაშიც მიმართა გენერალურ პროკურატურას გამოძიების დაწყების მიზნით.

ჯამში შვიდი წინადადების საფუძველზე, პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და მიმდინარეობს 5 საქმეზე, მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის კვალიფიკაციით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.[543] **ორ საქმეზე გამოძიება არ დაიწყო.[544] დღეის მდგომარეობით, დაზარალებულად და ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის.[545]**

2022 და 2024 წელს გაგზავნილი 7 წინადადება შეეხებოდა როგორც 2021 წელს, ისე 2022, 2023 და 2024 წელს მომხდარ სავარაუდო დანაშაულებს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს გაგზავნილი სამი წინადადებიდან ერთ-ერთი[546] შეეხებოდა ი. ბ.-სა და ე. ბ.-სთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უკანონო შეზღუდვის ფაქტს, რომელიც დეტალურად მიმოხილულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიშში.[547]

ხოლო რაც შეეხება 2024 წელს შესწავლილი სხვა ორი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს:

---

[542] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 16 მაისის N 15-2/2829, 2022 წლის 30 მაისის N 15-12/5499, 2022 წლის 7 დეკემბრის N 15-12/12194, 2022 წლის 21 ნოემბრის N 15-4/11654 წინადადებები.

[543] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ.152, ნაწ. 2.

[544] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 26 სექტემბრის №13/65124 და 2024 წლის 22 იანვრის №13/3590 წერილები. გენერალური პროკურატურის პოზიციით, მასალების შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტები (ორივე ფაქტი 2022 წელს გაგზავნილ წინადადებებს ეხებოდა).

[545] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 3 თებერვლის №13/5579, 2025 წლის 3 თებერვლის №13/5451, 2025 წლის 3 თებერვლის №13/5452, 2024 წლის 17 იანვრის №13/1892 და 2024 წლის 26 ივნისის №13/41420 წერილები.

[546] სახალხო დამცველის 2024 წლის 20 მაისის № 2024/1178 წინადადება.

[547] იხ. < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >; გვ. 101-103.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ა. ს.-ს და მისი ოჯახის წევრებს 2024 წლის 18 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა არ მისცეს შესაძლებლობა გადაეკვეთათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თბილისის აეროპორტში და თურქეთის რესპუბლიკის გავლით, გამგზავრებულიყო ბოსნია და ჰერცოგოვინაში.

ასევე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვ. ს. 2023 წლის 28 სექტემბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით, უნდა გამგზავრებულიყო თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გამგზავრების შესაძლებლობა არ მისცეს.

მოცემული საქმეების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ არც ა. ს.-სა და არც ვ. ს.-ს მიმართ სამართლებრივი შეზღუდვა საზღვრის გადაკვეთაზე დაწესებული არ იყო და ამდენად, მათთვის საქართველოდან გამგზავრების შეზღუდვა უკანონო იყო.

დასახელებულ ორივე შემთხვევაში, სახალხო დამცველმა წინადადებებით მიმართა გენერალურ პროკურორს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.[548] ორივე შემთხვევაში გამოძიება.[549]

სახალხო დამცველის აპარატი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მიმოსვლის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და მისი შეზღუდვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ საფუძველზეა დასაშვები.[550] **ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოძიებისთვის საინტერესო პირი მოწმის სტატუსით სარგებლობს და საჭიროა მისი გამოკითხვა ან/და იგი პერსპექტივაში, შესაძლოა იყოს ბრალდებული, უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ საფუძველს არ წარმოშობს და ამდენად, მოქალაქისთვის საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის არსებული პრაქტიკა უკანონოა.**

8. სამართლიანი სასამართლოს უფლება და სასჯელისგან გათავისუფლების მექანიზმები

საანგარიშო პერიოდში, ინდივიდუალური საქმეების შესწავლის შედეგად, კვლავ გამოიკვეთა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა სხვადასხვა მხრივ, მათ შორის, კვლავ პრობლემურია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებების საფუძველზე; ადვოკატის საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობისთვის დაშვება; დაცვის მხარისთვის კონკრეტული დასაბუთებისა და ფარგლების გარეშე საქმის მასალების გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრება; ექსპერტიზის დროული დასრულება, რაც ხელს უშლის დაცვის მხარეს სასურველი

[548] სახალხო დამცველის 2024 წლის 9 ოქტომბრის № 2024/5317 და 2024 წლის 6 ივნისის № 2024/1671 წინადადებები.
[549] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 17 იანვრის №13/1892 და 2024 წლის 26 ივნისის №13/41420 წერილები. გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.
[550] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 14.

მტკიცებულები წარადგინოს სასამართლოში; სასამართლოს მიერ პირის ექსტრადიციის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არსებითი მნიშვნელობის გარემოებების შეფასების გარეშე; მსჯავრდებულთა ადმინისტრაციული სარჩელების გაჭიანურება.

გარდა კონკრეტული შემთხვევებისა და მხარეების მომართვებისა, 2024 წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შეისწავლა მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის/ხანდაზმულობის/ორსულობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების ან/და გათავისუფლების საკითხების განხილვისას 2015-2023 წლების სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები. გამოვლენილი ხარვეზები და შესაბამისი რეკომენდაციები აისახა სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში. ასევე, საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულების ბრალდების საქმეები და გამოვლენილი საკითხების თაობაზე გამოიცა სპეციალური ანგარიში.[551]

სახალხო დამცველმა კვლავ გააანალიზა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის შეცვლის მექანიზმის მუშაობის ეფექტიანობა, როგორც ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი, ისე უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის.

8.1. ჯანმრთელობის მდგომარეობის/ხანდაზმულობის/ორსულობის გამო სასჯელის მოხდის გადავადება ან/და გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015-2023 წლებში საერთო სასამართლოების მიერ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის/ხანდაზმულობის/ორსულობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების/გათავისუფლების შესახებ.[552]

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და განაჩენის აღსრულების გადავადების ისეთ მექანიზმებს ითვალისწინებს, როგორიცაა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა, ასევე, სასჯელისგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო, განაჩენის აღსრულების გადავადება ავადმყოფობის ან ორსულობის გამო.

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა **194 საქმე,** კერძოდ, **სასამართლოებში განხილული 115** და **მუდმივმოქმედი კომისიის** მიერ განხილული **79** მსჯავრდებულის საქმე.

კვლევის ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაანალიზდა მხარეების შუამდგომლობების განხილვისას არსებული პრობლემები. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის/ორსულობის/ხანდაზმულობის გამო

[551] იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025031715241698120.pdf >
[552] იხ. < https://ombudsman.ge/res/docs/2024061015591261015.pdf >

სასჯელის მოხდის გადავადების/გათავისუფლების გამოყენების მარეგულირებელი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, საქართველოს მიერ მოცემულ სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, საერთო სასამართლოების მიერ შუამდგომლობის განხილვისას არსებული პრაქტიკა. შესწავლილ იქნა ასევე იუსტიციის სამინისტროსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2015-2023 წლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ **სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/გადავადების საქმისწარმოება ხასიათდება არაერთი ხარვეზით.** გარდა ამისა, არის საკითხები, რომელთა ერთიანი სტანდარტით გადაწყვეტისთვის საჭიროა კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ხარვეზები:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული კრიტერიუმების არსებობისას, იმის მიუხედავად, რომ სამედიცინო ექსპერტიზას ნიშნავს და ატარებს სპეციალური პენიტენციური სამსახური, სამსახური თავად, თითქმის არასდროს მიმართავს სასამართლოს, მიუხედავად ექსპერტიზის მძიმე დასკვნისა. ამ პროცედურის დაწყება მსჯავრდებულებს უწევთ;
- დაცვის მხარე (მსჯავრდებული/ადვოკატი) ხშირად მიმართავს შუამდგომლობით არაგანსჯად სასამართლოს. იყო შემთხვევები, როდესაც თავად სასამართლომაც არ გადასცა საქმე განსჯად სასამართლოს;
- წარდგენილი შუამდგომლობები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების მიუხედავად, ხშირად დაუსაბუთებელია და არ შეიცავს საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო და საკმარის ინფორმაციას;
- კვლევის ფარგლებში დაფიქსირდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც პენიტენციურმა სამსახურმა სასამართლოს მიმართა მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით;
- არაერთგვაროვანი პრაქტიკა გვხვდება იმ მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ვის მიმართაც გამოყენებულია მძიმე ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდის გადავადება და ვინც ითხოვს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას. უმეტეს შემთხვევაში, არ ხდება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება. დაფიქსირდა მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ის მსჯავრდებული გაათავისუფლა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, რომლის მიმართაც უკვე გამოყენებული იყო სასჯელის მოხდის გადავადება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო;
- ვინაიდან სააპელაციო სასამართლოში, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, საჩივარი განიხილება მხოლოდ ზეპირი მოსმენის გარეშე, მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა, სააპელაციო სასამართლოში გამოიკვლიოს ის მტკიცებულება,

რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში შუამდგომლობის განხილვის დროს გამოკვლეული იყო კანონის დარღვევით;

- მსჯავრდებული, რომელსაც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო გადავადებული აქვს სასჯელის მოხდა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, წელიწადში ერთხელ მაინც, ვალდებულია ჩაიტაროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და წარუდგინოს სასამართლოს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ექსპერტიზის თავდაპირველი დასკვნის თანახმად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის;
- სასამართლოსა და მუდმივმოქმედი კომისიიდან მიღებული დოკუმენტების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა არ ადგენს ვადას - შუამდგომლობით მიმართვამდე რა პერიოდით ადრე უნდა იყოს ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა;
- მუდმივმოქმედი კომისიის მიერ განხილული შუამდგომლობებიდან, ყველა შემთხვევაში შუამდგომლობის ინიციატორი პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი იყო, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში განცხადებები დასაშვებობის ეტაპზევე დახარვეზდა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტების (ექიმთა კონსილიუმის დასკვნა) არარსებობის გამო, რაც დიდი ალბათობით, გამოწვეულია ნორმატიულ აქტში არსებული ბუნდოვანებით. ბრძანება მართალია არეგულირებს ექიმების კონსილიუმის შექმნისა და უფლებამოსილების განსაზღვრის ზოგად წესს, თუმცა მკაფიოდ არ არის გაწერილი ექიმთა კონსილიუმის შესაკრებად მიმართვის პროცედურა, რაც სავარაუდოდ, დამატებით დაბრკოლებებს უქმნის მსჯავრდებულებს, მათ ადვოკატებს და კანონიერ წარმომადგენლებს, უზრუნველყონ შესაბამისი დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენა;
- უკეთ მუშაობს ორსულობის ან ბავშვის ერთი წლის ასაკის მიღწევამდე მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდის გადავადების მექანიზმი, რომელშიც არსებითი პროცედურული ხასიათის ხარვეზები არ გამოვლენილა.

შესწავლილი მასალებიდან გამოვლინდა, რომ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის/ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების/გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობების უმეტესობა სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გაიზიარა სასამართლომ შუამდგომლობის ავტორის პოზიცია და არგუმენტაცია. როგორც მასალებიდან გამოვლინდა, სასამართლოს შუამდგომლობით ძირითადად მიმართავს დაცვის მხარე (მსჯავრდებული, ადვოკატი) და მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიმართა სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით. ამასთან, გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სამედიცინო ექსპერტიზა მსჯავრდებულს დაენიშნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ და მიღებული დასკვნაც შეესაბამებოდა განაჩენის გადავადების საფუძველს, თუმცა, გაურკვეველი მიზეზით სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა აღარ მიმართა

სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით. აღსანიშნავია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მსჯავრდებულისთვის დანიშნული და ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ შუამდგომლობით მიმართეს თავად მსჯავრდებულებმა და სასამართლოს მიერ მათი შუამდგომლობები დაკმაყოფილდა.[553]

მასალების შესწავლის შედეგად გამოვლინდა როგორც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, ასევე მხარეების (მსჯავრდებული/ადვოკატი, სპეციალური პენიტენციური სამსახური) მიერ სასამართლოსთვის მიმართვისა და პროცესის მიმდინარეობისას დაშვებული შეცდომები, და ასევე სასამართლოს მიერ შუამდგომლობის განხილვისას გამოკვეთილი სხვადასხვა სახის პრობლემები.

გამოიკვეთა შუამდგომლობის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადაწყვეტისთვის არსებითი ხასიათის ხარვეზები. კერძოდ, მხარის მიერ არაგანსჯადი სასამართლოსთვის მიმართვა, შუამდგომლობების დაუსაბუთებლობა და მნიშვნელოვანი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის წარუდგენლობა.

გამოიკვეთა ასევე საერთო სასამართლოების მიერ განსხვავებული განჩინებების მიღება იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უკვე გადავადებული აქვს განაჩენის აღსრულება და ითხოვს სასჯელისგან გათავისუფლებას. ასეთ შემთხვევებში, საერთო სასამართლოებმა სხვადასხვაგვარად განმარტეს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების შესაძლებლობა და უმეტეს შემთხვევაში მსჯავრდებულს უარი უთხრეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ მის მიმართ უკვე გამოყენებული იყო განაჩენის აღსრულების გადავადება და არ იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში. ერთეულ შემთხვევებში სასამართლომ მსჯავრდებული გაათავისუფლა სასჯელის მოხდისგან მიუხედავად იმისა, რომ უკვე გადავადებული ჰქონდა სასჯელის მოხდა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო.

საკითხის შესწავლის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შაბლონურად ავალდებულებს სასამართლოს, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადების შემთხვევაში, დაავალდებულოს მსჯავრდებული წელიწადში ერთხელ მაინც, საკუთარი ხარჯებით ჩაიტაროს სამედიცინო ექსპერტიზა და წარუდგინოს სასამართლოს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოსალოდნელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ან პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად, სპეციალურ ანგარიშში სახალხო დამცველმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები რელევანტური უწყებების: პარლამენტის, იუსტიციის

[553] იხ. < https://ombudsman.ge/res/docs/2024061015591261015.pdf > გვ. 19.

მინისტრისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და მუდმივმოქმედი კომისიის მიმართ.

ზემოაღნიშნული საკითხები დეტალურადაა განხილული სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში „ავადმყოფობის, ხანდაზმულობის ან ორსულობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადების და სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლების მექანიზმები საქართველოში“.[554]

8.2. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადებულ იქნა სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“.[555]

სახალხო დამცველმა, საკუთარი ინიციატივით საკითხის შესწავლის ფარგლებში, გამოიკვლია როგორც უვადო მსჯავრდებულების განაჩენები და სისხლის სამართლის საქმეები, ისე - მათი ისტორია პენიტენციურ სისტემაში სასჯელის მოხდის პერიოდში.

საქართველოს კანონმდებლობით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არის სასჯელის ყველაზე მკაცრი სახე, რომელიც შეიძლება დაენიშნოს სრულწლოვან პირს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. საქართველოს პენიტენციურ სისტემაში, 2024 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, განთავსებული იყო უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული 89 პირი, მათ შორის 86 მამაკაცი და 3 - ქალი. მათგან საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტით, 4 მსჯავრდებულს (მამაკაცს) უვადო თავისუფლების აღკვეთა შეცვლილი აქვთ სხვადასხვა ვადით და განსაზღვრული აქვთ გათავისუფლების თარიღი.

ანგარიშზე მუშაობის ფარგლებში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შეისწავლა იმ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეები, რომლებსაც პენიტენციურ დაწესებულებაში **ფაქტობრივად მოხდილი აქვთ 12 წელი.**[556] ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით, დეპარტამენტი სრულად გაეცნო 47

[554] იხ. < https://ombudsman.ge/res/docs/2024061015591261015.pdf >

[555] იხ. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025031715241698120.pdf >

[556] მოცემული ვადის განსაზღვრა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 2021 წლის 9 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“, რაც სავალდებულოა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის, რომელსაც სურს სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა. პროგრამის დაწყების შესაძლებლობა კი აქვს ისეთ მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა 12 წელი.

სისხლის სამართლის საქმის მასალებს **58 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ.** ამ მსჯავრდებულების შესახებ, ასევე შესწავლილ იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, სასჯელის მოხდის მთელი დროის განმავლობაში, გამოყენებული დისციპლინური სახდელების, წახალისებებისა და პენიტენციურ სისტემაში ჩადენილი დანაშაულების შესახებ.[557] ანგარიშის მიზნებისთვის სრულად დამუშავდა წარმოდგენილი ინფორმაცია. გარდა ამისა, აპარატმა გამოითხოვა[558] და მიიღო ყველა იმ უვადოდ მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიში, რომელსაც დასრულებული აქვს მომზადების პროგრამა, ასეთი სულ არის **37 უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი.**[559] სრულად იქნა შესწავლილი 37-ივე ანგარიში.

ანგარიშის მიზნებისთვის სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, წინასწარ შემუშავებული კითხვარის გამოყენებით, **გამოკითხეს 51 უვადოდ მსჯავრდებული პირი**[560] პენიტენციურ დაწესებულებებში მათთვის ხელმისაწვდომი სარეაბილიტაციო პროგრამების, კურსების, მენტალური ჯანმრთელობის სერვისების, პენიტენციურ დაწესებულებაში მოპყრობის პირობებსა და გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის მიმართ მათ დამოკიდებულებებთან დაკავშირებით.

ანგარიშში ასევე გაანალიზებულია უვადო თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის სახის საკანონმდებლო ჩარჩო და გათავისუფლების შესაძლებლობის საკანონმდებლო მექანიზმები როგორც სააქართველოში, ასევე ევროპის ქვეყნებში. საერთაშორისო სტანდარტების შესწავლის ნაწილში სახალხო დამცველის აპარატის მოწვევით კვლევა ჩაატარა ადამიანის უფლებათა ექსპერტმა.

უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა სისხლის სამართლის საქმეებისა და სასჯელის მოხდის ისტორიის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გარემოებები როგორც სისხლის სამართლის საქმისწარმოებასთან, ასევე მსჯავრდებულების მიერ სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი საკითხები:

- უვადო თავისუფლების აღკვეთისა და საშეღავათო მექანიზმების ირვლივ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს;
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეთა დიდი ნაწილი პროცედურულად და შინაარსობრივად გამართულია იმ დროს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა, მტკიცებულებების მოპოვების ხარისხი და

[557] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 25 აპრილის N122533/01 და 2024 წლის 12 ივნისის N169508/01 წერილები.
[558] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 2 მაისის N2024/940 წერილი.
[559] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 12 ივნისის N169508/01 წერილი.
[560] შვიდმა მსჯავრდებულმა გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ტექნოლოგიები არ არის იმ შესაძლებლობების შესაბამისი, რითიც საგამოძიებო უწყებები დღეს სარგებლობენ;

- დაუსაბუთებლობის პრობლემა გამოიკვეთა რამდენიმე საქმეში, სადაც მტკიცებულებების ერთობლიობა არ ფანტავს გონივრულ ეჭვს პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, რაც არსებითად პრობლემურია, რადგან ამგვარი განაჩენებით პირები უვადო თავისუფლების აღკვეთით არიან მსჯავრდებულები;
- ერთ-ერთ საქმეში გამოიკვეთა სასჯელის დაუსაბუთებულობა;
- ერთ-ერთ საქმეში სამ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს არ მიეცა საქმის სააპელაციო განხილვაში პირადად მონაწილეობის შესაძლებლობა;
- 20 საქმეში გამოიკვეთა ახლად გამოვლენილი გარემოებები, რომლის თაობაზეც მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ ინფორმაცია და, შესაბამისად, არ ჰქონდათ მიმართული სასამართლოსთვის განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. აქედან, 3 მსჯავრდებულის შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატმა მიიჩნია, რომ არსებობს პატიმრების გათავისუფლების საფუძველი. მათგან **1 მსჯავრდებული, სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობით უკვე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან** და 2 მსჯავრდებულთან დაკავშირებით მსგავსი პროცესი ჯერჯერობით მიმდინარეა;
- 4 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალებით დადგენილი აქვს გათავისუფლების თარიღი;
- ერთ-ერთი მსჯავრდებულის ბრალდების საქმე, მისი მსჯავრდების შემდეგ აღარ იძებნება პროკურატურასა და სასამართლოებში. 2007-2009 წლებში, პროკურატურის ორგანოებმა მხოლოდ ნაწილობრივ აღადგინა მითითებული სისხლის სამართლის საქმე. მიუხედავად ამისა, საქმის სრული მასალების არარსებობის პირობებში, მსჯავრდებული მოკლებულია შესაძლებლობას იდავოს ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო, ასეთის გამოვლენისა და სურვილის შემთხვევაში;
- საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, 4 მსჯავრდებულს არ მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა საქმის ორი ინსტანციის მიერ განხილვის უფლებით;
- უვადოდ მსჯავრდებულ 9 პირს ქმედება, რამაც მისი უვადოდ მსჯავრდება გამოიწვია, ჩადენილი აქვს 21 წლის ასაკის მიღწევამდე.

<u>მსჯავრდებულების მიერ სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით:</u>

- უვადოდ მსჯავრდებული **13 პირი,** უვადოდ მსჯავრდების შემდეგ, პენიტენციურ დაწესებულებაში **სასჯელის მოხდის პერიოდში** ჩადენილი სხვადასხვა ქმედებისთვის **სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა** და მათ მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენები;

- უვადოდ მსჯავრდებული 58 პირიდან **18-ის მიმართ არასდროს გამოყენებულა დისციპლინური სახდელი**, ხოლო **40 პირს** სხვადასხვა ქმედებისთვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა;
- უვადოდ მსჯავრდებული 58 პირიდან სასჯელის მოხდის პერიოდში **წახალისდა 43,** ხოლო **არასდროს წახალისებულა - 15**;
- უვადოდ მსჯავრდებული 58 პირიდან **16 პირი სასჯელის მოხდის პირობებში არც დანაშაულის ჩადენისთვის გასამართლებულა და არც დისციპლინური წესით დასჯილა;**
- უვადოდ მსჯავრდებულ **37 პირს დასრულებული აქვს გათავისუფლებისათვის მომზადების 2 წლიანი პროგრამა,** 6 მსჯავრდებული პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება, ხოლო 15 მსჯავრდებული არ ყოფილა ჩართული პროგრამაში.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მყოფ უვადოდ მსჯავრდებულთაგან ნაწილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება ჩატარებულია **15 წლის ან უფრო დიდი ხნის წინ.** ამასთან, მითითებულ პერიოდში დანაშაულის შემადგენლობის, საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმართულებით განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო და პრაქტიკული ცვლილებები, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა სხვადასხვა ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ამსუბუქებდა უვადო თავისუფლების აღკვეთილი მსჯავრდებულების სასჯელს. ერთ-ერთი უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის სარჩელთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი გავლენას ახდენს დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციაზე. მოცემულ პერიოდში ასევე გაიზარდა პირის მსჯავრდებისთვის სავალდებულო მტკიცებითი სტანდარტი, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გამოძიებასა და დაცვის მხარეს მიეცათ მტკიცებულებების მოპოვების მეტი შესაძლებლობა და, შესაბამისად, განვითარდა მტკიცებულებების მოპოვების ტექნიკა და ტაქტიკაც.

სისხლის სამართლის საქმეთა გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ, ძირითადად, სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობდა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თუმცა, არაერთ საქმეში გამოვლინდა სხვადასხვა სახისა და სიმძიმის დარღვევები.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2006-2019 წლებში განხორციელდა არაერთი ცვლილება და დამატება.[561] მსჯავრდებულებს, რომლებსაც განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში[562] ჩადენილი ჰქონდათ 2006 ან/და 2007 წლამდე და სასჯელის

[561] 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს N2937 კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, მუხ. 1, ნაწ. 14; 2007 წლის 4 ივლისის საქართველოს N5196 კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“; 2019 წლის 20 სექტემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/4/1365 გადაწყვეტილება საქმეზე „ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (ძალაში შევიდა 2019 წლის 25 სექტემბერს).
[562] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 109.

სახით განსაზღვრული ჰქონდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ, გარკვეულ შემთხვევებში, სასჯელის სახედ უნდა განსაზღვროდათ მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და, შესაბამისად, მათ მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები, რომლითაც მისჯილი ჰქონდათ უვადო თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის ნაწილში შესაბამისობაში უნდა მოსულიყო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებულ, მსჯავრდებულის სასარგებლო, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ცვლილებებთან.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ამსუბუქებს სასჯელს, ანიჭებს უკუძალას და ითვალისწინებს, ასეთი ქმედებისთვის მსჯავრდებული პირისთვის, რომელიც სასჯელს იხდის, სასჯელის შემცირებას ამ სისხლის სამართლის კანონის ფარგლებში.[563] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად კი, ახალი კანონის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქება წარმოადგენს ახლად გამოვლენილი გარემოების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის ერთ-ერთ საფუძველს.[564] ახლად გამოვლენილი გარემოების გამო განაჩენის გადასინჯვის კიდევ ერთი საფუძველია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.[565]

სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის შედეგად გამოკვეთილი ზემოაღნიშნული ახლად გამოვლენილი გარემოებების თაობაზე სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია მიაწოდა იმ სამ მსჯავრდებულს, რომელთა მიმართ შესაძლებელი იქნებოდა დადგენილიყო ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და გათავისუფლებულიყვნენ პენიტენციური დაწესებულებიდან.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოკვეთილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, სამივე მსჯავრდებულმა მიმართა შესაბამის სააპელაციო სასამართლოებს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობებით. ასევე,

---

[563] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად,
„1.სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. [...].
2.თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისთვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.
3.თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.“

[564] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, „განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისთვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.“

[565] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი“.

საქართველოს სახალხო დამცველმა, სამივე შემთხვევაში, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiea) მიმართა სააპელაციო სასამართლოებს.[566]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილი ამ ახალი გარემოებების საფუძველზე, ერთ-ერთი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი, რომელიც სასჯელს 2004 წლიდან იხდიდა, უკვე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან.[567]

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სააპელაციო პალატას განაჩენში სახელდებით არ მიუთითებია სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე (Amicus Curiea), ახლად გამოვლენილი გარემოებები აღმოჩენილი იყო სწორედ სახალხო დამცველის აპარატის მიერ, რის საფუძველზეც პატიმარმა სამართალწარმოება დაიწყო და სასამართლოს განაჩენიც სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი სამართლებრივი არგუმენტებით არის დასაბუთებული.

კიდევ ორ საქმეზე სასამართლოებს წარმოება დასრულებული არ აქვთ.

გარდა ზემოაღნიშნული სამი საქმისა, სისხლის სამართლის კოდექსში 2006-2019 წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ახლად გამოვლენილი გარემოებები გამოკვეთილ იქნა სხვა, კიდევ 18 მსჯავრდებულის მიმართაც. თუმცა, აღნიშნულ საქმეებში, მსჯავრდებულებს, გარდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2006-2019 წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ახლად გამოვლენილი გარემოებებისა, მსჯავრი აქვთ დადებული ასევე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: განსაკუთრებული სისასტიკე, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი მკვლელობა, მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით და რომელთათვისაც, ცვლილებების განხორციელების მიუხედავად, სასჯელის სახედ გათვალისწინებული იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა ან სხვა დანაშაული, რომელიც ასევე ითვალისწინებს სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთას.

აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში განაჩენების უფრო სასარგებლო კანონის რედაქციასთან შესაბამისობაში მოყვანის შემთხვევაში, არ წარმოიშობა მსჯავრდებულისთვის საბოლოოდ განსაზღვრული უვადო თავისუფლების აღკვეთის სავალდებულო შეცვლის შესაძლებლობა. აღნიშნული სასამართლოს განსახილველი და შესაფასებელი საკითხია.

მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სამართალწარმოების სხვადასხვა ხარვეზები, როგორიცაა: რამდენიმე პირის მიმართ საქმეში ბრალდების დაუსაბუთებლობა, სასამართლოს მიერ არ მოხდა სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას ერთ-ერთი

---

[566] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 2 ოქტომბრის N2024/5130 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) თბილისის სააპელაციო სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 4 დეკემბრის N2024/6879 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და 2024 წლის 5 დეკემბრის N2024/6934 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

[567] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 7 ნოემბრის განაჩენი, საქმე N1/აგ35-24.

მნიშვნელოვანი გარემოების, როგორც მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის წინაპირობისა და არსებითი გარემოების შესახებ მსჯელობა და გაზიარების ან/და უარყოფის შესახებ არგუმენტების წარმოდგენა.

ერთ-ერთ საქმეში პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი ორი პირის განზრახ მკვლელობაში, მხოლოდ მის მიერ საეჭვო გარემოებებში მიცემული აღიარების საფუძველზე. საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები მსჯავრდებულის მიერ დანაშაულთან შემხებლობას არც ადასტურებდნენ და არც უარყოფენ. შესაბამისად, **გამამტყუნებელი განაჩენები მსჯავრდებულის მიმართ ვერ აკმაყოფილებს განაჩენის დასაბუთებულობის სტანდარტს როგორც პირის დამნაშავედ ცნობის, ისე სასჯელის ზომის განსაზღვრის ნაწილში.**[568]

სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს კიდევ ორი უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ.[569] დაფიქსირდა ასევე ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოების დაუსაბუთებლობის[570] პრობლემაც.[571] ერთ-ერთ საქმეში კი გამოიკვეთა სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მიუხედავად, დანაშაულის ჩადენამდე გარდაცვლილებსა და მსჯავრდებულს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებისა და გარემოებების შეუფასებლობა და იგნორირება, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა საქმეზე.[572]

ერთ-ერთ საქმეში დაფიქსირდა, რომ მსჯავრდებულებს დაუსაბუთებლად შეეზღუდათ მათი ბრალდების სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთ სხდომაზე დასწრების უფლება.[573]

გარდა სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ დაშვებული ხარვეზებისა, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა ბრალდების საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმე სასამართლოსა და პროკურატურაში მოძიებული ვერ იქნა.[574] საგამოძიებო ორგანოს მცდელობის მიუხედავად, საქმის მასალების სრულად აღდგენა ვერ მოხერხდა, რაც მსჯავრდებულს ართმევს ახლად

---

[568] ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის განაჩენი საქმეზე N1/2225-10. განაჩენი უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 3 იანვრის განაჩენით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის განჩინებით დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

[569] გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის განაჩენი ნ.ჩ.-ს მიმართ და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 მარტის განაჩენი.

[570] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 მარტის განაჩენი, საქმე N1/361. განაჩენი უცვლელი დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის განაჩენით (საქმე N1/ბ-529-2007 წ.) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განჩინებით (საქმე N1527აპ).

[571] ვინაიდან პირს მსჯავრი დაედო დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ჩადენაში და მისი ქმედება მოიცავდა ერზე მეტ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, მხოლოდ ერთი მაკვალიფცირებელი ნიშნის დაუსაბუთებლობა ვერ მოახდენდა არსებით გავლენას ქმედების კვალიფიკაციასა და სასჯელზე.

[572] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2001 წლის 19 თებერვლის განაჩენი (საქმე N2-32) და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2001 წლის 9 ივლისის განჩინება (N25 კოლ).

[573] სისხლის სამართლის N083070018 საქმე რ. ა.-ს, გ. ა.-ს, დ. ბ.-ს და ი. ა.-ს მიმართ.

[574] სისხლის სამართლის N8798812 საქმე გ.მ.-ს მიმართ.

გამოვლენილი გარემოებების გამო განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარდა საქმის განხილვისას დაშვებული ხარვეზებისა, ოთხ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, საქმის განხილვის დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, არ ჰქონდათ მათი ბრალდების საქმეზე განაჩენის გასაჩივრების უფლება და შესაბამისად, ვერ ისარგებლეს ორ ინსტანციაში საქმის განხილვის შესაძლებლობით.[575]

სპეციალური ანგარიში ასევე მოიცავს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას გამოვლენილ საკითხებსაც.

პენიტენციურ დაწესებულებებში სასჯელის მოხდის განმავლობაში მსჯავრდებულთა ყოფაქცევისა და პირადი ისტორიის გათვალისწინებით, მსჯავრდებულების მონაცემები განსხვავდება, რაც გამოიხატება როგორც წახალისებებისა და მიღებული დისციპლინური სახდელების, ისე აქტივობის, დანაშაულის მიმართ დამოკიდებულების, რესოციალიზაციისკენ მიდრეკილებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების მიხედვით.

მიუხედავად ამისა, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი, არც ერთი მსჯავრდებულის შემთხვევაში, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშების მიხედვით, არ არის საშუალოზე დაბალი, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ამ ნაწილში მათი შეფასება შესაძლოა იყოს შაბლონური და არა - ინდივიდუალურ მონაცემებზე მორგებული. გასათვალისწინებელია, რომ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც სასამართლო მხედველობაში იღებს მსჯავრდებულზე შეღავათის გავრცელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებს, კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეეცვალოთ შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან/და გათავისუფლდენენ სასჯელის შემდგომი მოხდისგან, 2024 წლის მდგომარეობით, ასეთი საშეღავათო მექანიზმის გამოყენებით არც ერთ უვადო თავისუფლებაღკვეთილ მსჯავრდებულს არ დაუტოვებია პენიტენციური დაწესებულება.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე სპეციალური ანგარიშის მიგნებები, ყველა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის უფლებების ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნით, დაეხმარება საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, სასამართლოებს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ

[575] 1998 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი არ საჩივრდებოდა.

სამსახურს, ასევე ყველა სხვა რელევანტურ უწყებას, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისას. მაგალითად, ახალი ამნისტიისა თუ შეწყალების აქტის გამოცემისას, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე მსჯელობისას, გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის ანგარიშის მომზადებისას და სხვა.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულება, მათ შორის, მსხვერპლთა ოჯახების ინტერესების ადეკვატური დაცვა. ამავდროულად, აღნიშნულმა არ უნდა შექმნას იმგვარი მდგომარეობა, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების უფლებრივი გარანტიები და მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების პერსპექტივები დარჩეს კანონმდებლობის ილუზორული ხასიათის ფორმალურ ჩანაწერებად.

8.3. პირობით ვადამდე გათავისუფლების პრაქტიკა

სახალხო დამცველის აპარატმა საზოგადოებას არაერთხელ გააცნო იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის - ადგილობრივი საბჭოების (შემდეგში - ადგილობრივი საბჭოები) საქმიანობის მონიტორინგის შედეგები. გამოვლენილი ხარვეზები დეტალურად აისახა სახალხო დამცველის როგორც სპეციალურ,[576] ისე, წლიურ ანგარიშებში.[577]

საანგარიშო პერიოდში აპარატმა კვლავ შეამოწმა ამ საშეღავათო მექანიზმის მუშაობის ეფექტიანობა როგორც ვადიან თავისუფლებააღკვეთილ, ისე უვადოდ თავისუფლბააღკვეთილ მსჯავრდებულებთან მიმართებით.

---

[576] იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში“, 2019 წ.;
<https://ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა“, 2014 წ;

[577] იხ. <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2020 წ., გვ. 107-110;
<https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> - საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2021 წ., გვ. 86-90;
<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040113411364936.pdf> - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, გვ. 25-29;
<https://ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf> - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 56-69;
<https://www.ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf> - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 111-131.
< https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf > - სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 226-263.

8.3.1. ვადიანი თავისუფლებააღკვეთილები

სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდშიც გამოითხოვა ექვსივე ადგილობრივი საბჭოს - აღმოსავლეთ საქართველოს პირველი და მეორე ადგილობრივი საბჭოების, ასევე, ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მიერ 2024 წლის აპრილში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოსა და არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მიერ 2024 წლის ოქტომბერში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი,[578] ასევე, ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.[579]

წარმოდგენილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ სამწუხაროდ, **მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა საანგარიშო პერიოდშიც გაუარესებულია:** 2019 წელს პირობით ვადამდე 1279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, 2020 წელს - 830, 2021 წელს - 829, 2022 წელს - 635, 2023 წელს - 434.[580] აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლი საანგარიშო პერიოდშიც გაუარესდა, კერძოდ, 2024 წელს სასჯელის მოხდისაგან 342 მსჯავრდებული გათავისუფლდა.[581]

გაუარესების ტენდენცია აღინიშნა ასევე, სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკაშიც. კერძოდ, 2019 წელს სასჯელი 236 მსჯავრდებულს შეეცვალა, 2020 წელს - 545-ს, 2021 წელს - 440, 2022 წელს - 388, 2023 წელს - 274-ს.[582] რეგრესი 2024 წელსაც შენარჩუნდა და სასჯელი მხოლოდ 202 მსჯავრდებულს შეეცვალა.[583]

---

[578] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 28 ნოემბრის № 2024/6735 წერილი.
[579] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 8 იანვრის წერილი.
[580] იხ. < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf > საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 226-227.
[581] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის № 20774/01 წერილი.
[582] იხ. < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf > - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 227.
[583] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის № 20774/01 წერილი.



სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო მოთხოვნილი ექვსივე ადგილობრივი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასლები.[584] მოწოდებული მასალები წარმოდგენილია დეპერსონიფიცირებული (დაშტრიხული) სახით, რაც შრომატევად საქმიანობას და დიდ ადამიანურ რესურსს მოითხოვს. სახალხო დამცველის აპარატი მადლობას უცხადებს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს თანამშრომლობისთვის.

გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები. კერძოდ, გასული საანგარიშო წლის მსგავსად, ადგილობრივი საბჭოები 2024 წელს მიღებულ გადაწყვეტილებებშიც ვრცელ დასაბუთებას გვთავაზობენ, სადაც მსჯავრდებულის საქმე შეფასების თითოეული კრიტერიუმის მიხედვით არის მიმოხილული, რაც მისასალმებელია. თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ გამოიკვეთა რიგი გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობის პრობლემა, კრიტერიუმების არაერთგვაროვანი შეფასების პრაქტიკა, ცალკეული კრიტერიუმების შეფასების პრობლემა და სხვა. აღნიშნული პრობლემატიკა დეტალურად იქნება გაანალიზებული ანგარიშის წინამდებარე ქვეთავში. ასევე, მიმოხილული იქნება საანგარიშო პერიოდში, აპარატის მიერ ინდივიდუალური საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ საშეღავათო მექანიზმის გავრცელების პრაქტიკა.

[584] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 11 დეკემბრის № 370918/01, 2024 წლის 30 დეკემბრის № 389794/01, 2025 წლის 16 იანვრის № 10639/01, 2025 წლის 17 იანვრის № 11838/01, 2025 წლის 17 იანვრის № 12674/01, 2025 წლის 17 იანვრის № 12525/01, 2025 წლის 20 იანვრის № 14063/01, 2025 წლის 20 იანვრის № 14043/01, 2025 წლის 20 იანვრის № 14064/01, 2025 წლის 20 იანვრის № 14061/01, 2025 წლის 20 იანვრის № 14102/01, 2025 წლის 24 იანვრის № 20321/01, 2025 წლის 31 იანვრის № 27922/01 წერილები.

გადაწყვეტილებების დასაბუთება

წინა წლებში ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკაში, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ხარვეზად უარყოფითი გადაწყვეტილებების დასაბუთების შაბლონური ხასიათი იდენტიფიცირდებოდა. კერძოდ, გადაწყვეტილებებში საბჭოები მხოლოდ ფორმალურად უთითებდნენ იმ კრიტერიუმებზე, რომელთა გათვალისწინებითაც მიიღებოდა უარყოფითი გადაწყვეტილება, დეტალური მსჯელობა კი შემოთავაზებული არ იყო. დადებით გადაწყვეტილებებში კი სამოტივაციო ნაწილი საერთოდ არ იყო წარმოდგენილი.

გასული წლის საანგარიშო პერიოდში, მოცემული მიმართულებით, პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა და ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მრავალფეროვან დასაბუთებას შეიცავდა.[585] მისასალმებელია, რომ აღნიშნული ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნებულია. კერძოდ, ადგილობრივი საბჭოები, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში, შეფასების ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით, დეტალურად მიმოიხილავენ მსჯავრდებულის პირად საქმეს და თითოეული კრიტერიუმის შეფასების საფუძველზე აფასებენ მსჯავრდებულის საქმეს.

ამდენად, **სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ძირითადად, დასაბუთებულია და ამ მიმართულებით სისტემური ხარვეზები არ იკვეთება, რაც მისასალმებელია.**

მიუხედავად მოცემული მიმართულებით გამოხატული დადებითი ტენდენციისა, სახალხო დამცველის აპარატმა დააფიქსირა კონკრეტული საქმეები, სადაც დასაბუთების პრობლემა კვლავაც იკვეთება. კერძოდ, ზოგიერთ უარყოფით და ასევე, დადებით გადაწყვეტილებაში, საბჭოს მიერ შემოთავაზებული დასაბუთება პრობლემურია და განსხვავდება არსებული პრაქტიკისგან. მაგალითად:

> **საქმე N1.** - მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (2 ეპიზოდი), რისთვისაც განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით; მსჯავრდებულის განმარტებით, მიღებული აქვს საშუალო განათლება, გააჩნია სამუშაო გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით; არის ქვრივი, ჰყავს 2 შვილი, რომლებიც დაოჯახებულები და დასაქმებულები არიან, ჰყავს 4 შვილიშვილი; ოჯახის წევრების მატერიალური მდგომარეობა არის კარგი; ოჯახთან აქვს კარგი ურთიერთობა, სარგებლობს მათთან კუთვნილი სატელეფონო საუბრის უფლებით, გრძნობს მათ ფინანსურ და მორალურ მხარდაჭერას. მსჯავრდებულის განმარტებით, ოჯახი მას გათავისუფლების შემდეგ დაეხმარება საჭიროების მიხედვით; მსჯავრდებულს ასევე ჰყავს ძმა, რომელიც ხე-ტყვის ბიზნესით არის დაკავებული და ეხმარება ფინანსურად. მსჯავრდებულის სამომავლო გეგმები

[585] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 230, < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >

დაკავშირებულია დასაქმებასთან, თვითგანვითარებასთან, შვილიშვილებზე მზრუნველობასთან, გეგმავს ძველი საქმიანობის გაგრძელებას - თევზითა და ხილით ვაჭრობას; მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში ჩაერთო შემთხვევის მართვის პროცესში, მოტივირებულია და გამოთქვამს მზაობას, ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამებში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში გაიარა ფიტნეს ინსტრუქტორის, სტილისტობის, მეფუტკრეობის კურსები, დაინტერესებულია კულინარიით; აქტიურად უვლის ყვავილებს, მოჰყავს ბოსტნეული, ასევე, დაახლოებით 4 წელია, რაც დასაქმებულია დაწესებულებაში დასუფთავების მიმართულებით. მსჯავრდებული გამოთქვამს სურვილს, გაიაროს სასწავლო კურსები უცხო ენების მიმართულებით; აქტიურად ვარჯიშობს დაწესებულებაში გამოყოფილ სპორტულ დარბაზში; აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; დისციპლინური სახდელი არ ჰქონია, წახალისებულია 3-ჯერ; კარგი ურთიერთობა აქვს მსჯავრდებულებთან, არ არის კონფლიქტური, თავაზიანია თანამშრომლებთან მიმართებაში; ნასამართლობის არმქონე. ადგილობრივმა საბჭომ, დეტალურად იმსჯელა თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. კერძოდ, საბჭომ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი უარყოფითად შეაფასა; მსჯავრდებულის ქცევასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ მოცემული კრიტერიუმის დადებითად შეფასებისთვის, აუცილებელია მისი ქცევის დადებითი განვითარების დინამიკა ჩანდეს მკაფიოდ, რაც წახალისების სხვადასხვა ფორმით შეიძლება იქნეს გამოხატული. საბჭო მიესალმა მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ წახალისების ფაქტებს, თუმცა, აღნიშნული საკმარისად არ მიიჩნია; საბჭომ დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ არის; ოჯახური პირობების შეფასებისას საბჭო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის ოჯახური გარემო მის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდეც არსებობდა, რაც ვერ გახდა შემაკავებელი და მისი ქცევის განმსაზღვრელი. საბჭოს განმარტებით, რთულია მოცემული გარემოებების საფუძველზე, აღნიშნული კრიტერიუმი პოზიტიურად შეფასდეს; მსჯავრდებულის პიროვნების შეფასებისას საბჭო ყურადღებას კვლავ ჩადენილ დანაშაულზე ამახვილებს და განმარტავს, რომ ნარკოტიკული დანაშაული, თავისი არსით, უკიდურესად გასაკიცხ ქმედებას წარმოადგენს და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, სანდოობის მაღალი ხარისხი არ გამოიკვეთა, რომელიც საბჭოს დაარწმუნებდა, რომ იგი მზადაა საზოგადოებაში დაბრუნებისთვის. საბჭომ იმსჯელა იმ ფაქტზე, რომ მსჯავრდებული ჩართულია სხვადასხვა აქტივობაში, თუმცა უდავოდ ვერ იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ

მსჯავრდებულის მიმართ რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის საჭიროება აღარ არსებობს.[586]

საქმე N2. - მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 126[1] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი), 126[1] მუხლის პირველი ნაწილით (2 ეპიზოდი), 273[1] მუხლის მე-4 ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 1 წელი შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულის განმარტებით, არის დაოჯახებული, ოჯახში ჰყავს მეუღლე და ორი შვილი, ოჯახის წევრებთან აქვს ნორმალური დამოკიდებულება, სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული სარგებლობს პაემნებითა და სატელეფონო კომუნიკაციით. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საშუალოა; მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებულს მის მიმართ წინააღმდეგობრივი პოზიცია არ აქვს, შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი. სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას აქვს ბიზნესი, გათავისუფლების შემდეგ აპირებს გააგრძელოს შრომა და იზრუნებს ოჯახზე; მსჯავრდებულმა უარი განაცხადა სოციალურ აქტივობებში მონაწილეობაზე; ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული არ ყოფილა, სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევისთვის დასჯილია 1-ჯერ; დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მსჯავრდებულებთან მიმართებაში არის საშუალო დამოკიდებულებაში; მსჯავრდებულს წარსულში ჩადენილი აქვს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. ადგილობრივმა საბჭომ იმსჯელა და შეაფასა თითოეული კრიტერიუმი. კერძოდ, დანაშაულის ხასიათი საბჭომ, მართალია, უარყოფითად შეაფასა, თუმცა, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა და როგორც ზეპირი გასაუბრებისას აღნიშნა, ის იაზრებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; მსჯავრდებულის ქცევასთან დაკავშირებით საბჭო აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული დასჯილია ერთხელ, იქვე უთითებს, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რაც საბჭოს მისი ქცევის აშკარა ნეგატიურ ცვლილებაზე მსჯელობის საფუძველს მისცემდა; წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების შედეგად მიიჩნია, რომ მსჯავრდებული სანიმუშოდ ასრულებს მასზე კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს და მისი ქცევა დადებითად შეფასდა; წარსულში ჩადენილი დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებით საბჭო მხოლოდ მიუთითებს ნასამართლობის ფაქტზე და შეფასებას არ აკეთებს; ოჯახურ პირობებთან დაკავშირებით საბჭო მიუთითებს, რომ მსჯავრდებულის ოჯახი დამცავი ფაქტორი იქნება მისი გათავისუფლების შემდგომ რესოციალიზაციის კუთხით, ხელს

[586] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება.

შეუწყობს მის ინტეგრაციას საზოგადოებაში და ეყოლება ძლიერი მხარდამჭერი ოჯახის წევრების სახით; მსჯავრდებულის პიროვნების შეფასებისას, საბჭო განმარტავს, რომ მსჯავრდებული ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, რასაც დადებითად აფასებს, აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში არ გამოუვლენია ისეთი კანონდარღვევა, რაც ნეგატიურად აისახებოდა საბჭოს გადაწყვეტილებაზე; საბჭოს შეფასებით, მსჯავრდებული არ არღვევს დაწესებულებაში მოქმედ წესებს, ასევე, აანალიზებს ჩადენილ დანაშაულს; საბჭომ იმსჯელა მსჯავრდებულის აშკარა პოზიტიურ ცვლილებაზე და მიიჩნია, რომ სასჯელის მიზნები მიღწეულია და დააკმაყოფილა შუამდგომლობა პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.[587]

შეფასება: როგორც პირველი საქმიდან ირკვევა, მსჯავრდებულს მკვეთრად გამოხატული დადებითი პირადი საქმე აქვს. კერძოდ, იგი სასჯელის მოხდის განმავლობაში დადებითი ქცევით გამოირჩევა და არაერთხელ დაიმსახურა წახალისება; არ არის ნასამართლევი, ოჯახთან აქვს მყარი კავშირები და მსჯავრდებულის მიმართ იკვეთება ოჯახის წევრების მხარდაჭერა, მსჯავრდებულს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამომავლო გეგმები; რაც შეეხება მის პიროვნებას, იგი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ღონისძიებებში და ავლენს მზაობას რესოციალიზაციისკენ. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი საბჭო უარყოფითად აფასებს ამ კრიტერიუმებს ან საკმარისად არ მიიჩნევს მიღწეულ პროგრესს. **რჩება შთაბეჭდილება, რომ მოცემულ საქმეში უარყოფითი გადაწყვეტილების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ჩადენილი დანაშაულის ხასიათია, თუმცა, ამას საბჭო მკაფიოდ არ მიუთითებს.** რაც შეეხება მეორე საქმეს, მსჯავრდებულს აშკარად უარყოფითი პირადი საქმე აქვს, თუმცა, საბჭო დასაბუთების ნაწილში ძალზე სუსტ მსჯელობას გვთავაზობს. კერძოდ, მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის რამდენიმე ეპიზოდისთვის არის გასამართლებული, თუმცა, საბჭო ლოიალურია და დანაშაულის ხასიათის კრიტერიუმის დადებითად შეფასებისთვის მსჯავრდებულის მხრიდან სინანულს საკმარისად მიიჩნევს; საბჭომ მსჯავრდებულის ქცევაც დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ იგი სანიმუშოდ ასრულებს მოვალეობებს, მიუხედავად იმისა, რომ პირადი საქმის მიხედვით, იგი დისციპლინური წესით დასჯილი იყო ერთხელ, ხოლო, წახალისება არ დაუმსახურებია. როგორც წესი, საბჭოები, მსჯავრდებულების მხრიდან მხოლოდ მოვალეობების შესრულებას საკმარისად არ მიიჩნევენ და კრიტერიუმის დადებითად შეფასებისთვის აუცილებლად მიიჩნევენ წახალისების ქონას, თუმცა, მოცემულ საქმეში საბჭო ამ საკითხს გვერდს უვლის, ისევე, როგორც წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს; ოჯახური პირობებიც დადებითად შეფასდა და საბჭომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში ოჯახი

[587] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

> დამცავი ფაქტორი იქნებოდა, რაც გაუგებარია, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა პირი მსჯავრდებულია ოჯახური დანაშაულის რამდენიმე ეპიზოდისთვის, მსჯავრდებულს კი დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა წარმოდგენილი არ ჰქონია; რაც შეეხება მსჯავრდებულის პიროვნებას, როგორც პირადი საქმიდან ჩანს, **მან უარი განაცხადა სოციალურ აქტივობებში მონაწილეობაზე, არ დაუმსახურებია წახალისება, დისციპლინურად დასჯილია ერთხელ. აღნიშნულ გარემოებებს საბჭოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მსგავს შემთხვევებს, უმეტესად, უარყოფითად აფასებენ. თუმცა, მოცემულ საქმეში საბჭომ მაინც დადებითად შეაფასა მსჯავრდებულის პიროვნება.**

სახალხო დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია და განსხვავდება ადგილობრივი საბჭოების არსებული პრაქტიკისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შემთხვევები არ არის მხოლოდ ერთეული.

ძირითადი კრიტერიუმების შეფასების არაერთგვაროვანი პრაქტიკა

ადგილობრივი საბჭოები მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვისას შეფასების ხუთი ძირითადი კრიტერიუმით[588] ხელმძღვანელობენ.

საანგარიშო პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზით ირკვევა, რომ **საბჭოები ძირითადად, უარყოფითად აფასებენ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მსჯავრდებულის მხრიდან სოციალური აქტიურობისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებებში მონაწილეობის მისწრაფების არქონას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისების არქონას და სხვა.** თუ აღნიშნული კრიტერიუმებით შეფასებისას არ იკვეთება მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მნიშვნელოვანი პროგრესი, ადგილობრივი საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება ლოგიკურია და საბჭოს მსჯელობაც დასაბუთების სტანდარტს აკმაყოფილებს.

სამწუხაროდ, წარმოდგენილი გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, ძირითადი კრიტერიუმების შეფასების არაერთგვაროვანი პრაქტიკა გამოიკვეთა. თუკი საბჭოების უმრავლეს გადაწყვეტილებებში ძირითადი კრიტერიუმები ერთგვაროვნად ფასდება და შესაბამისად, მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებებიც დასაბუთებულია, **გხვდება დადებითი გადაწყვეტილებები, სადაც მსჯავრდებულის პირადი საქმე არ განსხვავდება იმ პატიმრების პირადი საქმეებისგან, ვის მიმართაც უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული,**

[588] დანაშაულის ხასიათი; მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; ოჯახური პირობები; მსჯავრდებულის პიროვნება.

თუმცა, საბჭოები ამ შემთხვევაში, იგივე კრიტერიუმებს განსხვავებულად აფასებენ. მაგალითად:

> **საქმე N1.** მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 120 მუხლის მე-2 ნაწილითა და სსკ-ის 120 მუხლის მე-2 ნაწილით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, ასევე, ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით (საპროცესო). მსჯავრდებული არის დასაოჯახებელი, ოჯახში ჰყავს დედა, მამა, 1 ძმა და 3 და, რომლებიც ცხოვრობენ თურქეთში; ოჯახთან ურთიერთობს სატელეფონო კომუნიკაციით; ოჯახის მატერიალური მდგომარეობა არის საშუალო; მსჯავრდებულის განმარტებით, დაზარალებულის პოზიცია დადებითია, მაგრამ ცნობა ჯერ ვერ წარმოადგინა; ასევე, მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; მსჯავრდებული სოციალურ აქტივობებში ენობრივი ბარიერის გამო ვერ მონაწილეობს; აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; სასჯელის მოხდის პერიოდში, დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა; დაწესებულების დებულების, დღის განრიგისა და სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დაცვაში რაიმე სახის დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა; დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სხვა მსჯავრდებულებთან მიმართებაში ნორმალურ დამოკიდებულებაშია; არ არის წარსულში ნასამართლევი. საბჭომ შეაფასა თითოეული კრიტერიუმი, კერძოდ: 1) ჩადენილი დანაშაულის ხასიათი ცალსახად ნეგატიურად შეაფასა; 2) მსჯავრდებულის ქცევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ წესრიგისა და დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა არის ვალდებულება და არა უფლება და იმისათვის, რომ ქცევა დადებითად შეფასდეს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ მსჯავრდებული არ არის დისციპლინური წესით დასჯილი, საკმარისი არ არის და აუცილებელია, რომ მსჯავრდებულის ქცევის დადებითი განვითარების დინამიკა ჩანდეს მკაფიოდ, რაც წახალისების სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს. ამდენად, მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში დადებითად ვერ შეფასდა; 3) წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით, საბჭო განმარტავს, რომ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ არის; 4) ოჯახურ პირობებთან დაკავშირებით საბჭო უთითებს, რომ მსჯავრდებულის მიერ არ წარმოდგენილა რაიმე ისეთი გარემოება ან საფუძველი, რაც მას აძლევს მოტივაციას, ოჯახი აღიქვას, როგორც ზრუნვის საგანი და ამ კუთხით ცხოვრებისეული მიზნები დაისახოს და ა. შ.; 5) მსჯავრდებულის პიროვნებაზე მსჯელობისას საბჭო უთითებს, რომ ამ კრიტერიუმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილი დანაშაულის მიმართ, დაწესებულების მოსამსახურეებთან, სოციალურ აქტივობებში მის მონაწილეობას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ვინაიდან, წარმოდგენილი ინფორმაციით, დასახელებული მიმართულებებით არ იკვეთებოდა მსჯავრდებულის აქტიურობა,

მისი პიროვნება უარყოფითად შეფასდა. საბოლოოდ, ადგილობრივმა საბჭომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.[589]

საქმე N2. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2 წელი განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 6 წელი ჩაეთვალა პირობით. მსჯავრდებულის განმარტებით, ოჯახში ჰყავს მოხუცი დედა, რომელსაც უკავშირდება ტელეფონით; ოჯახის და ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა არის დაბალი, ოჯახი არის სოციალურად დაუცველი. მსჯავრდებულის განმარტებით, დაზარალებულს მის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია, თუმცა, ნოტარიულად დადასტურებული თანხმობა ვერ წარმოადგინა; მსჯავრდებულს სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია; ის აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი ან წახალისებული არ ყოფილა; დაწესებულების დებულების, დღის განრიგისა და სამართლებრივი რეჟიმის მოთხოვნათა დარღვევაში შემჩნეული არ ყოფილა; დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართ არის ნორმალურ დამოკიდებულებაში; წარსულში ნასამართლევი არ არის. საბჭომ ძირითადი კრიტერიუმები შემდეგნაირად შეაფასა: 1) დანაშაულის ხასიათი საბჭომ უარყოფითად შეაფასა, თუმცა, მხედველობაში მიიღო ის დადებითი გარემოებები, რომ მსჯავრდებულს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, რაც იმის მტკიცებულებად იქნა მიჩნეული, რომ ის მზად იყო ეთანამშრომლა გამოძიებასთან; 2) მსჯავრდებულის ქცევასთან დაკავშირებით საბჭომ აღნიშნა, რომ მართალია, მსჯავრდებული წახალისებული არ არის, თუმცა, მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულს დისციპლინური გადაცდომა არ ჩაუდენია და რომ იგი ვალდებულებებს სანიმუშოდ ასრულებს. ამდენად, მსჯავრდებულის ქცევა დადებითად შეფასდა; 3) წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით საბჭო უთითებს, რომ წარმოდგენილი დახასიათების მიხედვით, მსჯავრდებულის წარსულში ნასამართლევი არ არის და ამდენად, აღნიშნული კრიტერიუმი დადებითად შეფასდა; 4) ოჯახურ პირობებთან დაკავშირებით მითითებულია, რომ წარმოდგენილი მასალებიდან საბჭოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის ოჯახი დამცავი ფაქტორი იქნება მისი გათავისუფლების შემდეგ რესოციალიზაციის კუთხით და ხელს შეუწყობს მის ინტეგრაციას საზოგადოებაში და ეყოლება ძლიერი მხარდამჭერი ოჯახის წევრების სახით; ამდენად, აღნიშნული კრიტერიუმიც დადებითად შეფასდა; 5) რაც შეეხება მსჯავრდებულის პიროვნებას, საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მსჯავრდებული ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, არასოდეს დასჯილა დისციპლინური წესით და იცავდა სარეჟიმო

[589] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

მოთხოვნებს, საბჭომ იმსჯელა იმ ფაქტზე, რომ ის აანალიზებს ჩადენილ დანაშაულს, მისი ქცევის აშკარა პოზიტიურ ცვლილებაზე, პიროვნული მახასიათებლების დადებით განვითარებაზე და გათავისუფლების შემდგომ ეფექტიან რესოციალიზაციაზე. საბჭომ აღნიშნული კრიტერიუმიც დადებითად შეაფასა და საბოლოოდ, შუამდგომლობა დააკმაყოფილა.[590]

შეფასება: როგორც ვხედავთ, **ადგილობრივი საბჭო მოცემულ ორ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებულად განმარტავს და აფასებს შეფასების კრიტერიუმებს.** მაგალითად, მსჯავრდებულის ქცევასთან დაკავშირებით, თუ პირველ საქმეში საბჭო განმარტავს, რომ წესრიგის დაცვა მსჯავრდებულის ვალდებულებაა და არა უფლება და რომ ამ კრიტერიუმის დადებითად შეფასებისთვის უნდა ჩანდეს ქცევის ცვლილების დადებითი დინამიკა, რაც მსჯავრდებულის მიმართ წახალისების ფორმით შეიძლება გამოიხატოს და კრიტერიუმს, საბოლოოდ, უარყოფითად აფასებს, მეორე საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული არც ამ შემთხვევაშია წახალისებული, საბჭო, ამ კრიტერიუმის დადებითი შეფასებისთვის საკმარისად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რომ მსჯავრდებული ვალდებულებებს იცავს. ოჯახურ პირობებთან დაკავშირებითაც საბჭოს შეფასება განსხვავებულია და მისი შეფასებებიდან აღქმადი არ არის, რატომ მიიჩნია, რომ მეორე საქმეში მსჯავრდებულის ოჯახი დამცავი ფაქტორი იქნებოდა მისი გათავისუფლების შემთხვევაში, მაშინ, როდესაც მსჯავრდებულს ოჯახში ყავდა მხოლოდ მოხუცი დედა და ოჯახის მატერიალური მდგომარეობა დაბალი იყო, ხოლო პირველ საქმეში, სადაც მსჯავრდებულს ჰყავდა დედა, მამა, 1 ძმა და 3 და, რომლებიც თურქეთში მუშაობდნენ და ოჯახის მატერიალური მდგომარეობა საშუალო იყო, ოჯახი ვერ შეასრულებდა მსჯავრდებულის დამცავი ფაქტორის როლს. **საბჭოს გადაწყვეტილებებიდან არ ჩანს, ამ კრიტერიუმის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი რა განმასხვავებელი ფაქტორები იკვეთებოდა მოცემულ საქმეებში, რამაც განსხვავებული შეფასება განაპირობა.** რაც შეეხება მსჯავრდებულის პიროვნების შეფასებას, გადაწყვეტილებების მიხედვით, ორივე მსჯავრდებულს თანაბარი მახასიათებლები გააჩნიათ, კერძოდ, არცერთი არ არღვევს დაწესებულების დებულებებს, წახალისებები არ აქვთ, თუმცა, ვალდებულებებსაც ასრულებენ, სოციალურ აქტივობებში ჩართული არცერთი არ არის, ორივე აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, წარსულში ნასამართლევები არ არიან, თუმცა, საბჭო რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს: თუ ერთ შემთხვევაში წესრიგის დაცვას მსჯავრდებულის ვალდებულებად თვლის და მიიჩნევს, რომ სახეზე უნდა იყოს ქცევის დადებითად შეცვლის დინამიკა, რაც მსჯავრდებულის წახალისებაში შეიძლება გამოიხატოს, მეორე შემთხვევაში, წახალისების არქონის მიუხედავად, კრიტერიუმის დადებითად შეფასებისთვის მხოლოდ

[590] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

მსჯავრდებულის მხრიდან ვალდებულებების დაცვას საკმარისად მიიჩნევს. იგივე მიდგომას იჩენს საბჭო მსჯავრდებულთა სოციალურ აქტივობებში ჩართულობასთან დაკავშირებით. **ამდენად, ადგილობრივი საბჭოს მიერ კონკრეტული კრიტერიუმის ერთგვაროვან სიტუაციებში განსხვავებულად შეფასება პრობლემურია და კითხვებს წარმოშობს მის მიდგომებთან და სახელმძღვანელო სტანდარტებთან დაკავშირებით.**

ცალკეული კრიტერიუმების შეფასების პრობლემურობა

დანაშაულის ხასიათის შეფასება

მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი არის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელსაც ადგილობრივი საბჭოები აფასებენ მსჯავრდებულთან მიმართებაში. სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება სამართალდარღვევის ყველაზე მძიმე ფორმაა და ის, თავისი ბუნებით, უარყოფით სოციალურ მოვლენას წარმოადგენს. ამდენად, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, როგორც ერთ-ერთი შესაფასებელი კრიტერიუმი, დადებითად ვერ შეფასდება, რაც ბუნებრივია.

ამგვარად, „დანაშაულის ხასიათი", როგორც შეფასების კრიტერიუმი, თავის თავში არ მოიაზრებს იმას, რომ ის შეიძლება ზოგ შემთხვევაში დადებითად შეფასდეს, ზოგ შემთხვევაში - უარყოფითად. შესაბამისად, კანონმდებლის ნება, თითოეულ მსჯავრდებულთან მიმართებაში შეფასდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი, მოიაზრებს იმას, რომ დეტალურად უნდა შეფასდეს ჩადენილი ქმედების კონკრეტული მახასიათებლები - დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, ქმედების ჩადენის მოტივი, მიზანი, ხერხი, საშუალება, მსჯავრდებულის ქცევა დანაშაულის დროს და სხვა. ბუნებრივია, აღნიშნული გარემოებები, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურია და ამდენად, ადგილობრივი საბჭოებიც, ინდივიდუალურად უნდა აფასებდნენ ამ დეტალებს.

ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლით გამოიკვეთა, რომ ხშირად, საბჭოები არ უსადაგებენ დასახელებულ ინდივიდუალურ გარემოებებს განსახილველ საქმეში არსებულ ფაქტებს და შემოიფარგლებიან მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის დისპოზიციის აღწერით, დასაცავ სამართლებრივ სიკეთეზე მსჯელობით და სახელმწიფოს გაცხადებულ ამოცანაზე, ებრძოლოს ამ ტიპის დანაშაულებს:

> **საქმე N1**. მსჯავრდებულმა, სხვა პირებთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად შეიძინა და უკანონოდ გაასაღა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა", ჯამში 24 გრამამდე. მოცემულ საქმეში, დანაშაულის ხასიათის შეფასებისას საბჭო მიუთითებს ნარკოტიკული დანაშაულების დასჯადობის

მიზანზე - ჯანმრთელობის დაცვასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე. ასევე, უთითებს 1988 წლის კონვენციაზე, რომელიც ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ არის შემუშავებული და საქართველო მისი ხელმომწერია. აგრეთვე, მიუთითებს მოხმარებასა და გასაღებას შორის არსებულ გრადაციაზე და ამ უკანასკნელს, გაცილებით მაღალი საფრთხის შემცველს უწოდებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის.[591]

შეფასება: საბჭო აღწერს ქმედების კრიმინალიზაციის საფუძვლებს, საჭიროებებს, ლეგიტიმურ მიზნებს, ქმედების საშიშროებას. თუმცა, ის არ აღწერს და არ აფასებს, უშუალოდ, მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოტივს, ვის მიმართ არის დანაშაული ჩადენილი (გასაღების ეპიზოდი), რა საშუალებები იყო გამოყენებული ქმედების ჩასადენად და სხვა.

საქმე N2. ერთ-ერთ საქმეში პირი მსჯავრდებული იყო ქურდობის მცდელობისთვის. საბჭოს განმარტებით, „საბჭო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს განზრახ დანაშაულთა კატეგორიას, რომლის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ გამოწვევას. მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სპეციფიკის, მოსალოდნელი საფრთხეებისა და დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (არცერთ ამ ჩამოთვლილ ელემენტებზე არ აქვს მსჯელობა წარმართული მანამდე), სასჯელის სახით გამოყენებული თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა უნდა წარმოადგენდეს ქმედების შესაბამის, რეალურ და პროპორციულ საშუალებას სასჯელის მიზნის მისაღწევად. საბჭო მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს (აღნიშნული გარემოებები არც ამ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული), რაც ასევე მომეტებული საშიშროების მატარებელია.“[592]

შეფასება: მოცემულ საქმეში, გარდა იმისა, რომ ქმედება განზრახ იყო ჩადენილი, საბჭოს არ უმსჯელია მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულზე. მაგალითად, არ ახსენებს, რომ სახეზეა დაუმთავრებელი დანაშაული, მცდელობა. არ ახსენებს აგრეთვე სხვა რელევანტურ გარემოებებს, ქმედების სიმძიმის შესაფასებლად.

დასახელებულ ორივე საქმეში საბჭოს მიერ **წარმართული მსჯელობა არის ზოგადი, რაც თავის მხრივ იძლევა საშუალებას, რომ ის ნებისმიერ შემთხვევას მოერგოს და ადგილს არ ტოვებს ინდივიდუალური მიდგომის პრინციპისთვის.**

---

[591] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება.

[592] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, ადგილობრივი საბჭოს მიერ **დანაშაულის ხასიათზე მსჯელობისას არ იკვეთება რაიმე სახის გრადაცია/განსხვავება იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის დანაშაულია სახეზე, არის თუ არა ის ძალადობრივი, არის თუ არა ის განზრახი/გაუფრთხილებელი დანაშაული. საბჭო, ხშირად ერთ სიბრტყეზე აქცევს ყველა დანაშაულებრივ ქმედებას და არ იკვეთება ამ კრიტერიუმის მიხედვით ჩადენილი ქმედების ინდივიდუალური შეფასება:**

> **საქმე N1.** მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია სატრანსპორტო დანაშაული, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ხოლო მეორე ადამიანის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მოჰყვა. „საბჭო მოცემული კატეგორიის საქმეთა განხილვისას, სხვა გარემოებებთან ერთად ყურადღებას აქცევს დანაშაულის კატეგორიას, ხასიათს, ხერხს და მის ინტენსიურობას, ასევე აფასებს მომავალში მისი ჩადენის რისკებს, ასევე საყურადღებოა თავად მსჯავრდებულის პიროვნება და მისი დამოკიდებულება სოციუმთან დაკავშირებით. საბჭო მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს, რაც ასევე მომეტებული საშიშროების მატარებელია.“[593]
>
> **შეფასება:** მოცემულ შემთხვევაშიც, საბჭო არ მსჯელობს ქმედების ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, მის საშიშროებაზე, გაუფრთხილებელი დანაშაულის ბუნებაზე და სხვა. **ამგვარი მსჯელობის გარეშე, ქმედების მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების აღწერა, მისი ინდივიდუალური მახასიათებლების შეფასების გარეშე, აზრს უკარგავს ზოგადად მოცემული კრიტერიუმის შეფასების დანიშნულებას, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, დანაშაული თავისთავად უკვე უარყოფით მოვლენას წარმოადგენს და ის დადებითად ვერ შეფასდება.**

ოჯახური პირობების შეფასების საკითხი

ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლისას გამოიკვეთა საყურადღებო ტენდენცია ოჯახური პირობების შეფასების მიმართულებით. უარყოფითი გადაწყვეტილებების უმეტესობაში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მსჯავრდებული ოჯახურ მდგომარეობას პოზიტიურ კონტექსტში აღწერს (მიუთითებს, რომ ჰყავს ოჯახის წევრები, რომლებთანაც კარგი დამოკიდებულება აქვს, სისტემატურად სარგებლობს მათთან როგორც პაემნებით, ასევე, სატელეფონო კომუნიკაციით, დასაქმებულები არიან, მათი მატერიალური მდგომარეობა ნორმალურია და ამ მიმართულებითაც მხარს უჭერენ) და აღნიშნული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დახასიათებიდანაც დასტურდება, საბჭოები აღნიშნულ კრიტერიუმს უარყოფითად აფასებენ იმ მიზეზით, რომ კონკრეტული „მოცემულობა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე უკვე არსებობდა და ფაქტია, ოჯახი ვერ გახდა შემაკავებელი და მსჯავრდებულის ქცევის განმსაზღვრელი“ ან მიუთითებენ, რომ „რთულია

[593] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება.

კრიტერიუმი „ოჯახური პირობები“ ცალსახად პოზიტიურად შეფასდეს და გათავისუფლების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული იქნეს, როგორც პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევაში მსჯავრდებულის ქცევის დადებითი განმსაზღვრელი და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარანტი.“ ამასთანავე, საბჭო ხშირად აღნიშნავს, რომ „მსჯავრდებულის მიერ არ წარმოდგენილა რაიმე ისეთი გარემოება ან საფუძველი, რაც საბჭოს აფიქრებინებს, რომ ოჯახური პირობები იქნება მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევაში მისი დადებითი ქცევის განმსაზღვრელი“. მაგალითისთვის მიმოვიხილავთ რამდენიმე ასეთ შემთხვევას:

> **საქმე N1.** მსჯავრდებულის განმარტებით, არის დაოჯახებული, ჰყავს მეუღლე და ორი სრულწლოვანი შვილი, რომლებიც არიან დაოჯახებულები. ჰყავს ერთი სრულწლოვანი შვილიშვილი. მსჯავრდებულის ინფორმაციით, ოჯახის წევრები ცხოვრობენ საზღვარგარეთ, გარდა მეუღლისა და უფროსი შვილისა, რომლებიც არიან ქორეოგრაფები და ამზადებენ მოსწავლეებს, ოჯახის წევრებთან აქვს კარგი ურთიერთობა და სწორედ მათ მოიაზრებს მთავარ მხარდამჭერად. სარგებლობს პაემნის უფლებით, აქვს სატელეფონო საუბრები ოჯახის წევრებთან. მისივე გადმოცემით, ოჯახს აქვს საშუალო მატერიალური მდგომარეობა.[594]
>
> **საქმე N2.** მსჯავრდებულის განმარტებით, არის დაოჯახებული, ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი. მას აქვს განსაკუთრებულად თბილი და კარგი დამოკიდებულება ოჯახის წევრების მიმართ. შრომისუუნარო ოჯახში არ ჰყავს არავინ. მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.[595]
>
> **შეფასება:** მოცემულ შემთხვევებში, გაუგებარია ოჯახური პირობების შეფასების სტანდარტი. საბჭოების პოზიციით, მნიშვნელოვანია, აშკარად იკვეთებოდეს, რომ ოჯახი დამცავი ფაქტორის როლს შეასრულებს მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდგომ რესოციალიზაციის კუთხით და ხელს შეუწყობს მის რეინტეგრაციას საზოგადოებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილულ მაგალითებში, საბჭოების პოზიციით, რთული იყო „ოჯახური პირობების“ კრიტერიუმის პოზიტიურად შეფასება და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას გათვალისწინება, როგორც პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევაში მსჯავრდებულის ქცევის დადებითი განმსაზღვრელი და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარანტი. **ეს ზოგადი განმარტება პასუხგაუცემელს ტოვებს კითხვას იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული გარემოებების არსებობას ჩათვლის საბჭო ხელსაყრელად „ოჯახური პირობების“ დადებითად შეფასებისთვის ისეთ საქმეში, სადაც იკვეთება**

[594] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ქალ მსჯავრდებულთა განმხილველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება.

[595] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება.

მსჯავრდებულის მჭიდრო კონტაქტი ოჯახის წევრებთან, რაც თავის თავში, ოჯახის წევრების მხრიდან მსჯავრდებულის მიმართ მხარდაჭერასაც მოიაზრებს.

სოციალურ აქტივობებში ჩართულობა

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მსჯავრდებულის სოციალურ აქტივობებში ჩართულობას, როგორც ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ რიგ შემთხვევებში, მსჯავრდებულის სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ ან/და სხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის მიუხედავად, საბჭო აღნიშნულს ამა თუ იმ მიზეზის გამო დადებითად არ აფასებს. ამასთანავე, არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსჯავრდებული, სურვილის მიუხედავად, აქტივობებში კონკრეტული ხელშემშლელი გარემოებების გამო არ იყო ჩართული.

წარმოვადგენთ რამდენიმე საქმეს, სადაც მკაფიოდ იკვეთება სოციალურ აქტივობებში ჩართულობის შეფასების პრობლემა:

საქმე N1. მსჯავრდებული შემთხვევის მართვის პროცესში ჩართულია 2023 წლის 30 აგვისტოდან, ავლენს მაღალ პასუხისმგებლობას. 04.04.2023 წელს მონაწილეობა მიიღო ფონდ „სოხუმ"-თან არსებული ფორუმ თეატრის სპექტაკლის ჩვენება/განხილვაში. 19.10.2023 წელს გაიარა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა „ბრაზის მართვა". 31.10.2023 წელს მონაწილეობა მიიღო ფსიქო-სარეაბილიტაციო აქტივობაში „სინემა თერაპია". 06.11.2023 წელს დასაქმდა მშენებლობაზე შპს „არსი კონთრაქშენი". 01.08.2023 წლიდან 02.10.2023 წლამდე დასაქმებული იყო დაწესებულებაში არსებულ პურის საცხობში. 30.08.2024 წელი - წერა-კითხვის სწავლება (გაუმჯობესება). 26.09.2024 წელს - ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა არტ-თერაპია. 24.01.2024 წელს - ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა არტ-თერაპიის მე-2 მოდული. 19.04.2024 წელს ესწრებოდა საინფორმაციო შეხვედრას „ტრეფიკინგი - მონობის თანამედროვე ფორმა". 28.05.2024 წელს გადის ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამას „ემოციების რეგულაცია". 30.05.2024 წელს მონაწილეობა მიიღო ფსიქო-სარეაბილიტაციო აქტივობაში „სინემა თერაპია". 19.08.2024 წელს მონაწილეობა მიიღო ფსიქო-სარეაბილიტაციო აქტივობაში „სინემა თერაპია".[596]

საქმე N2. მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში აქტიურად არის ჩართული დაწესებულებაში მიმდინარე ფსიქო-სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში. 24.04.2021 წელს მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო პროგრამაში „გრაფიკული დიზაინი". 18.09.2021 წელს მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო პროგრამაში „მცირე

[596] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

ბიზნესის მწარმოებელი“. 11.07.2022 წელს მონაწილეობა მიიღო დოკუმენტური ფილმის ჩვენება/განხილვაში. 30.11.2022 წელს მონაწილეობა მიიღო ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის გამოფენა/სემინარში. 02.12.2022 წელს მონაწილეობა მიიღო ქალთა უფლებების ისტორიულ დისკუსიაში. 12.01.2023 წელს მონაწილეობდა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში „აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება“. 16.02.2023 წელს მონაწილეობა მიიღო დოკუმენტური ფილმის ჩვენება/განხილვაში. 08.02.2023 წელს მონაწილეობა მიიღო დოკუმენტური ფილმის ჩვენება/განხილვაში. 03.06.2023 წელს მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამაში „ინგლისური ენა (A1 დონე). მსჯავრდებული შემთხვევის მართვის პროცესში ჩართულია 2023 წლის 27 მარტიდან, ის სისტემატურად ესწრება პროგრამებს და ავლენს მაღალ პასუხისმგებლობას. 04.04.2023 წელს მონაწილეობა მიიღო ფონდ „სოხუმთან“ არსებული ფორუმ-თეატრის ჩვენება/განხილვაში. 07.04.2023 წელს მონაწილეობა მიიღო ფსიქო-სარეაბილიტაციო ტრენინგში „პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენციები“. 2023 წლის 17 მაისიდან 2023 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით 6-ჯერ მიიღო მონაწილეობა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში „სინემა თერაპია“. 07.09.2023 წელს გაიარა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა არტ-თერაპია. 25.01.2024 წელს გაიარა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა არტ-თერაპიის მე-2 მოდული. 02.04.2024 წელს გადის „თიხის თერაპია“ - პოლიმერულ, ჰაერზე შრობად და კერამიკულ თიხაზე მუშაობის კურსს. 22.04.2024 წელს მონაწილეობა მიიღო ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში „სინემა თერაპია“. 25.04.2024 წელს ესწრებოდა ტრენინგს „ტრეფიკინგი, მონობის თანამედროვე ფორმა“. 28.05.2024 წელს მონაწილეობა მიიღო „დოკუმენტური ფილმის ჩვენება/განხილვაში. 06.06.2024 წელს მონაწილეობდა ლიტერატურულ საღამოში. 10.06.2024 წელს მონაწილეობა მიიღო ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში „სინემა თერაპია“.[597]

შეფასება: ორივე შემთხვევაში, **მსჯავრდებულები ჩართულები იყვნენ არაერთ აქტივობაში, აშკარად იკვეთება სწავლისადმი უწყვეტი ინტერესი და მოტივაცია, ასევე, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის შეფასებით, პროგრამების მიმდინარეობისას ავლენდნენ მაღალ პასუხისმგებლობას და გაიუმჯობესეს სოციალური უნარები.** აღნიშნულის მიუხედავად, საბჭომ მიუთითა, რომ რთული იყო მსჯავრდებულების ქცევის პოზიტიურ ცვლილებაზე ან/და გათავისუფლების შემდგომ მათ ეფექტიან რესოციალიზაციაზე მსჯელობა.

საქმე N3. სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 4 აპრილის ერთ-ერთ

[597] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მსჯავრდებული ჩარიცხულია დაწესებულების სამეურნეო მომსახურებაში. მსჯავრდებული დასაქმებული იყო მაღაზიაში, სამრეცხაო განყოფილებაში, ელექტრომექანიკოსად მუშაობდა სამეურნეო ნაწილში. მონაწილეობა აქვს მიღებული ძალოსნობის, ჭადრაკის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის ტურნირებში. **თუმცა, საბჭო, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისას აღნიშნავს, რომ მას არ გაუვლია მიზნობრივი სოციალური აქტივობები.**

საქმე N4. მსჯავრდებულის განმარტებით, დაწესებულებაში აქტიურად იყო ჩართული სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში და გაიარა შემდეგი სარეაბილიტაციო პროგრამები: პენიტენციური სტრესის მართვა; პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობებში; „ცხოვრებისეული რისკები და პიროვნული რესურსები"; კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება; „ადამიანის განვითარება სოციალურ გარემოში"; ბრაზის მართვა; ბიბლიოთერაპია. აცხადებს, რომ პროგრამებში ჩართულობა აისახებოდა მის ქცევაზე, აუმაღლა სწავლის მოტივაცია და ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, გახდა სტუდენტი. დაწესებულებიდან დისტანციური სწავლის მეთოდით ჩაერთო სასწავლო პროცესში. მსჯავრდებული განმარტავს, რომ დაწესებულებაში ასევე ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამებში, გაიარა სამოქალაქო განათლება, გერმანული ენის, ისტორიის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის შემსწავლელი კურსები. ასევე, სახელობო კურსი - ხეზე კვეთა. ასევე, მსჯავრდებული სხვადასხვა პერიოდში ერთვებოდა სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში: ლექცია-სემინარი სხვადასხვა თემებზე; „აივ/შიდსისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციული ღონისძიებების გაძლიერება მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფებში; ინტელექტუალური ვიქტორინები; სუდოკუს ტურნირი. მაღალი აქტიურობის და არაერთი მიმართულებით აქტივობებში ჩართულობის მიუხედავად, **საბჭო მიუთითებს, რომ წარმოდგენილი ინფორმაციით, მსჯავრდებულს მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სოციალურ აქტივობებში, თუმცა, მხოლოდ აღნიშნულით რთულია საბჭომ იმსჯელოს მსჯავრდებულის ქცევის პოზიტიურ ცვლილებაზე ან/და გათავისუფლების შემდგომ მის ეფექტიან რესოციალიზაციაზე.**

შეფასება: სახალხო დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ **სოციალური აქტივობებით ასეთი დატვირთულობის შემთხვევებში, საბჭოს ნეგატიური შეფასება არ არის დასაბუთებული და სამართლიანი.** ამასთანავე, გაუგებარია აქტივობების „მიზნობრიობის" კონტექსტი. როგორც ზემოაღნიშნულ, ასევე, სხვა გადაწყვეტილებებში, არ არის დაკონკრეტებული, რომელი აქტივობები ითვლება მიზნობრივად და უზრუნველყოფს ქცევის პოზიტიურ ცვლილებას, განმეორებითი დანაშაულის ალბათობის შემცირებას და სასჯელის მიზნების

მიღწევას. **შესაბამისად, საბჭოს ეს პოზიცია მსჯავრდებულისთვის განჭვრეტადი არ არის, რა აქტივობებში უნდა ჩაერთოს სამომავლოდ, რათა საბჭოს პოზიცია ამ მიმართულებით მის სასარგებლოდ შეიცვალოს.** ამასთანავე, საბჭო უპირობოდ უარყოფითად აფასებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსჯავრდებული არ არის ჩართული სოციალურ აქტივობებში, მაგრამ მიუთითებს, რომ ვერ ჩაერთო ჯანმრთელობის მდგომარეობისა ან ენობრივი ბარიერის გამო (უცხოენოვანი მსჯავრდებულების შემთხვევაში). აღნიშნულის გარდა, არც ერთ შემთხვევაში არ არის გადამოწმებული, ზოგადად, იყო და არის თუ არა ხელმისაწვდომი კონკრეტულ დაწესებულებაში რომელიმე სოციალური აქტივობა და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული შესაბამისი აქტივობების ჩამონათვალი. შესაბამისად, ასეთი გადაწყვეტილება მსჯავრდებულისთვის აღქმადი არ არის, რამაც, მსჯავრდებულს შეასაძლოა, უსამართლობის განცდა გაუჩინოს. ამავდროულად, **როდესაც მსჯავრდებული ჩართულია ამდენ აქტივობაში, რაც აპარატის მოსაზრებით, მისი რესოციალიზაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ასეთმა შეფასებამ შესაძლოა მას დაუკარგოს მომავალში აქტივობებში ჩართვის მოტივაცია და შეწყვიტოს ზრუნვა რესოციალიზაციის მიმართულებით.**

ადგილობრივი საბჭოების პოზიცია წახალისების ფორმებთან დაკავშირებით

რიგ შემთხვევებში ბუნდოვანია საბჭოს მსჯელობა მსჯავრდებულების მიმართ გამოყენებულ წახალისებებთან მიმართებაში. ერთ შემთხვევაში, საბჭომ შეიძლება თეორიულად განმარტოს, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, მხოლოდ რამდენიმე წახალისების ღონისძიებით (ფორმის მიუხედავად) დადებითად შეაფასოს აღნიშნული კრიტერიუმი. მეორე შემთხვევაში, შესაძლოა აღნიშნული კომპონენტი დადებითად არ შეაფასოს მხოლოდ წახალისების კონკრეტული ფორმის გამო. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის მიმართ წახალისებად გამოყენებულია დამატებითი სატელეფონო პაემანი და ზარი, აღნიშნული მიჩნეულია დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან მსჯავრდებულისთვის გარესამყაროსთან და ოჯახთან კავშირის ხელშემწყობ საშუალებად, რაც ვერ ჩაითვლება მსჯავრდებულის ქცევის პოზიტიურ ცვლილებად. თუმცა, აპარატი გაეცნო ისეთ საქმეებსაც, სადაც მსჯავრდებული არაერთხელ იყო წახალისებული მადლობის გამოცხადებითაც, მაგრამ საბჭომ აღნიშნული გარემოება დადებითად არ შეაფასა. მაგალითისთვის:

საქმე N1. სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული 5-ჯერ იყო წახალისებული მადლობის გამოცხადებით. აღნიშნულის მიუხედავად, საბჭომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „მართალია, პენიტენციური დაწესებულებიდან მოწოდებული დახასიათების თანახმად, მსჯავრდებული წახალისებული იყო რამდენჯერმე, თუმცა დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიერ გამოხატული ქცევა არ ფასდება მხოლოდ მის მიმართ გამოყენებული

რამდენიმე წახალისების შედეგად. მსჯავრდებულის ქცევაში სტაბილურად უნდა იკვეთებოდეს კანონმორჩილ მოქალაქედ ჩამოყალიბების სურვილი და ამისკენ მისწრაფება, იმისათვის, რომ საბჭოს მხრიდან მოცემული კრიტერიუმი დადებითად შეფასდეს, აუცილებელია მსჯავრდებულის ქცევის დადებითი განვითარების დინამიკა ჩანდეს მკაფიოდ.[598]

საქმე N2. სხვა მსჯავრდებულის შემთხვევაში, რომელიც სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული იყო 23-ჯერ (სხვადასხვა ფორმით, მათ შორის მადლობის გამოცხადებით), საბჭომ ძირითადი ყურადღება წახალისების სახით დამატებით სატელეფონო ზარზე და პაემნით სარგებლობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მოცემული ფორმით წახალისება წარმოადგენს დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან მსჯავრდებულისთვის გარესამყაროსთან და ოჯახთან კავშირის ხელშემწყობ საშუალებას. საბჭომ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული იყო მადლობის გამოცხადებაც და ზოგადად შეაჯამა, რომ მიუხედავად წახალისების დადებითი ბუნებისა, აღნიშნულის განხილვა და მით უფრო გადაწყვეტილებასთან მისადაგება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ამ უკანასკნელის ცალკე აღებული შინაარსი, თანხვედრაშია სხვა ფაქტებთან და კრიტერიუმებთან, რომლებიც ერთობლივ და ძლიერ საფუძველს შექმნიდნენ საკითხის გადასაწყვეტად,[599] მაშინ, როცა მსგავსი მოცემულობის სხვა გადაწყვეტილებებში იგივე ადგილობრივი საბჭო უარყოფით შეფასებას ქცევის დადებითი განვითარების დინამიკის არარსებობით ასაბუთებდა.

შეფასება: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ საბჭოების მიდგომა წახალისების ფორმებთან მიმართებაში არაერთგვაროვანია და რიგ შემთხვევაში დაუსაბუთებელიც.** ასევე, რიგ შემთხვევებში, გაუგებარია წახალისების კონკრეტულად რომელ ფორმას მიიჩნევენ საბჭოები მიზანშეწონილად ან/და რა რაოდენობის წახალისებები ჩაითვლება საკმარისად დადებითი შეფასებისთვის. მაშინაც კი, როდესაც სახეზეა მსჯავრდებულის ქცევის ცალსახად პოზიტიური დინამიკა, საბჭო ამას საკმარისად არ მიიჩნევს და შემოიფარგლება ზოგადი მითითებით მსჯავრდებულის ქცევის პოზიტიური ცვლილების აუცილებლობაზე ან მიუთითებს, რომ მხოლოდ ამ კომპონენტის ცალკე აღებული შინაარსი საკმარისი არ არის საკითხის გადასაწყვეტად.

---

[598] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება.

[599] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება.

მსჯავრდებულის მიმართ განსაზღვრული რისკის კომპონენტი

2024 წლის გადაწყვეტილებებში, ადგილობრივი საბჭოები „მსჯავრდებულის პიროვნების“ შეფასებისას, ამ კრიტერიუმის სხვა კომპონენტებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზეც, რომ მსჯავრდებული საჭიროებს განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების მხრიდან. ამის დასტურად გადაწყვეტილებებში მოყვანილია ის გარემოება, რომ კონკრეტულ მსჯავრდებულს განსაზღვრული აქვს საშიშროების მომეტებული რისკის სახე.

მართალია, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს №320 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების ჩამონათვალში მითითებულია, რომ მსჯავრდებულის პიროვნების შეფასებისას სხვა გარემოებებთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, საჭიროებს თუ არა მსჯავრდებული განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან, **თუმცა, საგულისხმოა, რომ აღნიშნულ კომპონენტზე საბჭო ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ საშიშროების მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულების საქმეების განხილვის პროცესში, ხოლო საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებულებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში, ამ კომპონენტის დადებით კონტექსტში აღწერა არ ხდება, რაც აპარატის შეფასებით, უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს მსჯავრდებულებს.**

დაზარალებულის პოზიციის მნიშვნელობა

საბჭო მსჯავრდებულის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების თაობაზე დაზარალებულის თანხმობის არსებობის საკითხსაც არაერთგვაროვნად აფასებს. რიგ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულს დაზარალებულის თანხმობა წარმოდგენილი არ აქვს, საბჭო უარყოფითად აფასებს და მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის შერიგება მნიშვნელოვანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართლიანობის აღდგენის მიზნებიდან გამომდინარე. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული მსჯავრდებულის მიმართ შეღავათის გავრცელებაზე თანახმაა, საბჭო მიუთითებს, რომ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ვერ გახდება მსჯავრდებულისაგან მომდინარე საფრთხის აღმოფხვრისა და გათავისუფლების შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარანტი. ხოლო იმ საქმეებში, სადაც დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული და მსჯავრდებულს დაზარალებულის თანხმობა არ გააჩნდა, საბჭო საკითხს მსჯელობის მიღმა ტოვებს.

> **საქმე N1.** მსჯავრდებული ნასამართლევია სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლითა და 6

თვის ვადით. მისი განმარტებით, დაზარალებულს არ აქვს მის მიმართ წინააღმდეგობრივი პოზიცია, თუმცა, ამ ეტაპზე, დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ აქვს. საბჭომ, მსჯავრდებულის პიროვნების მსჯელობისას განმარტა, რომ „საბჭომ იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა. მსჯავრდებულის დაზარალებულთან შერიგება მნიშვნელოვანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართლიანობის აღდგენის მიზნებიდან გამომდინარე. კრიტერიუმზე მსჯელობისას ადგილობრივი საბჭო დამატებით გარემოების სახით შეისწავლის დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობას. თუმცა, რადგან აღნიშნული დოკუმენტი საკითხის განხილვის მომენტისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა, საბჭოს აფიქრებინებს დაზარალებულისა და მსჯავრდებულს შორის შერიგება ჯერ ისევ არ მომხდარა.“[600]

საქმე N2. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. მსჯავრდებულის გადმოცემით, დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნია და მისივე თანხმობით შედგა საპროცესო შეთანხმება, ასევე, წარმოადგინა დაზარალებულის თანხმობა. საბჭომ იმსჯელა დაზარალებულის მიერ წარმოდგენილ ნოტარიულად დამოწმებულ თანხმობაზე. საბჭო განმარტავს, რომ „დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა არ წარმოადგენს შეფასების კრიტერიუმს და მისი გათვალისწინება ხდება დამატებითი გარემოების სახით დადგენილი კრიტერიუმების ურთიერთშეჯერებისას. მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ვერ გახდება მსჯავრდებულისაგან მომდინარე საფრთხის აღმოფხვრისა და გათავისუფლების შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარანტი.[601]

საქმე N3. მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 237-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულის განმარტებით, დაზარალებულს მატერიალური ზარალი ანაზღაურებული აქვს, სრულად დაუბრუნდა დაკარგული ნივთები და მის მიმართ პრეტენზია არ აქვს, თუმცა, აღნიშნულის შესახებ ცნობა წარმოდგენილი არ აქვს. მოცემულ საქმეში საბჭო, მსჯავრდებულის პიროვნების კრიტერიუმის შეფასებისას განმარტავს, რომ აღნიშნული კრიტერიუმით საქმის შეფასებისას, სხვა გარემოებებთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის

[600] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

[601] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, რაც თავის მხრივ, მოიაზრებს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარებასა და გულწრფელ სინანულს, მისწრაფებას, შეურიგდეს დაზარალებულს, აუნაზღაუროს ზიანი. თუმცა, საბჭო არ აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულს დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებისა და მის მიმართ შეღავათის გავრცელების თაობაზე ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა წარმოდგენილი არ აქვს და ამ გარემოებას შეფასების მიღმა ტოვებს. მსჯავრდებულის პიროვნების კრიტერიუმს დადებითად აფასებს (სხვა კრიტერიუმებთან ერთად) და დადებით გადაწყვეტილებას იღებს.[602]

შეფასება: როგორც ვხედავთ, წარმოდგენილ საქმეებში, ადგილობრივი საბჭო, მსჯავრდებულის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების თაობაზე ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის წარმოდგენის საკითხს განსხვავებულად უდგება და თუ ერთ შემთხვევაში, დაზარალებულის თანხმობას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და მის არარსებობას უარყოფითად აფასებს, მეორე შემთხვევაში, სადაც მსჯავრდებულს აქვს დაზარალებულის თანხმობა, საბჭო ამ გარემოებას უმნიშვნელოდ მიიჩნევს. მესამე შემთხვევაში კი, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის თანხმობა საქმეში წარმოდგენილი არ იყო, რასაც საბჭო, უმრავლეს შემთხვევაში, უარყოფითი გადაწყვეტილების დასაბუთებისთვის იყენებს ხოლმე, ამჯერად საერთოდ შეფასების მიღმა ტოვებს და არ მსჯელობს მოცემულ გარემოებაზე. ამდენად, **საბჭოს დამოკიდებულება დაზარალებულის თანხმობის საქმეში წარმოდგენის თაობაზე არაერთგვაროვანია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბჭო ამ გარემოებას ფორმალურად უდგება.** აღნიშნული ხარვეზი საბჭოების საქმიანობისთვის წინა წლებშიც იყო დამახასიათებელი.[603]

სახალხო დამცველის აპარატის დაკვირვებით, საბჭო ხშირად გადამწყვეტ მნიშვნელობას სძენს დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებასა და მისგან თანხმობის მოპოვების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები გასათვალისწინებელია, აღნიშნული არ უნდა ნიშნავდეს, რომ მათი არ არსებობის შემთხვევაში, მსჯავრდებულის რეინტეგრაცია და სასჯელის მიზნების მიღწევა მკაცრად გამოირიცხება, როდესაც მსჯავრდებულის მხარეს მრავალი დადებითი ფაქტორი იკვეთება.

სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ დაზარალებულის თანხმობის არარსებობასთან დაკავშირებით, **საბჭომ უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული დანაშაულის გარემოებები, მასთან დაკავშირებული სხვა დეტალები და შეაფასოს, ჩადენილი დანაშაულიდან გამომდინარე, რამდენად არსებობდა საერთოდ დაზარალებულთან ან დაზარალებულის**

[602] სპეციალური პენიტენციური სამსახურის დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

[603] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 123-124; < https://ombudsman.ge/res/docs/2023040315084085042.pdf >

უფლებამონაცვლესთან შერიგების, მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და თანხმობის მოპოვების შესაძლებლობა და საამისოდ, რამდენად მიზანშეწონილია მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის კონტაქტი დაზარალებულთან. აღნიშნული მსჯელობა უნდა ჩანდეს და იკვეთებოდეს უშუალოდ გადაწყვეტილებაშიც, რაც თითოეული საქმის მიმართ ამ საკითხის შეფასების ინდივიდუალიზაციას უზრუნველყოფს.

შაბლონური ტექსტები

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების შესწავლით ირკვევა, რომ გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, თითოეულ კრიტერიუმზე მსჯელობისას საბჭოები შაბლონურ ტექსტებს იყენებენ. ასეულობით საქმის განხილვის შედეგად, წერილობითი გადაწყვეტილების მიღებისას ტექსტის შაბლონის გამოყენება ტექნიკური დეტალია, რაც ადგილობრივი საბჭოების დატვირთულობის ფონზე, გასაგებია. **თუმცა, არაერთი გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში ისეთ უარყოფით გარემოებაზე გხვდება მითითება, რაც მსჯავრდებულის პირად საქმეს არ შეესაბამება და ამდენად, აცდენილია რეალობას.** რჩება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული ხარვეზის მიზეზი შაბლონური ტექსტის გამოყენების გამო ხდება, თუმცა, პრობლემა არსებითია, რადგან დასაბუთებაში მოხმობილი ნეგატიური გარემოებები უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძვლად გვევლინება:

> **საქმე N1.** მსჯავრდებული გამტყუნდა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის. **მას აღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია პირობითი მსჯავრის პერიოდში, აგრეთვე არ ყოფილა ნასამართლევი.** „საბჭო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, სიმძიმის, საშიშროების, ქცევის თავისებურებებისა და განწყობების გათვალისწინებით, სახეზეა ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც **ჩადენილია პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში, მსჯავრდებული წარსულში ნასამართლობის მქონეა.“**[604]
>
> **საქმე N2.** ერთ-ერთი საქმის მიხედვით, მსჯავრდებული გასამართლებულია სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. მსჯავრდებულის პიროვნება საბჭომ უარყოფითად შეაფასა და აღნიშნულის დასაბუთებისას მიუთითა, რომ **მსჯავრდებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის განზრახი ქმედებაა ჩადენილი.**[605]

---

[604] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება.

[605] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. ამასთან, ამავე კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება **ხუთი** წლით

შეფასება: როგორც ვხედავთ, პირველ საქმეში მსჯავრდებული პირი არ იყო ნასამართლევი და არ ჰქონია პირობითი მსჯავრი დაკისრებული, თუმცა, საბჭომ დასაბუთებისას საპირისპიროზე მიუთითა. მეორე საქმეში კი მსჯავრდებულმა ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, თუმცა, საბჭო მსჯავრდებულის პიროვნების უარყოფითად შეფასებისას მის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაზე აპელირებს. **მოცემულ შემთხვევებში, თითოეული ნეგატიური ასპექტი, რომელიც საბჭომ გამოყო, არ შეესაბამებოდა განსახილველ საქმეს და აცდენაში იყო რეალობასთან.** მსგავსი სავარაუდო შეცდომები უარყოფითად მოქმედებს მსჯავრდებულების მოტივაციაზე, შეიცვალონ ქცევა უკეთესობისკენ ან/და განაგრძონ ის დადებითი დინამიკა, რასაც ისინი ავლენდნენ. აღნიშნულმა ხარვეზებმა მსჯავრდებულში, შესაძლოა გააჩინოს განცდა, რომ მისი საქმე ზედაპირულად განიხილება და საკმარისი ყურადღება არ ეთმობა.

მნიშვნელოვანი ხარვეზის მატარებელია აგრეთვე ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც შესაფასებელ კრიტერიუმებზე მსჯელობაში მითითებულია მხოლოდ ზოგად დებულებებზე, არ არის მოცემული ინდივიდუალური მსჯელობა და არ ტოვებს განცდას, რომ კონკრეტული, ინდივიდუალური საქმე დეტალურად განიხილება.

საქმე N3. მსჯავრდებული გამტყუნდა ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისა და გადაზიდვის საქმეში. დაზარალებული ფიზიკური პირი არ ყავს. პენიტენციური დაწესებულებიდან გადმოგზავნილი დახასიათების თანახმად, ის ჩართულია შემთხვევის მართვის პროცესში, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, ჩართულია სარეაბილიტაციო პროგრამაში, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობს კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობებში. ჩართულია კორესპონდენციულ საუნივერსიტეტო სწავლებაში, გაიარა რამდენიმე შემსწავლელი კურსი. სასჯელის მოხდის პერიოდში დასჯილი არ ყოფილა, ხოლო წახალისებულია 21-ჯერ; მსჯავრდებულის ქცევაზე საუბრისას საბჭო განმარტავს, თუ რატომ არის აღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ ის აჩვენებს მსჯავრდებულის მზაობას სრულფასოვან წევრად დაუბრუნდეს საზოგადოებას, აგრეთვე აჩვენებს, არის თუ არა სახეზე ქცევის დადებითი დინამიკა. ამის შემდგომ ის ახდენს ფაქტის კონსტატაციას, რომ მსჯავრდებული 21-ჯერ არის წახალისებული, თუმცა რაიმე შეფასებას მას არ უკეთებს, არ აჯამებს ამ კრიტერიუმს, დადებითად შეფასდა თუ უარყოფითად, საერთოდ ღიად ტოვებს ამ საკითხს. შაბლონური ტექსტი და ფაქტის კონსტატაცია დაყოფილია ერთმანეთისგან, ცალ-ცალკე ნაწილებს წარმოადგენს,

---

თავისუფლების აღკვეთას; ხოლო, განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა **ათ** წელზე მეტი ვადით ან **უვადო** თავისუფლების აღკვეთა.

> რომელთა ერთობლივი გადააზრება და შეჯერება არ მომხდარა. იგივე მიდგომაა პიროვნებაზე მსჯელობის ნაწილშიც: მუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული არაერთ აქტივობაში იყო ჩართული, ამაზე საუბარი საერთოდ არ არის ამ ნაწილში. სამაგიეროდ კი, საბჭო მსჯელობს დაზარალებულის ზიანზე და თანხმობაზე, მაშინ როდესაც სახეზეა ნარკოტიკული დანაშაული და დაზარალებული ამ შემთხვევაში არ არსებობს.[606]

საბჭოს სამომავლო მოლოდინები

წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ გადაწყვეტილებაში, საბჭოების სამომავლო მოლოდინები ამა თუ იმ მსჯავრდებულთან მიმართებაში განჭვრეტადი არ არის. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ საბჭოს, სხვა ისეთი კრიტერიუმების (დანაშაულის ხასიათი, ოჯახური პირობები) უარყოფითად შეფასების ფონზე, რომელთა შინაარსზეც მსჯავრდებული გავლენას ვეღარ მოახდენს, ამავდროულად უარყოფითად აქვს შეფასებული ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც მომავალში შესაძლოა მსჯავრდებულის ძალისხმევით მის სასიკეთოდ შეიცვალოს. მაგალითად, როდესაც საბჭოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი პოზიტიური კონტექსტის ქცევა და მის მიერ განხორციელებული აქტივობები არ არის საკმარისი მისი რესოციალიზაციისთვის, აპარატის მოსაზრებით, აუცილებელია ამ მოსაზრების სიღრმისეული დასაბუთება. საბჭოებმა მკაფიოდ უნდა განმარტონ, თუ რატომ არ თვლიან ჩამოთვლილ კომპონენტებს საკმარისად, რათა მსჯავრდებულისთვის განჭვრეტადი იყოს, სასჯელის მოხდის პერიოდში რა შეიძლება გააკეთოს დამატებით იმისთვის, რომ მისი პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის გადაწყვეტილება მომავალში მის სასარგებლოდ შეფასდეს.

ინდივიდუალურ საქმეებში გამოვლენილი ხარვეზები

გ. ს.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ განცხადებებში გ. ს. მიუთითებდა, რომ ითხოვდა სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლას, რაზეც ადგილობრივი საბჭოს მიერ დაუსაბუთებლად ეთქვა უარი. მსჯავრდებულმა საბჭოს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, იგი მსჯავრდებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-9 ნაწილითა და 128-ე

[606] სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება.

მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. მასალით დასტურდებოდა, რომ გ. ს-ს განსაზღვრული ჰქონდა საშიშროების საშუალო რისკი, სასჯელის მოხდის პერიოდში, თავისუფალ დროს, დაკავებული იყო ვარჯიშით, სარგებლობდა საბიბლიოთეკო მომსახურებით, აქტიურად იყო ჩართული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებსა და კურსებში, ჩართული იყო მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის სპეციფიკის კურსში. ასევე, სასჯელის მოხდის პერიოდში გ.ს. დისციპლინური წესით დასჯილი არ ყოფილა; წახალისებული იყო 6-ჯერ.

შეფასების მიხედვით, გ. ს. იცავდა დაწესებულების დებულებას, დაწესებულების დღის განრიგსა და სამართლებრივ რეჟიმს, ასრულება ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს. დაწესებულების ადმინისტრაციისა და სხვა მსჯავრდებულთა მიმართებით იყო თავაზიანი, არ იყო კონფლიქტური და აგრესიული; წარსულში არ იყო ნასამართლევი; დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე, ერთი არასრულწლოვანი შვილი და პენსიონერი დედა. მისი განმარტებით, გათავისუფლების შემდგომ აპირებდა დასაქმებას. შეფასების მიხედვით, მსჯავრდებული აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს, გასაუბრების პროცესში, განსაკუთრებული რისკ-ფაქტორის გარეშეა. შეუძლია საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება. აქვს სამუშაო გამოცდილება, გამოხატული სამომავლო გეგმები. დაწესებულებაში ცდილობს დროის რაციონალურად გამოყენებას. საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობს ფსიქოლოგიური სერვისით. ადეკვატურად ამყარებს მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. ნეგატიურ კონტექსტში განიხილავს ჩადენილ ქმედებას.

ამასთან, ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით, დაზარალებულის უფლებამონაცვლის მიერ წარმოდგენილი იყო განცხადება, სადაც მიუთითებდა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგი იყო გ. ს-ს მიმართ ნებისმიერი სახის შეღავათის გამოყენების თაობაზე და ითხოვდა ადგილობრივი საბჭოს მხრიდან ამ პოზიციის გათვალისწინებასა და განცხადების მოთავსებას მსჯავრდებულის პირად საქმეში.

სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ადგილობრივი საბჭოს დასაბუთება და დაასკვნა, რომ გადაწყვეტილებაში **შეფასების გარეშე იყო დატოვებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. კერძოდ, საბჭო, ფაქტობრივად, შეფასების გარეშე ტოვებდა მსჯავრდებულის ქცევას სასჯელის მოხდის პერიოდში და არ განმარტავდა, თუ რატომ გადაწონა დადებითი შეფასება და ფაქტორები სხვა გარემოებებმა, რომლებმაც საბჭო უარყოფით გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.**

სახალხო დამცველმა მოცემულ საქმეზე წარდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში[607] მიუთითა, რომ მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები ჯეროვნად იქნეს გამოკვლეული და შეფასებული. მაშინ, როდესაც პატიმრისათვის შეღავათის გამოყენება კონკრეტულ გარემოებებზე არის დამოკიდებული, რომლებზეც ადგილობრივი საბჭოც მიუთითებს, საბჭო

[607] 2024 წლის 20 სექტემბრის N2024/4684 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

არ უნდა დასჯერდეს თითოეულ კომპონენტში პატიმრისათვის დამახასიათებელი ნიშნების ფაქტობრივ აღწერას, არამედ, უნდა მისცეს შეფასება და წარმოაჩინოს უარყოფითი და დადებითი ფაქტორების შეპირისპირება. მხოლოდ ამგვარად შეიძლება გახდეს მსჯავრდებულისთვის ცხადი, თუ რამ განაპირობა საბჭოსათვის ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება.

მოცემულ შემთხვევაში, აშკარად იკვეთებოდა, რომ გ. ს. აქტიურად იყო ჩართული რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში. აღნიშნულზე მეტყველებდა მის მიერ შესაბამის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა და მიღებული წახალისებები. ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებიდან აშკარა იყო, რომ მსჯავრდებულმა, სასჯელის მოხდის პერიოდში, თავისი ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში, არსებითი ძალისხმევა გასწია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სასჯელის მიზნების შესრულების მიმართულებით.

საბჭო გადაწყვეტილებაში მოცულობით ადგილს უთმობდა, ზოგადად, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინების მნიშვნელობას და, ამგვარად, სავარაუდო იყო, რომ მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ დაზარალებულის პოზიცია გახდა.

სახალხო დამცველი ხაზს უსვამს დაზარალებულის პოზიციის მხედველობაში მიღების მნიშვნელობას, თუმცა იმ პირობებში, როდესაც გადაწყვეტილებაში 5 ძირითადი კრიტერიუმის[608] შეფასებისას საბჭო არ მიუთითებს რაიმე დამაბრკოლებელ გარემოებაზე და მეტიც, მსჯავრდებულს აქვს საკმაოდ დადებითი შეფასება, მოცემული ინფორმაციის უგულვებელყოფა და მხოლოდ დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინება უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ საქმეში ჯეროვნად არ არის შეფასებული არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, არაპროპორციულად მცირე მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ძირითად კრიტერიუმებში დადებით ფაქტორებს და სრულიად შეფასების გარეშე ტოვებს მსჯავრდებულის პატიმრობის გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში და სასჯელის მოხდის პერიოდში გამოვლენილი ქცევის გამოკვეთილად დადებითი შეფასების მიუხედავად. საბჭომ არაპროპორციულად მცირე ყურადღება დაუთმო გ. ს-ის სასჯელის მიზნების მიღწევის შეფასების საკითხს, რაც საშეღავათო მექანიზმის გამოყენებისას საკვანძო საკითხია და, ჩვეულებრივ, გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების პროცესში ცენტრალურ ფოკუსს უნდა წარმოადგენდეს.

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ გადაწყვეტილების მიღებამ მხოლოდ იმგვარ კრიტერიუმზე დაყრდნობით, რომელზე ზეგავლენაც არ არის მსჯავრდებულის კონტროლის ფარგლებში და მისი ცვლილება პატიმრის ძალისხმევის მიღმაა, შესაძლოა გამოიწვიოს

[608] ა) დანაშაულის ხასიათი; ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; დ) ოჯახური პირობები; ე) მსჯავრდებულის პიროვნება.

ფრუსტრაცია და უარყოფითად აისახოს პატიმრის მოტივაციაზე, რამაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას სასჯელის მიზნების მიღწევასაც.

მოცემული საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.[609] სამწუხაროდ, სასამართლომ მსჯავრდებულის სარჩელი არ დააკმაყოფილა.[610]

გ. ა.-ს საქმე

2023 წლის ანგარიშში სახალხო დამცველის აპარატმა დეტალურად მიმოიხილა N12 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის გ. ა.-ს საქმე, რომლის მიხედვითაც, მსჯავრდებულს აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით, დაუსაბუთებლად ეთქვა უარი დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლაზე.[611]

კერძოდ, ადგილობრივი საბჭოს მიერ მსჯავრდებულის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა დადებითი დახასიათება, წახალისებული იყო რამდენჯერმე, დაკისრებული არ ჰქონდა დისციპლინური სახდელი, კარგი ურთიერთობით გამოირჩეოდა თანამშრომლებთან და პატიმრებთან, აქტიურად იყო ჩართული ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამებსა და სოციალურ აქტივობებში, ჰყავდა ოჯახი, რომელთანაც ინარჩუნებდა აქტიურ კონტაქტს, ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი და სამომავლოდ ავლენდა შრომის მოტივაციას.

სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, საკითხის განხილვისას, საბჭომ არასწორად შეაფასა ბრალის არ აღიარების საკითხი, არასწორად მიუთითა პენიტენციური დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დახასიათებაში, სოციალური გარემოსა და მსჯავრდებულის ოჯახში დაბრუნებასთან მიმართებაში მზაობის თაობაზე ინფორმაციის არასაკმარისობაზე და სოციალური მუშაკის დასკვნის არ არსებობაზე. ასევე, რესოციალიზაციის კომპონენტზე მსჯელობისას, საბჭომ სრულყოფილად არ გამოიკვლია მსჯავრდებულის საქმე, რა შემთხვევაშიც აღქმადი იქნებოდა მსჯავრდებულის აშკარა სურვილი და სწრაფვა რესოციალიზაციისკენ. გადაწყვეტილებაში მითითებულია არასრულფასოვანი ინფორმაცია მსჯავრდებულის მიერ ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის მზაობის თაობაზე.[612]

---

[609] სახალხო დამცველის 2024 წლის 20 სექტემბრის №2024/4684 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

[610] ინფორმაცია აპარატს მიეწოდა გ. ს.-ს ოჯახის წევრის მიერ ზეპირი გასაუბრების საფუძველზე. აპარატს არ გააჩნია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამდენად, აპარატისთვის უცნობია მისი სამოტივაციო ნაწილი და შესაბამისად, სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში წარმოდგენილი გარემოებების ირგვლივ სასამართლოს მსჯელობა.

[611] იხ. < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 247-253.

[612] იქვე.

მომართვის დროისთვის, მსჯავრდებულს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში ჰქონდა გასაჩივრებული. სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა სასამართლოს, სადაც დეტალურად იყო მიმოხილული მოცემულ საქმეში გამოკვეთილი ხარვეზები.[613]

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ[614] გაუქმდა ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება და საბჭოს დაევალა საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი გადაწყვეტილების გამოტანა. ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ადგილობრივმა საბჭომ, გ. ა.-სთვის დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლის საკითხზე, 2024 წლის 27 ივნისს მიიღო ახალი გადაწყვეტილება.

ადგილობრივი საბჭოს ხსენებული გადაწყვეტილებით, რომლითაც მსჯავრდებულ გ. ა.-ს კვლავ უარი ეთქვა დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე, ყურადღება კვლავ გამახვილებულია დანაშაულის ხასიათზე. ასევე, საბჭომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის ძირითად სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულობა იყო ფორმალური და მოტივირებული იყო გათავისუფლების შესახებ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებით.

სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შუამდგომლობის განხილვის პარალელურად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მეორე ადგილობრივმა საბჭომ განიხილა მსჯავრდებულ გ. ა.-ს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობა, რომელიც, ასევე არ დაკმაყოფილდა.[615] გადაწყვეტილებებში ადგილობრივი საბჭოს მსჯელობა კვლავ იდენტური იყო.

მსჯავრდებულის მომართვის საფუძველზე, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს, რათა სასჯელის შეცვლის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას სრულყოფილად და ჯეროვნად განხილულიყო სათანადო კრიტერიუმები და უპირატესობა არ მინიჭნებოდა მხოლოდ დანაშაულის ხასიათს.[616] სამწუხაროდ, მეორე ადგილობრივმა საბჭომ არ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.[617]

აღსანიშნავია, რომ გ. ა.-მა სამართლებრივი დავა შემდგომშიც განაგრძო. მსჯავრდებულის მიერ აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტაციით[618] ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, გ. ა.-ს სარჩელი კვლავ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 6 აგვისტოს N02/24/შ/პ/ზ-

[613] სახალხო დამცველის 2024 წლის 1 მარტის N15/2186 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[614] 2024 წლის 5 აპრილის № 3/9179-23 გადაწყვეტილება.
[615] სპეციალური პენიტენციური სამსახურის მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 10 მაისის №02/24/ზ-063 გადაწყვეტილება.
[616] სახალხო დამცველის 2024 წლის 12 აგვისტოს № 2024/3670 რეკომენდაცია.
[617] მეორე ადგილობრივი საბჭოს 2024 წლის 23 აგვისტოს N248660/01 წერილი.
[618] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 21 იანვრის განჩინება, საქმე N3ბ/3399-24.

0488 გადაწყვეტილება და **მოპასუხე მხარეს - მეორე ადგილობრივ საბჭოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გ. ა.-სთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე**.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარი და **თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაცნობის შედეგად ირკვევა, რომ **როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლო, გ. ა.-ს მიმართ ძირითად კრიტერიუმებთან დაკავშირებით, იგივე მსჯელობას გვთავაზობს, რაც სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებასა და რეკომენდაციაში იყო განვითარებული**. სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება სასამართლოების გადაწყვეტილებებს და იმედოვნებს, რომ სასამართლოების მოცემული მიდგომები ადგილობრივ საბჭოებს დაეხმარება სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

საშეღავათო მექანიზმების გამოყენების საკითხზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება

ი. კ.-ს საქმე

აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში დაფიქსირდა საშეღავათო მექანიზმის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულების პრობლემა. სასამართლოს გადაწყვეტილებებით პატიმრის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების მიუხედავად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მხრიდან პირობით ვადამდე გათავისუფლებასა და შინაპატიმრობის გამოყენებაზე უარის თქმა არაერთგზის განმეორდა. ამგვარი პრაქტიკა სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას აზრს უკარგავს, რაც გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმის არაეფექტიანობაზე მეტყველებს.

კერძოდ, **საბჭოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება არაეფექტიანი და უშედეგო აღმოჩნდა მსჯავრდებულ ი. კ.-ს საქმეში, რომელსაც 2021-2024 წწ.-ში, 3 წლის განმავლობაში, 6-ჯერ ეთქვა უარი საშეღავათო მექანიზმის გამოყენებაზე (2-ჯერ უარი ეთქვა დარჩენილი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე, ხოლო 4-ჯერ - პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე) და რამდენჯერმე გაასაჩივრა ხსენებული გადაწყევტილება. სასამართლოებმა მსჯავრდებულის სარჩელები ნაწილობრივ დააკმაყოფილეს** და ზეპირი მოსმენით საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ადგილობრივ საბჭოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალეს.

საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებებში მიეთითა

სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაზე.[619] საბოლოოდ, მსჯავრდებული ი. კ. 2024 წლის 7 ოქტომბერს, კალენდარულად გათავისუფლების ვადამდე, მხოლოდ 1 თვითა და რამდენიმე დღით ადრე გათავისუფლდა.[620]

მსჯავრდებულ ი. კ.-ს სასარგებლოდ მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებების მიუხედავად, ადგილობრივი საბჭოს უარი არაერთხელ განმეორდა:

- 2021 წლის 1 ნოემბერს, უარი ეთქვა სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლომ პატიმრის საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. 2023 წლის 1 მაისს, უზენაესმა სასამართლომ პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, 2023 წლის 27 ივნისს, საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა საკითხი და მსჯავრდებულს შინაპატიმრობის გამოყენებაზე უარი უთხრა;
- ამ საკითხზე პატიმრის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა. თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით. უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 13 მაისის განჩინებით, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკასაციო საჩივარი;
- 2022 წლის 6 ივნისს, ი. კ.-ს უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. 2022 წლის 18 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმრის სარჩელი არ დააკმაყოფილა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, 2023 წლის 6 ივლისს, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლომ;
- 2023 წლის 3 იანვარს, ი. კ.-ს კვლავ უარი ეთქვა პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე. 2023 წლის 23 თებერვალს, მისი სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ხოლო 2023 წლის 20 ივნისს, სააპელაციო სასამართლომ პენიტენციური სამსახურის საჩივარი არ დააკმაყოფილა;
- მიუხედავად ამისა, 2023 წლის 16 აგვისტოს, საბჭომ ი. კ.-ს პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ისევ უარი უთხრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- 2024 წლის 4 ივლისს, საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა და არ დაკმაყოფილდა პატიმრის შუამდგომლობა სასჯელის შემდგომი მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, რაც მსჯავრდებულმა 2024 წლის 24 ივლისს, კვლავ სასამართლოში გაასაჩივრა. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, მსჯავრდებული

[619] სახალხო დამცველის 2022 წლის 31 ოქტომბრის N15-5/10856 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[620] N8 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 13 თებერვლის ცნობით, ი. კ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით, გათავისუფლდა 2024 წლის 17 სექტემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

კალენდარული გათავისუფლების ვადის გასვლამდე 1 თვეზე მეტი დროით ადრე გათავისუფლდა ამნისტიის კანონის საფუძველზე.

8.3.2. უვადო თავისუფლებააღკვეთილები

2023 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის მექანიზმის საკანონმდებლო რეგულაციები და სასამართლოების მიერ შუამდგომლობების განხილვის პრაქტიკა. შედეგები ასახულია სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიშში.[621]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შესაბამისი სასამართლოებიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2024 წლის განმავლობაში განხილული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე განხილული შუამდგომლობების შედეგების შესახებ.[622]

სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოებს **უვადო თავისუფლების აღკვეთის შეცვლის ან სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართა 22-მა მსჯავრდებულმა/ადვოკატმა.[623] აქედან 18 შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო 3 შუამდგომლობის განხილვა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულებული არ იყო.[624]**

ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ **სააპელაციო ინსტანციაში გაასაჩივრა 10-მა მსჯავრდებულმა. სააპელაციო სასამართლოების მიერ არ დაკმაყოფილდა 9 საჩივარი, ხოლო ერთ საჩივარზე განხილვა საანგარიშო პერიოდში დასრულებული არ იყო.[625]**

საერთო სასამართლოების მიხედვით წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის განმავლობაში უვადო თავისუფლების აღკვეთის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართა 10-მა

---

[621] იხ. < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >; გვ. 253-263.
[622] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 15 იანვრის N25/305 წერილი, 2025 წლის 15 იანვრის N25/308, 2025 წლის 15 იანვრის N25/311, 2025 წლის 15 იანვრის N25/289, 2025 წლის 15 იანვრის N25/300, 2025 წლის 15 იანვრის N25/291, 2025 წლის 17 თებერვლის N25/1351, 2025 წლის 15 იანვრის N25/290 და 2025 წლის 15 იანვრის N25/301 წერილი.
[623] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის N2070/01 წერილი.
[624] იქვე.
[625] იქვე.

მსჯავრდებულმა, აქედან ერთმა მსჯავრდებულმა მიმართა სამჯერ, თუმცა 2 შემთხვევაში შუამდგომლობა უკან გაითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა 8 შუამდგომლობა, ხოლო 2 შუამდგომლობის განხილვა დასრულებული არ იყო.[626]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, 2024 წლის განმავლობაში მიმართა 1-მა მსჯავრდებულმა. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.[627]

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2024 წლის განმავლობაში მიმართა 3-მა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა. არც ერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ.[628]

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ინფორმაციით, 2024 წელს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა 4-მა უვადო თავისუფლებააღკვეთილმა მსჯავრდებულმა. 3 შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ერთი შუამდგომლობა მხარემ გაიხმო უკან.[629]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ქუთაისის საქალაქო სასამართლო არ აწარმოებს სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას უვადო თავისუფლების აღკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით მიმართული შუამდგომლობების მიხედვით, თუმცა, მოძიებულ იქნა 2024 წლის განმავლობაში ასეთი 2 შუამდგომლობა, რომელიც არ დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ.[630]

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, 2024 წლის განმავლობაში უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ სასამართლოში შესული შუამდგომლობა მოძიებულ ვერ იქნა.[631]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ინფორმაციით, 2024 წლის განმავლობაში სასამართლოში შევიდა დაცვის მხარის (მსჯავრდებული/ადვოკატი) 8 საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე უვადო თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის/პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. 6 საჩივარი არ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ, ხოლო 2 საჩივარზე განხილვა დასრულებული არ იყო.[632]

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ინფორმაციით, 2024 წლის განმავლობაში სასამართლოში შევიდა დაცვის მხარის (მსჯავრდებული/ადვოკატი) 3 საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე უვადო თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი

[626] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 23 იანვრის N164 წერილი.
[627] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 24 თებერვლის N303/გ წერილი.
[628] მცხეთის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 22 იანვრის N08 წერილი.
[629] ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 22 იანვრის N22 წერილი.
[630] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 23 იანვრის N1571 წერილი.
[631] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 24 იანვრის N26 გ/კ წერილი.
[632] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 24 იანვრის N14/2025 წერილი.

სასჯელით შეცვლის/პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.[633]

სასამართლოებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილი განჩინებების თანახმად, იკვეთება, რომ, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ, შუამდგომლობის/საჩივრების განხილვის დროს მსჯავრდებულის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისად, მისი პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებაზე უარის თქმის ძირითადი საფუძველი არის მსჯავრდებულის მიერ მოხდილი სასჯელის ვადის არასაკმარისად მიჩნევა. გარდა ამისა, სასამართლო მხედველობაში იღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა გარემოებებს, კერძოდ, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშს, მომავალში დანაშაულის შესაძლო ჩადენის რისკის შეფასებას, ჩადენილ დანაშაულთან მსჯავრდებულის დამოკიდებულებას, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს თუ არა მსჯავრდებული მის მიერ ჩადენილ ქმედებას, რაც არსებითად ახდენს გავლენას მსჯავრდებულის რესოციალიზაციასა და კანონმორჩილ მოქალაქედ გარდაქმნაზე, და, რაზეც სასამართლო განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას, დანაშაულის ხასიათს, მოტივს, ჩადენის ხერხს, გარემოებებსა და დაზარალებულის პიროვნებას, სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ნასამართლობას, ოჯახურ პირობებს, მსჯავრდებულის პიროვნებას და ოჯახის დამოკიდებულებას მსჯავრდებულთან, დაზარალებულის პოზიციას მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საშეღავათო ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის პროპორციული სასჯელის მოხდის მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან, ცხადია, სამართლიან მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს, თუმცა, მნიშვნელოვანია სასამართლომ ასევე საფუძვლიანი ყურადღება დაუთმოს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების ქცევის ცვლილების დინამიკას, გათავისუფლებისთვის მოსამზადებელ პროგრამის ანგარიშს, პატიმრის დადებით დახასიათებას და ყველა კომპონენტის ერთობლივად მხედველობაში მიღებით გამოიტანოს გადაწყვეტილება, რათა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს არ დარჩეთ განცდა, რომ მათ მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულები მათი გათავისუფლების პერსპექტივას მხოლოდ აბსტრაქტულ ხასიათს ანიჭებს.

2024 წლის განმავლობაში, სასამართლოებმა მსჯავრდებულის პიროვნებისა და სხვა გარემოებების არსებითად განხილვასა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე კვლავ უარი უთხრეს იმ საფუძვლით, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონკრეტული მსჯავრდებული შეწყალებულია და დადგენილი აქვს გათავისუფლების ვადა, რის გამოც ისინი აღარ წარმოადგენენ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს და, შესაბამისად, მათზე

[633] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 24 იანვრის N41-2/10 წერილი.

აღარ ვრცელდება უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული საშეღავათო მექანიზმები.[634]

სახალხო დამცველის აპარატი, 2023 წლის ანგარიშში წერდა, რომ ამ მიმართულებით სასამართლოს პრაქტიკა არ იყო ერთგვაროვანი და იკვეთებოდა განსხვავებული მიდგომა იმ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა საკითხის შეფასებისას, რომელთაც პრეზიდენტის აქტით დადგენილი აქვთ გათავისუფლების თარიღი. ზოგ შემთხვევაში სასამართლო მსჯავრდებულს ისევ განიხილავდა, როგორც სამართლებრივად უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირს და ფაქტობრივი მოცემულობის გამო (უვადო სასჯელი რომ თავისუფლების აღკვეთის კონკრეტული ვადით აქვს შეცვლილი), არ უცვლიდა საშეღავათო მექანიზმის გამოყენების პროცედურებს, სხვა შემთხვევაში კი სამართლებრივ სტატუსს სასამართლო არ აქცევდა ყურადღებას, ფოკუსირდებოდა შეცვლილ სასჯელზე (განსაზღვრულ ვადიან თავისუფლების აღკვეთაზე), გაყავდა მსჯავრდებული სასამართლო მექანიზმის გავრცელების ფარგლებიდან და ამისამართებდა პენიტენციური სამსახურის პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოსთან.[635]

2023 წელს გამოვლენილი აღნიშნული არაერთგვაროვანი პრაქტიკის შესაძლებლობის აღმოფხვრის მიზნით, სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია, საქართველოს პარლამენტს განეხორციელებინა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრებოდა საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების შესახებ განკარგულებით უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების თარიღის დადგენის შემთხვევაში, მის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების და განხილვის ისეთი წესი, რომლითაც, ერთი მხრივ, დაზუსტდებოდა ეს საკითხი უნდა განიხილონ საერთო სასამართლოებმა უვადო თავისუფლებააღკვეთით მსჯავრდებულებისთვის დადგენილი ზოგადი წესისა და პირობების შესაბამისად, თუ ადგილობრივმა საბჭოებმა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისთვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, არ გაუარესდებოდა მსჯავრდებულის მდგომარეობა.[636]

საქართველოს პარლამენტს, დღეის მდგომარეობით, არ განუხორციელებია სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პირობით ვადამდე გათავისუფლების/შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხი, **უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტით განსაზღვრული აქვს გათავისუფლების ვადა, უნდა განიხილოს საერთო სასამართლოებმა თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის**

[634] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 დეკემბრის განჩინება N439/19025 საქმეზე; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 22 მაისის განჩინება N419/22384 საქმეზე.

[635] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 260. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >

[636] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელს“, < https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf > , გვ. 108.

შესაბამისმა ადგილობრივმა საბჭოებმა, კვლავ შუამდგომლობის განმხილველი ორგანოს (სასამართლო, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო) ინდივიდუალური განმარტების შესაბამისად გადაწყდება. აღნიშნული კი კვლავ ქმნის **არაერთგვაროვანი პრაქტიკისა და მსჯავრდებულთა მდგომარეობის არაერთგვაროვანი მიდგომის საფრთხეს,** როდესაც ერთი ორგანოს მიერ შუამდგომლობის განხილვის შემთხვევაში, შესაძლოა კონკრეტული მსჯავრდებულის მდგომარეობა გაუარესდეს, მაშინ, როდესაც მეორე ორგანოს მიერ შუამდგომლობის განხილვის შემთხვევაში მსჯავრდებულს შეეძლოს ისარგებლოს საშეღავათო მექანიზმით.

2024 წლის განმავლობაში განხილულ შემთხვევებში, სასამართლომ პრეზიდენტის მიერ შეწყალებული უვადო მსჯავრდებულები მიიჩნია ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებად და განმარტა, რომ მათზე უნდა გავრცელდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის დადგენილი საშეღავათო მექანიზმები და პროცედურა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზღვარი არის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა,[637] ხოლო დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში, ის არ უნდა აღემატებოდეს, შესაბამისად, 30 ან 35 წელს.[638] უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ იმ პირებს, რომელთაც სასამართლოს განჩინებით უარი ეთქვათ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან მათ დადგენილი აქვთ გათავისუფლების ვადა და აღნიშნულის გამო სასამართლომ მათ მიმართ არ გაავრცელა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთათვის გათვალისწინებული საშეღავათო მექანიზმების პროცედურა, პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელი აქვთ 35 წელზე მეტი, რაც არ შეესაბამება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადას.

ცხადია, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულები, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტით დადგენილი აქვთ გათავისუფლების ვადა და მათ მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში ფაქტობრივად მოხდის ვადა შეიძლება აღემატებოდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთისთვის დადგენილ ზღვრულ ვადას, არ შეიძლება, ცალსახად, უფლებრივი მდგომარეობით გათანაბრებულ იქნენ ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებთან და მათ მიმართ გავრცელდეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირებისთვის გათვალისწინებული საშეღავათო მექანიზმების გამოყენებისთვის დადგენილი პერიოდის გამოთვლისა და პროცედურის საკანონმდებლო დანაწესები. ამასთან, ისეთ შემთხვევებში, როდესაც უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრებული პირის მიმართ, რომელსაც დადგენილი აქვს გათავისუფლების ვადა, გამოყენებული იქნება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ საშეღავათო მექანიზმების გამოყენებისთვის დადგენილი ვადების გამოთვლის დანაწესი,

[637] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 50, ნაწ. 2.
[638] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 59, ნაწ. 3, ნაწ. 6.

შესაძლებელია მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხის განხილვა დასაშვები გახდეს მის მიერ, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირებისთვის დადგენილი, პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის ფაქტობრივად, შესაბამისად, 20 (პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში) ან 15 (სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით სეცვლის შემთვევაში) წელზე მეტის მოხდის შემთხვევაში. **ასეთი მიდგომა კი მსჯავრდებულს აყენებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირებთან შედარებით, გაუარესებულ მდგომარეობაში.**

შესაბამისად, მსჯავრდებულთა მდგომარეობის უსაფუძვლო გაუარესებისა და ერთგვაროვანი მიდგომის განხორციელების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს კვლავ მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს პარლამენტის მიერ შესრულდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წელს გაცემული რეკომენდაცია და შესაბამისი საკანონმდებლო აქტით განისაზღვროს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების შესახებ განკარგულებით უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების თარიღის დადგენის შემთხვევაში, მის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების და განხილვის ისეთი წესი, რომლითაც, ერთი მხრივ, დაზუსტდება, ეს საკითხი უნდა განიხილონ საერთო სასამართლოებმა უვადო თავისუფლებააღკვეთით მსჯავრდებულებისთვის დადგენილი ზოგადი წესისა და პირობების შესაბამისად, თუ ადგილობრივმა საბჭოებმა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისთვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, არ გაუარესდეს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

და ბოლოს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ 2021 წლის 9 თებერვალს დამტკიცდა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“, რომლის ხანგრძლივობა არის 2 წელი და სავალდებულოა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის, რომელსაც სურს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა. თუმცა, **მიუხედავად იმისა, რომ 2023-2024 წლებში, აღნიშნული პროგრამა დასრულებული აქვს 37 მსჯავრდებულს, არცერთი უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართ, სამწუხაროდ, არ არის გამოყენებული პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის შეცვლა შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით.**

8.4. მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი

წლების განმავლობაში, სახალხო დამცველი თავის საპარლამენტო ანგარიშებში[639] მიუთითებდა საერთო სასამართლოების პრაქტიკაში დამკვიდრებულ ხარვეზებზე და აღმოფხვრის მიზნით საკანონმდებლო ცვლილების რეკომენდაციას გასცემდა. კერძოდ, ირკვეოდა, რომ სათადარიგო მოსამართლეები საქმის არსებითი განხილვის დაწყებისთანავე არ ინიშნებოდნენ და უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო შემადგენლობის ცვლილებისას საქმის არსებითი განხილვა თავიდან არ იწყებოდა. განაჩენები კი ეყრდნობოდა იმ მტკიცებულებებს, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეს უშუალოდ არ ჰქონდა გამოკვლეული.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ხსენებულ საკითხზე წარდგენილი სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით,[640] კანონის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვით, შესაძლებელი იყო საქმის განხილვის დაწყების შემდეგ სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა, როცა საქმეში არსებული მტკიცებულებების უმრავლესობა უკვე გამოკვლეული იყო სხვა მოსამართლის მიერ ჩატარებულ სხდომებზე და საქმის განხილვა თავიდან არ იწყებოდა, ეწინააღმდეგებოდა მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის პრინციპს. ხოლო ამ პრინციპის დარღვევით გამოტანილი განაჩენი სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცულ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა.

2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის (2021 წლის 29 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სათადარიგო მოსამართლეს, რომლის დანიშვნაც არ მომხდარა საქმის განმხილველი მოსამართლისათვის საქმის გადაცემის ეტაპზე, ართმევს საქმის/ცალკეული მტკიცებულებების თავიდან განხილვის/გამოკვლევის შესაძლებლობას მაშინ, როდესაც: მის მიერ საქმეში ჩართვამდე იქნა გამოკვლეული ისეთი მტკიცებულებები, რომელთა სანდოობის შეფასებაც მოითხოვს მოსამართლის უშუალო, პირად მონაწილეობას; არსებობს კონკრეტული საკითხის/მტკიცებულების დაზუსტების საჭიროება და სათადარიგო მოსამართლე სრულყოფილად ვერ ახერხებს, საქმის მასალების გაცნობის გზით, მის მიერ საქმეში ჩართვამდე გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებას.**[641]

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ხსენებული გადაწყვეტილების იმპლემენტაცია აღმოფხვრის საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს, რაც, თავის მხრივ,

---

[639] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2017 წლის ანგარიში, გვ. 105-106, 117; 2018 წლის ანგარიში, გვ. 99, 109; 2019 წლის ანგარიში, გვ. 153, 161; 2020 წლის ანგარიში, გვ. 147.

[640] სახალხო დამცველის 2018 წლის 29 ნოემბრის N15-5/14782 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

[641] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის N1/4/1300 გადაწყვეტილება საქმეზე: „გიორგი გულაბერიძე და ბადრი შუშანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უზრუნველყოფს ბრალდებულებისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი ასპექტის დაცვას.

8.5. ნეიტრალური მტკიცებულებები

სახალხო დამცველი გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში მიუთითებდა ჩხრეკა-ამოღების ჩატარებისას ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების აუცილებლობასა და სწორედ ნეიტრალურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის მნიშვნელობაზე.[642]

2020 წლის 25 დეკემბრის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა უნდა უზრუნველყონ ჩხრეკის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულების წარმოდგენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთის მოპოვება ობიექტური მიზეზის გამო შეუძლებელია.[643] მიუხედავად ამისა, შემდგომ წლებში წარმოებული სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის შედეგად **კვლავ იკვეთება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ჩხრეკის ჩატარებისას, შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების ვალდებულების უგულვებელყოფის შემთხვევები.**

საანგარიშო პერიოდში, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად, რომელიც დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებული იყო საკასაციო წესით, გამოიკვეთა, რომ სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებს, მიუხედავად ობიექტური შესაძლებლობისა, დაკავებულის პირადი ჩხრეკის დროს არ ჰქონდათ ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების მცდელობა. **საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული გარემოება არ ჩათვალა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძვლად, დაუშვებლად ცნო იგი და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.** საგულისხმოა, რომ მითითებულ სისხლის სამართლის საქმეს, პირადი ჩხრეკის კანონიერების კუთხით, სახალხო დამცველის აპარატი სწავლობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროსაც. რაიონული სასამართლოს განაჩენის მიხედვით: არ არსებობს გ.გ.-ს ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებისა და ცივი იარაღის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა,

---

[642] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წ., გვ. 145-148; 2022 წ., გვ. 123-125; 2021 წ., გვ. 108-109; 2020 წ., გვ. 146, 149.

[643] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე: „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III, §1ა., რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთების ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების ჩვენებებით და ამავე დროს, სამართალდამცავებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[644]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალების თანახმად, 2021 წლის აგვისტოს თვეში, გ.გ.-ს საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობისას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს არ უცდიათ, მოეპოვებინათ პირადი ჩხრეკის ამსახველი იმგვარი ნეიტრალური მტკიცებულება, რაც ობიექტურ დამკვირვებელს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენაში. ჩხრეკის შედეგად ნარკოტიკული საშუალების ამოღების ფაქტს ადასტურებდა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პოლიციელების ჩვენებები.[645]

საგულისხმოა, რომ უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, ზოგ შემთხვევებში, წარმოიშვება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს შემთხვევის ადგილზე ვიდეოგადაღების წარმოებასა და ნეიტრალური მოწმის დასწრებას. თუმცა, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ საფრთხეების მითითება არ უნდა იყოს აბსტრაქტული, არამედ, რეალურად უნდა არსებობდეს აღნიშნულის ხელისშემშლელი გარემოებები. ზედმეტი ფორმალობა იქნება, თუ სასამართლო საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებს ყველა შემთხვევაში, გამონაკლისების გარეშე, დაავალდებულებს ვიდეოგადაღებას ან/და ნეიტრალური მოწმის დასწრებას, ვინაიდან სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებაა, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და აღასრულოს მართლმსაჯულება, ხოლო ხელოვნური ბარიერების შექმნა გამოძიების განხორციელების პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში ხელისშემშლელ გარემოებად იქცევა. განხილულ საქმეში კი, ერთ-ერთი მოწმე პოლიციის თანამშრომლის ჩვენებით, (...) გ.გ.-ს განუმარტა უფლებები და უთხრა, რომ უნდა ჩატარებულიყო მისი პირადი ჩხრეკა, რაზედაც დაკავებული დათანხმდა. ამის შემდეგ, მან პირადად ჩაუტარა ჩხრეკა ყოველგვარი იძულების გარეშე. აღსანიშნავია, რომ გ.გ.-ს პირადი ჩხრეკის დროს ბრალდების მტკიცებულებებით, ადგილზე იმყოფებოდა პოლიციის 4 თანამშრომელი, მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არ განხილულა 1 პოლიციელის მიერ, თუნდაც მობილური ტელეფონის ვიდეო კამერით გადაღების შესაძლებლობის ქონა, რაც რაიმე განსაკუთრებულ ძალისხმევას, დროს, ცოდნას ან/და კომპეტენციას არ მოითხოვდა და ღონისძიების ხელშეშლის ან პოლიციისათვის არაპროპორციული ტვირთის დაკისრებას არ გამოიწვევდა. ასევე, არ იქნა გამოყენებული შემთხვევის შემსწრე პირების მოწმის სახით დაკითხვის შესაძლებლობაც.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს, პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, არ უმსჯელია პოლიციის 4 თანამშრომლის მიერ, გ.გ.-ს პირადი ჩხრეკის დროს,

---

[644] ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 6 მაისის განაჩენი.
[645] სისხლის სამართლის N070130821002 საქმე.

რომელიც მათივე ჩვენებებით, ჩატარდა მშვიდ გარემოში, რა ობიექტური მიზეზით არ განხორციელდა ნეიტრალური მტკიცებულების შექმნა, ვიდეოგადაღება ან მოწმის მოწვევა. აღსანიშნავია, რომ გ.გ. სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში არ აღიარებდა ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვას და აღნიშნავდა, რომ პოლიციას პირადი ჩხრეკისას მისგან რაიმე ნივთი ან ნივთიერება არ ამოუღიათ, ოქმებს ისე მოაწერა ხელი, რომ არ წაუკითხავს და ენდო გამომძიებლის ნათქვამს, რომ არაფერი ამოუღიათ მისგან. აქვე, აღნიშნავს, რომ მისი პირადი ჩხრეკის დროს მიმდინარეობდა ვიდეოგადაღება მობილური ტელეფონის მეშვეობით პოლიციელის მიერ, თუმცა შემდეგ სისხლის სამართლის საქმეში გ.გ.-ს პირადი ჩხრეკის ამსახველი ვიდეოჩანაწერი არ ფიქსირდება, პირიქით, პოლიციის თანამშრომლები ჩვენებებში აღნიშნავენ, რომ გ.გ.-ს პირადი ჩხრეკის მიმდინარეობის ვიდეოგადაღება არ მიმდინარეობდა, რადგან არ იყო ამის ობიექტური შესაძლებლობა.

სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ როგორც სააპელაციო სასამართლოს განაჩენი,[646] ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინება,[647] სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე, ხელს არ შეუწყობს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას და საერთო სასამართლოების სწორი, ერთიანი პრაქტიკის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, უბიძგებს სამართალდამცავ უწყებებს ადამიანის უფლებებზე არაორიენტირებული მოქმედებებისკენ.

8.6. დაცვის უფლების ხელყოფა და გაუთქმელობის ვალდებულება

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ბრალდებულ უ. ა.-ს მიმართ დაცვის უფლების ხელყოფის გარემოებები, რამაც, შესაძლოა გავლენა მოახდინოს მთლიანი პროცესის სამართლიანობაზე.

ბრალდებულის განმარტებისა და მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის ანალიზით, გამოიკვეთა ბრალდებულ უ. ა.-ს დაცვის უფლების შეზღუდვისა და დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლების განუსაზღვრელობის პრობლემა.

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას ბრალდებულის გადმოცემიდან ირკვევა, რომ პოლიციელებმა ფაქტობრივად დააკავეს კორპუსის ეზოში, ეზოდან ძალის გამოყენებით აიყვანეს მის საცხოვრებელ ბინაში, გასაღები ძალის გამოყენებით აიღეს მისგან და მასთან ერთად შევიდნენ ბინაში, განუცხადეს, რომ მისი ბინის ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე ტარდებოდა. ხოლო თვითონ იმყოფებდა ერთ ოთახში, იჯდა სკამზე და პოლიციელები ბინაში ჩხრეკას ატარებდნენ. მან თავიდანვე მოითხოვა ადვოკატთან დაკავშირება და შემდეგ მთელი ჩხრეკის პერიოდში გამუდმებით ითხოვდა ადვოკატს, თუმცა აღნიშნულზე უარი ეთქვა. ამასთან, მოთხოვნის მიუხედავად, ის ვერ ხედავდა ბინაში ჩხრეკის

[646] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის განაჩენი.
[647] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 12 იანვრის განჩინება.

პროცესს, არც ნეიტრალური მოწმე დასწრებია საგამოძიებო მოქმედებას და არც ვიდეოგადაღება მომხდარა.

ტელევიზიების პირდაპირი ეთერით გადაცემული ვიდეო/აუდიო მასალის მიხედვით, 2024 წლის 9 მაისს, დაახლოებით 21:45 საათზე, უ. ა.-ს საცხოვრებელი კორპუსის კარებთან უკვე იმყოფებოდნენ ადვოკატები, თუმცა **კარებთან მდგარი პოლიციელები ადვოკატებს არ უშვებდნენ დაახლოებით 55 წუთის განმავლობაში.** ადვოკატები შენობაში მხოლოდ 22:41 საათზე შეუშვეს.[648] საგულისხმოა, რომ ჩხრეკისას ამოღებული ნივთები ან მათი ნაწილი ადვოკატების შენობაში შესვლამდე რამდენიმე წუთით ადრე, 22:37 და 22:40 საათზე, პოლიციელებმა შენობიდან გამოიტანეს. შესაბამისად, მიუხედავად მოთხოვნისა, ადვოკატები ვერ დაესწრნენ ბრალდებულის ბინაში ჩატარებულ ჩხრეკას, რადგან პოლიციელებმა ამის საშუალება არ მისცეს. ამასთან, ადვოკატების შენობაში შესვლიდან 7 წუთში - 22:48 საათზე, დაკავებული უ. ა. პოლიციელებმა შენობიდან ჩამოიყვანეს და მანქანაში განათავსეს.

ამდენად, უ.ა.-ს შეეზღუდა გადაადგილების თავისუფლება და იმყოფებოდა პოლიციელების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ მისი საცხოვრებელი კორპუსის ეზოდან პოლიციელების მიერ საცხოვრებელ ბინაში იძულებით აყვანიდან. სწორედ ამ მომენტიდან ის იყო დაკავებული/ბრალდებული და მას ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება ჰქონდა. მართალია, კანონით, ადვოკატის დაუსწრებლობა არ აბრკოლებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარებას, თუმცა საგულისხმოა, რომ მთლიან ბინას პოლიციელები აკონტროლებდნენ, რაც ბინაში არსებული სავარაუდო მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს გამორიცხავდა. ამასთან, ადვოკატები იმყოფებოდნენ კორპუსის სადარბაზოს შესასვლელ კარებთან, თუმცა პოლიციელებმა ისინი არ შეუშვეს შენობაში/ბინაში და არ მისცეს ჩხრეკის პროცესზე დასწრების შესაძლებლობა. საგამოძიებო ორგანოს მოეთხოვებოდა არა ჩხრეკის გადადება, არამედ უკვე დაწყებულ ჩხრეკის პროცესში ადგილზე მყოფი ადვოკატების დასწრების უზრუნველყოფა, რომ მათ დაუბრკოლებლად შეძლებოდათ დაცვის განხორციელება.

მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დაცვის უფლების განხორციელებას და ადვოკატთან დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომობას. ადვოკატები 55 წუთი არ შეუშვეს დაკავებული ბრალდებულის ბინაში, რომლის ჩხრეკა მიმდინარეობდა და რომლის შედეგად, ბრალდების მხარის ინფორმაციით, სავარაუდოდ ამოღებული ნივთები - წარმოადგენს უ. ა.-ს ბრალდების დამაფუძნებელ სავარაუდო მტკიცებულებებს. შესაბამისად, ჩხრეკის პროცესში ადვოკატების მონაწილეობის უსაფუძვლოდ შეზღუდვამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს მთლიანად პროცესის სამართლიანობაზე. მითუმეტეს,

[648] მედიით გავრცელებული კადრებიდან დაზუსტებით არ იკვეთება, ადვოკატებმა წარუდგინეს თუ არა პოლიციის თანამშრომლებს უ. ა.-ს დაცვის ორდერი, თუმცა კადრში ჩანს, რომ ადვოკატებს ხელში აქვთ ფურცლები და უ. ს.-ს საცხოვრებელ კორპუსში შეშვებასა და უკვე დაკავებულ ბრალდებულთან შეხვედრამდე მათ რაიმე დამატებითი დოკუმენტი პოლიციისთვის არ წარუდგენიათ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადვოკატებისთვის საგამოძიებო მოქმედებაში - უ. ა.-ს ბინის ჩხრეკაში მიეღოთ მონაწილეობა, პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ხელის შეშლის მიზეზი არ იყო ორდერის არქონა.

გაურკვეველია, დაცული იქნა თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ დადგენილი სტანდარტი - ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულებების სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით, მოპოვებულ იქნეს ნეიტრალური მტკიცებულებები ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების (ჩხრეკის) მიმდინარეობისა და ობიექტურობის დამადასტურებლად, მათ შორის, პოლიციელების მიერ განახორციელდეს ჩხრეკის პროცესის ვიდეო გადაღება ან/და ობიექტური დამკვირვებლის მოწვევა/დასწრება.[649]

დაკავებულ ბრალდებულთან - უ. ა.-სთან 55 წუთის განმავლობაში (ჩხრეკის დასრულებამდე) ადვოკატების შესვლის აკრძალვა წარმოადგენს ადვოკატების საქმიანობაში უკანონო ჩარევას, რითაც ბრალდებულის დაცვის განხორციელებას ხელი შეეშალა. ბრალდების დამაფუძნებელი და საკვანძო მტკიცებულებების მოსაპოვებლად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის პროცესში ბრალდებულის ადვოკატებისთვის დასწრების შეზღუდვა, შესაძლოა, სწორედ უ. ა.-ს დაცვის განხორციელების ხელშეშლის მიზანს ემსახურებოდა. შესაბამისად, იკვეთებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - **დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში უკანონო ჩარევის ნიშნები.**

გარდა ამისა, უ. ა.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარეს დაეკისრა **გაუთქმელობის ვალდებულება.** უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლებს და როგორც წესი, ამ საქმეშიც, დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულება ვრცელდება სისხლის სამართლის საქმის სრულ ინფორმაციაზე.[650]

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის საჯარო განცხადებებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157^1 მუხლით გათვალისწინებული ბრალდების საქმის მასალები, მაღალი ალბათობით, შეიცავს სხვა პირების პირადი ცხოვრების თაობაზე ინფორმაციას. შესაბამისად, ხსენებული ინფორმაციის დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა და მისი გამჟღავნების თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზნისთვის გამოსადეგ საშუალებას შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის საქმის მონაწილეებისთვის, მათ შორის, დაცვის მხარისთვის, გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრება. თუმცა, იმ ფონზე, როცა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებმა - შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ - გაავრცელეს ინფორმაცია უ. ა.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და აგრეთვე, გამოაქვეყნეს მტკიცებულებების ნაწილი, აუცილებელია ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, რომ საზოგადოებას სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე არ შეექმნას

[649] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, III, §1ა.

[650] უ. ა.-ს ბრალი წარდგენილი აქვს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა (სსკ-ს 236-ე მუხლი) და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის (სსკ-ს 157^1 მუხლი) ფაქტებზე.

შთაბეჭდილება ბრალდებულის დამნაშავეობის თაობაზე. შესაბამისად, საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ბრალდების მხარის საჯარო განცხადებებსა და გამოქვეყნებული მტკიცებულებების ნაწილთან დაკავშირებით დაცვის მხარეს მიეცეს საწინააღმდეგო პოზიციის და არგუმენტების გაჟღერებისა და გამოთქმის შესაძლებლობა, თუნდაც ჩხრეკისა და ამოღების ან/და სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით. მითუმეტეს, რომ ბრალდებულის სასამართლოში წარდგენის სხდომის უდიდესი ნაწილი დახურული იყო და საზოგადოებისთვის უცნობია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის გამოყენებით, ბრალდებისა და დაცვის მხარის არგუმენტების შესახებ. ამასთან, უცნობია, უ. ა.-სთვის წარდგენილი ბრალდების საბრძოლო მასალის - მასრების უკანონოდ შენახვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი) ნაწილში დაცვის მხარისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრების მიზნის, საფუძვლისა და აუცილებლობის დასაბუთება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო, ბრალდების მხარეს ემსჯელა უ.ა.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლების შესახებ (კონკრეტულ ინფორმაციაზე მითითებით) და გაუთქმელობის ვალდებულება გაევრცელებინა სხვა პირების პერსონალური და პირადი ცხოვრების შემცველ ინფორმაციაზე, ინფორმაციის გამჟღავნებისა და პირების იდენტიფიცირების ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებაზე აკრძალვის დაწესებით.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა პროკურატურას ბრალდებულ უ. ა.-ს დაცვის უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიების დაწყებისა და დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლების განსაზღვრის თაობაზე წინადადებით მიმართა.[651] 6 თვეზე მეტია, პროკურატურა აცხადებს, რომ მიმდინარეობს წინადადებაში მითითებული გარემოებების შესწავლა.[652]

8.7. ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, 2020 წელს, ჩატარებული დისტანციური წესით გამართული სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასამართლოს პროგრამული ინფრასტრუქტურა არ იძლეოდა შესაძლებლობას, ბრალდებულებს სხდომის მიმდინარეობისას ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაცია ჰქონოდათ.[653]

---

[651] სახალხო დამცველის 2024 წლის 6 ივნისის N2024/1670 წინადადება.

[652] გენერალური პროკურატურის 2024 წლის 21 ივნისის N13/40467, 5 აგვისტოს N13/51012 და 20 დეკემბრის N13/82423 წერილები.

[653] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისტანციური წესით ჩატარებული სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის შესახებ, < https://bit.ly/3tANb4y >

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული ინფორმაციით აპარატისთვის ცნობილი იყო, რომ Cisco Meeting Server (CMS) სისტემას, რასაც დისტანციური სხდომების წარმართვისთვის იყენებენ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები, არ აქვს ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური სესიის შექმნის შესაძლებლობა. სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის პროგრამის ფუნქციონალების დახვეწასა და სასამართლო სხდომების სპეციფიკაზე მორგების, მათ შორის იზოლირებული სესიების ფუნქციონალის შექმნის მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობდა 2023 წლის მდგომარეობითაც. თუმცა, ხსენებული ფუნქციონალი დანერგილი არ იყო, ვინაიდან საკითხი მოითხოვდა საფუძვლიან შესწავლას, კვლევა-ანალიზს, შემათანხმებელი პროცედურებისა და სხვა ეტაპების გავლას. გარდა ამისა, ახალი პროგრამული სერვისების შექმნა/დანერგვა, ახალი ტექნოლოგიური პროდუქტების შესყიდვა და არსებულ სისტემებზე ახალი მოდულების დაშენება, დაკავშირებული იყო საკმაოდ მაღალ ფინანსურ დანახარჯებთანაც.[654]

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცნობით, საანგარიშო პერიოდში სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის პროგრამაში (Cisco Meeting Server (CMS)) **ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის ფუნქციონალი, სამწუხაროდ, კვლავ არ არის დანერგილი.[655]**

8.8. გაჭიანურებული ექსპერტიზა

სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში შეისწავლა მსჯავრდებულ შ. თ.-ს ადვოკატების, ვ. ხ.-ისა და მ. მ-ის განცხადება,[656] შ. თ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული ექსპერტიზის გაუმართლებლად გაჭიანურების საკითხთან დაკავშირებით. წარმოდგენილი ინფორმაციით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წარმოებაშია საქმე[657], დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

2021 წლის 29 ივნისს, დაცვის მხარის მიერ, ხსენებულ საქმეზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა. ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, **ექსპერტიზა უნდა დასრულებულიყო 365 დღეში, თუმცა ექსპერტიზის დანიშვნიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, დაცვის მხარეს დასკვნა არ ჰქონდა მიღებული.** განცხადების თანახმად, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში წარადგინეს არაერთი წერილობითი მიმართვა ექსპერტიზის დასრულებისა და დასკვნის გაცემის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ.

---

[654] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >; გვ. 151-152.
[655] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 27 იანვრის №46/56-03-ო წერილი.
[656] საქმე N1939/2024.
[657] სისხლის სამართლის N170300820001 საქმე.

ყოველთვის იღებდნენ პასუხს, რომ ექსპერტიზა არ არის დასრულებული, საკითხი განხილვის და გადაწყვეტის პროცესშია.

ადვოკატთა განმარტებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნული ექსპერტიზის გაუმართლებლად გაჭიანურების გამო, დაცვის მხარე ვერ ახერხებდა საკასაციო სასამართლოში ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულების წარდგენას, რომელსაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა წარდგენილ ბრალსა და სასამართლოს განაჩენზე.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს,[658] რომლის პასუხის თანახმად, დაცვის მხარის განცხადების საფუძველზე, დაინიშნა სამედიცინო ექსპერტიზა ა. თ.-ის გარდაცვალების ფაქტზე. საექსპერტო დაკვეთის მოცულობისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, ბიუროში კვლევა დასრულდა და **დასკვნა მომზადდა** 2024 წლის 5 ივლისს, **დანიშვნიდან 3 წლის შემდეგ.**[659]

სახალხო დამცველის აპარატს, გასულ წლებშიც არაერთი საქმე აქვს შესწავლილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტიზის გაჭიანურების საკითხთან დაკავშირებით. შესწავლის შედეგები, გამოვლენილი ხარვეზები და სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები ასახულია სახალხო დამცველის შესაბამის ანგარიშებში.[660] **სამწუხაროა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე მხარეების მიერ დანიშნული ექსპერტიზების დასრულებისა და დამკვეთისთვის გადაცემის გაჭიანურების პრობლემა კვლავ ფიქსირდება.**

8.9. პატიმართა სარჩელების განხილვის გაჭიანურება

საანგარიშო პერიოდშიც, გასული წლების მსგავსად, კვლავ დაფიქსირდა პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების სასამართლოში განხილვის გაჭიანურების შემთხვევები.

საგულისხმოა, რომ სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასა და უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული წესით საჩივრდება

[658] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 ივნისის N2024/1723 წერილი.

[659] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 8 ივლისის N5004082824 წერილი.

[660] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 195-201, < https://ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf >; საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, გვ. 39-40. < https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf >

სასამართლოში.[661] საქმის განხილვის ვადა არაუგვიანეს 2 თვეა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე შეიძლება ვადა გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.[662] უზენაეს სასამართლოში საჩივრის წარმოებაში მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის ვადა 6 თვეს შეადგენს.[663] საგულისხმოა, რომ ბევრი საქმის განხილვა დადგენილ ვადაში არ სრულდება. სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა მთლიანობაში რამდენიმე თვე, ზოგჯერ შეიძლება 1 წელზე მეტი დროც გაგრძელდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხები ხელახლა განიხილება 6 თვის შემდეგ.[664] შესაბამისად, მსჯავრდებულებს უწევთ ახალი გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება, რაც თავის მხრივ, ხანგრძლივი დროით ჭიანურდება.

სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს სასამართლოში ადმინისტრაციული საქმეების გონივრულ ვადაში განხილვის პრობლემაზე[665] და გასცემს შემდეგ რეკომენდაციებს:[666] საქართველოს პარლამენტისადმი - უზრუნველყოს საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რომლითაც განისაზღვრება სპეციალური ვადები პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების გონივრულ ვადაში განხილვის და საქმისწარმოების გაჭიანურების თავიდან ასარიდებლად; ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსადმი - უზრუნველყოს საკანონმდებლო ან/და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდით ან ვიწრო სპეციალიზაციის შემოღებით, მსჯავრდებულთა ადმინისტრაციული სარჩელების გონივრულ ვადაში განხილვის და საქმისწარმოების გაჭიანურების თავიდან არიდების მიზნით. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის ხსენებული რეკომენდაციები არ შესრულებულა.

საქმის განხილვის ხანგრძლივი ვადით გაჭიანურება გამოვლინდა აპარატის შესწავლილ **მსჯავრდებულ გ. ს.-ს საქმეზე, სადაც სასამართლომ მოსამზადებელი სხდომა სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 9 თვეზე მეტი პერიოდის შემდეგ დანიშნა.** კერძოდ, პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის საკითხზე მსჯავრდებულ გ. ს.-ს სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო 2024 წლის 16 თებერვალს და მოსამზადებელი სხდომა 2024 წლის 24

[661] საქართველოს პატიმრობის კოდექსი (მოქმედი 2024 წლის 1 იანვრამდე), მუხ. 42, ნაწ. 6; მუხ. 43, ნაწ. 7; საქართველოს პენიტენციური კოდექსი (მოქმედი 2024 წლის 1 იანვრიდან), მუხ. 91, ნაწ. 6; მუხ. 92, ნაწ. 8.

[662] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 1, ნაწ. 2; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 59, ნაწ. 3.

[663] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხ. 34, ნაწ. 4.

[664] საქართველოს პატიმრობის კოდექსი (მოქმედი 2024 წლის 1 იანვრამდე), მუხ. 43, ნაწ. 8; მუხ. 42, ნაწ. 7; საქართველოს პენიტენციური კოდექსი (მოქმედი 2024 წლის 1 იანვრიდან), მუხ. 92, ნაწ. 9; მუხ. 91, ნაწ. 7.

[665] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" 2020 წლის ანგარიში, გვ. 136-137; 2021 წლის ანგარიში, გვ. 104-106; 2022 წლის ანგარიში, გვ. 115-116; 2023 წლის ანგარიში, გვ. 118-119.

[666] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი", გვ. 131-132.

ნოემბერს დანიშნა.[667] ამის მიზეზი კი - მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლე (900-ზე მეტი მიმდინარე საქმე) იყო.[668]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა მსჯავრდებულ ა. ლ-ს განცხადება, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საქმის განხილვის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.[669] წარმოდგენილი ინფორმაციით, მსჯავრდებულმა 2017 წელს, ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა N3 დაწესებულებისთვის, მის მიერ გაგზავნილი ხუთი კონფიდენციალური კორესპონდენციის გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გადაცემის ვალდებულების დაკისრება. ა. ლ-ს გადმოცემით, ხსენებული საქმის განხილვა სასამართლომ დაიწყო 2024 წელს 29 თებერვალს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მსჯავრდებულ ა. ლ-ის ადმინისტრაციული სარჩელი სასამართლომ წარმოებაში მიიღო 2017 წლის 3 ივლისს; ხსენებული სარჩელის განხილვა სასამართლომ დაიწყო 2024 წლის 29 თებერვალს; 2017 წლის შემდეგ, მითითებულ ადმინისტრაციულ საქმეზე ჩატარდა 5 სასამართლო სხდომა; საქმის განხილვის დაწყების შემდეგ, სხდომა სხვადასხვა მიზეზით გადაიდო რამდენჯერმე. მაგალითად, მტკიცებულების გამოთხოვა და წარმოდგენილი მტკიცებულების გაცნობა. ასევე, ერთ შემთხვევაში, პენიტენციურმა სამსახურმა მოსარჩელე ვერ წარადგინა სასამართლოში, ხოლო მეორე შემთხვევაში, ვერ მოხერხდა მსჯავრდებულის დისტანციური ჩართვა; 2017 წლის შემდეგ, საქმეზე შეიცვალა ოთხი მოსამართლე.[670] ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქმის განმხილველი მოსამართლეების ცვლილებისა და საქმეთა სიმრავლით გამოწვეული გადატვირთულობის გამო, ვერ მოხერხდა აღნიშნული საქმის დროულად განხილვა.[671]

კიდევ ერთი მსჯავრდებულის, ს.ხ.-ს საქმის შესწავლით იკვეთება, რომ მხარეს სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება **8 თვის შემდეგ** ჩაბარდა. მსჯავრდებულმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს 2022 წლის სექტემბრის თვეში მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც მსჯავრდებულ ს.ხ.-ს უარი ეთქვა თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სახის სასჯელის შეცვლაზე, მსჯავრდებულმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის სარჩელი და გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2023 წლის 7 ივლისს, თუმცა, მხარეს გადაწყვეტილება გაეგზავნა მხოლოდ 2024 წლის 24 მარტს.[672] ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოდგენილი

---

[667] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 16 თებერვლის განჩინება (საქმე N3/1075-24).
[668] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 11 აპრილის N3/1075-24 წერილი.
[669] საქმე N2794/2024.
[670] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 აგვისტოს N706-გ/კ წერილი.
[671] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 4 სექტემბრის N930-გ/კ წერილი. მსჯავრდებულის განმარტებით, სარჩელის განხილვა ბათუმის საქალაქო სასამართლოში დასრულდა 2024 წლის ბოლოს.
[672] თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი, საქმე N3/8558-22.

ინფორმაციით, მოსამართლეს, რომელმაც განმცხადებლის სარჩელი განიხილა, 2024 წლის 10 აპრილის მდგომარეობით განსახილველად ერიცხებოდა 872 ადმინისტრაციული საქმე[673] და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მხარისთვის გადაცემის გაჭიანურება განპირობებული იყო ობიექტური გარემოებით, მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების სიმრავლით.

8.10. ნასამართლობის ვადის ათვლა

საანგარიშო პერიოდში შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში, დაფიქსირდა ნასამართლობის ვადის ათვლის სისტემური პრობლემა. აღნიშნული საკითხი გავლენას ახდენს როგორც პირისთვის წარდგენილი ახალი ბრალდების კვალიფიკაციაზე და შესაბამისად, სასჯელზე; ასევე, მნიშვნელოვანია საშეღავათო მექანიზმების, მათ შორის, ამნისტიის გამოყენების თვალსაზრისით.

აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ ო. ო.-მ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 აპრილის განაჩენით და 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია, მოქმედი დღემდე) მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის[674] თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული რეალური სასჯელი[675] - თავისუფლების აღკვეთა 3 წელი, 4 თვე და 15 დღე, მოიხადა 2015 წლის 28 ივლისს და გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან; ხოლო 3 წლის ვადით პირობითი მსჯავრის 3 წლისა და 9 თვის ვადით გამოსაცდელი ვადა დაუსრულდა 2019 წლის 27 აპრილს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2023 წლის 15 დეკემბერს გაცემული ცნობის თანახმად, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემთა ელექტრონულ ბაზებში არსებული ინფორმაციით, ო. ო.-ს ნასამართლობა გაქარწყლებულია. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 22 თებერვლის განაჩენით (დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება), ო. ო. დამნაშავედ იქნა ცნობილი 2023 წლის 6 ნოემბერს ჩადენილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ (ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ძარცვა, არაერთგზის). შესაბამისად, მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდიდან (2015 წლის 28 ივლისი) ო. ო-სთვის ბრალად შერაცხული, ახალი დანაშაულის ჩადენამდე (2023 წლის 6 ნოემბერი) გავიდა 8 წელსა და 3 თვეზე მეტი დრო; ხოლო პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის დასრულებიდან (2019 წლის 27 აპრილი) ახალი დანაშაულის ჩადენამდე (2023 წლის 6 ნოემბერი) გასული იყო 4 წელსა და 6 თვეზე მეტი დრო. ამდენად, ირკვევა, რომ მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით

[673] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 12 აპრილის N9047755 წერილი.

[674] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-9 წლამდე ვადით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

[675] სასჯელის ვადის ათვლა დაიწყო 2012 წლის 14 მარტიდან.

მსჯავრდებულის ნასამართლობის გაქარწყლების 6-წლიანი[676] ვადის ათვლა მოხდა არა მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის მოხდის და პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების დღიდან - 2015 წლის 28 ივლისიდან, არამედ გამოსაცდელი ვადის დასრულებიდან - 2019 წლის 27 აპრილიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნასამართლობის თაობაზე ინფორმაციის დამუშავებისას ხელმძღვანელობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.[677] ხოლო პროკურატურის პოზიციით, მითითებულ საქმეზე ბრალდებულის ქმედების სამართლებრივი შეფასებისას, ბრალდების მხარემ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის განჩინებით N113-21 საქმეზე.[678]

კანონით, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში.[679] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე (ძარცვა) და 179-ე (ყაჩაღობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა აღნიშნული მუხლებითა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე ან/და 179-ე მუხლები) ან/და ამ კოდექსის კონკრეტულად მითითებული[680] მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა.[681]

ამასთან, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან/და თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.[682] მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.[683] გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება

[676] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 79, ნაწ. 3, ქვეპ. „დ“.
[677] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 15 ნოემბრის NMIA02403486305 წერილი.
[678] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 14 ნოემბრის N13/73964 წერილი.
[679] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 15, ნაწ. 1.
[680] იქვე, მუხ. 224, 231, 237, 264 და 286[1].
[681] იქვე, მუხ. 177, შენიშვნა 2.
[682] იქვე, მუხ. 15, ნაწ. 2.
[683] იქვე, მუხ. 79, ნაწ. 1.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.[684]

სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ნასამართლობის გაქარწყლების განსხვავებული ვადებია დადგენილი პირობით მსჯავრდების შემთხვევაში და მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ. პირობითი მსჯავრის შემთხვევაში ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ,[685] ხოლო მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ.[686]

ო. ო.-ს მიმართ გამოტანილ განაჩენში[687] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კვლავ გაიზიარა უზენაესი სასამართლოს 2021 წლის განჩინებით გაკეთებული განმარტება კანონის ზემოხსენებულ დებულებებზე (სსკ-ის 79-ე მუხლი) მითითებით, განმარტა, რომ „კასატორის მტკიცების შესაბამისად კი, თითქოსდა შესაძლებელია, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, რომელსაც სასჯელის ნაწილი ჩათვლილი აქვს პირობითად, გაცილებით ადრე გაუქარწყლდეს ნასამართლობა, ვიდრე თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით (მაგალითად: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან შინაპატიმრობა) მსჯავრდებულს, რაც, ერთი მხრივ, უსამართლოა, ხოლო, მეორე მხრივ, ეწინააღმდეგება კანონმდებლის მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით, ნასამართლობის გაქარწყლებისათვის მკაფიოდ დადგენილი ვადების გამოთვლის წესს.“ [688]

ამდენად, უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, დანაშაულის არაერთგზის კვალიფიკაციით მსჯავრდებისას, როცა პირს წარსულში ჩადენილი დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით დაენიშნა და ნაწილი - ჩაეთვალა პირობითად გამოსაცდელი ვადით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა აითვლება არა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული რეალური სასჯელის მოხდიდან, არამედ გამოსაცდელი ვადის დასრულებიდან. შესაბამისად **სამწუხაროდ, მსჯავრდებულს, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი პირობითად ჩაეთვალა, ნასამართლობის გაქარწყლების ვადის ათვლა უფრო გვიან ეწყება და შესაბამისად, გაქარწყლებისთვის უფრო მეტი დრო უნდა გავიდეს, ვიდრე იმ შემთხვევაში მოუწევდა, თუ მთლიან სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში მოიხდიდა.**

---

[684] იქვე, მუხ. 79, ნაწ. 6.
[685] იქვე, მუხ. 79, ნაწ. 3, ქვეპ. „ა“.
[686] იქვე, მუხ. 79. ნაწ. 3, ქვეპ. „დ“.
[687] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლი საქმეთა პალატის 2024 წლის 6 თებერვლის განაჩენი N1205აპ-23 საქმეზე.
[688] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის N113-21 გადაწყვეტილება, <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/40727/2>

8.11. ექსტრადიციის დასაშვებობა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2024 წლის აგვისტოში დაკავებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ა. ს.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე საერთო სასამართლოების განჩინებები.

2024 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და დასაშვებად იქნა ცნობილი ა. ს.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიცია, ფულადი თანხის გამოძალვის ბრალდების ორი ეპიზოდისთვის.[689] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის საჩივარი და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება ა. ს.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის განხორციელების დასაშვებობის თაობაზე.[690]

განმცხადებელი, მათ შორის, სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას აღნიშნავდა, რომ მის მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო უსაფუძვლოდ, მის მიერ ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მაღალი თანამდებობის პირების კორუფციასა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მხილების გამო.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ იქნა საჯარო წყაროები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, როგორც საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტები და შეფასებები. შესწავლილი საჯარო წყაროების თანახმად, იკვეთება, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტების მიმართ ხშირია უსაფუძვლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, მათ შორის ფულადი თანხის გამოძალვის, იმ ქმედების ბრალდებით, რომლის ჩადენაშიც ედებოდა ბრალი ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს და აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების მიერ მოთხოვნილი იყო მისი ექსტრადიცია.

სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა უზენაეს სასამართლოს, ა. ს.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებობის საკითხის განხილვისას, სხვა საკითხებთან ერთად, ემსჯელა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტთა უფლებრივი მდგომარეობისა და ფულადი თანხების გამოძალვის უსაფუძვლო ბრალდებების ხშირი შემთხვევების თაობაზე, და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ექსტრადიციის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას რამდენად იყო

[689] 2024 წლის 28 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს N115 განჩინება.
[690] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 9 დეკემბრის N211[1]-24 განჩინება.

შესაძლებელი, ადგილი ჰქონოდა მის უსაფუძვლო ბრალდებას ჟურნალისტური საქმიანობის გამო. [691]

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტთა უფლებების დარღვევისა და ჟურნალისტური საქმიანობის გამო უსაფუძვლო სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჯარო წყაროებში და ასევე მითითებული იყო სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაშიც, საერთო სასამართლოებმა დასაშვებად მიიჩნიეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ა. ს.-ს ექსტრადირება ისე, რომ არ უმსჯელიათ, მის მიმართ რამდენად იყო შესაძლებელი ადგილი ჰქონოდა სისხლისსამართლებრივ დევნას მისი ჟურნალისტური საქმიანობის გამო და ხომ არ იყო სახეზე ექსტრადიციის გამომრიცხველი გარემოება ამ მხრივ.

9. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

2024 წელსაც სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაში პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვაზე ზედამხედველობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო. აპარატში შემოსული განცხადებების საფუძველზე, განსაკუთრებული ყურადღება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტებს დაეთმო. აქტუალური იყო მსჯავრდებულების მათი ოჯახისგან მოშორებით მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანის, ფოსტის საშუალებით ამანათის გაგზავნის აკრძალვასთან დაკავშირებული გამოწვევები, აგრეთვე, ბრალდებულების გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის ფაქტები. ასევე, წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება მსჯავრდებულის მიმოწერის უფლების დარღვევისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელყოფის სხვა შემთხვევები.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდშიც უშედეგოდ გაგრძელდა ე. წ. „სუს-ის ფაილების“ საქმეზე 2021 წელს დაწყებული გამოძიება, რომლის მიმართაც განსაკუთრებულად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

9.1. მსჯავრდებულის ოჯახის წევრებისაგან შორს განთავსება

საანგარიშო პერიოდში კვლავ არაერთი პატიმარი ითხოვდა მის ოჯახთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას, რათა შეძლებოდათ ოჯახის წევრებთან შეხვედრა, ასევე მათგან ამანათების მიღების უფლებით სარგებლობა. აპარატმა, რამდენიმე შემთხვევაში

[691] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 6 დეკემბრის N2024/6986 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

დაადგინა, რომ სავარაუდოდ დაუსაბუთებლად იზღუდებოდა პატიმრების კანონმდებლობით გარანტირებული ეს უფლება. აპარატის წარმოებაში არსებული საქმეების თანახმად, უმეტესად N1 ან N2 პენიტენციურ დაწესებულებებში (ლაითური, ქუთაისი) განთავსებული მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათი და მათი ოჯახის წევრების (ახლო ნათესავების) საცხოვრებელი ადგილია საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე რომელიმე მუნიციპალიტეტი და ამის გამო, ითხოვდნენ აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ, შესაბამისი ტიპის (რისკის) პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას, რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა.[692] ამავე პერიოდში აპარატმა შეისწავლა N10 პენიტენციურ დაწესებულებაში (ქსანი) მოთავსებული მსჯავრდებულის საქმეც, რომელიც დასავლეთ საქართველოში, N1 ან N2 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას საფუძვლიანად ითხოვდა.[693]

მსჯავრდებულთა განმარტებით, **ტერიტორიული სიშორე, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით (მშობელთა ხანდაზმული ასაკი, მცირეწლოვანი შვილები, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის პრობლემები, მატერიალური მდგომარეობა და სხვა), მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. შედეგად, მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით, ასევე, ფაქტობრივად ეზღუდებათ ამანათის მიღების შესაძლებლობაც.**
შესწავლილი საქმეების თანახმად, მსჯავრდებულების ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსების კანონმდებლობით გარანტირებული უფლების შეზღუდვა განპირობებული იყო უსაფრთხოების ან კონკრეტული პენიტენციური დაწესებულების გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივით, თუმცა, საგულისხმოა, რომ N1 და N2 პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, N10 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებშიც უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსების და გადაადგილების პირობები. N1 და N2 დაწესებულების მსგავსად, N8 და N10 პენიტენციური დაწესებულების დებულებითა და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით, ბრალდებულები და მსჯავრდებულები განთავსებულები არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[694] ამასთან, დაწესებულებების დებულების თანახმად, სუფთა ჰაერზე[695] გაყვანას ან დაწესებულების

[692] მაგ., გ. ს.-ს, გ. კ-ს, ლ. მ.-ს, მ. ბ.-ს, ნ. კ.-ს, ი. კ.-ს, მ. ჭ.-ს, ნ. გ.-ს, გ. თ.-ს საქმეები.
[693] მაგ., შ. ჩ.-ს საქმე.
[694] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანებით დამტკიცებული N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი; საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 8 სექტემბრის N928 ბრძანებით დამტკიცებული N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N119 ბრძანებით დამტკიცებული N2 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტი; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტი.
[695] ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა.

ტერიტორიაზე სხვა მოტივით გადაადგილებას წარმართავს დაწესებულების წარმომადგენელი. ხოლო, გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივი N8 პენიტენციურ დაწესებულებასთან მიმართებით უმეტესწილად რეალურია, თუმცა N10 დაწესებულების გადატვირთულობის რისკი დღის წესრიგში არ დგას.

2024 წლის ივნისში პენიტენციური დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გაიზარდა საშტატო ერთეულების რაოდენობა და მიმდინარეობდა ვაკანტური ადგილების შევსების პროცესი. გარდა ამისა, გრძელდებოდა დაწესებულების ადმინისტრაციული ნაწილის სამშენებლო სამუშაოები, სადაც უნდა მოწყობილიყო ხანმოკლე/ხანგრძლივი/ვიდეო პაემნებისთვის და დისტანციური ჩართვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნული პროცესების დასრულების შემდგომ შესაძლებელი გახდებოდა N10 პენიტენციურ დაწესებულებაში ლიმიტით განსაზღვრულ პატიმართა რაოდენობის მიღება.[696] ანალოგიური შინაარსის პასუხი მიიღო აპარატმა 2024 წლის ივლისშიც, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის, გ. კ.-ის ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე სახალხო დამცველის რეკომენდაციის პასუხად.[697] ხოლო, N10 პენიტენციური დაწესებულებიდან დასავლეთ საქართველოში მდებარე ერთ-ერთ (N1 ან N2) პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანა, სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე მიღებული პასუხის თანახმად, უსაფრთხოების უზრუნველყოფის გამო იქნა მიზანშეუწონელი.[698]

სამწუხაროდ, ის პატიმრები, რომელთა შესახებაც ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინიტრს ან სახალხო დამცველის აპარატმა - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, კვლავ იმავე პენიტენციურ დაწესებულებებში რჩებიან, საიდან გადაყვანასაც ითხოვდნენ.[699]

ცალკე აღსანიშნავია, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ლ. მ.-ის საქმე, რომელიც საკვნეტელას გადაყლაპვის შემდეგ N8 პენიტენციური დაწესებულებიდან გადაყვანილი იქნა სამედიცინო ცენტრ „ვივამედში“, ხოლო სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერის შემდეგ განთავსებული იქნა N2 პენიტენციურ დაწესებულებაში.[700] არასრულწლოვანი

[696] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის N180010/01 წერილი.
[697] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 19 ივლისის N212484/01 წერილი.
[698] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 19 ნოემბრის N347688/01 წერილი.
[699] ინფორმაცია გადამოწმებულია 2025 წლის 23 იანვარს, ამასთან, მსჯავრდებულთა ნაწილი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან.
[700] 2024 წლის 14 აგვისტო.

მსჯავრდებულის ოჯახი (დედა) ცხოვრობს ქალაქ თბილისში და სოციალურად დაუცველ ოჯახთა ბაზაშია რეგისტრირებული.

აღნიშნულ საქმეზე, სახალხო დამცველმა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე რეკომენდაციით იუსტიციის მინისტრს მიმართა.[701] რეკომენდაცია სამწუხაროდ არ დაკმაყოფილდა, თუმცა ამავდროულად უწყებიდან მიღებული პასუხის თანახმად,[702] ლ. მ.-ს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში, მისი თანხმობით, აღუდგა მოსწავლის სტატუსი, ირიცხება საჯარო სკოლაში, სისტემატურად ესწრება გაკვეთილებს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. გარდა ამისა, მსჯავრდებულმა N2 პენიტენციურ დაწესებულებაში, თითქმის 5 თვის მანძილზე, ისარგებლა 1 ხანმოკლე და 2 ხანგრძლივი პაემნით.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ **რიგ შემთხვევებში მსჯავრდებულების განთავსებას მათი ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილებიდან შორს მდებარე დაწესებულებაში დასაბუთებული საფუძველი არ აქვს და მათ ოჯახთან კომუნიკაცია გაუმართლებლად და ხანგრძლივად ეზღუდებათ.**

9.2. გარესამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვის საკანონმდებლო ცვლილებები

2024 წელს პენიტენციურ კოდექსში ცვლილება შევიდა,[703] რითაც საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში ან ტერორიზმში ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს[704] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165[2] მუხლით გათვალისწინებული უფლებები, პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლოა შეეზღუდოს. კერძოდ, ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება შეეზღუოს მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე პაემნის, ხანგრძლივი პაემნისა და პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლებები. გარდა ამისა, მსჯავრდებულ პირს შეიძლება შეეზღუდოს ვიდეოპაემნისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებები.

ცვლილებების თანახმად, შეზღუდვის მიზანი სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებაა. ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უფლებ(ებ)ის შეზღუდვის შესახებ

[701] სახალხო დამცველის 2024 წლის 12 დეკემბრის N2024/7208 რეკომენდაცია.
[702] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 27 დეკემბრის N387960/01 წერილი.
[703] პენიტენციური კოდექსი, მუხ. 126[1].
[704] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVII ან XXXVIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული/მსჯავრდებული პირი.

გადაწყვეტილებას, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორი იღებს.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლებები შეიძლება შეეზღუდოს 3 თვემდე ვადით. თუ ვადის ამოწურვის მომენტისათვის კვლავ არსებობს შესაბამისი უფლებ(ებ)ის შუზღუდვის საფუძველი ან თუ ეს საფუძველი შეზღუდვის გაუქმების შემდეგ კვლავ გამოვლინდა, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია იმდენჯერ მიიღოს გადაწყვეტილება ამ უფლებ(ებ)ის შეზღუდვის შესახებ, რამდენჯერაც იარსებებს შესაბამისი საფუძველი და თითოეულ ჯერზე 3 თვემდე ვადით. აღნიშნულ საკითხზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რაც არ აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში ან ტერორიზმში ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვა, რა თქმა უნდა შესაძლებელია, გამართლდეს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვისა და მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, კონკრეტული ინფორმაციის არსებობისას. თუმცა, კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის ეტაპზე სახალხო დამცველის აპარატმა, რომელიც მონაწილეობდა საკომიტეტო მოსმენაში, განმარტა, რომ უფლების შეზღუდვა ერთი მხრივ უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ ინფორმაციას, მეორე მხრივ კი გადაწყვეტილების მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს ამ ინფორმაციის სრულფასოვნად განხილვისა და აუცილებელი და პროპორციული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. კანონპროექტით და საბოლოოდ დამტკიცებული კანონის რედაქციით, აღნიშნული რთულად წარმოსადგენია, რამდენადაც გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტად განსაზღვრულია პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, რომელსაც შეუძლია პატიმარი უფლებებში შეზღუდოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა, იქვე კანონმდებლობა აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია უსაფრთხოების სამსახურის მიერ „ისეთი ფორმით“ უნდა მიეწოდოს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო საიდუმლოებასა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს.

ამ ნაწილში აპარატს მიაჩნია, რომ კანონმდებლობის ჩანაწერი ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ დაწესებულების დირექტორს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მიეწოდოს მხოლოდ ზოგადი მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია კონკრეტული ბრალდებული/მსჯავრდებული პირი შეიზღუდოს უფლებებში და ამ ინფორმაციის შინაარსობირივად შემოწმების შესაძლებლობა ფორმალურად გადაწყვეტილების მიმღებ პირს - პენიტენციური დაწესებულების დირექტორს - ვერ ექნება. სწორედ, ამ გარემოების გათვალისწინებით, აპარატის მიერ შეთავაზებული იყო, რომ

უფლების შემზღუდავ სუბიექტად განსაზღვრულიყო სასამართლო, რომელსაც სრული წვდომა ექნებოდა ოპერატიულ-სამძებრო და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე. სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება კი განსაზღვროდათ პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

აქვე სახალხო დამცველის აპარატმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმის მნიშვნელობას, რომ თუ კანონმდებელი გაიზიარებდა აპარატის პოზიციას, პარალელურად ემსჯელათ იმ რეკომენდაციების გაზიარების აუცილებლობაზეც, რაზეც ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნით, სახალხო დამცველი წლებია გასცემს და რაც მიემართება: (1) პატიმრების ადმინისტრაციულ სარჩელებთან დაკავშირებით სწრაფი მართლმსაჯულების მექანიზმის დანერგვას (მაგალითად, პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების განხილვისთვის სპეციალური ვადების გაწერა); (2) ფინანური ტვირთისგან/ბაჟისგან პატიმრის გათავისუფლებას, თუ პატიმარი წარმოადგენს საბანკო ამონაწერს პენიტენციურ სისტემაში ყოფნის პერიოდში მისი ფინანსური ბრუნვის შესახებ (კონკრეტული თანხის ოდენობა და დროის პერიოდი განისაზღვროს მისადაგების მიხედვით).

სამწუხაროდ, საკომიტეტო განხილვების დროს აპარატის მიერ წარდგენილი პოზიცია კანონმდებელმა არ გაიზიარა.

შესაბამისად პრობლემურია, რომ უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა შეიძლება მიიღოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართვის საფუძველზე, თუმცა ამ მიმართვის უკან რა კონკრეტული ინფორმაცია და საფრთხე არსებობს, ამის გადამოწმების მექანიზმი კანონით არ არის გათვალისწინებული. ამგვარად, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი პრაქტიკულად მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ განსაზღვროს უსაფრთხოების სამსახურის მიმართვა რამდენად საფუძვლიანია და შესაბამისად, მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი იქნება დასაბუთებული თუ არა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ პენიტენციური სამსახურის ფუნქცია არ არის სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნვა და დაწესებულების გარეთ დანაშაულის ჩადენის პრევენცია, რაც აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიზანია. შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი არ უნდა იყოს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები, რელევანტური პირი. ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებ(ებ)ის შეზღუდვის ხარისხისა და დაცვის ობიექტის გათვალისწინებით, როგორც უკვე აღინიშნა, უმჯობესი იქნებოდა, გადაწყვეტილება თავიდანვე მიეღო სასამართლოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის/დაწესებულების დირექტორის ან/და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი მიმართვისა და წარდგენილი ინფორმაციის სრულფასოვანი განხილვის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით წარმოიშვა ხსენებული რისკები, მისასალმებელია რომ პრაქტიკაში აღნიშნულ ცვლილებებს არსებითი ნეგატიური გავლენა პატიმრების უფლებებზე ჯერჯერობით არ ჰქონია.

კერძოდ, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია პენიტენციური კოდექსის 126[1] მუხლის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით.[705]

მიღებული პასუხების თანახმად, ამ დროისთვის სპეციალური პენიტენციური სამსახურის N1, N3, N6, N8 და N10 დაწესებულებებში (სადაც ამ კატეგორიის პატიმრები იმყოფებიან) განთავსებულ არცერთ მსჯავრდებულს, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVII ან XXXVIII თავით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის იხდის სასჯელს, პენიტენციური კოდექსის 126[1] მუხლის საფუძველზე უფლებები არ აქვს შეზღუდული. მხოლოდ ერთი მსჯავრდებულის მიმართ, ერთჯერადად, 3 თვის ვადით, იქნა გამოყენებული ხსენებული შეზღუდვა, რაც ამ დროისთვის გაუქმებულია.[706]

სახალხო დამცველის აპარატი მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს აღნიშნული ცვლილების პრაქტიკაში გამოყენებაზე დაკვირვებას, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული პატიმრების უფლებები, მათ შორის, გარესამყაროსთან და ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლება.

9.3. ამანათის მიღების წესის ცვლილებების შედეგები

სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშში კრიტიკულად შეფასდა 2023 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ამანათის მიღების წესთან დაკავშირებით შესული ცვლილებები (დაწესდა ამანათის მიღების ლიმიტი, აიკრძალა საფოსტო ამანათები (გარდა ფოტოსურათებისა), აგრეთვე, აიკრძალა ამანათით საკვები პროდუქტების შეგზავნა).[707] ამავე ანგარიშში, მიმოხილული იყო N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, თ. შ.-ს შემთხვევა, რომლის ოჯახის წევრები ცხოვრობენ თბილისში, თავად მსჯავრდებული კი განთავსებულია ბათუმში მდებარე დაწესებულებაში. თ. შ. მიუთითებდა, რომ საფოსტო ამანათების აკრძალვით, ფაქტობრივად,

[705] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 28 იანვრის N25/854, 2025 წლის 29 იანვრის N25/910, 2025 წლის 29 იანვრის N25/911, 2025 წლის 29 იანვრის N25/908 და 2025 წლის 29 იანვრის N25/909 წერილები.

[706] N1 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 31 იანვრის N27879/01 წერილი, N3 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 31 იანვრის N27502/21 წერილი, N6 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 3 თებერვლის N29426/23 წერილი, N8 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 3 თებერვლის N29074/01 წერილი და N10 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 30 იანვრის N25930/25 წერილი.

[707] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 2 დეკემბრის N947, N948,N949, N950, N951, N952, N953, N954, N955, N956, N957, N958, N959, N960 ბრძანებები.

ოჯახის წევრების დახმარების გარეშე დარჩა, რადგან ისინი ვერ მოახერხებდნენ სისტემატურად ბათუმში ჩასვლას.[708]

2024 წლის განმავლობაში მსჯავრდებულმა თ. შ.-მ არაერთხელ მიმართა სახალხო დამცველის აპარატს და აცნობა, რომ ვინაიდან საფოსტო ამანათს ვეღარ იღებს, მაღაზიის მეშვეობით სცადა მისთვის საჭირო ნივთების შეძენა. საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თ. შ.-მ 2024 წლის ივლისში შეკვეთილი ტანსაცმელი 2024 წლის ოქტომბერში მიიღო. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილი პასუხების თანახმად, რომ პასუხისმგებელი შპს ვერ ახერხებს მსჯავრდებულის მიერ შეკვეთილი ტანსაცმლის ბაზარზე მოძიებას,[709] რის გამოც მსჯავრდებულს უწევს თვეობით ლოდინი ან ნაკლებად ხარისხიანი და მისი შეკვეთისგან განსხვავებული ტანსაცმლის მიღებაზე დათანხმება.

ერთ-ერთი შეხვედრისას, მსჯავრდებულმა თ. შ.-მ სახალხო დამცველის რწმუნებულს აჩვენა ის ტანსაცმელი, რის ტარებაც უწევს ყოველდღიურად. როგორც ტანსაცმელი, ასევე წინდები იყო მრავალ ადგილას გახეული და დაკერებული. მსჯავრდებული განმარტავდა, რომ საფოსტო ამანათის აკრძალვის გამო ოჯახი თბილისიდან ტანსაცმელს ვეღარ უგზავნის, ხოლო მაღაზიას კი შეკვეთა თვეების დაგვიანებით მიაქვს. შესაბამისად, მას დახეული ტანსაცმლის გამოყენება უწევს, რაც მისთვის ღირსების შემლახველია.

ასევე, როგორც აღინიშნა, ამანათით საკვები პროდუქტების შეგზავნა აკრძალულია, თუმცა სადღესასწაულო დღეებში, გამონაკლისის სახით, პატიმრებს შეუძლიათ ცალკეული პროდუქტების ამანათით მიღება, რის შესახებაც, დადგენილი პრაქტიკით, წინასწარ ეცნობებათ პატიმრებს და მიეწოდებათ დასაშვები პროდუქტების სია.

მსჯავრდებული თ. შ.-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, გიორგობის დღესასწაულისთვის, რომელიც აღინიშნება 23 ნოემბერს, დაწესებულების დირექტორის მიერ, გამონაკლისის სახით დაშვებული იმ პროდუქტების სია, რომლის მიღებასაც შეძლებდნენ სადღესასწაულოდ, პატიმრებს მიეწოდათ 2024 წლის 21 ნოემბერს, რაც, ასევე, დაადასტურა N3 დაწესებულების ადმინისტრაციამ.[710] იმის გათვალისწინებით, რომ საფოსტო ამანათი აკრძალულია, ხოლო მსჯავრდებულის ოჯახის წევრები ქალაქ თბილისში ცხოვრობენ, რის გამოც ისინი ერთ დღეში ვერ მოახერხებდნენ საკვები პროდუქტების N3 პენიტენციურ დაწესებულებაში მიტანასა და ამანათით შეგზავნას, მსჯავრდებულმა ვერ ისარგებლა ამანათით საკვები პროდუქტების მიღების საგამონაკლისო უფლებით.

აღსანიშნავია, რომ საგამონაკლისო წესით ამანათის დაშვებისას პატიმრის წინასწარ გაფრთხილების წესი დაწესებულების დებულებით არ რეგულირდება. შესაბამისად,

---

[708] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 186-188.
[709] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2024 წლის 24 ოქტომბრის N319335/01 და 2024 წლის 21 ნოემბრის N350106/01 წერილები.
[710] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულების 2024 წლის 26 დეკემბრის N386109/21 წერილი.

დღესასწაულამდე ერთი დღით ადრე პატიმრების ინფორმირება ხსენებული გამონაკლისის შესახებ, კანონდარღვევად ვერ შეფასდება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, მსგავსი საშეღავათო გამონაკლისი არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და მისით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეს როგორც ადგილობრივ, ასე საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პატიმრებს, მათთვის უფლებებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

9.4. პატიმრების მიმოწერის უფლება

წინა წლებში სახალხო დამცველის აპარატს ხშირად მიმართავდნენ მსჯავრდებულები და პენიტენციური დაწესებულებიდან კორესპონდენციის გაგზავნის შეზღუდვის ფაქტებზე მიუთითებდნენ. საქმეების შესწავლის შედეგების საფუძველზე, სახალხო დამცველმა არაერთი წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს, მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებების შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს დისციპლინური სახდელი დაეკისრათ.[711]

საანგარიშო პერიოდში პატიმართა მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტებზე სახალხო დამცველის აპარატში მიმართვიანობა შემცირებულია. თუმცა, 2024 წელს აპარატმა გამოავლინა ორი მსჯავრდებულის, ნ. კ.-სა და ა. ვ.-ს კორესპონდენციის გაგზავნის უფლების შესაძლო დარღვევის ფაქტები.[712]

მსჯავრდებულ ნ. კ.-ს საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის მსჯავრდებულ ნ. კ.-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 20 ნოემბერს დაწესებულების ერთ-ერთი საკნიდან, სოციალური სამსახურის წარმომადგენელს გადასცა რამდენიმე ადრესატთან გასაგზავნი კორესპონდენცია, კერძოდ: 2 კონფიდენციალური კონვერტი (ადრესატები - საქართველოს იუსტიციის მინისტრი და სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი), 1 თეთრი ფერის კონვერტი (ადრესატი N2 დაწესებულების დირექტორი) და 3 ღია ფორმით დაწერილი განცხადება (ადრესატები - სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური და საქართველოს სახალხო დამცველი).[713] მსჯავრდებული ვარაუდობდა, რომ აღნიშნული კორესპონდენცია სრულად არ გაიგზავნა.

---

[711] მაგ., იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 180-185.

[712] კორესპონდენციის გაგზავნის სავარაუდო შეზღუდვის ფაქტები 2023 წლის აგვისტოსა და 2023 წლის ნოემბრის თვეში დაფიქსირდა.

[713] მსჯავრდებულთან შეხვედრის ოქმი (21.11.2023).

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა N2 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას.[714] აპარატს ეცნობა, რომ 2023 წლის 20 ნოემბერს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გაგზავნილია ერთი კონფიდენციალური წერილი, ხოლო მეორე კონფიდენციალური წერილი დაწესებულების ადმინისტრაციულ განყოფილებაში გასაგზავნად არ შესულა. ასევე, 2023 წლის 20 ნოემბერს კორესპონდენცია გაიგზავნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორთან და სსიპ იურიდიული დახმარების ბიუროში. სახალხო დამცველის აპარატში გასაგზავნი კორესპონდენცია და N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის სახელზე გასაგზავნი განცხადება, მითითებულ თარიღში, დაწესებულების ადმინისტრაციულ განყოფილებაში არ შესულა.[715]

სახალხო დამცველის აპარატში გაგზავნილი კორესპონდენციის მიღების საკითხი გადამოწმდა ასევე აპარატის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში, სადაც, ნოემბრის თვეში ფიქსირდება ნ. კ.-ს 2 განცხადება, თუმცა 20 ნოემბრით დათარიღებული განცხადება აპარატში არ შესულა.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მოითხოვა ასევე სამეთვალყურეო ვიდეოკამერების რელევანტური ჩანაწერების დაარქივება/გაცნობა,[716] რაც დაკმაყოფილდა.[717]

სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა დაარქივებული ვიდეომასალა.[718] დათვალიერების შედეგად, გამოიკვეთა, რომ 2023 წლის 20 ნოემბერს, 14:51 საათზე, საკანთან მიდის სოციალური სამსახურის თანამშრომელი,[719] რომელსაც მსჯავრდებული ნ. კ. გადასცემს 2 კონვერტსა და თეთრ ფურცლებს.

საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს ნ. კ.-ს მიმოწერის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისა და ფაქტის შესწავლის შესახებ.[720] წინადადების საფუძველზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, თუმცა ცალსახად ვერ დადგინდა მსჯავრდებულის უფლებების დარღვევის ფაქტი.[721]

---

[714] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 ნოემბრის N15-13/11408 წერილი.
[715] N2 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 29 ნოემბრის N332271/01 პასუხი.
[716] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 27 ნოემბრის N15-13/11549 წერილი.
[717] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 6 დეკემბრის N339992/01 წერილი.
[718] N2 პენიტენციური დაწესებულების კონკრეტულ საკანში, ასევე, საკნის მიმდებარე ტერიტორიაზე (დერეფანი) არსებული ელექტრონული მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული 2023 წლის 20 ნოემბრის 14:00 საათიდან 16:00 საათამდე პერიოდის ვიდეოჩანაწერები.
[719] არ აცვია სპეციალური პენიტენციური სამსახურის უნიფორმა და ხელში დოკუმენტები უკავია, შესაბამისად, ივარაუდება, რომ სოციალური სამსახურის თანამშრომელია.
[720] სახალხო დამცველის 2024 წლის 1 მაისის N2024/870 წინადადება.
[721] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს N230811/01 წერილი.

მსჯავრდებულ ა. ვ.-ს საქმე

სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას მსჯავრდებულმა ა. ვ.-მ განმარტა, რომ 2023 წლის 21 აგვისტოს განცხადებები დაწერა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის სახელზე, რომლებიც იმავე დღეს გადასცა სოციალური სამსახურის წარმომადგენელს. ა. ვ.-ს გადმოცემით, განცხადებები სოციალურ მუშაკს საკნიდან გადასცა 2023 წლის 21 აგვისტოს, 14:00 საათიდან 18:00 საათამდე მონაკვეთში.

სახალხო დამცველის აპარატმა N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების რელევანტური ჩანაწერების დაარქივება/გაცნობა მოითხოვა,[722] რაც დაკმაყოფილდა.[723] რწმუნებულმა დაათვალიერა დაარქივებული ვიდეომასალა.[724] დათვალიერების შედეგად, გამოიკვეთა, რომ 2023 წლის 21 აგვისტოს, 14:11:18 საათსა და 14:12:30 საათზე, საკნის საკვებურიდან პატიმარი ფურცლებს აწვდის კარს მიღმა მყოფ პირს, რომელიც სავარაუდოდ სოციალური მუშაკია.

სახალხო დამცველის რწმუნებული N2 პენიტენციური დაწესებულების კანცელარიაში გაეცნო მსჯავრდებულ ა. ვ.-ს მიერ 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს გაგზავნილი კორესპონდენციების შესახებ ინფორმაციას/ელექტრონულ დოკუმენტაციას. **შედეგად, გაირკვა, რომ 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს მსჯავრდებულის მიერ N2 პენიტენციური დაწესებულებიდან რაიმე სახის კორესპონდენცია არ გაგზავნილა.**

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[725] N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და გამოითხოვა წერილობითი ინფორმაცია, რელევანტურ საკანში განთავსებული პატიმრების მიერ[726] 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს გაგზავნილი კორესპონდენციების თაობაზე. სამწუხაროდ, აპარატს არ მიეწოდა მითითებული ინფორმაცია, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების შესახებ მსჯავრდებულების მიერ უარის თქმის საფუძვლით.[727]

საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა იუსტიციის მინისტრს ა. ვ.-ს მიმოწერის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე

---

[722] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 12 სექტემბრის N15-14/9184 წერილი.

[723] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 21 სექტემბრის N262195/01 პასუხი.

[724] N2 პენიტენციური დაწესებულების ერთ-ერთი საკნის, 2023 წლის 21 აგვისტოს 14:00 საათიდან 18:00 საათამდე პერიოდის ვიდეოჩანაწერები.

[725] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 19 მარტის N15-14/2733 წერილი.

[726] ა.ვ.-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საკანში მასთან ერთად განთავსებული იყო სხვა სამი პატიმარი.

[727] N2 პენიტენციური დაწესებულების 2024 წლის 25 მარტის N86457/01 პასუხი.

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.[728] პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, წინადადების საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა არ დადასტურდა.[729]

საგულისხმოა, რომ 2024 წლის 26 მარტს ა. ვ. გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. შესაბამისად, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების დროისთვის იგი პენიტენციურ დაწესებულებაში აღარ იმყოფებოდა და მონიტორინგის დეპარტამენტთან გასაუბრებისას 2023 წელს მისი კორესპონდენციის გაუგზავნელობასთან დაკავშირებით პრეტენზია აღარ გამოხატა.

9.5. მიხეილ სააკაშვილისთვის სატელეფონო საუბრის შეზღუდვა

საქართველოს მესამე პრეზიდენტს, ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს დაკავებიდან - 2021 წლის 1 ოქტომბრიდან, **3 წელიწადნახევრის განმავლობაში შეზღუდული აქვს სატელეფონო საუბრის უფლება.**

2023 წლის ბოლოს საკონსტიტუციო სასამართლომ[730] არაკონსტიტუციურად ცნო ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრისა და ხანმოკლე პაემნის შემზღუდავი პატიმრობის კოდექსის ნორმები.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებული კანონმდებლობა, სათანადოდ ვერ იცავდა პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და წარმოშობდა აღნიშნული უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტების არაპროპორციულად შეზღუდვის რეალურ რისკებს. პატიმრობის კოდექსი გამომძიებლისათვის/პროკურორისათვის არ ადგენდა რაიმე ტიპის სახელმძღვანელო კრიტერიუმებს იმის თაობაზე, თუ რა სტანდარტით უნდა დასაბუთებულიყო შეზღუდვის გამამართლებელი საფრთხის არსებობა (მაგ., ალბათობის მაღალი ხარისხი, დასაბუთებული ვარაუდი და ა.შ.), ისევე, როგორც არ ადგენდა ვალდებულებას არსებული საფრთხის პროპორციული შემზღუდველი ღონისძიების გამოყენების თაობაზე. გარდა ამისა, გამომძიებელს/პროკურორს ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის შეზღუდვისას არ მოეთხოვებოდა შეზღუდვის მოქმედების კონკრეტული ვადის განსაზღვრა, ისევე, როგორც კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ამ შეზღუდვის მართებულობის სავალდებულო პერიოდული შემოწმების მექანიზმის არსებობას. ხანმოკლე პაემნის შეზღუდვის შემთხვევაში, გამომძიებელს/პროკურორს არ ევალებოდა დადგენილების დასაბუთება, ხოლო მიმოწერისა

[728] სახალხო დამცველის 2024 წლის 10 მაისის N2024/1026 წინადადება.
[729] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 16 აგვისტოს N241908/01 პასუხი.
[730] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის N2/8/1444 გადაწყვეტილება საქმეზე: „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

და სატელეფონო საუბრის შეზღუდვისას, კანონმდებლობის მოთხოვნა იყო, რომ გამომძიებლის/პროკურორის გადაწყვეტილება ყოფილიყო მოტივირებული, რაც, რეალურად, არ გულისხმობდა ამ გადაწყვეტილების კონკრეტულ საფრთხეებთან მიმართებით დასაბუთების ვალდებულებას. კანონმდებლობაში არ არსებობდა გამომძიებლის/პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან დამცავი მექანიზმები და კრიტერიუმები, რომელიც, ბრალდების მხარეს არ მისცემდა შემზღუდველი ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას მაშინ, როდესაც პირის პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესი აღემატებოდა იმ პოტენციური საფრთხეების პრევენციის ინტერესს, რომელსაც, კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ბრალდებულისათვის ხანმოკლე პაემნის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის უფლების მინიჭება წარმოშობს.[731]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის ან/და ხანგრძლივი პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, მისი გასაჩივრების და გადასინჯვის მარეგულირებელი კონკრეტული წესი.[732] პროკურორის დადგენილებით, შესაძლებელია ბრალდებულს შეეზღუდოს პაემნის, მიმოწერის და სატელეფონო საუბრის უფლებები, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულის მიერ ხანმოკლე პაემნის ან/და ხანგრძლივი პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობის შედეგად ჩადენილი იქნება დანაშაული, განხორციელდება მოწმეზე ზემოქმედება, ხელი შეეშლება მტკიცებულების მოპოვებას ან სხვაგვარად შეფერხდება მართლმსაჯულების განხორციელება. ხსენებული უფლებების შეზღუდვა დასაშვებია არაუმეტეს 2 თვის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კვლავ არსებობს მათი შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, პროკურორის დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მისი უარის - სასამართლოში.

მიხეილ სააკაშვილის განმარტებით, დაკავების დღიდან შეზღუდული აქვს სატელეფონო საუბრის უფლება. ჯერ კიდევ 2021 წელს, აპარატს პროკურატურამ[733] აცნობა, რომ მიხეილ სააკაშვილს სატელეფონო საუბრის უფლება შეეზღუდა გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის დადგენილებით. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდს, პროკურატურის ინფორმაციით,[734] მიხეილ სააკაშვილს სატელეფონო საუბრის უფლება შეეზღუდა 2024 წლის 10 იანვარს (გასაჩივრდა ზემდგომ პროკურორთან და სასამართლოში, თუმცა საჩივარი არ

[731] იქვე, პარ. 40.
[732] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 165^2.
[733] გენერალური პროკურატურის 2021 წლის 30 ნოემბრის N13/72412 წერილი.
[734] გენერალური პროკურატურის 2024 წლის 24 ივნისის N13/40850 და 2025 წლის 28 თებერვლის N13/12619 წერილები.

დაკმაყოფილდა), 7 მარტს და 7 მაისს 2-2 თვით; ხოლო 2024 წლის ივნისიდან - 2025 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში, სატელეფონო საუბრის უფლება შეეზღუდა 4-ჯერ (ისევ 2-2 თვით). პროკურატურის პოზიციით, 2023 წლიდან სასამართლომ ახალი შემადგენლობით დაიწყო ბრალდების მხარის მტკიცებულებების ხელახალი გამოკვლევა და ბრალდების მხარე სატელეფონო საუბრის შეზღუდვის საფუძვლად მოწმეებზე ზემოქმედებისა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის საფრთხეზე მიუთითებს.

ამდენად, **მიხეილ სააკაშვილს დაკავების დღიდან 2021 წლის 1 ოქტომბრიდან - დღემდე, არაგონივრულად ხანგრძლივი დროით (დაახლოებით, 3 წელიწადნახევრის განმავლობაში) ეზღუდება სატელეფონო საუბრის უფლება.**

9.6. სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დაკავშირება

საანგარიშო პერიოდში გაირკვა, რომ სახალხო დამცველის აპარატის სატელეფონო ცხელ ხაზზე - 14 81 - დაკავშირებას ტექნიკური ხასიათის პრობლემის გამო ვერ ახერხებენ პატიმრები, რომლებსაც სატელეფონო ბარათი დამზადებული არ აქვთ (ახალი შესახლებულები) და რომლებსაც ბარათზე თანხა არ აქვთ.

საგულისხმოა, რომ 2021 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ[735] სახალხო დამცველის სარჩელი დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად ცნო დისციპლინური სახდელის მოქმედების დროს და სამარტოო საკანში ყოფნისას სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დარეკვის ბლანკეტური შეზღუდვა. მოგვიანებით, ნორმატიულ აქტებში დარეგულირდა ცხელ ხაზზე შეუფერხებლად დაკავშირებისთვის საჭირო გარანტიები და პროცედურები. კანონმდებლობით, სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე პატიმრების მიერ სატელეფონო ზარები დაწესებულების ხარჯით ხორციელდება.[736]

პენიტენციური სამსახურის ცნობით,[737] კონკრეტული შპს უზრუნველყოფს პატიმართა სატელეფონო მომსახურებას. ხსენებული კომპანიიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პატიმრებს სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ მას შემდეგ, რაც დამზადდება მათი საბანკო პლასტიკური ბარათები. **მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატის სატელეფონო ცხელ ხაზზე - 14 81 - ზარის განხორციელება უფასოა, სატელეფონო ბალანსზე თანხის არარსებობის შემთხვევაში, პატიმრებისთვის ზარის განხორციელება ტექნიკურად შეუძლებელია.**

---

[735] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის N1/3/1441 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[736] პენიტენციური კოდექსი, მუხ. 116, ნაწ. 9.
[737] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2024 წლის 24 ივნისის N183698/01 წერილი.

თანხის სატელეფონო ბარათის ანგარიშზე არარსებობა არ უნდა იწვევდეს პატიმრის შეფერხებას, რათა საკუთარი უფლებების დასაცავად ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდეს ადამიანის უფლებების დაცვის ზედამხედველობაზე უფლებამოსილ კონსტიტუციურ ორგანოს - საქართველოს სახალხო დამცველს.

9.7. ე.წ. სუს-ის ფაილების საქმის გამოძიება

საანგარიშო პერიოდში **კვლავ არ დასრულებულა** 2021 წლის სექტემბერში მედიით გავრცელებული, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონო მოსმენისა და თვალთვალის შედეგად პირადი ცხოვრების ამსახველი მონაცემების მოპოვებისა და გავრცელების ფაქტზე მიმდინარე გამოძიება.

გენერალური პროკურატურის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2024 წელს, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში[738] გამოიკითხნენ მოწმეები, ხოლო სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე გაგზავნილი შუამდგომლობების პასუხები გამოძიებას სრულად არ აქვს მიღებული. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია 118 პირი, ხოლო კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული არ არის.[739]

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მდგომარეობითაც გამოძიებას სრულად მიღებული არ ჰქონდა სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე გაგზავნილი შუამდგომლობების პასუხები, ხოლო დაზარალებულთა რაოდენობა იმ დროისთვის 115 იყო.[740]

10. საკუთრების უფლება

საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კანონებით საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. საჯარო ინტერესებისათვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.[741]

ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი

[738] სისხლის სამართლის N010140921801 საქმე.
[739] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 24 იანვრის N13/3636 წერილი.
[740] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 189-190.
[741] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19, პუნქტ. 1 და 2.

საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.[742]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი იქნა მოქალაქეების მომართვები, სხვადასხვა ტიპის სამართალწარმოებისას, სამართალდამცავი ორგანოების მიერ საკუთრების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვის თაობაზე.

10.1. ნივთიერი მტკიცებულების შენახვის ხარჯები

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საანგარიშო პერიოდში, მოწმის, დაზარალებულის, ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებულის მხრიდან, გამოძიების მიერ მოპოვებული/ამოღებული სატრანსპორტო საშუალების ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით, სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მიმართა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ცვლილება-დამატება უნდა შევიდეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონში.[743]

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა, ჯერჯერობით არ გაიზიარა სახალხო დამცველის ხსენებული წინადადება.[744]

10.2. საკუთრების უფლების შეზღუდვა

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლებაში ჩარევას, რომელიც არ იყო დასაბუთებული და კანონმდებლობასთან შესაბამისი. ორივე ფაქტთან მიმართებით სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელშიც შეფასდა საკუთრების უფლების შეზღუდვის გარემოებები.

ლ.ჯ.-ს საქმე

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველს მიმართა მოქალაქე ლ.ჯ.-მ. განმცხადებელი ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე არის მოწმე და საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება, რომლის მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.[745]

---

[742] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმი N1, მუხ. 1.

[743] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 11 მარტის N15-2/2465 წინადადება; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელს" (< https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf > გვ 173); სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf > გვ. 278 – 282.

[744] ბოლოს ნანახია 16.01.2025.

[745] სისხლის სამართლის N031180124001 საქმე.

განმცხადებლის განმარტებითა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით,[746] შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელი მოქალაქეს გაესაუბრა და სატელეფონო გასაუბრების ოქმით შეუზღუდა მის საკუთრებად დარეგისტრირებული უძრავი ქონების განკარგვა, გასხვისება, მიწაზე არსებული შენობის დემონტაჟი, რის თაობაზეც შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განმცხადებელს მოპოვებული ჰქონდა სათანადო ნებართვა[747], ან/და მისი სურვილისამებრ, საკუთრებით სარგებლობა, რის გამოც ვერ განახორციელა საკუთრებაზე მისთვის სასურველი სამეწარმეო საქმიანობით შემდგომი შემოსავლის მიღება.[748]

განმცხადებელმა ასევე წარმოადგინა გამომძიებლის წერილი, რომლის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ გამოძიება მიმდინარეობს ზემოხსენებული ქონების სავარაუდოდ თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, გამომძიებელი დაუკავშირდა რეგისტრირებულ მესაკუთრეს ტელეფონზე და განუმარტა, რომ თავი შეეკავებინა სადავო უძრავის ქონების გასხვისების, დაზიანების ან/და დემონტაჟისგან, რასთან დაკავშირებითაც შეადგინა სატელეფონო გასაუბრების ოქმი, სადაც, ასევე, მესაკუთრის სურვილისამებრ, დაფიქსირდა მისი პოზიცია. ამავე წერილში გამომძიებელი მიუთითებდა, რომ მის მიერ არ მომხდარა სადავო ქონების განკარგვის იმპერატიული აკრძალვა და მან მიუთითა მხოლოდ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ განკარგვისგან თავის შეკავებაზე. მის მიერ არ დარღვეულა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული რელატიური (ფარდობითი) საკუთრების უფლება.[749]

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღიარებულია როგორც საკუთრების უფლება,[750] ასევე ეკონომიკური თავისუფლების პრინციპი.[751] საკუთრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, თუმცა სახელმწიფო საკუთრების უფლებაში ჩარევის მართლზომიერებისათვის ადგენს კანონით მკაცრად განსაზღვრულ საფუძვლებსა და ჩარევის განხორციელების წესს.[752]

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ფარგლებში მესაკუთრისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია მხოლოდ ქონებაზე ყადაღის დადების გზით.[753] ქონებაზე ყადაღის დადება კი სავალდებულოდ ექვემდებარება სასამართლოს მიერ მხარის ქმედების კონტროლს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით,

---

[746] ოქმი სატელეფონო გასაუბრების შესახებ, 02.04.2024 წ.

[747] თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 აპრილის N№124.1242410811 ბრძანება.

[748] N6819/2024, N7212/2024 და N8023/2024 განცხადებები.

[749] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების (ასურეთი) გამომძიებლის 2024 წლის 29 აპრილის NMIA52401283965 წერილი.

[750] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19.

[751] იქვე, მუხ. 6.

[752] იქვე, მუხ. 19, პუნქტ. 2.

[753] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოძრავი ნივთების ამოღების შესაძლებლობას.

სასამართლოს, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ქონებას ყადაღა დაადოს, მათ შორის, თუ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული,[754] ან, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ქონებას შეიძლება ყადაღა დაედოს პროკურორის დადგენილების საფუძველზე[755], რაც, ასევე ითვალისწინებს პროკურორის დადგენილების საფუძვლიანობისა და კანონით დადგენილი წესის დაცვის სასამართლოს მიერ შემოწმების სავალდებულობას. კერძოდ, პროკურორის დადგენილების აღსრულებიდან 12 საათის განმავლობაში (თუ ამ ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს 1 საათისა) სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვისა და სასამართლოს მიერ 24 საათში ყადაღის დადების კანონიერების შემოწმების ვალდებულებას.[756]

ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე მკაცრად განსაზღვრავს კონკრეტული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირს. საპროცესო კანონმდებლობით, გამომძიებელი უფლებამოსილია ჩაატაროს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გარდა იმ მოქმედებისა, რომლის ჩატარებაც პროკურორის კომპეტენციაა[757] და გამომძიებელს, შესაბამისად, არ ანიჭებს უფლებამოსილებას, მესაკუთრეს აუკრძალოს უძრავი ქონების განკარგვა ან/და სურვილისამებრ სარგებლობა საკუთრებით, რაც მხლოდ ყადაღის დადებით შეიძლება განხორციელდეს.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მოცემული საქმის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელმა, ქონებაზე ყადაღის დადების სასამართლო კონტროლის გარეშე, სატელეფონო გასაუბრებისას აცნობა მესაკუთრეს, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, თავი შეეკავებინა სადავო ქონების გასხვისების, დაზიანებისა ან/და დემონტაჟისგან, რითაც, საქართველოს კანომდებლობის დარღვევით, პრაქტიკულად, პროცესის მონაწილეს დააკისრა ვალდებულება და შეუზღუდა მისი უძრავი ქონების განკარგვა და სურვილისამებრ სარგებლობის უფლება. გამომძიებელმა მოქალაქესთან წერილობით კომუნიკაციაში აღნიშნა, რომ მის მიერ იმპერატიულად არ მომხდარა ქონების განკარგვის აკრძალვა, თუმცა გაიმეორა და დაადასტურა საკუთრების უფლების შემზღუდავი იმავე შინაარსის განმარტება (თავი შეეკავებინა ქონების გასხვისების, დაზიანებისა და დემონტაჟისგან). აღნიშნულით, გამომძიებელმა, უძრავი ქონების მიმართ ფაქტობრივად განახორციელა ყადაღის დადება, რისი უფლებამოსილებაც გამომძიებელს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებული არ აქვს.[758]

გამომძიებლის მიერ მისი საკუთრების უფლების კანონდარღვევით შეზღუდვის საკითხთან დაკავშირებით მოქალაქემ საჩივრით მიმართა პროკურატურას. პროკურატურის მიერ

---

[754] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151, ნაწ. 1.
[755] იქვე, მუხ. 155, ნაწ. 1.
[756] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 155.
[757] იქვე, მუხლ. 37, ნაწ. 6, ქ/პ. „ა“.
[758] მიუხედავად იმისა, რომ გამომძიებელმა ღიად დატოვა საკითხი, დაეკისრება თუ არა მესაკუთრეს რაიმე სახის პასუხისმგებლობა ქონების განკარგვის შემთხვევაში.

წარმოდგენილი ინფორმაციით, საჩივრის ავტორს, საჩივრის განხილვის შედეგად, მარნეულის პროკურატურის[759] მიერ ეცნობა, რომ გამომძიებლის მიერ შედგენილი სატელეფონო გასაუბრების ოქმი არის გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე შედგენილი რეკომენდაციული მნიშვნელობის განმარტება. ამგვარი განმარტების გაკეთებას გამომძიებელს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ უკრძალავს და აღნიშნულიდან გამომდინარე, მარნეულის რაიონულმა პროკურატურამ გამომძიებლის მოქმედება კანონდარღვევად არ მიიჩნია.[760]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების განხორციელების წესებს[761] და პირის უფლებებში ჩარევას, მათ შორის საკუთრების უფლების შეზღუდვას, ითვალისწინებს მხოლოდ მკაცრად გაწერილი წესითა და პროცედურით - პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული სასამართლოს განჩინებით ყადაღის დადების შემთხვევაში. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების მწარმოებელ ორგანოს უწესებს იმ მოქმედებების განხორციელების ვალდებულებას კანონით დადგენილი წესით, რაც უშუალოდ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და არ ანიჭებს უფლებამოსილებას, გამოძიების მიმდინარეობისას განახორციელოს ის მოქმედებებიც, რაც პირდაპირ არ არის აკრძალული საპროცესო კანონმდებლობით. **საპროცესო კოდექსი, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამომძიებელს არ ანიჭებს უფლებამოსილებას, პირს შეუზღუდოს საკუთრების უფლება მხოლოდ მის მიერ შედგენილი ოქმით,[762] პროკურორისა და სასამართლოს ზედამხედველობის გარეშე.**

მიუხედავად ამისა, მარნეულის რაიონული პროკურატურის წერილის თანახმად, გამომძიებელმა და საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელმა მარნეულის რაიონულმა პროკურატურამ, გამოძიების ინტერესების გათვალისწინება და შესაბამისი მოქმედება დააკისრა პროცესის მონაწილეს (მოწმეს), სასამართლოს განჩინების გარეშე. ასევე, მარნეულის რაიონულმა პროკურატურამ რეგისტრირებული მესაკუთრის მიერ გასაჩივრებული გამომძიებლის ქმედება და საკუთრების უფლების შემზღუდველი ოქმი სამართლებრივი რეაგირების გარეშე დატოვა და არ განახორციელა კანონმდებლობით, მათ შორის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული პროცესის მონაწილის უფლებების დასაცავად კანონიერი გადაწყვეტილების მიღება - გამომძიებლის მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დარღვევით მოქალაქისთვის საკუთრების უფლების შემზღუდველი სატელეფონო გასაუბრების ოქმის გაუქმება.

[759] სისხლის სამართლის N036180124001 საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურატურა.
[760] მარნეულის რაიონული პროკურატურის 2024 წლის 15 ივლისის N13/14-46243 წერილი.
[761] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 1.
[762] იქვე, მუხ. 37.

მარნეულის რაიონული პროკურატურის პოზიციით, ლ. ჯ.-ს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიების მხრიდან არ აქვს აკრძალული შეუზღუდავად განკარგოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.[763]

შ.მ.-ის საქმე

2023 წლის 2 იანვარს დ.მ.-ის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო და 2024 წლის 11 აპრილს გაცემული სამკვიდრო მოწმობით, გარდაცვლილის შვილმა, შ.მ.-მ სრულად მიიღო სამკვიდროში შემავალი ქონება, მათ შორის, უძრავი ქონება.[764]

2024 წლის 5 ივნისს შ.მ.-მ განცხადებით მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში, სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო მონაცემების დაზუსტება/ცვლილება, მიწის ნაკვეთზე მემკვიდრის საკუთრების უფლების რეგისტრაცია და საჯარო რეესტის ამონაწერის მომზადება.[765]

წარდგენილ სარეგისტრაციო განცხადებასთან დაკავშირებით, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2024 წლის 11 ივნისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ.[766] აღნიშნულის მიზეზად მითითებული იყო, რომ წარმოების ფარგლებში საჭირო გახდა დამატებითი დოკუმენტის გამოთხოვა მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, რომელიც უკავშირდებოდა დასარეგისტრირებელ ქონებასთან დაკავშირებულ გამოძიებას.[767] მოგვიანებით, კი მარეგისტრირებელმა ორგანომ მიუთითა, რომ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურიდან მიღებული წერილით ეცნობათ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ იყო. ამასთან, ამავე წერილში მითითებული იყო, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე რაიმე სახის სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ იყო.

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ გასაჩივრდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი იქნა მიღებული.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:[768]

მათ 2014 წლის 28 ოქტომბერს მიმართეს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას, ვინაიდან სარეგისტრაციო სამსახურმა მიიჩნია, რომ უძრავი ნივთი დ.მ.-ის ოჯახის სახელზე

[763] მარნეულის რაიონული პროკურატურის 2025 წლის 5 მარტის N13/14-13544 წერილი.
[764] სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N240439133, 2024 წლის 11 აპრილი.
[765] შ.მ.-ის ადვოკატის 2025 წლის 21 იანვრის 604/25 განცხადება.
[766] იქვე.
[767] იქვე.
[768] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 3 დეკემბრის N275154 წერილი.

დარეგისტრირდა საეჭვო დოკუმენტების საფუძველზე. სწორედ აღნიშნული მიმართვის შემდგომ მოექცა სამცხე-ჯავახეთის პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების ინტერესების ქვეშ დ.მ.-ის კუთვნილი უძრავი ქონება.

ზემოაღნიშნული გამოძიების მიმდინარეობისა და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების არ არსებობის გამო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლიდან უარს აცხადებს სადავო მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მონაცემებში შეიტანოს ცვლილება.

საჯარო რეესტრის მიერ აპარატში წარმოდგენილი მასალების თანახმად,[769] თავად ადმინისტრაციულმა ორგანომ სხვადასხვა დროს გადაამოწმა საგამოძიებო ორგანოსთან, იყო თუ არა საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული, თუმცა ყოველ ჯერზე მათ უბრუნდებოდათ პასუხი, რომ გამოძიება კვლავ მიმდინარე იყო.[770]

იგივე პასუხი მიიღო სახალხო დამცველის აპარატმაც 2024 წლის ნოემბერში.[771] დამატებით, გენერალური პროკურატურიდან მიღებულ წერილში მითითებული იყო, რომ სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, დ.მ.-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საგამოძიებო უწყების შუამდგომლობით ყადაღა ან სხვა სახის სამართლებრივი შეზღუდვა არ გამოყენებულა.[772]

სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რათა მიეღო პასუხი, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიმდინარეობს სისხლის სამართლის გამოძიება, არის თუ არა საკმარისი, რომ პირს უარი ეთქვას რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.[773] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული პასუხის თანახმად,[774] წარმოების შეჩერების საფუძველი იყო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ[1]“ ქვეპუნქტი, რაც გულისხმობს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებას იმ შემთხვევაში, როდესაც სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები მათი კანონიერების შესწავლის მიზნით გადაიგზავნა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოში.

სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით მიმართა აღნიშნულ საკითხზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს,[775] რათა მოეპოვებინა ინფორმაცია, მიუხედავად სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების მაქსიმალური ვადის - 60 დღის[776] ამოწურვისა, არსებობდა თუ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი[777], რომელიც მაქსიმალური ვადის

[769] იქვე.
[770] იქვე.
[771] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 20 ნოემბრის N13/75430 წერილი.
[772] იქვე.
[773] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 07 ნოემბრის N2024/6184 წერილი.
[774] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 3 დეკემბრის N275154 წერილი.
[775] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 17 დეკემბრის N2024/7336 წერილი.
[776] „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 21, პუნქ. 2[2].
[777]„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 4[1] პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

გასვლის მიუხედავად, მარეგისტრირებელ ორგანოს უფლებას აძლევს, მაინც არ დააკმაყოფილოს მოთხოვნა, თუკი არსებობს სხვა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ისეთი გარემოება, რომელიც გამორიცხავს უფლების/ვალდებულების რეგისტრაციას. აღნიშნული წერილის პასუხად, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ კვლავ არ დააკონკრეტა თუ რა არის ის სხვა გარემოება, რაც 60 დღიანი ვადის გასვლის მიუხედავად, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსულების ფარგლებში შეფასების შედეგად, ამ კონკრეტულ საქმეში გამორიცხავდა რეგისტრაციის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.[778]

ს(ს)იპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია ყველა გადაწყვეტილება მიიღოს მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული პრინციპების დაცვით. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები.[779] აქტის დასაბუთება, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა, იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. დასაბუთებაში, გარდა სამართლებრივი საფუძვლების მითითებისა, არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შეფასებების განხორციელებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რა დროსაც იგი ყველა შესაძლებლობას უნდა იყენებდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი[780] ადგენს საჯარო რეესტრის მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ერთ-ერთ საფუძველს და მიუთითებს, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტების კანონიერებაში ეჭვის შეტანისა და მათი საგამოძიებო ორგანოში გადაგზავნისას ადმინისტრაციული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებაზე. ზემოხსენებული საფუძვლით სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისთვის აწესებს მაქსიმალურ - 60 დღიან ვადას.[781] ზემოხსენებული საფუძვლით „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე მიიღება უფლების/ვალდებულების რეგისტრაციის (მოთხოვნის დაკმაყოფილების) შესახებ გადაწყვეტილება, თუ არ არსებობს ამ

[778] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 9 იანვრის /ნ2485 წერილი.
[779] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხ. 53.
[780] „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 21, პუნქ. 1, ქვეპ. „თ[1]“.
[781] იქვე, პუქნ. 2[2] .

უფლების/ვალდებულების რეგისტრაციის გამომრიცხავი სხვა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებები.“[782]

სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საქმის ფარგლებში, დადგენილია, რომ შ.მ.-ის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება 2024 წლის 11 ივნისს არის მიღებული. ამდენად, **გადაწყვეტილების მიღებიდან გასულია 7 თვეზე მეტი. თავად გამოძიება სადავო უძრავ ქონებასთან მიმართებით კი, 10 წელზე მეტია მიმდინარეობს.**

განსახილველი საქმის ფარგლებში არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი 60 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, შ.მ.-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარი უკანონო და დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[783] მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს, რათა აღმოიფხვრას შ.მ.-ის საკუთრების უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

10.3. ავტომანქანის დაბრუნების გაჭიანურება

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა.გ.ჰ.-ს საქმე,[784] რომლის თანახმად, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, პირს ჩამოართვეს კუთვნილი ავტომანქანა, როგორც წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით შეძენილი ნივთი.[785]

საქმის მასალების თანახმად, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქემ ა.გ.ჰ.-მ 2019 წლის 22 აგვისტოს შეიძინა და დაარეგისტრირა ავტომანქანა. მითითებული ავტომანქანის საკუთრების გადასახადსა და სხვა ხარჯებს იხდიდა და 2023 წლის 29 აგვისტომდე, ავტომანქანით შეუფერხებლად სარგებლობდა. 2023 წლის 23 აგვისტოს მითითებულმა ავტომანქანამ დაუბრკოლებლად გადაკვეთა სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის ჩრდილოეთის საბაჟო დეპარტამანეტის „ბავრას“ საბაჟო საგუშაგო. თუმცა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დროს აღმოჩნდა, რომ რუსეთის ფედერაციის აღსრულების ორგანოების მიერ, მითითებული ავტომანქანის მიმართ, საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ავტომანქანა ამოიღეს და გადაიყვანეს დაცულ ავტოსადგომზე.[786]

---

[782] იქვე, პუქნ. 4[1].
[783] სახალხო დამცველის 2025 წლის 17 თებერვლის N25/1358 რეკომენდაცია.
[784] საქმე N14291/23.
[785] სისხლის სამართლის N072290723001 საქმე, წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.
[786] 2024 წლის 26 დეკემბერს მოქალაქემ N9222/2024 განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს და კვლავ ითხოვდა ავტომანქანის დაბრუნებაში დახმარებას.

სახალხო დამცველის აპარატმა რამდენჯერმე გამოითხოვა სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორმაცია.[787]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის, ძებნის ინიციატორი ქვეყნის - რუსეთის ფედერაციის შესაბამისი უწყებიდან გამოთხოვილ და მიღებული იქნა ინფორმაცია რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისა და დაზარალებული პირების შესახებ. 2023 წლის 7 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის შესაბამის უწყებას კვლავ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაზარალებულისთვის 90 დღის ვადაში ავტომანქანის დაბრუნების შესახებ შეტყობინების ჩაბარების თაობაზე.

2024 წლის 19 ივნისის მდგომარეობით, რუსეთის ფედერაციიდან, სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანის შესახებ ინფორმაცია და დაზარალებული მხარისთვის წერილის გადაცემის დასტური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიღებული არ ჰქონდა.[788] ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ, 2024 წლის 8 ივლისის მდგომარეობით, დაწყებული არ იყო.[789]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მესაკუთრის/მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმის მწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით წერილობით შესთავაზებს მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს, თუ ეს პირი ცნობილია, დაიბრუნოს კუთვნილი საგანი. საქმის მწარმოებელმა ორგანომ წერილობითი შეტყობინება საგნის მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს მისი ვინაობის დადგენისთანავე უნდა გაუგზავნოს. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით ან ამ შეტყობინებაზე საგნის მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ხელმოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისად ოჯახის წევრის ან/და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე/კანონიერი მფლობელი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და ტრანსპორტირებას.[790]

ხოლო, თუ მესაკუთრემ/კანონიერმა მფლობელმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით[791] დადგენილ ვადაში არ დაიბრუნა სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე თუ სატრანსპორტო საშუალების ამოღებიდან 90 დღეში ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ან

[787] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 20 დეკემბრის N15-2/12280, 2024 წლის 22 მარტის N15-2/2920 და 31 მაისის N2024/1527 წერილები.
[788] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 18 იანვრის NMIA 7 24 00158200, 3 აპრილის NMIA 1 24 01008281 და 19 აპრილის NMIA 7 24 01820564 წერილები.
[789] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 8 ივლისის N13/44647 წერილი.
[790] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 80, ნაწ. 2.
[791] იქვე, მუხ. 80, ნაწ. 2.

კანონიერი მფლობელის ვინაობა ან იმავე ვადაში ვერ ჩაჰბარდა მას შეტყობინება, სატრანსპორტო საშუალება პროკურორის დადგენილებით უბრუნდება პირს, რომელმაც ის შეიძინა და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ (კეთილსინდისიერი შემძენი).[792] კოდექსის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულების ბედის გადაწყვეტა დაინტერესებულ პირს არ ართმევს უფლებას, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იდავოს საგნის კუთვნილების თაობაზე.[793]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდებოდა, რომ საგამოძიებო უწყებამ ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ ავტომანქანის თავდაპირველ მესაკუთრეს, კანონით დადგენილი წესითა და ვადაში, ჰქონოდა კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნების შესაძლებლობა. თუმცა, მიუხედავად გამოძიების მცდელობისა, უცნობი იყო, მიეწოდა თუ არა ან/და როდის მიეწოდა მესაკუთრეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესახებ ინფორმაცია ძებნის ინიციატორი სახელმწიფოს (რუსეთის ფედერაცია) შესაბამისი ორგანოების მიერ.

საქართველოში გამოძიება მიმდინარეობდა წინაწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის (ავტომანქანის) შეძენის ფაქტზე,[794] თუმცა, გამოძიების 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობის მიუხედავად, ბრალდებულად ცნობილი არავინ არ იყო.[795] გამოძიებას არ ჰქონდა მოპოვებული მტკიცებულება იმისა, რომ ა.გ.ჰ.-მ შეძენის მომენტისთვის იცოდა, რომ ავტომანქანა დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. ასეთ შემთხვევაში, მას წარედგინებოდა ბრალდება შესაბამისი დანაშაულის ჩადენაში.[796] ამდენად, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა.გ.ჰ. ავტომანქანის კეთილსინდისიერ შემძენად უნდა ჩათვლილიყო.

ვინაიდან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, მსგავს შემთხვევებში, ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ თუ სატრანსპორტო საშუალების ამოღებიდან 90 დღეში ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ვინაობა ან იმავე ვადაში ვერ ჩაბარდა მას შეტყობინება, სატრანსპორტო საშუალება უნდა დაუბრუნდეს მის კეთილსინდისიერ შემძენს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ სატრანსპორტო საშუალების შემძენმა, შეძენის მომენტში იცოდა ამ სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის (ავტომანქანის მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ მფლობელობიდან გასვლის) თაობაზე, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცევის შესახებ (პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან ერთად). ამ

[792] იქვე, მუხ. 80, ნაწ. 4.
[793] იქვე, მუხ. 80, ნაწ. 7.
[794] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 186, ნაწ. 2, ქვეპუნ. „გ“.
[795] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 8 ივლისის N13/44647 წერილი.
[796] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 186, ნაწ. 2, ქვეპუნ. „გ“.

შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების შემძენის არაკეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთი პროკურორს ეკისრება.[797]

სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ გარემოებები სავსებით აკმაყოფილებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ წინაპირობებს, რა შემთხვევაშიც სატრანსპორტო საშუალება მის კეთილსინდისიერ შემძენს უნდა დაუბრუნდეს. უფრო მეტიც - ამგვარი გადაწყვეტილების მიუღებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, უსაფუძვლოდ უზღუდავდა საკუთრების უფლებას სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა.გ.ჰ.-ს და აყენებდა მას მატერიალურ ზარალს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქმის შესწავლის შედეგად იკვეთებოდა მესაკუთრის უფლებებში არაპროპორციული ჩარევა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევა. შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, განმცხადებელს დაბრუნებოდა მისი კუთვნილი ავტომანქანა.[798]

სახალხო დამცველის წინადადება, საწყის ეტაპზე არ გაიზიარა პროკურატურამ, რის მიზეზადაც განმარტა, რომ ხსენებული ეტაპისთვის საქართველოს მხარეს არ ჰქონდა მიღებული ინფორმაცია ავტომანქანის მესაკუთრისთვის ავტომანქანის დაბრუნების შესაძლებლობის შეტყობინების და უფლების განმარტების ჩაბარების შესახებ.[799] თუმცა, მოგვიანებით, **რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, დამატებით მიმართვის[800] საფუძველზე ეცნობა, რომ ამოღებული ავტომანქანა, პროკურორის დადგენილებით დაუბრუნდა კეთილსინდისიერ შემძენს.**[801]

10.4. ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირისთვის ნივთების დაბრუნების გაჭიანურება

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმის მიხედვით, მოქალაქე ნ.ფ., რომელსაც სასამართლოს მიერ განსაზღვრული ჰქონდა ხუთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა, 2024 წლის 2 თებერვალს, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების დროს იმყოფებოდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, რის შემდეგაც მის სახლში გამოცხადდნენ პოლიციის თანამშრომლები და დააკავეს, ხოლო დაკავების შემდეგ გადაიყვანეს ძველი თბილისი VII სამმართველოში, სადაც ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა და ჩამოართვეს მობილური ტელეფონი და ქამარი.

ნ.ფ-ს განცხადებით, მობილური ტელეფონის და ქამრის ჩამორთმევის შემდეგ გადაიყვანეს თბილისი დროებითი მოთავსების იზოლატორში, მაგრამ ჩამორთმეული ნივთები არ

[797] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 80, ნაწ. 5.
[798] სახალხო დამცველის 2024 წლის 31 ივლისის N2024/3346 წინადადება.
[799] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 20 აგვისტოს N13/53875 წერილი.
[800] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 27 დეკემბრის N2024/7713 წერილი.
[801] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 13 იანვრის N13/373 წერილი.

გადასცეს იზოლატორს. პოლიციის თანამშრომლებს სთხოვა ნივთების იზოლატორში ჩაბარება, თუმცა უარი განუცხადეს.

ამასთან, ნ.ფ. აცხადებდა რომ პოლიციელების მიერ ჩამორთმეულ მობილურ ტელეფონს იყენებდა როგორც თანხის გადახდის საშუალებას და დასჭირდებოდა გათავისუფლებისთანავე, ვინაიდან ტელეფონით თანხას იხდიდა როგორც ტრანსპორტში, ასევე სხვა ფინანსური ხარჯის გასაწევად, ხოლო ქამარი ტანსაცმლის მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა ფეხით მოძრაობის დროს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატში გამოგზავნილი პასუხის შესაბამისად, ნ.ფ-ს ნივთები ჩამოერთვა ადმინისტრაციული წესით დაკავების დროს და ინახებოდა პოლიციის ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოში, თუმცა ნივთების ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი და კანონიერების საკითხზე პასუხი არ იყო წარმოდგენილი.[802] გათავისუფლების შემდეგ ნ.ფ.-ს ჩამორთმეული ნივთები იზოლატორშივე არ დაუბრუნდა, რის გამოც მოუწია პოლიციის განყოფილებაში ხელმეორედ მისვლა და მობილური ტელეფონისა და ქამრის აღება.

საკანონმდებლო რეგულაციებით, **ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირებისთვის ჩამორთმეული პირადი ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს, ინახება დროებითი მოთავსების იზოლატორში და აღნიშნული ნივთები მათ გათავისუფლებისთანავე უბრუნდებათ.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნ.ფ-სთვის ჩამორთმეული ნივთები არ წარმოადგენდნენ სამართალდარღვევის უშუალო საგანს ან ობიექტს.

შესაბამისად, საცხოვრებელ სახლში დაკავებული და პოლიციის განყოფილებაში გადაყვანილი ნ.ფ.-სთვის, პირადი გასინჯვის დროს ჩამორთმეული ნივთები შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებს უნდა წაეღოთ დაკავებულის დროებითი შესახლების ადგილას (იზოლატორში), ვინაიდან აღნიშნული არ წარმოადგენდა სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს. ხსენებული ნივთები (მობილური ტელეფონი და ქამარი) იყო გათავისუფლების შემდეგ ტრანსპორტში თუ სხვა საჭიროებისთვის გადახდის და კომუნიკაციის საშუალება და ასევე, გადაადგილების დროს ტანსაცმლისთვის საჭირო აქსესუარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოქალაქე ნ.ფ-ს უფლებების დარღვევის თაობაზე პოლიციის თანამშრომლების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ[803], თუმცა ამ დრომდე მოცემულ საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან სახალხო დამცველის აპარატს პასუხი არ მიუღია.

---

[802] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 12 თებერვლის N32400421870 წერილი.
[803] სახალხო დამცველის 2024 წლის 15 ივლისის N2024/2833 წინადადება.